ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

6

1990

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

საქართველოს
მწერალთა
კავშირის
ორგანო

6

ივნისი
1990
თბილისი

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა. 396. გამოცემის 92-ე წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

პოეზია და პროზა

3. ემზარ კვიტაიშვილი — ლექსები
6. ნაირა გელაშვილი — მოთხრობები
28. ნინო მდივანი — ძეურდი. მოთხრობა
37. ბუჯა აკარაცხელია — მარადისობის მძებვლები ბართ. პოემა.
46. ზურაბ ბეგანაშვილი — მგელთავა მეფე. ისტორიული მოთხრობა
55. თოთია ბიგაური — ლექსები
57. ნიკო სამადაშვილი — შეხვედრები და სინანული. დასასრული
88. თენგიზ ფიფია — მეზღვაურული ანანახატები

ახალი თარგმანები

99. ანატოლი ქიბულინი — ლექსები. თარგმნა თენგიზ პატარაიამ

ეროვნული თვალსაზრისი

102. რედაქციისაგან
104. ვალერიან ადვაძე — საქართველოს ეკონომიკა: გზა საბაზრო მეურნეობისაკენ
112. ზურაბ ვახანია — წარსული, მომავალი...
117. ილიამაზ ბიწიშვილი — საქართველოზე ფიქრით...

დაბრუნებული სახელები

126. ალექსანდრე სულხანიშვილი — მოგონებები შეფიცულთა რაზმზე. გაგრძელება

წერილები

134. სერგი დურმიშიძე — საპატიო დირექტორი

შენ, ჩემო ბედის ვარსკვლავო...

142. დრუიდების ჯოროსკო

ემზარ კვიტაიშვილი

●

ვერ ვივიწყებ წარსულს,
ჩემი სულის მძერწავს
მამას — ვინაც მარად
ტანჯვა მიანდერძა.

დაიჯერე, გონება,
გაიგონე, ყურო,
ყველა საწყალს, დაცემულს —
უნდა ემსახურო.

გულო, ამოტრიალდი,
თვალო, დაინახე;
ნუ ჩაუვლი უბრალოდ —
კედელს, ღრუბლის ნახევს...

ჭიდილს ნუ გაექცევი,
ბედი უნდა ჭედო,
დარჩი კვლავ სიხარულის
მცველად, მომნიჭედო.

რას მაბრუნებ, ჩაბრუნდი,
ყელს მომდგარო შხამო...
არ თქვან — ვერ გაამართლა
სისხლმა მამისამო.

წირვაზე

სამკაულო ხატისავ,
ლალო და იაკინთო...
ციცქნა ბიჭმა სიონში
დღეს სანთელი აგინთო.

შენი შვილიშვილია —
სულით სულზე მიმება.
კეთილია. შენსავით
გვერდულად იღიმება.

რომელი გწვავს სურვილი,
ვისი ნახვა მოგშივა...
საკმეველში შერეულს,
თუ გრძნობ სისხლის ოხშივარს.

საით მიეშურები
უმიზნო და უგეშო...
მივეჩვიე ბეჩავი —
ისევ შენ მანუგეშო.

ფერებაში იზრდება,
ღმერთმა ტკბილად აძინოს;
შენი მადლი გამოყვეს
ანგელოზს პაწაწინას.

გასვენების დღე

მერამდენედ, ეს ქვეყანა
ემგვანება შუშას ცალმხრივს —
ჩვენ დაგყურებთ,
შენ ჭვრეტ ვერას.
გულზე ყვავილს გაწყობენ და
გიკოცნიან ნაჯაფ ხელებს.
ვერ ვიხსენებ — კაცს წაეღოს
სინანული შენოდენა.
შენად გიჩნდა სხვისი ტანჯვა
და სულს გხდიდა ცოდვა სხვისი.
გვემულ ტანზე რომ ამასხი,
მესუსხება ხორცი შენი

და თითები, ლამის არი,
სიმწრისაგან წავიჭამო...
დაკორტნილი, აქ დამტოვე,
რომ მეგლოვა და მეტირა.
კაცის გზა და გასაჭირი,
მისი თავი,
მისი ბოლო,
ორი სიტყვით ასე ითქმის:
სიკეთისთვის გაჩენილო,
წამებისთვის გაჩენილო,
ახლა, თუ არ მეჩვენება,
საბოლოოდ მოისვენე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ა მ ა

ის მაინც მაცოდინა —
სად ხარ დაბარებული,
ულვთოდ ნაწამები და
საწყლად დაბერებული...
ნეტა თუ შეგისრულეს
რამე დაპირებული.
ჩაიბარეს, ჩაკეტეს —
სული მობარებული,
სადმე ჩრდილი თუ ნახე —
მყუდრო, მოფარებული.
ვინც რომ დაგინარჩუნა,
იგი არ წააგებდა;
მჩხვლეტს ეკალი, დაგეძებ
ჩამუხლული ჯაგებთან.
ღობე ტრიფოლიატის —
ბურთულები მაგრები;
ზედ მაყვალი შავ-შავი,
ტკბილი, ძნელად საკრეფი.
ყლორტის ლამობს ამოყრას,
რასაც ფესვი უხმება;
მეც მახარებს ხანდახან
დროის გაუკულმება:
სიზმრად კვლავაც ცოცხალი
და წახრილი დამიდის,
მომაშუქებს ღიმილი
კეთილის, მიამტის...
მეფერება თვალები,
ჟრუანტელი დამიარს...
გამისხლტება მაშინვე,
ეს სულ ერთი წამია.
აწ ჩემნაირ უპოვარს
რაღა უნდა დაპარო,
გასათრევო საწუთროვ,
მოჩვენებავ, ზღაპარო.
მე უნდა ვთქვა — წინაპარს
სისხლი გამოვწურეო,
მოდგმა ჩემი გავწირე
და იმ სისხლში ვცურეო...
შენ კი... ტანჯვა არ დაგღლის,
არც ამაო ლოდინი,
წახველ, არ გაგყოლია
ცოდვა ქრთილისოდენი.
შენ ერთს შეგეცოდები,
ერთადერთი დამიცავ,
ვერსად ვერ გაგექცევი,
მოლანდებავ მამისავ,
ვინ გაიგებს შენსავით,
შენთანა ვარ რომ ისევ,
ჯერ სად არი, ვინ დათვლის —
რამდენ წუხლს მომისევ...
ვიცი, დავიდაგები,
მელის მახის დაგება,
მანამ ჩემიც ისმინე
ლოცვა და ქადაგება, —
შვილზე გადაგებულო,
შენ უნდა გადაგება.

შ ე მ ო ხ ვ ე ვ ე ბ ი

ვის ახსოვს სათიბ-სამკალი,
ნიავდვლილი ყანა...
საიდან — მკვლელი ამდენი,
ამდენი სალახანა.

ყოველ ნაბიჯზე ამბები,
სულსაც რომ ამოგართმევს,
რად პაპაიროსი არ გაქვსო,
ქართველი ფუშავს ქართველს.

თვალსაც არ დაახამხამებს —
დანას მუცელში უყრის
და... წითელ ტბაში გაწვება
გზა სამუდამო მწუხრის.

ს ულ შ ე ნ თ ა ნ გ ა მ ო ვ გ ზ ა ვ ნ ი დ ი...

„მაშინ ხომ კარგი ვიყავი,
ბეჭზე რომ თმები მეყარა...“

ჯ უ რ ხ ა ნ ა დ ი რ ა ძ ი ს საყვარელი სიმღერა

მაშინაც კარგი იყავი,
ახლაც, ბიჭებში ერჩევი,
გფარავდეს შენი ჭორვილა,
შენი ჩონთო და მერჯევი.
ამოაბრუნე ყვირილა
და „მოდი ნახეც“ დაჩხვერე,
სამოთხის დასადარია —
შენი საკანე, საჩხერე...
გაფხვენ სამარხი ხნიერი,
ბარი დაჰკარი საირხეს —
საყურეები წერწეტა
ზაფხულის ქარზე დაირხეს.
ოფლის გიღვრია მდინარე,
მზეში დამწვარო, ტანადო,
რომ საქართველოს წარსულმა
მიწიდან ამოანათოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ დაგიწუნოს, თუ ახლა
ბეჭზე ჭაღარა გაყრია,
რა გახრის ლომის ხერხემალს,
სანამ სული ხორცს გაყრია.
ათასი განძის მპოვნელი
თვალები მოგიწკურია,
სულ შენთან გამოვგზავნიდი,
ვისაც კი ძმობა სწყურია.

●

გალობა მწამს მე ლალური,
როგორც გალობს მოლალური;
ცის პატრონი, ცას შებმული,
ნიდლ მიწაზე დაშვებული.

შაშვის სტვენაც მიყვარა მჭახე,
რამ გატკვრინა მოჭახჭახე.
გაქრობა და ამოჩენა
მენატრება ბალახური,
სხვა ნუ გინდა,
მე ვიქნები
შენი ძაღლი გალახული...
გადავდიავარ ზვინზე ყირას,
მიყვარს ხტომა მალაყური,
ვიყურები,
იმ სამყურამ
ერთი სად შემალა ყური...
მაყვედრიან... კმარა, მეყო —
ყოფნა უფხო და ლაყური...
ვიცი — ციდან — მოლისფერი
რაა დამძახის მოლაღური.

აგონია

ცეცხლმა ამომიდაგა ამომშრალი ხახა,
რასაც მე დავყურებდი, მტერსაც ნუ ანახა.

მამის სისხლი ღებავდა ბამბას, — ღრუბლის ნახევს,
ბეწვზე დაკიდებული, მე სიცოცხლე ვნახე.

ვცნობდი მსხვერპლის, დაკლულის, ფართხალსა და
ფორხილს,
ღერო გადახერხილო — ხრიალებდა ხორხი.

ცხადად იყო თუ სიზმრად, აღარ მეჯერება,
ზავის, დაქანებულის, ვცადე შეჩერება.

ყრუ გამოდგა უფალი, არ ისმინა ლოცვა,
დახანჯლული უწყალოდ, გული მან ამოწვა.

იწვა. ხუთი დღეღამე არ ჩასვლია ხემსი.
ლურჯ, დაფლეთილ ვენაში ჩარჩენილი ნემსი...

ვერ შევეხე შუბლს მისას და ვერც გადავემხე,
ნეტა ყელში წაჭერილს, გავეგუდე ჩემ ხელს.

შემამზადეს. ასრულდა. გაწყდა სიმწრის ბეწვი,
დალურსმული, ზვარაკთან ერთად ჯვარზე ვეცვი.

გულზე ჯავრი მეხვია, ტანზეც ჯავრი მეცვა.
კიბე ცისა მომეცით, მეყო სულის ნეწვა...

ბარემ დავწვდე, დავცალო მე ფიალა შხამის,
დამრჩა მთელი ქვეყანა და სამარე მამის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაირა გელაშვილი

მოთხრობები

ერთი სიკვდილი

კვდებოდა, და იცოდა. კვდებოდა სწორედ ისე, როგორც მუდამ შიშობდა, რომ არ მომკვდარიყო: სრულიად მარტო, თავის ერთოთახიან ბინაში.

არაფერი მის ცხოვრებაში არ მომხდარა ისე, როგორც ელოდა. მუდამ შეცბუნებული და გაკვირვებული რჩებოდა ხოლმე. მაგალითად, როცა შვილი გაუჩნდა, ან როცა ბრმანაწლავი ამოაჭრეს, როცა ცოლს გაეყარა ან როცა დედა დაასაფლავა. შვილი რომ შეეძინა, დარწმუნებული იყო, აღარასოდეს დაეუფლებოდა მარტოობა, მაგრამ სწორედ მამობაში გაიგო, რა იყო ნამდვილი სიმარტოვე და მიგდებულობა. ბრმანაწლავი რომ ამოიჭრა, ეგონა, ამით არაფერი შეიცვლებოდა, მაგრამ რატომღაც მწვანილეული შესძულდა მერე, რაც ყველაფერზე მეტად უყვარდა. ცოლს რომ გაეყარა, ეგონა მოკვდებოდა, მაგრამ გასძლო. მოხუცი დედა რომ დაასაფლავა, ეგონა, მოისვენებდა, რადგან დედის გაუთავებელი ავადმყოფობით გაწყალებული კარგა ხნის შეგუებული იყო მის უკვე სასურველ სიკვდილს, მაგრამ ვერ მოისურვა და რამდენიმე თვის შემდეგ უცნაური მიუსაფრობისა და სისაწყლის განცდა დაეუფლა: თავადაც უკვე ხანშიშესულს.

იყო ამ მოულოდნელობებში, კარგშიც და ცუდშიც, რაღაცა მტრული, ის, რაც მუდამ ცდილობდა დაენახვებინა მისთვის, რომ არაფერი გაეგებოდა არც საკუთარი თავისა და არც ამ ცხოვრების და არც ცდილობდა, გაეგო.

საკუთარმა სიკვდილმა კი გაუმართლა. სწორედ ასეთი წარმოედგინა, თითქოს ხშირად მომკვდარიყოს. ერთხელ, ახალგაზრდობაში უზომოდ მთვრალი ესვენა საწოლზე. უნდოდა საყელო შეეხსნა და ვერ იხსნიდა, უნდოდა მიმხვდარიყო სად იყო, დღე იდგა თუ ღამე, და ვერ ხვდებოდა. უნდოდა გაეხსენებინა საიდან მოვიდა, როგორ ამოყო თავი ამ მდგომარეობაში და ვერ იხსენებდა, უნდოდა ხელი გადაესვა მტკივან შუბლზე და ხელს მაღლა ვერ სწევდა, უნდოდა ცხადად დაენახა ირგვლივ საგნები და ლანდად ხედავდა, უნდოდა დაეძინა და ვერ იძინებდა, უნდოდა არ ეფიქრა, და თავი ფიქრის მფრინავი ნამსხვრევებით ჰქონდა გატენილი. უნდოდა დაეძახა და ენა და ტუჩები ვეღარ ახერხებდნენ ბგერების შენივთებას სიტყვებად და რაღაც ლუღლუღს გამოსცემდნენ. აი, მაშინ გაიფიქრა, რომ ასეთი იქნებოდა სიკვდილი, და ასეთი აღმოჩნდა.

სამზარეულოდან მძაფრი სუნი შემოდიოდა. მომაკვდავში უეცნოდ, მაგრამ ჯიუტად ცდილობდა რაღაცა, გაერკვია, რისი სუნი იყო: ამქავებული რძისა თუ ძმრის. აღარ ახსოვდა რა იდგა, რა დატოვა იქ ხუთი დღის წინ, ვიდრე ჩალოგინდებოდა. ხმაც შემოდიოდა: წყალი წვეთავდა, ერთნაირი, თანაბარი ინტერვალებით: ჯერ კიდევ გუშინ დანამდვილებით იცოდა, რომ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ეს წყალი იყო. და ეს ხმა აწვალებდა. დღეს კი წამდაუწუმ ავიწყდებოდა, რა გამოსცემდა ამ ხმას და ზოგჯერ საათის წიკწიკი ეგონა... მერე საათი ისევ წყლად იქცეოდა ხოლმე.

ოდნავღა აღიქვამდა საგნებს. ახლა ისინი ოთახის რეს ჰაერში ეკიდნენ და ირწეოდნენ. სავარცელი, თერმომეტრი, ქლიავის ჩირის ორი გამშრალი კურკა, ბამბადახვეული ასანთის ღერები, ნახევარი ლიმონი, შაქრის ნატეხი, ჭაღის ყვითელი მინის ბურთი, წიგნები, მაგიდა, კედლის კალენდარი, რომელზედაც ალუბლის კუნწწული ეხატა, მაგრამ ვეღარ იხსენებდა მათ სახელებსა და დანიშნულებას. საგნებს თავიანთი სახელები მოსწყვეტოდათ და ჰაერში განზავებულიყვნენ: ხან ჩნდებოდნენ, ხან ქრებოდნენ, ოთახის სივრცეში თუ მის ტვინში, მაგრამ აღარაფერს აღარ ეკუთვნოდნენ.

ბალიშთან, შეყვითლებულ ზეწარზე, შავი ტელეფონი ედგა. თვითონ გვერდზე ჰქონდა თავი გადავარდნილი და ციფერბლატს მიშტერებოდა: გულში დიდი, შავი წრე, ირგვლივ შავი ციფრები თეთრ ფონზე. როცა ქუთუთოები ძირს ეშვებოდნენ, ბოლო წამში, ვიდრე გახუნებული, მოკლე და მეჩხერი წამწამებით შემოსილ ქვედა, უძრავ ნაპირს დაეკვრებოდნენ, ციფერბლატი ყვავილად გადაიქცეოდა ხოლმე. თავს ძალას ატანდა და ისევ ახელდა თვალს: შავი ციფრები უფერო პლასტმასის წრეებში.

მარტო ციფრებიღა ახსოვდა. ოღონდ ხანდახან უღონოდ და მღვრიედ უკვირდა, რატომ იყო ათი და არა თორმეტი ამ ციფერბლატზე.

სულ პატარამ ისწავლა მათი დაწერა. ჯერ კიდევ მაშინ, ვიდრე სკოლაში შეეიდოდა... ციფრებს ლამაზად წერდა, ასოებს უშნოდ, მერე, მთელი ცხოვრება სულ მათთან ჰქონდა საქმე, სულ მათთან: უმატებდა, აკლებდა, ჰყოფდა და ამრავლებდა... ჯვარი, მოკლე ხაზი, ორი წერტილი, ჯვარი ირიბად. და მათთან ყველაფერი გასაგები იყო. ტი და ცბადი. ხოლო სინამდვილის ის სფეროები, სადაც რიცხვები საჭირო არ არის, მისთვის თანდათან მცირდებოდა და აზრს ჰკარგავდა. რადგან: რა იყო სიტყვა? სიტყვები? სიტყვებით გრძნობებს ვერ გამოთქვამდა, სიტყვების არ სჯეროდათ. სიტყვებით იტყუებოდნენ, სიტყვებით ვერასოდეს შეიტანა გარკვეულობა ცხოვრებაში, ურთიერთობაში. სიტყვებით საგნები არ იქმნებოდა, რა აზრი ჰქონდა მათ წარმოთქმას? სიტყვები ბუნდოვანების, გაუგებრობისა და ჭაოსის სათავე იყო. ერთს იტყოდი და ათი დაგჩირდებოდა განსამარტავად... რა ხანია, ეგრძნო მათი ზედმეტობა. მათი წარმოთქმა მხოლოდ ზრდილობის წესებისთვის იყო აუცილებელი. და ესეც რომ არა, განა ყველაფერი რიცხობრივად არ არსებობდა? თუნდაც ყვავილი? ოთხი ფურცელი, ათი მტვრიანა, სიცოცხლის ამდენი და ამდენი წელი... სიცოცხლე რიცხვების ქსოვილი იყო, რიცხვების ოკეანე. მათ ზშირად უგრძეს რიგებად ხედავდა, ხვიარებივით ეხვეოდნენ საგნებს, სხეულებს, შენობებს, მის ხელებსა და თავს, ქალაღლზე კოლონებად მოირწეოდნენ ჯარისკაცებივით, მატულობდნენ, მრავლდებოდნენ... და ეს ახარებდა. და ახარებდა, როცა ამ კოლონებისაგან ბოლოს საგანი იქმნებოდა: მანქანა გამომთვლელი, რობოტები თუ კომპიუტერები. რკინის არსებები. გონივრები, რამხელა სიმშვიდე მოჰქონდათ, წესრიგი და გარკვეულობა სიტყვებისა და გრძნობების ბუნდოვან, აწეწილ-დაწეწილ, გაუგებარ, უთავბოლო სამყაროს პირისპირ. ნეტავ ადამიანებიც ამათ ჰგავდნენო, ფიქრობდა ხოლმე, და მისი შექმნილი მოაზროვნე მანქანები იდგნენ ქალაქის სხვადასხვა კუნჭულში და აწესრიგებდნენ ცხოვრებას.

ახლა კი ეს კოლონები გაფანტულიყვნენ ნაწილაკებივით თუ მოლეკულებივით ირეოდნენ მის ამღვრეულ ტვინში, როგორც დაჭრილი ჯა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისკაცები სულთმობრძავი მხედართ-მთავრის ბუნდოვან მზერაში. ო

ოდნენ ციფრები და ციფრების ნაგლეჯები: ნა-ბეკარი სამიანი, უთავო ერთიანი, უფერო ოთხიანი, უჯიჭო შვიდიანი, უკავო ცხრიანი... და მათი თავები, ჯიხები, ფეხები, კავები, რკალები ცალკე ტრი-ალებდნენ, ეჯახებოდნენ ერთმანეთს და უცხაურად ერთდებოდნენ ჯიხიან ცხრიანებად, კავიან შვიდიანებად, ორ-თავიან ექვსიანებად...

მთელი კვირა ტელეფონი არ მუშა-ობდა. თუმცა არც იცოდა ვისთვის შე-ეძლო დაერეკა, მომხდეო... ბოლო წუთამდე ეუბერხულებოდა ცოლ-შვილიან შვილთან, კვრივ ამხანაგთან, თუ ტრომბიან დასთან დარეკვა... როცა ძალა სულ გამოეცალა, უბერხულობა გაუქრა... მაგრამ ახლა აღარც ვისმე ნომერი ახსოვდა და აღარც ნომრის აკრეფვის თავი ჰქონდა. ყველაზე ბო-ლოს რიცხვები ჩამოსწყდნენ, უმტკუ-ნეს და გაეფარცხნენ. და ეს გუშინ მოხ-და, როცა მუხლისთავებს ასცდა სიცი-ვე... და მაშინ წარმოუდგენელი ძალა დაატანა თავს და ციფრბლატს მიაშ-ტერდა, რათა ციფრები ისევ ეხილა პირველადი და მყარი სახით, რათა ისინ არ დაეკარგა. და რომ უყურებდა, მშვიდდებოდა. მაგრამ მერე რატომღაც შეაწუხა და თანდათან ნამდვილ წვა-ლებად ექცა: ამხელა მანძილი 0-ისა და 1-ს შორის, რაღაცას უაზროდ აწვა-ლებდა მისი მოდუნებული არსების სი-მღერავევში: რომ 0 ასე შორს იყო 1-სგან. რატომ არ იყო მასთან მარჯვენ-დან მიხუტებული, რატომ რჩებოდა ეს ცარიელი რკალი წრის მარჯვენა მხარეს და თან ნიკელისა თუ რკინის პატარა, ბრტყელი ტიხრით გადატიხრე-ლი? და რაღაც არსებას მის არსებაში თითქმის გაღიზიანებულად მოუნდა ნოლი ერთთან მიეყვანა, მიეტყუპებინა, ისევე როგორც დანარჩენი ციფრები ისხდნენ წრეში გვერდიგვერდ, ახლოს ერთმანეთთან, თითქოს თბილოდა მათ სიახლოვეში. ბოლოს ველარ გაუძლო ამ წუხილს, და თან სიცივე ზემოთ იწე-ვდა... ძლივს აიცურა დამძიმებული ყვითელი ხელი ბამბის სამანზე, ცახცა-ხით მოსწყვიტა სამანს და ფრჩხილწა-ზრდილი საჩვენებელი თითი კანკალით ჩარგო პლასტმასის წრეში, ნოლს დაა-ჭირა, მარჯვნივ გასწია და ძვრა ვერ უყო. მერე მარცხნივ დასძრა ათნახვ-რეტიანი უფერო დისკო. ციფრები ად-გილზე დარჩნენ. ყვითელმა თითმა ერ-თიანსაც გადაუარა, რკინის ტიხარს და-ეჯახა და შეჩერდა. ხელი მოწყვეტით დაესვენა ნოლსა და ერთს შორის. დი-სკო ხრიალით დატრიალდა. გაჩერდა. ამ მიჯახებამ გამოაფხიზლა. ქუთუთო-ებს ძალა დაატანა, ბოლომდე ასწია და თვალი მოავლო უახლოეს საგნებს. საგნები თავის ადგილას დალაგდნენ, მზერა წყლიან ჭიქაზე შეაჩერა. უყუ-რებდა და ვეღარ სცნობდა, პირდაპირ კედელთან დაბალ მაგიდაზე უცნაური საგანი მოსჩანდა: ელვარე სფერო. გა-მჭვირვალე, მოთეთრო-მოვარდისფერო ლრუბელში გახვეული, ვეღარ ცდილობ-და გამოცენო, რა უნდა ყოფილიყო... ბუნდოვნად აგონებდა კოსმოსიდან და-ნახული დედამიწას თუ დედამიწიდან დანახული მთვარის დისკოს... მომნუსხ-ველად ლამაზი იყო მოვარდისფრო, ფუფუბული ნისლი, რომელშიც სინათ-ლე გადიოდა და რაღაცა მრგვალი ეს-ვენა. და სადღაც სიღრმეში კიდევ ერ-თი სურვილი გაუცოცხლდა: მოუნდა ადამიანის ხმა გაეგონა და თვითონაც ეთქვა რამე. ძალა მოიკრიბა და ყურ-მილს დასწვდა, აიღო და ყურზე დაისა-ვნა: ხმა. ზუმერი. უსიცოცხლო, მაგ-რამ მაინც ერთადერთი ხმა სრულიად უხმო, უბგერო ოთახში... ამ ხმამ სწო-რი ხაზი გაახსენა — თუ თერმომეტ-რის სინდიყი, სივრცეში გაფლებული. ეს ერთადერთი ბილიკი იყო, რომლი-თაც შეეძლო ქვეყნიერებას შეერთე-ბოდა. ოდნავ გამოფხიზლებულ გონე-ბაში მძიმედ, მაგრამ მაინც განლაგდ-ნენ სიტყვები, და მან ჩურჩულით გაი-მეორა, ვიღრე ხმამაღლა ეტყოდა იმას, ვინც ქვეყნიერებიდან უპასუხებდა: „გამარჯობათ. მე ვკვდები. მშვიდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით.“ მერე ისევ ჩარგო თითი ნოლის წრეში და ერთისაკენ დაატრიალა. 01. სიტყვამ, რომელიც იქიდან შემოესმა, წითელი ცეცხლი დაანთო მის ტვინში და ყველაფერი ააგზგზგზა. ლამის დაფერფლა ძლიერმეობით თავიდან შეკოწწეტებული ქვეყნიერება, და მან თითი დააჭირა ღილაკს. წყვეტილმა ხაზმა, გახმოვანებულმა გამოკლებებმა დაშალა წვეღან გონებაში გაჩენილი სიტყვების მწკრივი, ნისლიან ქაოსში სხვა სიტყვები ამოტივტივდნენ, მაგრამ გამოკლებებით ურთიერთს მოწყვეტილნი: „სისხლს გამოვაკლოთ მზე“, „ეზეს გამოვაკლოთ გული“. „სიტყვას გამოვაკლოთ ხმა“. „თვალს გამოვაკლოთ წყალი.“ „წყალს გამოვაკლოთ დენა...“

თვალები დახუჭა. დაბნელდა. სიცივე უკვე საზარდულებს ასცდა და ჯიპის ირგვლივ განეფინა. ყველაფერი მთავრდებოდა. და ისევ გამოაფხიზლა სურვილმა: რაიმე ეთქვა ვინმესთვის, ადამიანის ხმა გაეგონა. კიდევ შესძლებდა მისი მარცხენა ხელი გრძელი გზის გაღლას ნოლიდან ერთამდე? მაგრამ ამ გზაზე ხომ ხანძარი აენთო. ერთიანს უნდა შეშვებოდა. და მისმა თითმა ნოლიდან სადღაც გადაინაცვლა, რომელიღაც ციფრზე, აღარც დაუნახავს. მხოლოდ ის ინატრა, უკანასკნელად. „გისმენთ“ გაეგონა და არა „ალო.“

ოც-და-ორი. სა-ათი. და ათი. წუ-თი.

რკინის ხმამ დამაროცვა და ლითონის მარცვლები ყურში ჩაეკედნენ და ჩაეყინნენ.

ყურმილი ლოყაზე დაეცურდა და ყელს დადაეკდო. წყვეტილი ხმოვანი ხაზი საძიე ორტერიის მიწრეტილ ფეთქვას გაესვა.

საგნებმა სულ აიწყვიტეს თავი, ჰაერში დაფრინავდნენ: თერმომეტრი, საგარცლის ტარი, კბილები, ქლიავის ჩირის გამშრალი კურკა, ბურის ნატეხი... ციფერბლატი შაგდულიან ყვავივლად იქცა და დატრიალდა. ატივტივდა და მერე წრის ტრიალი შენელდა და ნოლიდან ერთს შორის უფერო რკალზე დეადმისი ამოიზარდა, აღიმართა თეთრთმაგაშლილი. ხელში საბელივით ღაც ეჭირა და გადმოუგდო, მისი ამოჭრილი ბრძანებლიკი აღმოჩნდა... და მან ხელი ჩასკიდა თბილ ნაწილავს, გაყინულ ჯიპზე მიეკა და დედამ ნელა გაიყოოა თეთრი ერთიანისკენ... ეს კი მოულოდნელი იყო და მაინც გაკვირვება აღმოჩნდა ბოლო განცდა, რომლითაც უკვე შეჩვეულმა ცხოვრებამ გაისტუმრა. წინ ელვარე ნისლში გაბვეული დედამიწა თუ მთვარის დისკო ატივტივდა.

ქუჩაში ქარი ქროდა. აივანზე, უყვავილო ჭოთნის მიწაში რაღაც თესლი იშმუშნებოდა... სამზარეულოში წყალი წვეთავდა და აჭერილ რძეში ბუზი ჩავარდნილიყო.

საწოლთან, კედელზე, ძველ, გაყვითლებულ ფოტოზე ახალგაზრდა ქალს პატარა ბიჭი ეჯდა კალთაში და მათი მზეთა საწოლში მწოლს ჩაჰკვროდა.

პირდაპირ, კედელთან, დაბალ მაგიდაზე ანთებული დარჩენილიყო ღამის ნათურა და მისი შუქი თეთრ-ვარდისფერ ობში გაბვეულ. დამპალ ვაშლს აელვარებდა...

4.

ხმოვანი გაზაფხული

ის იყო ყველაზე გამოუცნობი ადამიანი, ვინც კი ცხოვრებაში მინახავს, შეიძლება ითქვას, საიდუმლოებით მოცული — ეს სიტყვები შემომესმა კუპეში რომ შევედი. დამხვდურებმა (სამმა სხვადასხვა ასაკის მამაკაცმა) საუბარი შეწყვიტეს. ვიცოდი, არ ესიამოვნათ ჩემი შესვლა. რას ვიზამ. არც მე ძსიამოვნებს, გვერდით რომ მომიჯდება ვინმე ავტობუსში, ტაქსში დამეგზავრება ან კუპეში შემოვა, მით უმეტეს თუ იქ მე და ჩემი მეგობრები მყუდროდ ვსხედვართ ან ვწევართ და გულითადად ვსაუბრობთ. (ისე, მეგობრები არა მყავს). ისინი უკვე იწვნენ. მეც გავიშალე ლოგინი ერთადერთ თავისუფალ საწოლზე. ქვემოთ, ის კაციც ქვემოთ იწვა. ვინც ის სიტყვები წარმოთქვა. „ნეტავ თბილისშიც წვიმს?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

სევდიანად იკითხა ერთმა, ზემოთ. „ალბათ“ — გაეპასუხა მეორე. კიდევ რაღაც უმნიშვნელო გადაულაპარაკ-გადმოულაპარაკეს ერთმანეთს და დაიძინეს. ჩემს მეზობელს, ასე, ორმოცდაათი წლის კაცს არ ეძინა. თავქვეშ ამოედო ხელი და ერთ წერტილს მიშტერებოდა. მე კი იმაზე დავწყვე ფიქრი, თუ ვინ იყო ყველაზე გამოუცნობი, იდუმალი ადამიანი, ვინც კი ცხოვრებაში მენახა. ვიფიქრე, ვიფიქრე და ის ქალი გამახსენდა...

ერთადერთხელ ვნახე. არ გამიცვნია. ასე რომ უცნობ ადამიანზე ვლაპარაკობ. სადგურზე მოხდა ეს ამბავი, ასე თხუთმეტი წლის წინათ, თბილისში. ორმოცს იქნებოდა გადაცილებული, მაღალი ქალი იყო. შავი კაბა ეცვა, მხრებზე მუქი მარფი ჰქონდა მოსხმული. არ ვიცი, მგლოვიარედ იყო თუ უბრალოდ, რომ უხდებოდა, იმიტომ. გულისპირზე დიდი, მოყვითალო კამეა ეკეთა და ხელში ისეთი ყვავილები ეჭირა, რომელთა სახელი მაშინ არ ვიცოდი. მერე, დიდი ხნის შემდეგ გავიგე შემოხვევით, რომ ღიღილო იყო. გვერდით ორი დიდი ჩემოდანი ედგა. ალბათ კარგა ხნით ან სამუდამოდ მიდიოდა სადღაც, რა ვიცი. მთავარი ის იყო, რომ ოცი-ოცდახუთი წლის ბიჭი ახლდა. თავიდან ვიფიქრე, ალბათ შვილია-მეთქი. მაგრამ იმ ბიჭის სახეს რომ მოვკარი თვალი, მივხვდი, რაღაც სხვა ამბავი ხდებოდა. ბიჭი სასოწარკვეთილი უხსნიდა თუ ეევდრებოდა რაღაცას. არავის არაფრად აგდებდა, ან ვერც კი გრძნობდა, ვინმე თუ იყო მათ ირგვლივ. მათთან ყველაზე ახლოს მე ვიდექი. ბიჭის სიტყვები ჩემამდე ვერ აღწევდა, მაგრამ გამომეტყველებაზე და ხელების ცახცახზე ეტყობოდა, ზღვარს იყო მისული. ქალი კი წინ, სიფრცეში იყურებოდა სევდიანად, და სუსტი, მწარე ღიმილი ჰაკეკოდა სადღაც ტუჩის კუთხეში. მაგრამ ეს მაშინ შევნიშნე, როცა ახლოს მივედი. საშინლად დამაინტერესა ამ წყვილმა. რას არ მიკეთებდი, ოღონდ გამეგო. ის ბიჭი ამ ქალის ვინ იყო და რას ეტყოდა. დარებოდა. წინ ჩავუარე, ისე თითქოს ვიღაცას ვეძებდი ხალხში. ბიჭი გაჩუმდა. ასეთი მოქუფრული, პირქუში სახე კარგა ხანი იყო არსად მენახა. მერე ისევ მიუბრუნდა ქალს. და მაშინათვე გაუმწეოოვდა: „თქვენ ხომ მითხარით მაშინ, ხომ მითხარით, აღარ გახსოვთ?“ ქალმა უსიტყვოდ გაუქნია თავი. რამდენიმე წუთის შემდეგ ქალის ხმა შემომესმა: „გინდა, ერთი ჩემი გაზაფხული გაჩუქო?“ მივიხედე და დავინახე შუაზე გაკეცილ ფურცლებს უწვდიდა. ბიჭმა უაზროდ დახედა ფურცლებს, გამოართვა და მექანიკურად ჩაიდო ქურთუკის გარეთა, ქვედა ჯიბეში. მერე ქალის ხელი ხელში მოიქცია, ასე გაჩერა ერთხანს, შემდეგ ტუჩებთან მიიტანა, და თვალები დახუჭა... დავასკვენი, რომ ბიჭს ის ქალი უყვარდა, უყვარდა კი არა, გიჟდებოდა. არც ქალი უნდა ყოფილიყო გულგრილი, მაგრამ რაღაცაზე უარს ეუბნებოდა. ერთად მიდიოდნენ, თუ ერთ-ერთი მიდიოდა და მეორე აცილებდა, ჯერ არ ვიცოდი. მხოლოდ იმას ვხედავდი ცხადად, რომ ბიჭის საქმე ცუდად იყო.

ამ დროს, მოულოდნელად ძველი ამხანაგი გადამეხვია და მოსაცდელ დარბაზში წამათრია, ჩემი ცოლია იქ და შენი ნახვა გაეხარდებაო. ასეთი ბედი მაქვს, თუ სადმე ნაცნობი და ახლობელი შემხვდა, აუცილებლად უდროო დროს და ჩემი ნერვების მოსაშლელად. რაღას ვიზამდი, გულსგარეთ გავესაუბრე ამხანაგსა და იმის ცოლ-შვილს გარეთ რომ გამოვედი, სადგური მოცარიელებული დამხვდა. ქალი და ბიჭი აღარსად ჩანდნენ.

ამასობაში ჩემი მატარებელიც ჩამოდგა მეორე ხაზზე, და ლიანდაგზე რომ უნდა გადავსულიყავი, ძირს შუაზე გაკეცილი, კუთხეში ქინძისთავგაყრილი ფურცლები დავინახე. სასწრაფოდ აავიღე და კუპეში შევედი თუ არა, გავშალე. რამდენიმე ადგილას მოვკარი თვალი: „გაზაფხული“ „გაზაფხულის...“

კუპედან გავედი, ფანჯრიანა ავეკარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბაქანს გავხედე. მატარებელი რომ დაიძრა, დავინახე: სადგურზე ქალაქის მხრიდან ის ბიჭი ამოვარდა და შეშლილივით დაიწყო ძირს რაღაცის ძებნა. ვაგონის კარისკენ გავიქეცი, მაგრამ ვეღარაფერი მოვახერხე...

მე, გითხრათ სიმართლე, გაზაფხული არასოდეს მეგრძნო, და მის სიყვარულზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. საერთოდ, წელიწადის დროები ჩემთვის მხოლოდ აცივება-დათბობასა და ამასთან დაკავშირებულ პრობლემებს ნიშნავდა. თუკი სიცივე ან სიცხე არ შემაწუხებდა, წელიწადის ერთი დრო რომ მდგარიყო მუდმივად, ვერც კი შევნიშნავდი. არ ვიცი, იმიტომ, რომ ქალაქში, ქალაქის ცენტრში დავიბადე და გავიზარდე, მუდამ ზამორობით რომ მძღვევდნენ შვებულებას, თუ უბრალოდ, ღარიბი სულის კაცი ვარ...

ახლა სამოცს გადავიბიჯე, ცოლი ხუთი წლის წინ მომიკვდა. სამოთახიანი ბინა, სადაც ჩემი ადგილი აღარ იყო, ორ შვილს, ორ რძალსა და ოთხ შვილიშვილს დავუტოვე და სოფელში ძველ, პატარა სახლში გადავსახლდი. ახლა სწორედ სოფლიდან ვბრუნდები თბილისში, რათა დარჩენილი ნივთებიც წავიღო და სამუდამოდ დავტოვო დედაქალაქი. არ ვიცი, როგორ ვიცხოვრებ იქ, მიწა ჩემთვის უცხოა, მასზე არასდროს მიფიქრია, მისი არაფერი გამეგება, ხეების მოვლა არ ვიცი, არასოდეს თესლი ხნულში არ ჩამიგდია და არც მოსავალი მომიწევია. იქ წელიწადს ვეღარსად გავექცევი. მისი დროების პირისპირ დარჩენილი, იძულებული ვიქნები თვალებში შეეხედო გაზაფხულებსა და შემოდგომებს და მეშინია. რადგან, მაშინ, 15 წლის წინ, ის ნაწერი რომ წავიკითხე, გავიგე; თურმე რამდენი რამ ყოფილა გაზაფხული და ჭრილობასავით დამჩრა გულში, რადგან ყველაფერი უკვე გამოტოვებული მქონდა. მივხედი, რა ცარიელი ვიყავი შინაგანად და საცოდაობად ვიგრძენი თავი სხვისი სიმძაფრისა და სისავსის წინაშე. ოღონდ, ვერ მივხვდი, რაში ვიყავი დამნაშავე. ისევე მოხდა: ვმუშაობდი, ოჯახს ვარჩენდი, ვიღლებოდი და ვისვენებდი, როგორც მომიხერხდებოდა, თავი არასდროს გამილაღებია...

სწორედ ამ ფურცლებში დაგვირგვინდა იმ ქალის გამოუცნობლობა, უფრო სწორად, ნაწერმა გააგრძელა მისი იდუმალება. თუმცა, რომ არა მისი ნაწერი, დამამახსოვრდებოდა თვითონ საერთოდ? შეიძლება, არც კი, რა ვიცი. ამ ჩანახატიდან ქალის ცხოვრების ზოგი დეტალის დადგენა შეიძლებოდა, თუმცა პირადული იქ თითქოს არაფერი იკითხებოდა. (მაგალითად, ჩანდა, რომ ეს ფანჯრიდან დანახული ქალაქის გაზაფხული იყო...) მაგრამ მთამ კი ვერ მივხვდი, ბიჭს რად აჩუქა. რადგან: ხომ გაირკვა, რომ ქალი წავიდა, სადღაც, ალბათ, სამუდამოდ და ის სასოწარკვეთილებით ჭკუიდან შეშლილი ბიჭი მარტო დასტოვა. დიდხანს ვფიქრობდი ხოლმე, რას მისცემდა ეს ნაწერი ბიჭს, რითი დაეხმარებოდა და ვერ მივხვდი. მოკლედ, ასე დამრჩა სხვისი დაცდილი, სხვისთვის ნაჩუქარი და სხვის მიერ დაკარგული გაზაფხული, ჩემთვის ასეთი უცხო, უცხო, მტანჯველად გაუგებარი და შეუძლებელი...

ჩემს მეზობელს გადავხედე, უკვე ეძინა. მე რომ მათ საუბარში მიმეღო მონაწილეობა, და ვიგრძენი, რომ ამის სურვილი (ცხადია, ცალმხრივი) უკვე გამჩენოდა, — იმ ეპიზოდს გავიხსენებდი და ვიტყოდით: „ის იყო ყველაზე გამოუცნობი, შეიძლება თქვას, საიდუმლოებით მოცული ადამიანი, ვინც კი ცხოვრებაში მინახავს.“ რატომ, არ ვიცი. აი, ეს ნაწერიც:

და ნახევრებიც წავა

სულ უფრო ხშირ-ხშირად გაისმის ზამთრით ჩანესტერი ანჯამების ჭრიალი: სულ უფრო ხშირად და ხანგრძლივად იხსნება ფანჯრები დილის ნალათმოსხმული, თმადაშლილი ქალები ფანჯრის რაფებს ეყრდნობიან და ჯერ კიდევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძილით დამძიმებულ სახეს უშვერენ გაზაფხულის პირველი თბილი დღეების ნიავს, რომელიც მათ ცხელ ქუთუთოებს გრილად ეხება, შიშველ ყელზეც მიმოუბერით და მიაქვს მათი ტანების თბილი სურნელი, რათა ათას სხვა სურნელს შეუზავოს და ნელა დაატრიალოს გაზაფხულის ჰაერის ჯადოქრობა და ბანგი. „ამოდი, გაიშალე". — ჩურჩულებს ახალშობილის კანივით ნორჩი ჰაერი და ბუნდოვანი სურვილების დაძრული ლაშქარი აცახცახებს გულს — გაშლილი ზღვის ტალღებში მოხვედრილ, უიალქნო ნავს და ისიც მტკივნეულად ეხლება მკერდის კედელს: „გაიქეცი! იქროლე! ჩაიწვი!"

მერე: თოკები ფანჯრების და აივნების წინ მუქად ივსება: ჩვენი საზამთრო აბჯრები: პალტოები, ქურქები, შალის ჯემპრეები, ნაქსოვი კაშნეები, ერთგულად რომ იცავდნენ მათი წილხვედრი სხეულების სიმხურვალეს, გარედან ყინვა რომ წიწკნიდათ და შიგნიდან მხრებში მოხრილი ტანების ნაღვლიანი სითბო ედებოდათ — მზეურდებიან. ისინი ირწვევიან როგორც გაზაფხულის მიერ დაპყრობილი სასახლის დახრილი დროშები, მზიან ნიავს მიაქვს მათი პატრონების ტანთა სურნელი, ძარცვავს სამოსს ზამთრის უხილავი ისტორიისაგან, რათა შემდეგ ისინი — პალტოები, ქურქები, ჯემპრეები — თავიანთ მარტოსულ გზას დაადგნენ: სკივრების, ტახტებისა და კარადების სიბნელეში, ნაფტალინის თოვლში ჩაიძირონ, გაზაფხულ-ზაფხულის ხანგრძლივ ძილს მისცეს თავი.

ვისია ის ლურჯი ეაკეტი, მკლავებს რომ იწვდის მაღლა სივრცეში? ეგებ თავისი პატრონის ფარულ სურვილს ასახიერებს? ვის ეცვა? ვის უყვარდა? ვის ხსოვნაში ჩარჩა სამუდამოდ და დაუკავშირდა რომელიმე მწუხარე ან ბედნიერ დღეს? ზოგიერთი კორიდორში საკიდზე დაუდევრად დავიწყებული ქურთუკი კი ან პალტო კი დიამტვერება, იქვე შეეგებება მეორე ზამთარს, არაერთხელ გადაიტანს ჩრჩილების შემოსევას, რომლებიც სახელოს დაუსვრტენ ანდა გულისპირს.

აი, ზოლიანი ლეიბებიც ჩნდებიან აივნებზე, შალითადადარბილი ფერადი საბნებიც, დალანდაგებულ ატლასისა თუ ფარჩის პირებში, ზოგიც უბრალო ჩითგადაკრული, და ბალიშები. გაზაფხულის ნიავს ატანენ ზამთრის გრძელ ღამეებში დიდ-პატარა სხეულებისაგან, საფეთქლებისა თუ თმისაგან შერჩენილ სურნელს: ქალების, ბავშვებისა და კაცების მალული ცრემლისა და ოფლის ნაკვალევს, უხილავ ენაზე გამოფენენ თავიანთ ღამეულ თავგადასავლებს, რაც მხოლოდ მათ იციან, მხოლოდ მათ. და მზეურდებიან ეს აშლილი, რბილი ბუნაგები, ჩვენი საბოლოო თავშესაფრები, დაფოთლილები ზამთრის ღამეთა ნაღვლიანი სიზმრებით. მატყლის, ბამბის თუ ბუმბულის ფილტვებით ისინი შეიწოვენ მზეს, გაიეღინთებიან, ამსუბუქდებიან, რათა ღამის სიბნელეში ჩაშვებულ სხეულებს დაახვედრონ და გადასცენ მზის ძალა: ძვალ-მაგრობისა და სიმხნევისათვის.

ტანში იშლებიან, იზმორებიან ზამთრის სუსხში ნაწოწიალები, ფერდებ-ჩაკვივნული, ბალანგაქეცული ქუჩის ძაღლები, უპატრონო კატები; მზეზე ტანს იბერტყავენ, სითბოთი აშლილებს სხვანაირად უელავთ ყვითელ-მწვანე თვალები: მალე ახალი ბალანი აუბზინდებათ.

ფანჯრის რაფებსა და აივნებზე ნაზამთრალი ყვავილები გამოუდგამთ: ბავშვებივით გაცრეცილი ბეგონიები, ბალებები, პატარძალები. მათ აყრილებთ მზის პირველი სხივებისაგან, გამჭვირვალეულ ფოთლებზე წვრილი, სუსტი ძარღვები მოუჩანთ და გაზაფხულის ნიავს ატანენ ზამთრის ოთახებში დაფენილ მტვერს.

აი, ბალეებიც. აივნებზე გამოუდგამთ ზამთარგამოვლილი პატარა ჩიტები, ჭრელა-ჭრუტა თუთიყუშები, შიგადაშიგ ნერვიულად რომ ამოიკყივლებენ ხოლმე ადამიანთა ცხოვრები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან ამოკენკილ სიტყვებს, იბუტრგნებიან და ნიავს მიაქვს მათი უწონო, ფერადი ღიღლი.

და დაბრუნებულ მერცხლებსაც ხომ ჩამოჰყვებათ თბილი ქვეყნების უცხო სურნელი! მათი ნერწყვის უწვრილეს წვეთებს იატაკებს გაზაფხულის ქარი, როცა ისინი ბუდეების აშენებას შეუდგებიან.

და ჩაიბარა გაზაფხულის ნიავმა ზამთრის უხილავი ბიოგრაფია, მიმოფანტა, მიმოაბნია მისი ზაფრა და დაღონება.

აპრილის ელვამ გადასჭრა ზამთრის ძაბუნი ვენები, ღამის მუქ ცაზე ლურჯ--ძოწისფრად გაიყვავილა, წამიერად უჩინა ვეფის ქვეყნიერების იმ დფაარულ დაძაბულობას, სადაც ახალი ამინდები და უმძაფრესი ცვლილებანი იბადებიან. სველი ცეცხლის სურნელიც აჰყვა განახლების სიოს და ნიავს.

ამოიფრქვა მიწის ნოტიო, ლორთქო სურნელიც: პირველმა წვიმამ აადინა და გადაბრუნებულ ბელტებს ამოჰყვა. გიიხსნა ხეთა თალხი მერქანი და უნაზეს, მწვანე ქსოვილში გადაიზრდა: ყვირტებისა და ახლად გაშლილი ყვავილების სურნელი მოდის!

ნიავი ადვილად ურევს ერთმანეთში, სწრაფად აჯერებს სასაფლაოსა და ქვაბაღების მცენარეთა მტვერსა და სურნელს, და ფუტკრებიც ნიავივით განურჩევლად ეწაფებიან სასაფლაოს და ეზო-პარკების ყვავილთა სიტკბოს. შეაგროვებენ მკადართა ქვეყნის მძიმე, წებოვან მტვერს და შეურევენ ცოცხალთა სამკვიდროს მკვეთრ, მჭახე ნექტარს; შეადედებენ გამოოვიძების, მიწის პირველი შერხევის ძალით გამძაფრებულ თაფლს, მაისისას, ამ დროს მიწა ისე ჩვილია; არც გაყინული, არც გვალვისგან წვენამომშრალი, ღმილია იგი და ფუტკრები რომ ყვავილებს სწოვენ, დედამიწა ამ ჩუმ ერუანტელს მიწისკვეშმყოფთა ცივ ბინებამდეც ატარებს იქნებ? ეგებ ამ თაფლის ცვილისაგან იწვიან და სიკვდილ-სიცოცხლის უცნაური დაძმობის [illegible] მიმოაკმევენ?

შეიმოსნენ ხეები და ახლა სხეულები უნდა გაშიშვლდნენ. მკლავები, ყელ-კისრები, წვივ-მუხლები. თუ გაზაფხული თანაბრად და ღმობიერად მოდის, რათა ნელა მოგვამზადოს ზაფხულის ხვატისთვის, მაშინ თანდათან იხსნება პერანგ-კაბების საყელობი. პირველ, მეორე, მესამე ღილზე. გულისპირები ნელა ჩაიწევენ მკერდის ღარისკენ, სახელოები — მხრების თავისკენ და სხეულების სურნელებაც შეერევა ყველა სხვა სურნელს, როცა მათ კანზე ისრიალებს თბილი ჰაერი.

მაგრამ ერთბაშად და ყველაზე პირველად ვისი სხეული იჩენს თავს? სულ პატარა გოგონების მუხლისთავები! ისინი ეგებებიან ყველაზე ადრე გაზაფხულის ნიავს, რომელიც თეთრად გაწაწილული კვირტების მოკითხვას მოაქროლებს, მათ გულის ძგერას გაშლის წინაშე. რა შეედრება პატარა გოგონების შეუპოვარ, ბედისწერულ მოუთმენლობას! ერთი სული ჰქონდათ ფეხს როდის გაუყრიდნენ გეტრებში! გეტრები! აი, ცამდე აფრქვეული სიხარული! აბა, ვინ შესძლებს ასე გაეხარდეს გაზაფხული! ასე ერთბაშად ისკუპოს მის ფერად სარკმელში! გამარჯობათ პატარა გოგონების მოკრიალე კვირისტავებო, გაზაფხულის გზის გამკვლევნო! გფარავდეთ ბალახისა და ვარსკვლავის ძალა, და ყველა ძალა, რომელიც სიხარულს ქსოვს სიცოცხლის სხეულში. იქროლეთ უვნებლად დიდხანს, დიდხანს, ძალიან დიდხანს, ვიდრე ყვავილების სურნელებად გადაიქცევით, ვიდრე თქვენი სხეულების ნაოვლიანი სურნელი სასაფლაოს კვიპარისებიდან თუ ჟასმინის თეთრი ყვავილებიდან გამოჰყვება გაზაფხულის ნიავს და ქვებზე მიხატული თქვენი დიდი თვალები — სასაფლაოს ვარსკვლავები — გამოაცილებენ მას ქალაქისაკენ, ნასესხები სიცოცხლის შემდეგ, რათა ფარული სინაზე დალიონ ნაზამთრალმა სუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებმა და გამოუცნობი სევდა-ხარებით გალმობიერდნენ...

ახლა კი, როგორც უკვე ვთქვი, წელიწადის ხელში ვვარდები, ახლა, როცა ჩემი სიცოცხლე უკვე მთავრდება. ვინ მიშველის? როგორ შეეხმიანოს ჩემი სიძაბუნე ყვავილთა გაშლას?

ბავშვობაში მოტეხილმა ფეხმაც თავი შემახსენა (ერთმა ბიჭმა მცემა) და ალბათ ყავარჯენი დამჭირდება.

ცხოველები თუ კიდევ არსებობდნენ ამ ქვეყნად, აღარც გფარავდეთ ბალახისა და ვარსკვლავის ძალა, და ყველა ძალა, რომელიც სიხარულს ქსოვს სიცოცხლის სხეულში. იქროლეთ უვნებლად დიდხანს, დიდხანს, ძალიან დიდხანს, ვიდრე ყვავილების სურნელებად გადაიქცევი, ვიდრე თქვენი საყვარელი სხეულების ნაღვლიანი სურნელი სასაფლაოს კვიპარისებიდან თუ ჟასმინის თეთრი ყვავილებიდან გამოჰყვება გაზაფხულის ნიავს და ქვებზე მიხატული თქვენი დიდი თვალები — სასაფლაოს ვარსკვლავები — გამოაცილებენ მას ქალაქისაკენ, ნასესხები სიცოცხლის შემდეგ, რათა ფარული სინაზე დალიონ ნაზამთრალმა სულებმა და გამოუცნობი სევდა-ხარებით გალმობიერდნენ.

●

მოულოდნელმა დასასრულმა მაშინვე გამაკვირვა და ათასი ფიქრი ამიშალა იმ ქალის ირგვლივ. მერე კი, კარგა ხნის შემდეგ, ეხედავდი: ჩემ შვილიშვილს, ხუთი წლის გოგოს, როგორ სცემდა ხოლმე დედამისი, როცა ის თავგადაკლულად ითხოვდა საგაზაფხულოდ გადანახული გეტრების ჩაცმას მარტის პირველსავე მზიან დღეებში. უიმნაწეროდ ეგებ გამემართლებინა კიდეც ჩემი რძალი... ახლა კი სიძულვილი მიპყრობდა მისდამი, მაგრამ ბავშვის დაცვას ვერა ვბედავდი, რადგან მეშინოდა ჩემი შვილებისა და მათი ცოლების, რომელთა გვერდით ისედაც ზედმეტად ვგრძნობდი თავს... ცხონებულ!

რა მოხდებოდა, ჩაეცვა ბავშვს, რაც უხაროდა, გავატარ-გამოვატარებდი და მალევე მივიყვანდი შინ... აი, ჩემი ცხოვრება მხოლოდ ამ დეტალით დაემთხვა იმ ქალის ცხოვრებას... ისე კი, რაც ჩანს, იმასაც ვერ ვამჩნევდი, ნიავი თუ ჰაერი რას დაატარებს, ამაზე როგორ უნდა მეფიქრა? ნუთუ შეიძლება უხილავიც განიცადო? დიახ, მისმა გაზაფხულმა შიში და ტანჯვა მომიტანა: რადგან უნდა მეღიარებინა იგი. მე კი ადგილი აღარ მქონდა მისთვის, არც ჩემს გულში, არც ცხოვრებაში.

ახლა კი, როგორც უკვე ვთქვი, წელიწადის ხელში ვვარდები, ახლა, როცა ჩემი სიცოცხლე უკვე მთავრდება. ვინ მიშველის? როგორ შეეხმიანოს ჩემი სიძაბუნე ყვავილთა გაშლას?

ბავშვობაში მოტეხილმა ფეხმაც თავი შემახსენა (ერთმა ბიჭმა მცემა) და ალბათ ყავარჯენი დამჭირდება.

ცხოველები თუ კიდევ არსებობდნენ ამ ქვეყნად, აღარც მახსოვდა, მათზე საერთოდ არ ვფიქრობდი. ახლა შეიძლება ერთი ძაღლი შევიჩვიო, რომ ზამთრის ცივი ღამეები ერთად გადავატანოთ, და ბოლოს ყმუილით ამცნოს ჩემი სიკვდილი უცხო სოფლის ხალხს.

ისე კი, გითხრათ სიმართლე, ის ფურცლები მუდამ თან დამაქვს (როგორც ნაღმი უბეში, უცნაური ფორიაქით გულს რომ მიფეთქებს). ეგებ საღმე შემხვდეს ის ბიჭი, რომელიც ახლა, თუ ცოცხალია, უკვე კაცი იქნება, და დავუბრუნო... ვინ იცის, რა უნდა გაეგო ამ ნაწერიდან.

მატარებელი მიირწევა და მიდგანდგარებს, სადაცაა ძილი წამიღებს. დილას თბილისში ვიქნებით. თვალი რომ გავახილო და სადგურზე ის ბიჭი და ქალი დავინახო, ისევ ისე, როგორც დავბოვე თხუთმეტი წლის წინათ, და რომ აღმოჩნდეს, რომ ეს თხუთმეტი წელი სიზმარი იყო...

რას არ იფიქრებს ადამიანი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგონება

შუა ხანს რომ გადასცდა, გამოგონებას თავი დაანება. ახლა მისი გონება მთლიანად მოგონებებს მისცემოდა და აღმოაჩინა, რომ წერა მოგონებებში ხელს უშლიდა. ეს ისეთი საქმე აღმოჩნდა, რომელსაც მთლიანად უნდა მისცემოდა და არც სიტყვებით გაეყალბებინა.

იჯდა და თვალებდახუჭული კითხულობდა თავისი ცხოვრების წიგნს. ფურცლების უმეტესობა დავიწყებით იყო დათალხული. და როგორ არ ცდილობდა, ვერ ამჟღავნებდა... განსაკუთრებით ბავშვობას ჩაღრმავებოდა, თითქოს ჭოგრიტით უმზერდა, სურდა შორს, შორს, სადღაც უფსკრულში ჩარჩენილი სახეები, საგნები და მოძრაობები მიეახლოვებინა; ისინი ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ, უახლოვდებოდნენ და შორდებოდნენ: დედა, მამა, მკვდრები, ძაღლები, ხეები, ხელები, ბავშვები, ქალები... უფრო მაგრად ხუჭავდა თვალებს. სინათლე ხელს უშლიდა მათ დანახვაში.

განსაკუთრებით ერთი ჩვენება აწვალებდა: ხშირად ჩნდებოდა და ქრებოდა ვიღაცა კაცი, რომელიც მას, ძალიან პატარას, იატაკიდან ჰაერში იტაცებდა: „აფრინდა, აფრინდა“-ს ძახილით. ხედავდა: როგორ ელვისსისწრაფით უახლოვდებოდა ქვემოდან მის გაცინებულ სახეს, თეთრ, ფართო კბილებს, და ასცდებოდა ხოლმე ჭერისკენ, სიმაღლეში და მერე ისევ ელვისსისწრაფით ძირს ეშვებოდა და კაცის თეთრი კბილები და მოჭუტული თვალები ზემოთ რჩებოდნენ.

ვერაფრით გაეხსენებინა, ვინ იყო ეს კაცი, ან სად ხდებოდა ეს ამბავი... მერე, თანდათან, რაღაც ლელიანი ჩნდებოდა და შიშისა და სევდის მომგვრელი უცხო ტბა... და რატომღაც იმ კაცთან იყო კავშირში, მაგრამ რატომ, ვერ იხსენებდა... როგორ იძაბებოდა გონება მოსაგონებლად... რომ დახსნოდა ამ საგონებელს...

შინ მარტო იყო და არც აინტერესებდანახვა არ უნდოდა. საგნები ხელს უშლიდნენ... მაგრამ ერთხელ, როდესაც აქვარიუმზე თვალი გაუშტერდა და მისი მზერა წყალმცენარეებით მწვანედ ჩაბინდულ წყალში ჩაიყინა... მოულოდნელად ამოტივტივდა: ბავშვის პატარა, გამხდარი ხელი, კაცის ვეება მუჭში რომ ქრებოდა... და ბავშვის სიხარული. და ზემოთ ცისკენ რომ ატრიალებდა სახეს: სიმაღლეში კაცის სიცილი იდგა: მისი თეთრი, სიმინდის მარცვლებივით მსხვილი კბილები და ოდნავ მოჭუტული თვალები და თანდათან ახლოვდებოდა ლელიანი და მის მიღმა ტბის მოლურჯო წყალი. რაღაც სასიხარული ელოდა იქ... რა — აღარ ახსოვდა... უნდა ებანავათ? არა, არ ახსოვდა. ვინ იყო ის კაცი? იტანჯებოდა. ძილი გაუკრთა. რითი მიხმარებოდა მეხსიერებას? სადღაც მის რომელიღაც უფსკრულში დანთქმულიყო ის კაცი, ის ტბა, ის ოთახი... ადრე რომ გახსენებოდა, დედას ჰკითხავდა ან მამას, მაგრამ ახლა ისინი უკვე აღარ იყვნენ ამ ქვეყანაზე.

ძველი სოჯახო ალბომები მოიძია, დებსა და ძმებს, დეიდას და ყველა აქაიქ შემორჩენილ მოხუც ნათესავს ძველ ფოტოებს სთხოვდა; აძლევდნენ, აღარავის სჯირდებოდა ძველი ფოტოები.

ათვალიერებდა, ათვალიერებდა გაყვითლებულ, გაცრეცილ სახეებს, ხელებს, ტანსაცმელს... ეს ადამიანები, სანათესაოს განშტოებებს რომ შესხმოდნენ, მათ ოჯახშიც ტრიალებდნენ ხოლმე. მაგრამ არავინ წააგავდა იმ კაცს... აეკვეტდა ზოგიერთ ალბომში თეთრად აფცქვნილი ადგილი: ამოხეული ფოტოს ნაკვალევი, ზოგი სურათის ჩამოჭრილი მესამედი ან ნახევარი. აეკვეტდა, იტანჯებოდა.

მოხუცი დეიდისგან წამოღებულმა ერთმა მოყვითალო ფოტომ დაძაბა. ახალგაზრდა დედამისი იდგა, ფეხმძიმე, ხელში მაყვლის თუ რაღაცის კუნწულა ეჭირა და იღიმებოდა, გვერდით კი კაცი ედგა, ასე ოცდათხუთმეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის... მაღალი, სევდიანი, გვერდიდან შესაცქეროდა დედამისს. სოფელში, მათი სახლის წინ იდგნენ... ვინ იყო ეს კაცი? თითქოს იმას წაგაგავდა. დეიდამ კი მხოლოდ ის გიიხსენა, რომ დედამისს საფეხმძღვანო კაბა თვითონ შეუკერა... ეკითხებოდა, ეხვეწებოდა, გიეხსენებინა, ვინ იყო ის კაცი. მაგრამ დეიდა ნაოჭებად ქცეულ სახეს უარესად ინაოჭებდა და თავს აქნევდა უარის ნიშნად: არა, არ ვიცი.

უყურებდა და უყურებდა დედის მრგვლად ამობურცულ, ყვავილებიან კაბას, ყვავილებით დაფარულ მუცელს, სადაც თვითონ იჯდა... და იმ კაცს...

მერე სიზმარში ნახა: ტბისკენ მიდიოდნენ, ოღონდ ის კაცი პატარა ბავშვი იყო, თვითონ კი იმ კაცის ხელა... და მიჰყავდა გახარებული ბავშვი ტბისკენ და ჰპირდებოდა: „ეხლა ერთ თევზს დაგიჭერ ხელით, ქოლაში ჩავსვათ და შინ წავიყვანოთ, კარგი?“ და ბავშვი მაღლა-მაღლა ხტოდა სიხარულით.

გამოღვიძებულს ცრემლი დასდიოდა სახეზე. უყვარდა ის კაცი. თან რომ ბავშვად იხილა! უყვარდათ ერთმანეთი და სად იყო გამქრალი, რომ არსად ჩანდა, რატომ აღარსად იყო, აღარც მის ხსოვნაში, აღარც ცხოვრებაში...

არა, ისევ მეხსიერება უნდა დაეძაბა. იქ, სადმე უნდა მიეგნო დაკარგულისთვის, აღედგინა მისი უსამართლოდ გამქრალი სახე.

და დაეხინებით უბრუნდებოდა ბავშვობის ნივთებს, დედის კაბებს, ძველებურ შლაპებს, სოფელს, გზას, ხეებს, ორღობეს, ოთახს... იმეორებდა წარმოსახვა, იზეპირებდა. არსად იყო, იმ ერთი რაღაც არამკაფიო ოთახისა და ტბის გარდა... რა მოხდა მერე, იმ ტბასთან როცა მივიდნენ?

ახლომდებარე ერთი პატარა ეკლესიიდან დილით ზარების ხმა შემოესმა... ცოტა ხნის შემდეგ კარზე დააკაკუნეს. ნათესავი ბიჭი იდგა და უაზროდ იღიმებოდა, მერე გამქვირვალე პარკით თევზები გადასცა. დეიდას გამოეგზავნა. დღეს ხარებაა და თევზის ჭამა აუკრძალებელიაო... განიერ, ლურჯ თვალებიანი, დაიწყო სამი სველი პირსისხლიანი, დანის ფორმის თევზი... მორკალულები მიკრიდნენ ერთმანეთს. დაიშტერდა, თითი დაუსვა...

მერე სახეზე ხელები აიფარა და საკარძელში ჩაჯდა. ლელიანი და ტბა ამოტივტივდნენ... იჯდა და წყლიან ქილაში მოფართხალე თევზს დასცქეროდა... „ახლავე მოვალ“ — სთქვა კაცმა და ლელიანში მიიმალა. კიდევ უნდა მოეტანა თევზი? მაგრამ მის ნაცვლად მამა მოვიდა მცირე ხნის შემდეგ. „წავიდეთ“ — უთხრა და ხელი ჩასჭიდა. მაგრამ მანამდე, ვიდრე ხელს ჩასჭიდებდა, დაინახა: სისხლიანი დანა მამის ხელმა ბალახზე გაწმინდა, ერთი მხრიდან, მერე მეორედან, დახედა, ისევ გაუსვა ბალახს, და მერე მისი ხელი დანიანად სადღაც უბეში თუ ჯიბეში გაქრა.

აქეთ-იქით იხედებოდა. იმ კაცს ეძებდა. „სხვაგან წავიდა. აღარ მოვა“ — ეს სიტყვები მამის პირიდან გამოცურდნენ. თევზიანი ქილა წაიქცა. თევზი ბალახში აფართხალდა. უკან-უკან იხედებოდა და ტიროდა...

ისევ მოისმა ზარების რეკვა, ეკლესიიდან. ცუდად იყო. წამოწვა. შეეცადა, დაეძინა.

„გიხარიდენ, მიმადლებულო! უფალი შენთანაა. კურთხეულ ხარ დედათა შორის!“ ანგელოზის თეთრი, ვეება ფრთები ძლივს შეეტია ალბათ ოთახში... ახარა გოგონას, ნორჩსა და უმანკოს.

ზარები რეკდნენ...

ძველ ფოტოზე ყვავილებით დაფარული მუცელი ამობურცულიყო...

„აფრინდა, აფრინდა!“ — დაიძახა კაცმა და ის, პატარა ბავშვი, ელვისისწრაფით მიეანლოოდა მის გაცინებულ სახეს, და წამიერად თვალებში ჩახედა. „მამაა!“ რაღაც ხმამ დარეკა მის არსებაში, უეცარი ცოდნით აღძრულმა ხმამ: მამა ის იყო. და „აფრინდა, აფრინდა!“ — იძახდა და ზემოთკენ სტაცურცნდა ბავშვს... და მიდიოდა

ისიც ზემოთ. მიჰქროდა, ვეღარ ჩერდებოდა... საბლს ჭერი აღარ ჭქონდა... უახლოვდებოდა მამის სახლს.

ქუთუთოები მძიმედ დაჰკეროდნენ გუგებს. აღარ ირხეოდნენ.

ᲛᲔᲖᲝᲜᲐᲠᲔᲑᲘ

— ᲒᲐᲒᲐᲚᲕᲘᲫᲔ? მისმინე, თამაზი ენახე წუხელ, გესმის? წუხელ. შუაღამისას. პირდაპირ სიზარიდან გამომეკვიძა, ვეღარ დავიძინე, ძლივს გავათენე...

— რას ამბობ... რას ამბობ?! — სუსტი, მიმქრალი ხმა ათრთოლდა. ჩაწყდა — როგორ იყო, როგორ, ოღონდ, ტელეფონით ნუ მომიყვები, გეხვწეები, ჩამოდი რა... ყავას მოვადუღებ...

ახალგაზრდა ქალმა ყურმილი დადო, შეშფოთებულ სახეზე ხელები მიიფარა და მაგიდას დაეყრდნო. მერე გამოეცალა. აწეწილ თმაზე ხელი გადაისვა, ხალათი შემოიცვა, დერეფანში გავიდა, გასაღები გადაატრიალა, კარი ოდნავ გამოაღო და სამზარეულოს მიაშურა.

ყავისფერი ფხვნილი. ერთი კოვზი. მეორე. შუქი ბორცვი ჯეზვეს ბნელ ფსკერზე. თეთრი ფხვნილი ზემოდან. „აჰ! — ხელი შეუტტა, — თამაზი ბომ უშაქროს სვამს!“ — თვალები დახუჭა: „ოჰ, ღმერთო ჩემო... გაგგიჟდები... სულ მავიწყდება...“

ყავისფერი ბორცვი, თეთრით დაფარული, „ახალი საფლავი. მეორე დღეს მოთოვა.“ ნელა დასახა წყალი. წყალში ჩაიძირა ბორცვი. „მესამე დღეს წვიმდა. ნამდვილი მარტი იყო.“ მოურია. ყავამ ნელა მოიგდო ქაფი. გამორთო.

ორი ერთნაირი ფინჯანი. ოღონდ, ერთი თეთრი, მეორე ლურჯი. ლურჯი ქმრისა იყო. თავისი თავისთვის დაიდგა, ქმრისა მეგობარს დაუდგა. ყავა დასახა. დაჯდა. ფინჯნებს მიაშტერდა. რაღაც ფიქრმა გაუელვა და ფინჯნებს ადგილები შეუცვალა. ქმრის ფინჯანი თავისთვის დაიდგა. თავისი კი ცარიელი სკამისკენ გააცურა. სადაც მეგობარი დაჯდებოდა წუთის შემდეგ. ჩაფიქრდა. და ისევ შეუცვალა ადგილები ფინჯნებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დალი შემოვიდა. დაიხარა, ლოყაზე აკოცა და ყავას მიუჯდა. სიგარეტს მოუკიდა.

— მომიყევი. — მოუთმენლად შეხედა.

— ერთ რაღაც უცნაურ ბაღში ვიყავი... ცხელოდა, ცხელოდა და საშინლად წყურეოდა. ლამის გული წამასვლოდა, პირი ჭქონდა გამშრალი... წყალს ვეძებდი, მაგრამ ვერ ვპოულობდი. თან რაღაც ძმიმე, შავ ჩანთას მიგათრევდი, რა მინდოდა და შიგ რა მეწყო, არ ვიცოდი... საიდანღაც წყლის ხმა მესმოდა, მაგრამ ვერ ვხედავდი...

— მერე, მერე! — ვეღარ მოითმინა.

— უცებ გაიღო ჩემი თთახის კარი, ჩემს ოთახს იქ რა უნდოდა, აზრზე არა ვარ და თაზო შემოვიდა... მოვიდა... მომეხვია და ჩანთა გამომართვა...

— მოგეხვია? — შეკრთა.

— ჰო... მომეხვია... — ფინჯანი აიღო და ყავას სული შეუბერა, ტუჩები მიაკრო ფინჯნის პირს და გაშტერდა.

— მერე?

— და წყლისკენ წამიყვანა... წყალი გადმოდიოდა ქანდაკების პირიდან, ბიკის ქანდაკება იყო, თეთრი, ალაგ-ალაგ მომწვანო... — ყავა მოსვა — ჩანთა გავხსენი, ამოვიღე თეთრი ზეწარი და წყალთან გავშალე...

— ზეწარი?

— ხო, — ჩაფიქრდა — ხო... თაზოს ეცვა ლურჯი პერანგი, ორივე მხარეს ჯიბეებიანი, ლურჯი ღილებით... სახელოები აეკეცილი, ყელი გაღეღილი... აუზთან მიმიყვანა... ხელი შემაშველა, რომ დამელია, აუზთან მიწაზე შავი ტყავის ხელთათმანი ეგდო... ვიღაცეები მოვიდნენ წყალთან... მგონი ბერები... მაგრამ სინამდვილეში ჩვენ გვითვალთვალებდნენ... — ჩაფიქრდა, რაღაცას ჩაუკვირდა.

— როგორ შეგაშველა ხელი, როგორ... აბა, მაჩვენე — გული ამოვარდნაზე ჭქონდა. წამოდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი, ასე... — ზურგიდან მოეხვია მეგობარს და ცივ, შიშველ იდაყვებზე ცხელი ხელისგულები ამოსდო.

— და... მერე? — იკითხა ჩურჩუ-ლით.

— მერე დავლიე წყალი და მოვსუ-ლიერდი, თავს კარგად ვგრძნობდი, ძა-ლიან მიხაროდა...

— მერე?

— მერე... გამომეღვიძა...

— მეტი არაფერი?

— ...არა...

— როგორი სახე ჰქონდა? როგორ იყო? არაფერი უთქვამს?

— იღიმებოდა... ლამაზი იყო... კარ-გად იყო, კიდევ გაქვს ის პერანგი?

— რომელი?

— ლურჯი, ჯიბეებიანი... რომელიც ეცვა...

— როდის?

— სიზმარში... ხომ გითხარი.

— აა, არ მახსენდება. შენ რომ ნა-ხო, იცნობ?

— კი.

გარდერობიდან სათითაოდ იღებდა საკიდრებს. ორი-სამი პერანგი ეკიდა თვითეულზე. გარდერობის სიბნელი-დან ჩრჩილები ამოფარფატდნენ.

პერანგებს საკიდრიდან ხსნიდა, სა-წოლზე აფენდა.

— არა, ეს არა, არც ეს... არც ეს... — თვალს არ აშორებდა.

ნელომ ულარა გამოაღო.

— ეგებ აქ იყოს. თუმცა არა მგონია. აქ ძველი პერანგებია, ბოლოს აღარ ხმარობდა ამათ.

დაკეცილი პერანგები ამოალაგა.

— აი! ეს, ეს! — წამოიძახა დალიმ და ოდნავ გაცრეცილ, ლურჯ პერანგს დასწვდა — აი, ეს ეცვა...

— მართლა? — სწრაფად გამოსტა-ცა პერანგი, თვალდახუჭულმა გულში ჩაიკრა, საწოლზე ჩამოჯდა.

დუმდნენ.

— ნელი... — ჩუმად დაუძახა — ტანსაცმელი არ დაარიგე? უნდა გაა-ჩუქო, ხომ იცი წესია...

— ვერ ველევი — ჩაიჩურჩულა — ვერ ველევი! სახე პერანგში ჩამალა — ვერ ველევი! ხომ გესმის...

— ახლობლებს მიეცი...

— რატომ მე არ მესიზმრება, რა-ტომ... — ცრემლები ღვარად დასდინდა ლოყებზე — არ აკოცო, მკვდარს არ აკოცო. თუ გინდა დაგესიზმროსო, მე-უბნებოდხენ და მეც მაგის შიშით, არცერთხელ არ მიკოცნია... ხელებს ვიუკმადი სიმწრისაგან, ვგიჟდებოდი, ისე მიყვარდა, როგორც არასდროს, ხომ გახსოვს, კინაღამ გული რომ წამივიდა, ისე მინდოდა მოვფერებოდი, იმის ცივ, გამხდარ, ყვითელ სახეს, რას გავუძე-ლი, იმის შიშით, რომ ვაითუ მართლა არ დამესიზმროს-მეთქი... და აი, უკვე ორმოციც გავიდა და არცერთხელ, არც-ერთხელ არ დამესიზმრებია — ცრემლე-ბი მამაკაცის ლურჯ პერანგს ასველებ-და — შენ ხომ აკოცე? იქ, საფლავთან ხომ აკოცე?

— კოცე.

— რატომ, რატომ დავუჯერე დედა-ჩემს და ჩემს დას... ერთხელ მაინც მე-კოცნა, ერთხელ მაინც... როგორ მენა-ტრება, რომ იცოდე, დალი... როგორ მენატრება, აღარ შემიძლია, გესმის, აღარ შემიძლია... შენ ხომ მაინც იცი, როგორ მიყვარდა და... როგორ ვუყვა-რდი — დილის ხალათი გადაეღლოდა, შიშველ მკერდს ქმრის პერანგი უფარ-რავდა.

— გაჩუმდი, გეხვეწები, გაჩუმდი. ოდესღაც ხომ იყავი ბედნიერი, ვინც გიყვარდა, ვისაც უყვარდი, იმასთან ცხოვრობდი, მთელი სამი წელი. გეს-მის, ეს რას ნიშნავს? მთელი სამი წე-ლი! იმ წლებით იცხოვრე...

— ო, ნეტავ აღარ მახსოვდეს, არცე-რთი წუთი, არც თვითონ. ნეტავ მაში-ნვე წაშლილიყო ჩემი გონებიდან... სულ თვალწინ მიდგას, ყოველწუთს, ყოველწამს. გახსოვს, როგორი ღიმილი იცოდა, გახსოვს, დალი! იმისი ხელები, ხო გახსოვს, როგორი იყო. რანაირი გული ჰქონდა... ას თეფშში ერთი რომ ყოფილიყო გაპზარული, თავისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიდგამდა. სხვას არ შეხვდესო, კეთრობით ჭალაქგარეთ რომ დავყავდით მანქანით, ყვავილებს კკრეფდით, კუნელს ვაგროვებდით. რა ბედნიერები ვიყავით, და გესმის რომ ეს ალარასდეს, ალარ იქნება? ვიღა წაგვიყვანს სადმე ადლი... — სული შეეგუბა, ხვლება აუტყდა.

— გაჩუმდი, გაჩუმდი, წყალს მოგიტან... — წყალი გამოუტანა და საკუთარი ხელით დაალევინა.

— მოგეხვია? — ჰკითხა უცებ და დიდი, ჩამშრალი თვალებით მიაშტერდა.

ადლი შეკრთა. უხმოდ დაუქნია თავი.

— ნუთუ მე არასოდეს დამესიზმრება? — თავზარდაცემული სახე ჰქონდა.

— დაგესიზმრება. დამშვიდდი, გეხვეწები...

„დაგესიზმრება, დაგესიზმრება“. იმეორებდა გულში და ნელა მიუყვებოდა კიბეს. მძიმედ გააღო საკუთარი ბინის კარი, ორი სართულით ზემოთ, და შევიდა.

ის კი საწოლზე იჯდა და გრძნობდა: აუტანელი წყენისაგან, რომელიც მარტო რომ დარჩა, მაშინ გააცნობიერა, ლამის გული გასკდომოდა. ხელი მკერდზე მიიჭირა და უსამართლობით გაოცებული, ქმრის პერანგებზე დაემხო. რატომ, რატომ უნდა დასიზმრებოდა მისი ქმარი სხვას, როცა თვითონ ყოველ წამს მასთან იყო? რატომ უნდა მისულიყო სხვასთან, მოხვეოდა, გაეხარებინა და თვითონაც გახარებული ყოფილიყო? უცნაურმა ეჭვიანობამ გაუსერა გული: ორივეზე ნაწყენი დარჩა, ორივესგან გულმოკლული. გამანადგურებელი მარტობისა და ტკივილისაგან სასოწარკვეთილი ქმრის პერანგებს გულში იკრავდა, ზედ იფარებდა, სახეს მალავდა მათში, მათში იმახრებოდა: „ჩემო სიცოცხლევ, ჩემო სიყვარულო, მიშველე, მიშველე, რამე...“

ღამით დალი იწვა და ოთახის ჭერს მიშტერებოდა. „ორმოცდაათი დღე გავიდა. ორმოცდაათი საშინელი დღე. ნეტავ როგორ ძლებენ ცოლებენ? ... შეყვარებულები? ან საყვარლები? ჯობია, სულ არ გყავდეს, ვიდრე მოგიკვდეს. უბედური. უბედური. რა ეშველება, ქმრის გარდა არავინ უნდოდა. არავინ და არაფერი... სულ უნდა, რომ მასთან ვიყო. მე რას ვუშველი. სულ ქმარზე მელაპარაკება. ყველაფერს მიყვება, ყველაფერს. ანგარიშს აღარ უწევს. მალე ქორწინების ღამესაც მომიყვება. მთელი თვით გადავსახლდი მაგასთან. დავიღალე. აღარ შემიძლია. გამომელია ნუგეშის სიტყვები, თითქოს ჩემთვის ადვილი იყოს. ორმოცდაათი დღეა სახლი არ დამილაგებია. არც საღილი გამიკეთებია. მაგისთვის დედას და დას მოაქვთ სადილი. მე რომ ქმარი მომკვდომოდა, მეც მოვკვდებოდი, დარდით და შიმშილით“.

ოთახის კუთხეში აბლაბუდა ირხეოდა. „ნეტავ რა არხევს, ოთახში ხომ ჰაერიც არ იძვრის. მეც უძრავად ვწევარ. ხვალ დედაჩემი დილითვე დარეკავს. საყვედურები. მიხედე შენს თავს, შე საცოდავო, ნუ გადაყეკი, სხვას. სამსახური. გადმობრუნებული ყავის ფინჯნები. შავად ნახატი, უცნაური, საიდუმლო ცხოვრებანი. შეხვედრები, ღალატი, გზნიან მოსული კაცი, მოუღოდნელი საჩუქრები, ცვლილებები, ელდები, საწოლი კაცთან, ვიღაც აწევს ტვირთად, თავს გამოიხსნის, ლაპარაკი მის სახლში, შეხვედრა შენს სახლში, საღამოს გზა, საიდუმლო პაემანი... და ყოველდღე აბრუნებენ ფინჯნებს... და ყოველდღე ათასი რამ ხდება ფინჯნებში და უკვე ალარც უკავშირებენ, ცხოვრებას, სადაც ალარაფერი ხდება სიკვდილის გარდა. ყავის კაცები, ყავის კოცნები, ყავის მოხვევნანი, ყავის ეროტიზმი, ყავის ბავშვები, ყავის ფულები... ყავის კუბოები, ყავის საწოლები, ყავის ყვავილები... ყავისფერი ნალექის ქვეყანა. და მუქ ნალექში ცხოვრობენ და ამით უძლებენ ცხოვრებას... და ღმერთო, ღმერთო ჩემო, შენ რომ იცოდე, რა არის მარტობა, მილიარდი ერთნაირი დღე, ჭკნობა და ერთმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეთის მიყოლებაზე ჩაშრეტილი სურვილები! შენ რომ იცოდე, რა საშინელებაა ამ დედამიწაზე ცხოვრება, ღმერთო, თუ არავინ არ გეხვევა და არ გეფერება! შენ რომ იცოდე, ღმერთო, რომ იცოდე...“

მერე ისევ გაახსენდა: ერთი საღამო, გვიანი საღამო, რომელიც სიზმარმა გაახსენა. „როდის იყო? შარშან თუ შარშანწინ?“ თუმცა ეგეც არც არასდროს დავიწყებია. უბრალოდ, ახლა თავიდან შეიძინა სხვა მნიშვნელობა, რაც მაშინ ძლივ-ძლივობით ჩამოაშორა: გვიან საღამოს ლიფტში შემთხვევით მოხვდნენ ერთად. ის პერანგი ეცვა. ლურჯი. ჯიბეებიანი. თავის სართულზე რომ უნდა გასულიყო, არ გავიდა. კარი დაიხურა. ღილაკს თითი დააჭირა. მიუბრუნდა, სახეში შეხედა და უთხრა: „ამოვალ რა შენთან.“ რამდენჯერ ასულა, რამდენჯერ მსხდარან ხან სამნი, ხან ორნი და მერე რა. მაგრამ ახლა შეცბა. გული შეუხტა. შიშით თუ მოულოდნელობით. იმან კი ერთწამს უყურა და „ჰო, კარგი, კარგიო“, თმაზე დაუსვა უცებ ხელი, ლიფტიდან გამოვიდნენ თუ არა, ხელი დაუქნია და კიბეზე დაეშვა. მერე არაფერი. სულ არაფერი. ერთხელ კი, ეს მანამდე, ნელი ავად იყო და თვითონ აუთოვებდა მისი ქმრის პერანგებს. ნელა, ფაქიზად, მსუბუქად მიაცურებდა უთოს სახელოებზე, მკერდზე... საყელოზე... უცებ გაიხედა: ის იდგა მეორე თოახში, სიგარეტს ეწეოდა და დაკვირვებით გამოსცქეროდა: მას, მის ხელებს. მაშინაც შეკრთა. დაიბნა. თითქოს გამოქვაბულიდან უყურებდა ვიღაც, უცნობი, ეს იყო წამი, წამი, როდესაც რაღაც ხდება, გამოუთქმელი. მერე? მერე არაფერი, გასაგებად, ჩვეულებრივად მიდიოდა ცხოვრება. ძირითადად მათი, მეგობრების ცხოვრებით ცხოვრობდა, მათ ცხოვრებას იყო შეკედლებულშეფარებული...

თვალები დახუჭა. ხელისგული შიშველ იდაყვებზე მოისვა, მერე მხრებზე შემოიხვია ხელები. ლოყაზე ჩამოისვა, და ტუჩებზე ნელა. მგრძნობიარედ გადაიტანა თითები...

შუაღამისას, როცა ღრმად ეძინა, ახალგაზრდა, ფერმკრთალმა, წელზეკით შიშველმა კაცმა ფრთხილად შეაღო მისი თოახის კარი, ოთახისა, რომელიც ამ ქვეყნად არ არსებობდა.

1981 წ.

ციკლიდან — „სარკის ნატეხები“

ვუძღვნი ჩემიანებს

ცოდნა და არცოდნა

სად არის ის, რომელმაც იცის, რომ დღეს სახლიდან არ უნდა გავიდე? ან: რომ ბრმანაწლავი არ უნდა ამოვიჭრა? ან: უნდა ამოვიჭრა სწორედ ახლა, ამავ საღამოს, ანდა სამ დღეში?

რამდენი ხანია, ვნატრობ მის მოსვლას: მე ხომ არაფერი ვიცი დანამდვილებით. ნაბიჯი — ვარაუდით, ხელისცეცება ცხოვრების მოძრავ მოაჯრებზე, თვალში — ხან ცრემლი, ხანაც ნაცარი: დაბინდულია მონახაზი ყოველივესი. ცხადია მხოლოდ შიში და წუხილი.

და აი, ბოლოს და ბოლოს, ამისრულდა ასე განწირულად, ამდენხანს ნანატრი: გამომეცხადა ბრძენი მრჩეველი. ნელა შემართა მარჯვენა ხელი (ქარი ოდნავ ურხევდა თეთრ თმას), თვალი თვალში გამიყარა და ჩუმად და მკაფიოდ მითხრა: მაგას ნუ სჩადი, საშინელი შეცდომააო...

იმავ წამს დავუჯერე. რწმენით აღვივსე. რა ბედნიერებაა დაჯერება, რწმენა, სიმყარე! გარკვეულობა!

მაგრამ ახლა, როცა გამომეღვიძა, აღარ მახსოვს, თუ რაზე მითხრა. ვწუვარ და ვფიქრობ. რა იქნება დღეს ჩემი საშინელი შეცდომა, რომელიც დამღუპავს? რა არ უნდა ჩავიდინო? არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავდგე? უკვე დაწერილი წერილი არ გავაგზავნეთ? სინათლე არ ჩავრთო? წყალი არ მოვუშვა? მეგობარს არ შევხედე? სასაფლაოზე არ წავიდე? თუ ეს სიზმარი არ ჩავიწერო და მისი სიტყვები არ დავიმახსოვრო?

და მეშინია ნაბიჯის გადადგმის...

საკუთარი სახელი

რატომ მაკრთობს უეცარი დაძახება? გული შემოიტება და ამიჩქარდება: თითქოს თავზე პეპლის საჭერი ჩამომაცვეს ან გამაშშვლეს.

საკუთარი სახელი რომ შემომესმება, უხერხულობა მეუფლება, შეცბუნება და სიმარტოვე. თითქოს ვიღაცამ არ დამინდო, ვიღაცამ გამცა...

რაღაც ცივი და უსიამოვნო ჩამეღვრება ხოლმე მთელს არსებაში... როდესაც ის ხუთი ბგერა გაიხმიანებს, მე რომ აღმნიშნავს.

სახელი და გვარი ტკივილს მაყენებს. შეიძლება იმიტომ, რომ სინამდვილეში უსახელო ვარ.

ჩემს თვალებს არასოდეს წაუკითხავთ ჩემი სახელი გაზეთებში, ქუჩანაღებში, წიგნის ყდაზე ანდა კონვერტზე; ყოველთვის გამოტოვებენ ხოლმე. ჩემს კარს ჩემი გვარი არ აწერია.

უკვე ოცდათხუთმეტი წელი გავიდა, დედამიწაზე რაც დავდივარ, ამ გვარს ვატარებ და ვერ შევეჩვივე, ისე როგორც ვერ შევეჩვიე დედამიწას... ალბათ იმიტომ, რომ მოსჯილი მაქვს.

ეგებ სახელი სიიდუმლოა და მას ხმამაღლა არ უნდა ამბობდნენ, და მხოლოდ ერთმა უნდა იცოდეს, უახლოესმა, და კიდევ ღმერთმა? ხოლო სხვამ ყველამ დაგიძახოს: შვილო, დედა, დეიდა, დაო, დობილო, მეგობარო, ანდა უბრალოდ: დამინო?

როდესაც უახლოესი კაცი წარმოთქვამდა ზოგჯერ ჩემს სახელს, მე ერუანტელი მივლიდა ხოლმე და მორჩილება, თითქოს ტუჩებით მე მეხებოდა, ანდა ჩემს სულს, ან ჩემს სიცოცხლეს, ანდა ჩემს სიკვდილს...

ბაზალტის ქვაზე ამოკვეთილი ჩემი სახელი აღარ შემაწუხებს. თავისუფალი იქნება ჩემგან, თავისუფალნი ვიქნებით ერთმანეთისგან:

ის სამუდამოდ ჩამარხული ნაცრისფერ ქვაში, მე მის ქვემოთ, დედამიწაში, ჩემი სული კი იფარფატებს სადღაც სივრცეში, ჩვენგან თავდახსნილი, როგორც იალქანი, ნავსმოწყვეტილი. მხოლოდ ვიღაცის ხსოვნის ქოხში კვლავ შევერთდებით და დაგვაშორებს. მერე ისევ დავიწყების თალხი მდინარე. აღარ შეგვბოჭავს არავის ფიქრი.

სახლი

ვდგამარ ოთახში და ჭერს ავყურებ: კუთხეები ობობებისაა. მზესავით ქსლის გულში ჩამჯდარა ერთი და გაყუჩებულა. მეორე ქსოვს და ძაფზე ირწევა, მესამე, მგონი, შვილს უვლის.

მე არ ვიცი, ვისია ეს სახლი, მათი თუ ჩემი, ან ეგებ იმ ჭიანჭველათა საქმიანი ჯგუფის, დღეს მურაბიანი თეფში რომ დაიპყრეს, ანდა უხილავ სოროში მობინადრე თაგვის, რომლის არსებობაც ხრამუნითა და კვნეტით მეძღვნდება; ან ეგებ ამ ჩრჩილების, კარადიდან და კომოდიდან რომ მოფარფატებენ, ან ეგებ ამ მოუქნელი, შავი ხოჭოსი, აბაზანის ქვემოდან რომ მოცოცავს ხოლმე შუადამისას, ანდა ამ უცხო, თეთრი ყვავილის, შვილის ოთახში რომ გაბარდულა?

ისინი არ იმჩნევენ ჩემს არსებობას, უფრო სწორად, უგულვებელყოფენ... სინამდვილეში კი, ერთი სული აქვთ, როდის გავალ ხოლმე სახლიდან. მაშინ ალბათ მხრებში იშლება ჩემი არსებობით შევიწროვებული თაგვი, თავისუფლად დანავარდობს უპატრონოდ დარჩენილ სივრცეში, შეიძლება ჩემს საწოლზეც კოტრიალებდეს...

ცხადია და საწყენი, რომ მათ ხელს ვუშლი და ზედმეტი ვარ, რომ ჩემი ეშინიათ და ეს შიში სიყვარულს სულაც არ ქმნის ჩემდამი... ისე კი, მე მგონი, ძალიან კარგად გრძნობენ ჩემს ში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაგან უუფლებობას. არ მიყვარს გასაღებით კარის გაღება, რადგან ეს მოძრაობა სახლის პატრონის უფლებას გამოხატავს. მე კი ვაღიარებ, რომ ყველაფერი სხვისია და მე ხიზანი ვარ...

მათ ერთიანობას ჩემს წინააღმდეგ, მგონი, მხოლოდ ყვავილი აღღვევს. ეგრძნობ, რომ მელოდება და არა მარტო იმიტომ, რომ წყალი სწყურია... მას სურს, შევჩერდე და დავფიქრდე მასზე, და ხანდახან ველაპარაკო. ის მოწყენილია, როდესაც შინ არა ვარ და ეს მოწყენა სხვა მობინადრეთა თვალში ალბათ ღალატად ეთვლება.

ვდგავარ და ობობებს ავყურებ. ისინი ყოველნაირად მაგრძნობინებენ, რომ არ ვარსებობ, ან ზედმეტი ვარ. მე მათ არ ვამტყუნებ. მაგრამ დღეს დიდი მუხანათობის დღეა ჩემის მხრიდან. დედა-ჩემი მოდის: უფლება-მოვალეობის შენივთული ბურჯი და დვრიტა. შვილის კუთვნილი სივრცე უნდა მოაწესრიგოს. წმენდა იწყება. ახალი წლის წინა დღეებია. იგი გიგანტურ დამხმარე ძალად დგება ჩემს მხარეზე და მე მრცხვენია. მაგრამ ჩემი ყოფიერება მისი მუდმივი სირცხვილისა და ტანჯვის წყაროა. ე. ი. იგი გაწამებულია ჩემი ასეთობით და ნიშნის მოგების ქმებით შეკრულ საკანში მისჯის არსებობას. იგი უფლებამოსილია უკმაყოფილო იყოს და საყვედურების ხვიარები შემომახვიოს, თუნდაც იმიტომ, რომ ბინა, რომელშიც ვცხოვრობ, მისი დასალაგებელი ხდება. ეს ყოველივე გამორიცხავს წინააღმდეგობას ჩემის მხრიდან. აუტანელ ვერაგობად ჩათვლის იგი, პროტესტი რომ განვაცხადო ჩემს თანამობინადრეთა ხელყოფის წინააღმდეგ. და მელჩრულად ვტოვებ ბრძოლის ველს.

დიდი განკითხვის დღე ატყდებათ თავს ჩემს მობინადრეთ. ალოკალიპსის ანგელოზთა მუქი აჩრდილნი, მათი ბუკების სილუეტები აეკრნენ კედლებს. ჭაღარათმაშალილი დედაჩემი, მრისხანე ღმერთი, შეიმართება. დედის ხელები, შვილის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სადარაჯოზე ზეაღმართული მძლავრად შესტყორცნან ჯაგრისს. ეტ-ერისკენ ანდა ანაბზანის ძირს შეახლიან და ცოდვა დაათოვს ხნიერ მხრებზე, ცოდვა — ჩემს გამო.

მე ვტოვებ სახლს და მივდივარ, რა თქმა უნდა, უმისამართოდ. სამწუხაროა, რომ მათ ვძულდი და ვაშინებდი... ალბათ, თაგვს ვერაფერს დააკლებს. თვალწინ მიდგება უნახავი, ერთი ციცქნა, მრგვალი, შავზე შავი თვალები — ზაფრისგან რომ გაშეშებულან. ახალ წელს ალბათ ერთად შევხვდებით: ის ქვემოთ, ჩემი ბინის ქვესკნელში, მე — შუაში, ზემოთ კი — ცარიელი ჭერი, სადაც ჰაეროვან ქალაქთა ნამუსრევი, ხოცვა-ქლეტის კვალი დარჩება, ხოცვა-ქლეტისა იმ სივრცის დასასაკუთრებლად, რომელიც მე ჩემს საკუთრებად არ მიტვირთია...

ჩვენ

მე უნდა მათ ვათბობდე, ვაპურებდე, ვანუგეშებდე, მტლად ვედებოდე. მე თანახმა ვარ. მინდა ეს, მწყურია, რომ შემეძლოს...

შვილო, რომელიც ჩემს გვერდით ფუჩემოდ იზრდები, დედავ, რომელიც უჩემოდ ბერდები; ძმებო, რომელთაც თითქმის ვეღარ გცნობთ, მამავ, რომელიც უკვე მიწა ხარ; მეგობრებო, ჩემს გულს პურივით რომ იყოფდით და ახლა შორს ხართ... მე მოვდივარ, მოვდივარ თქვენსკენ, მე მინდა თქვენთან...

მაგრამ მე ხომ არ ვარსებობ, მაპატიეთ არარსებობა. ვერ გამოვდივარ ბინდისფერი საპყრობილედან, რომელიც მე ვარ... ყოველწუთს ვემსხვრევი, ზედ ველეწები სულის აღმართულ, გაუვალ კედლებს და თქვენ შორსა ხართ, აქვე ჩემს გვერდით, და მელოდებით, და საყვედური ბერდება თვალებში, და მერე ეგუებით ჩემს არარსებობას და ეს შეგუება ბინდივით მფარავს, როგორც მიკარგულ ბილიკს ბალახი...

და მეც მავიწყდება თითქმის ვიწრო გზა მამაჩემის საფლავისაკენ და მეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვება შვილის ოთახი: ეს რა ყვავილი აყვავებულა მის რაფაზე? როდის გაჩნდა ჩვენს ჭერქვეშ და რა მოიტანა? სად არიან ის სტაყვები, დედაჩემისთვის რომ უნდა მეთქვა? აღარ ვიცი, ვეღარ ვიხსენებ, ისინი ჩამომწყდნენ, გზად გაიფანტნენ...

ჩემსავ თავში ვინ ჩამაქცია? შიგნით ღამეა, ზოგჯერ აქა-იქ კიაფობენ ვარსკვლავები... მაგრამ გზას,... რომელსაც ისინი მანიშნებენ, უფრო ღრმად შევყავარ ჩემსავე ღამეში... იქ უძრავი გუბურებია, ერთმანეთს ქვემოთ, მთვარე ჩანათის და მე ვირეკლები, უსასრულოდ ვირეკლები და ვუჩინარდები.

მე ვუძრაობ. მე ვერ მოვდიგარ. მაგრამ აქედან ჩაღვრილი ვარ ყველა თქვენგანში. ყველაზე მეტად... წყალივით ვევლები თქვენი სახის ხაზებს, თქვენი ბეღისწერის რკალებს და ხვეულებს, ხელისგულებზე რომ გიმეორდებათ... ახლოს რომ მოვიდე, კიდევაც რომ შევძლო, მაშინ ვიღამ ლოკოს ტალღვის ქვა-მარილი, მაშინ ვიღამ ზიდოს ტკივილების მრავალსახეობა. როგორღა ვიფიქრო თქვენზე აგრერიგად? ჩემს სითალნეში ვარ შიგნით ჩაქცეული, და როგორც მთვარე თქვენს ჩუმ ოთახებს, ისე გავიელი თქვენს სიცოცხლეებს ყოველ შუაღამით... რაც უფრო მტანჯავს ჩემი უძრაობა, მით უფრო ვუძრაობ...

რამდენჯერ ვწევარ, მამავ, შენს გვერდით ბავშვობაში რომ ვიწექი ხოლმე ჭრელი საბნის ქვეშ, ყურის ტკივილით შეწუხებული, რამდენჯერ ვწევარ ხოლმე შენს გვერდით, ახლა: მიწაში, და თავი მიდეკს შენს ჩაშლილ მხარზე, რადგან საფეთქელს მხარი ენატრება, ვიდრე ცოცხალია და ვერ პოულობს და შენსავით ვიგუბებ სუნთქვას და უიმედო თვალს ვუშტერებ კუბოს სახურავს და ველოდები, როდის შევერთდებით, დიდ, წითელ ვარდში, რომლის ფესვიც ზემოთ აიტანს ჩვენს ჩაშლილ მზერას და ძალების ფოსფორს ზემოთ, მზეში, მთვარისა და ვარსკვლავებქვეშ. და ქარს გაატანს... მაგრამ საფლავზე არ მოვდივარ და მანდ ... ყვავილებმა გაიხარეს, სულ აღარ ვიცი...

გული — ეკლებდასხმული, ცხელი გორგალი. თქვენ, ვისაც გყავართ, ეს ეკლები ხართ, ოღონდ შიგნით ჩაბრუნებული, და იქ იზრდებით და სიღრმე გიყავართ, გულის სიღრმე და გული სიღრმისა...

ფეხსაცმელი სიკვდილისათვის

წუხელ ისევ მესიზმრა კაცის შავი ფეხსაცმელები. და ველოდი, რომ ვიღაც მოკვდებოდა ჩემს სიახლოვეს.

ორი დღის შემდეგ ამხანაგის ძმა გარდაიცვალა.

ეს ძმიმე, შავი ფეხსაცმელებია. მრგვალცხვირიანი და ძველებური. (თუმცა, მოდა ტრიალებს და სიძველე სიახლედ იქცევა).

რატომ ირჩევს სიკვდილი მაინცდამაინც ამ ფეხსაცმელებს ჩემი სიზმრისთვის? ჩემი დახუჭული თვალების მიღმა შემოსასვლელად?

მუდამ ვფიქრობდი და ვერ ამეხსნა.

ერთ დღეს სკივრიდან ძველი, გაცრეცილი გობელენი ამოვიღე, ჩემი ბავშვობის გობელენი, რომელიც საწოლთან მეკიდა ხოლმე და ჩემი მზერა, ვიდრე მას ძილი შთანთქავდა, მის ფერებში იკარგებოდა... მასზე ბავშვი დგას რაღაც ქოთთან, წინ რუ ჩაუდის, ხეები ჩანს და ქოხის თავზე უცნო ფრინველი.

საწოლთან გავიკარი... და ახლაც... ჩემი მზერა ძილამდე მის ბინდიან ფერებში ზავდება.

რამდენიმე დღის შემდეგ გამახსენდა:

სამიოდე წლის ვიქნებოდი. ბებიაჩემმა ჩიხტი-ჯოპი და ლეჩაქი შეისწორა, ზედ ოქროს ქინძისთავი დაიმაგრა, მძიმე, შავ კაბაზე ხელი დაისვა და ბაღში გავიდა. ნელა დაკრიფა შინდისფერი გეორგინები, ნივრის ყვავილები, წითელი ტუხტი და სხვა ჭრელ-ჭრელი ყვავილები, სოფლის ეზოებში რომ ყვავიან ერთად. ხელი ჩამჭიდა და წავედით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთახში, სადაც ჩუმად შეეედით, მძიმე ნახევარსიბნელეე იდგა. ძაძით მოსილი ქალები ისხდნენ კუბოს გარშემო. მაგრამ მე არ ვიცოდი, რომ ეს კუბო იყო და იმ დღემდე არც მკვდარი მენახა.

ადამიანები არ დამამახსოვრდნენ.

დამამახსოვრდა: ყვავილების ერთმანეთში გაზაეებული, მძაფრი სურნელი. სურნელისა და ფერების მძიმე სიკრეელე, რასაც ვერ ახშობდა ოთახის ბინდი...

სრულიად უგრძნობლად, გრილი ინტერესით მივუახლოდი ტახტზე აბურცულ, ომოწვანო კრეპსატინით დფარულ. უძრავ და მძიმე რაღაცა მასას, რომლის ირგვლივაც ყვავილები შემოეწყოთ.

ტახტზე კრელი ხალიჩა ეფინა. ხალიჩის, ყვავილების, ფერებისა და სურნელის მჭახე სიკრელე საშინლად გადაეჭდო ერთმანეთს ჩემს აღქმაში და რატომღაც მაწვალებდა. ერთმანეთში ამერია. ტახტს გარს ვუვლიდი გაღიზიანებული. უცებ შავ, უხმარ ფეხსაცმელებთან შეეჩერდი, რომლებიც ასეთ მდგომარეობაში არასდროს მენახა; ისინი იდგნენ, წვერით ზემოთ, უძრავად. ერთმანეთს მიტყუპულნი. მათმა ერთნირშნა, სრულეყოფილმა სიშავემ და უძრაობამ ფერ-სურნელთა კრელი ნაზავით გაბრეკებულს შვება მომგვარა. გამოხარდა, რომ პრიალა, ომოწვანო ქსოვილი მათ ვერ სწვდებოდა. დიდხანს დავყურებდი. მერე ხელი წავაელე კრიალა ქუსლზე, მერე დაეინტერესდი, თასმებით იყო თუ არა შეკრული. ჭვინტში ჩავავლე ხელი და ოდნავ გადმოვწიე. რაღაც მორჩილი, ულიჯო და თან ჯიუტი იყო მოძრაობა, რომლითაც დამყვა, შავი თასმის რკინის ბოლოს ჩავავლე ხელი და გამოვწიე და აქ ვიღაცამ უხეშად ჩამავლო მკლავში ხელი და გამათრია.

ამ დროს ვიღაც შავებიანი ქალი შემოდგა ღია კარში და დაიყვირა: „მოხვედი, სადაც ხარ?!“

მე ვერ გავიგე, ვინ მოვიდა, ქალი თვითონ მოვიდა, მის გარდა სხვა ვინ შემოსულა, და ვის უყვიროდა: „მოხვედი?-ო“ ან რატომ ყვიროდა?

აქეთ-იქით ვიხედებოდი. მერე მომწყინდა მთელი ეს გაუგებრობა და გარეთ გავიქეცი.

მერე, მრავალი, მრავალი წლის შემდეგ, როცა ეს ამბავი ჩემი ხსოვნიდან სრულიად გაქრა, ერთხელ, ის ფეხსაცმელები შემოცურდნენ ერთ ჩემს სიზმარში... და მერე ყოველთვის წინ უსწრებდნენ ვიღაცის სიკვდილს.

აწყვია ხოლმე: ხან უცეცხლო ბუხრის წინ, ხან სავარძელთან. ხანაც ღია ფანჯრის რაფაზე... რა ადგილსაც უნდათ, იმას ირჩევენ, ვინ რას დაუშლის.

აწყვია ჩუმად, ვითომც ისე, უწყინარად, ვითომც თავისთვის.

თუ გინდა მიხვედი, თუ არ გინდა — ნუ მიხვდები, ვინ რას გაძალებს...

ის მაინც მოვა, რაც უნდა მოვიდეს.

თავისუფლება

ᲐᲘ, რა სახით ვიხილე იგი:

მე ჩემს შვილთან ვარ, რომელიც ერთი, სამი ანდა ექვსი წლისაა. თავს დავეფუსფუსებ, ვარდისფერი კაბა მაცვია. როგორ გვიყვარს ერთმანეთი, როგორ ერთად ვართ! არსად მეჩქარება, მთლიანად მისი ვარ. ოთახში მზეა, თვალებშიც შუქი ჩამდგომია. იგი ახლახანს დავაპურე. ისე ფაქიზად, აუჩქარებლად (სულ სალი ბოსტნეულისაგან) დამზადებული კერძი მივართვი. კერძი სასარგებლო და აუცილებელი. მოვალეობის პირნათლად შესრულება უსაზღვრო ნეტარებით მავსებს, მანათებს. ახლა ვუზიერ და წიგნს ვუკითხავ. მერე გარეთ გავიყვან, პარკში, ბალახებზე და ჩიტებზე ვესაუბრები. სუფთა ჰაერით აივსება მისი ფილტვები. მთლიანად მისი ვარ, თავს არ ვიზოგავ მისი ჯანმრთელობისთვის და სიხარულისთვის. რა ბედნიერებაა, პირნათლად ცხოვრება.

მე: ძვირფას კაცთან ვარ. ის დაღლილია. ვიდრე მოვიდოდა, მისი საყვარელი კერძი მოვუმზადე. კერძი ხორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციანი და ნოყიერი. მწვანილი. ღვინო. დავაპურე. ახლა წევს და მესაუბრება. სმენად ვარ ქცეული. ტანთ ცისფერი კაბა მაცია. ძმიმე, დაღლილი სიტყვების მწკრივს ღიმილს ვაგებებ. ნუგეშს სინაზის სარჩულს ვუდებ, ფრთხილად ვეხები. თუმცა მთელი დღე მუხლი არ მომიხრია, დაღლილი არ ვარ. მთლიანად მასთან ვარ, მთლიანად მისი ვარ. ფრთხილად ვუსვამ ხელს საფეთქელზე, ვეალერსები.

მე: დედაჩემს სასთუმალს ვუსწორებ. თავზე ხელს ვუსვამ. ის ადადგა. მსუბუქ კერძს ვამზადებ, წვნიანს, უხორცოს, სნეულს როგორიც შეეფერება. ოხვრით ამოთქმულ საყვედურებს აღერსით ვხვდები. წამლის თეთრ აბს ფორმადაკარგულ ბაგეზე ვუდებ, წყალს ვაწვდი, მიყვარს. მერე ვუზიკარ, და ვუსმენ, ვუსმენ — მის ხმამაღალ ფიქრს, მის მოგონებებს: ჩვენს ბავშვობაზე, მამაჩემზე, გაგზავნილ და გაუგზავნელ წერილებზე და მის შმობლებზე, მის ბავშვობაზე, ბავშვობაზე დედამისისა... მთლიანად მისი ვარ, სმენად ვარ ქცეული, არ მოვშორდები: ჩემში უნდა დარჩეს მისი სიტყვები, მოგონებები, როგორც ყულაბაში. მერე ისევ წამალი, დასანვა, საკმელი, წამალი და დაძინება. რა ბედნიერებაა პირნათლად ცხოვრება. როდესაც მთლიანად ახლობელს ეძლევი. ღმერთ ვუდარაჯებ დედის ძმიმე ძილს, დრო და დრო გაფატრულს ხნიერი ხორხიდან აღმომხდარი მუქი ხრიალით.

მე: ჩემს ძმასთან ვარ. დაბადების დღეს ვულოცავ. აქ ვართ ყველანი. რძალს ვეხმარები. ჯარასავით ვტრიალებ. სუფრას ვშლი, ვაწყობ, ჩანგლებს, თეფშებს, ჭიქებს და სკამებს. ძმას უხარია. ეამაყება. და მასთანაა. არ მოვშორდები. სტუმრებთან მარტო არ დავტოვებ. გვერდით ვედგები. მერე ქალები ავალაგებთ. დაეწმენდთ, დავრეცხავთ, მერე დავსხდებით და ის მეტყვის, მომიყვება, რასაც ვერავის მოუყვება თავის დის გარდა. არ მეჩქარება. მთლიანად მასთან ვარ. როცა ვჭირდები, მასთან ვჩხდები, არ ვიგვიანებ. ეარაობისას ფრჩხილებს ვაჭრიდი, თმას ვკრეჭდი და მეშინოდა, კეფაზე, თმის ქვეშ ჩამალული მუქი ხალები არ გამეკაწრა... ხელებს ბანდი და წიგნს ვუკითხავდი.

მე: მეორე ძმას წერილსა და ამანათს ვუგზავნი. ყოველკვირა. არ მავიწყდება. წერილი გულითადია, დაწერილებითი, ნუგეშითა და სითბოთი სავსე, მისი სულის ყველა ხვეულს შუქად ჩაეფინება, სიმხნეევით ალავსებს. მის შვილებთან საჩუქრები და წიგნები მიმაქვს. ვესაუბრები. თეატრში მიმყავს.

მე: მამაჩემის საფლავზე. ეკლესიაში კიდევ ერთი პანაშვიდი გადავიხადე, სული დაუმშვიდდეს, შენდობა მიიღოს. მიაგებოს და მსუბუქად იფრინოს. ნაკურთხი წყალი გაზაფხულის მიწას ვასხურე, სანთელს ვანთებ მარმარილოსთან, ვარდებს ვრწყავ, მიწას ვაფხვიერებ, ვუვლი. შვილს მზრუნველი ხელით ბიბინებს, ბზინავს მამის საფლავი.

მე: მეგობარს მივყვები შორეულ ქალაქში. ერთად გავიელით უძნელეს გზას და ხშირად ვეტყვი: ნუ გეშინია, მეგობარო, მე შენთანა ვარ, მომაყრდენ თავი. ნუ გეშინია, მეგობარო, უკან დარჩება ციკი ზამთარი, მზე შეისრუტავს ჩვენ შფოთს და წუხილს და ქარიშხლებიც დაიღლებიან.

მე: მაგიდას ვუზივარ, ხელში კალამი, წინ ფურცელი. შეპყრობილი ვარ. მთლიანად უნდა ჩავიწურო ჩემს ნაწერში, სისხლად ჩავიქცე, სანთლად ჩავიღვენთო, ცრემლად ჩავდინდე... დღე და ღამ, დღედაღამ, აქ უნდა ვიყო, არ მოვშორდე, არ გავიბნე, არ გავნიადე... სიტყვები, სიტყვები. სახეები: წვა და დაგვა, ტუსაღის ჯაფა, ბერის რუდუნება, მიწის მუშაკის გადაუდებელი შრომა და გარჯა... მთვარეს ან კელეპტარს არავინ გიმარჯვებს... მთლიანად გითხოვს, მთლიანად სჭირდები, შენი არსების ყოველი მისხლით, აბა, გაბედე და გამოეცალე. იმ წამსვე გაჩნდება რაღაც ფუტურო. წყლით ან ჰა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერით სავსე ბებერა... ჩაენთხიე, არაფერი დაიტოვო, მიეცი თავი.

და მე: ამ ყველას და ყველაფერს ვხედავ, ერთად ვხედავ და თან მივდივარ. ო, ბედნიერებავ. შვებავ. ამოსუნთქავ და ფრთების გაშლავ! ჩამოვარიგე ჩემი თავი, ყველას მივუჩინე, ყველასთან დავტოვე. ყველას გავუჩინე, ყველას ვუყოლიე... ყველასთან ვარ და მარტო ვარ სრულიად. თავისუფალი ვარ! მივდივარ: ტანზე ირმის ტყავი მაცვია, ფეხზე სანდლები! აბგაში ხმელი კენკრა მიყრია, ირგვლივ ტყეა ჩემი მარტოობის, შორს მინდორ-ველი ჩემი გულისა! მთაზე ადის ჩემი ბილიკი, ნიავივით მსუბუქია ჩემი ნაბიჯი! თმაგაშლილი და მკლავებგაშლილი ვეგეებები მთების ნიავ-ქარს. მიყვარხარ ქარო, საითაც ვსურს, იქით წამიღე — ვარსკვლავებს არ ავხედავ გზის გასაგრებად. წინ ჩემი ცოდვებია, ჩემი შემთხვევები, დაუდევრობა და ჩემი და შენი ნება! უკან კი — მოვალეობა — აღსრულებული!

არავისი ვარ! ჩემი ვარ, ქარისა ვარ და გზა-ბილიკების!

ნადირის ხმა მესმის, წყლის დგაფუნი, ფრინველთა შხული; ჩემი სულის ტყიდან. იქ კი უდაბნოა: უსაგნებო ყოფა, დიდი სიჩუმე და დიდი გარინდება.

უხილავი შემოქმედება

რად ვწვალობ, რად ვიგონებ?! რად მინდა ეს გამოგონება? ყველაზე მდიდარი სიზმრებითა ვარ.

საკმარისია, ჩავიწერო ჩემი სიზმრები, გამოვა დიდი, საოცარი შემოქმედება. ოღონდ ვისი, არ ვიცი, ანდა რომელი ეპოქისა...

პირველად

ბავშვმა პირველად გაიარა და აღუბლის ციცქნა ხეს ჩასჭიდა ხელი. ხე ირხევა: მან წელს პირველად იყვავილა. პირველად მოისხა. ბავშვი აჰყურებს: ექვსი თეთრი კბილი უკრიალებს. ფოთლებში, მზეზე სამი წითელი ალუბალი ტოკავს და ღიღინ.

სურათი

ლელვის ხე ბებერი ტაძრის კედელთან. მზეს და შუადღეს ხე ტაძრის კედელზე შავად მიუხატავთ. პატარა, ჭრელი ჭია ფოთლის ჩრდილსა და ფოთლის ჩრდილს შორის მზეზე გაწოლილა. სიო რომ დაუბერავს, ჩრდილი შეირხევა და თავზე მიადგება. შეიშმუშნება და ტაძრის ქვაზე თავს გააცურებს. ჩრდილს გაურბის, მზიან ადგილს ეძებს.

რა ალარ ჩანს სათავიდან!

ჩემი ექვსი წლის შვილი ზის ტახტზე, სათამაშოებში: უდარდელი, უზრუნველი, არას მოფიქრალი, თამაშობს, ერთობა. მზე იღრღება ოთახის ფანჯრიდან. მე ვაუთოვებ. სიმყუდროვეა. უცებ ის ჩუმდება, ფანჯარას უშტერებს თვალს და ამბობს: „ცხოვრობდა ერთი აღარავინ. ადგა და წავიდა. აღარავინ, აღარავინ. შენს ქოხს ჭიანჭველები შეესივნენ!“

ვქვავდები.

ღმერთო!

არავინ — ვინმე — აღარავინ.

ის: პატარა ბავშვი: — უძნელესი გზის თავში — ვინმეობისკენ. სათამაშოებში (ვითომ ცხოვრებაში) ჩამჯდარი ხედავს — ვიღაცის გზის დასასრულს, ვიღაცის ბოლოს, ვინც თანდათან გადადგა ადამიანობიდან:

„აღარავინ, აღარავინ. შენს ქოხს ჭიანჭველები შეესივნენ.“

რა სიმარტოვე, რა უიღბლობა, რა უსაშველობა აბიბინებული ჭიანჭველებშესეულ ქოხსა და მიმავალ კაცს შორის გაწოლილ ბილიკზე; რა ზომავს ამ მანძილს? ტანჯვისა და დაცემის მილიარდი მილიმეტრი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიხარული

ო, არც დედები, არც მამები რომ აღარ ვიყოთ; აღარც ცოლები, აღარც ქმრები, არც საყვარლები. აღარ გვინდოდეს ერთმანეთი მოზრდილთა ნდომით. უცბად ბავშვებად ვიქცეთ ყველანი და მივიერბინოთ ჩვენსავ ბავშვებთან... ხოლო ისინი, ვინც ჩვენ ვიყავით. შერცხვენილნი და გაწბილებულნი, თოჯინებად გადვიქცეთ ყველა. ბავშვებმა ჩუმად დავაძინოთ ის თოჯინები: დავახუროთ სქელი საბანი, გავიხუროთ ქალაქის კარი და მინდორში გავიქცეთ ერთად...

ჩამოდის წვიმა ჩვენს თვალებზე... ო, სიხარული! ბრუნდება იგი მზოლოდ ასე, მზოლოდ ამგვარად: ვარსკვლავიერი, გრილი, ბავშვური.

მთვარიდან

მთვარეზე ვწევარ. მთვარის ნაპირას, გულდალმა ვწევარ, იდაყვებზე ვარ დაყრდნობილი;

ესეც დედა მიწა.

აქ, მთვარეზე ძველი სულები ბინადრობენ, შეიძლება — ახლებიც. ისინი რიალებენ სადღაც ჩემს ზურგს უკან, ჯავრობენ და მეუბნებიან: „ნუ იყურები!"

ყურს არ ვუგდებ. მე ხომ არ ვერევი მათ საქმეში.

ესეც დედამიწა.

ყურადღებას არ ვაქცევ მთებს, მწვერვალებს, ზღვებს, ოკეანეებს, ქალაქებს, ცათამბჯენებს.

მე ვხედავ: ბავშვის გაჭრილ თითს: ცრემლს, მოსაწყდომად დაკიდულს წამწყამზე! ხნულივით ღრმა ნაოჭს ვიღაცის თვალებთან ამოყრილ ვენებს ვიღაცის წვივებზე, მკვდარ ჩიტს გაყინულ მიწაზე, ყავარჯენს ვიღაცის ხელში; მშიერი ძაღლის უიმედო და უსაყვედურო თვალებს, ჰატარა კუბოს, ლანცეტს — შიშველ კანზე გასრიალებულს, ყვიოელი შუქის ქვეშ, ღიად დარჩენილ, უმწეო ტუჩებს, რომელთაც უცად სიტყვა შეაშრათ, ყვიოელ, მახინჯ პიშვს — ხურდა ფულით ფსკერამოფენილს, მომაკვდავის დაკრუნჩხულ თითებს, ძროხის სველ თვალებს, ამოვსებულს შავი ბუზებით.

ჩემს ზურგს უკან სულები ჯავრობენ: „ნუ იყურები."

ყურს არ ვუგდებ.

ვევება ფრთები აფართქალდა უეცრად ჩემს წინ და დედამიწას ჩამოეფარა, თეთრი ანგელოზი ჩამოჯდა მთვარეზე. სულები დაფრთხნენ.

—იგალობე, დიად საგანთა და საქმეთა შესახებ — მითხრა თეთრმა ხმამ.

— ვინც ტაძრები ააგო, მათ მე არ ვიცნობ, არ მინახავს, არ შემხვედრიან. ვინც აღსარული დიდნი საქმენი, მე არ ვიცი, როგორ ცხოვრობდნენ. თვალები სავსე მაქვს სიპატარავეებით, რომლებიც ჩემთვის იმხელაა, რომ სამყაროშიც ვერ ეტევიან. ხედავ გაჭრილ თითს, ანდა მარილით გატენილ ციცქნა ტილოს პარკს მტკივან ყურზე... ამთა რა ვუყო... როგორ ვიმღერო დიად საგნებზე, როცა აგერ, ხედავ, ტბის პირას, ბავშვის ცალი ფეხსაცმელი რომ გდია ქვიშაში — თავგზას მიბნევს და ვერ ამიხსნია, ანდა სამჯერ ნაკოცნი პური, ღობის თავზე შემოდებული ბეღურებისთვის.

დაღონდა და გაფრინდა: გრიგალივით. სევდა გადავდე. ქვემოთ ვიყურები. აგერ ჩემი ფანჯარა. სინათლე ანთია. იქ ალბათ მე ვზიავარ და ვწერ. ან შეიძლება, აღარავინ აღარ ცხოვრობს დიდი ხანია, და სინათლე ჩართული დარჩა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო მდივანი

ქურდი

მოთხრობა

ჩაჩუმდებოდა თუ არა ქარი, ყველაფერი ერთად იწყებდა ჭრიალს, საკუთარ, მხოლოდ მისთვის გასაგებ ენაზე ლაპარაკს: მაგიდა, სკამი, საწოლი, ფანჯრის ჩარჩო... ყველაფერი ისე ხდებოდა, როგორც ანდერსენის ზღაპარში, მხოლოდ თავად იყო სხვა. დრო არ იძვროდა, არ მიჰყვებოდა საათის მონოტონურ წიკწიკს. მერე ისევ ქარი დაუბერავდა, ქუჩის პირას მდგარ, მორყეულ ფარანს შეაზანზარებდა და ასე...

დაიღალა. ძილი არ უნდოდა, გადაეჩვია. მარტო იყო, შემცივნული ძაღლივით ბუნაგში შემძვრალი. აქამდე კიდევ აღიზიანებდა მარტოობა, კედლებს ეხლებოდა, ბორგავდა, ვერ ისვენებდა; ახლა პირიქით, ნებისმიერ ხმაურზე იძაბებოდა, რადგან არავინ უნდოდა. საკუთარ თავს დაეძებდა. იმაზე უნდოდა ეფიქრა, რაც აწვალებდა, ტანჯავდა, არ ასვენებდა, რადგან უამისობა აღარ შეეძლო, შეეჩვია. მოთბოვნილებად გადაექცა საკუთარი სულის გვემა, გონების ფორიაქი, ისტერიამდე მისული განცდა. ხანდახან, როდესაც ამ სიმძიმისგან წამით თავისუფლდებოდა და მოულოდნელად მარტივ გადაწყვეტას პოულობდა, მაშინვე ეჭვი იპყრობდა და ისევ ძველს უბრუნდებოდა, საკუთარი გონების ლაბირინთებში იხლართებოდა.

ხელის თითები გაეყინა. იცოდა, სიცივის ბრალი არ იყო და არც უცდია გაეთბო. ისევ დაუბერა ქარმა. ფანჯარაში მოუნდა გახედვა. ცა, ალბათ, შავი იყო, ქუჩა პირქუში, უკაცრიელი, ცივი... წამოდგა და გათოშილი თითებით დაორთქლილი შუშა გაწმინდა. ქუჩა მართლაც უკაცრიელი იყო, მაგრამ ცა... ცა იყო უსაშველოდ ლურჯი და ოქროსფერი ვარსკვლავებით დაჭორფლილი. ტკივილმა შეუკუმშა გული. მოულოდნელმა, საიდანღაც მოსულმა გრძნობამ გააოცა: მოუნდა ვინმესთვის ეთქვა, ეჩვენებინა, გაეზიარებინა ეს უეცარი შეგრძნება...

დღითიდღე კარგავდა ოდესღაც შეძენილ, დაგროვილ, ბავშვური უშუალობით ნალოლიავებ და გამთბარ გრძნობებს. დღეს კიდევ ერთხელ შეიგრძნო, რომ ბავშვობის დაბრუნება არ უნდა სცადო, თორემ ის ილუზიაც მოგესპობა, ახლობელ და დიდი ხნის უნახავი ადამიანების მიმართ რომ გაქვს. შეხვდები და იმასაც კარგავ, რაც მოგონების სახით, იმედივით ჯერაც ცხოვრობს შენში. ტირილი მოუნდა. მარტოობას თავისი დადებითი მხარეც აქვს, ამიტომაც იტირა: თავისუფლად, ხმამაღლა, დაღლამდე. გარეთ ისევ აზანზარებდა ქარი ფარანს.

●

უამრავ ხალხს მოეყარა თავი ყვითელ შენობასთან. ყვიროდნენ, მუშტად შეკრულ ხელებს იქნევდნენ, ხმამაღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა მსჯელობდნენ... ვერაფერი გაეგო ქალს. ხმასაც ვერ აყოლებდა დანარჩენებს. ხვდებოდა, რომ რაღაც უნდოდათ, რაღაცისთვის იბრძოდნენ, რაღაცას ითხოვდნენ, ოღონდ, არ ესმოდა როგორ და რა გზით მიიღებენენ ამას. ცდილობდა ერთით მეტი ხმა მაინც ყოფილიყო, მაგრამ არც ეს გამოსდიოდა. იმასაც გრძნობდა, რომ აქ ინტერესის გამო კი არ იდგა, უბრალოდ, მარტო უნდოდა ყოფნა და ხვდებოდა, რომ ბევრ ხალხში ამას უფრო იოლად შეძლებდა. დიდი ქალაქის პრინციპით, დანარჩენებში გაითქვიფებოდა, სხვისგან შეუმჩნევლად და სხვის გაუღიზიანებლად, თავისთვის იარსებებდა. სწორედ ეს იქნებოდა მისი სიმშვიდე, გაწონასწორებულობა, გარკვეული აზრით, თავისუფლებაც. თანაც, ცდილობდა გაერკვია, ერთგვაროვანი იყო თუ არა ეს შეკრული მუშტი. იქნებ, მასავით არეული და გზადაბნეული ხალხი უბრალოდ ყვიროდა, ყოველდღიური გაღიზიანებისაგან რომ დაცლილიყო?

მოულოდნელი თითქოს არაფერი იყო იმაში, ბავშვობის მეგობრებს რომ მოჰკრა თვალი. ისინიც ხომ „ყველას“ შემადგენელი ნაწილი იყვნენ. სხვა რამემ გააოცა. ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს თვითონ, მეოთხე აკლდა ამ სამ, სმენადაძაბულ ქალს და მისი ადგილი სწორედ მათთან იყო. იმდენად ძლიერი აღმოჩნდა ბავშვობიდან გამოყოლილი სითბო, რომ სუნთქვა აუჩქარდა. დავიწყებული, მაგრამ ძალიან ნაცნობი მიჯაჭვულობის ტალღა დაიძარა გულიდან, რომ ერთი წუთით შეეყოვნებინა ყელში მობჯენილი სიტყვების ნაკადი, მერე კი მსუბუქი ბიძგით მიეუვანა მათთან და სათითაოდ ეგრძნო მათი სითბო, სუნი, კანის სირბილე. მერე ლაპარაკობდა და უკვირდა: სხვა, თითქოს ბავშვობიდან გადმოყოლილი ენუტები, სიტყვები, ხმა, სიცილი. უხარდა, აღტაცებული იყო და არ მალავდა ამას. თითქოს გზადაბნეული კრავივით მიეტმასნა ისევ თავისებს და სიმშვიდე დაეუფლა. უნდოდა ეკითხა, რატომ იდგნენ აქ: უბრალოდ, ცხოვრების მოყვარეობის გამო, თუ ესმოდათ რამე. იქნებ მათ მაინც ეახსნათ, რა ხდებოდა. შეთანხმდნენ. საღამოთი შეხვდებოდნენ ერთმანეთს.

●

ფანჯარას მოშორდა და მაგიდასთან მივიდა, სიგარეტს ეძებდა. საღღაც დადო. იქნებ არც ჰქონდა? არ ახსოვდა. თითქოს აღარაფერი ახსოვდა, აღარაფერი იცოდა, აღარაფერი უნდოდა. არც აღარაფერი სტკიოდა. ცარიელი იყო, ისევ აწუხებდა სიმარტოვე და ცა, რომელიც არაბუნებრივად ლურჯი ჩანდა. ვერავის ეტყოდა ამას, ვერავის აუხსნიდა, ვერავინ გაიგებდა. იპოვა სიგარეტი, მოუკიდა და ისევ ფანჯარასთან მივიდა. შუბლი ცივ და ნოტიო მინას მიადო და ფიზიკურად იგრძნო, როგორ ირეკლავდა მისი ცარიელი, გაფართოვებული გუგები ქუჩაში მოსეირნე ქარს.

„დედა! ქუდი ჩამომიგდე!“ — დაუძახა საღღაც ვიღაცამ დედას.

„დედა, ნუ ყვირიან, ნუ ხმაურობენ...“ უნდოდა ეთხოვა დედისთვის, მაგრამ მარტო იყო, დაცლილი, დაკარგული, ბავშვობაჩამორთმეული.

●

სამი ქალი. ერთი პირქვე იწვა, ერთს სკამზე შემოეწყო ფეხები, ერთიც ქოთანში აყვავებულ იას აწიწკნიდა ფურცლებს. პირველს განიერი მხრები და ტლანქი ხელები ჰქონდა; მეორეს კოხტა ფეხები და ბავშვური სახე; მესამეს დიდი მკერდი და ხვეული თმა.

საღამოვდებოდა...

— რომ არ მოვიდეს? არა, რომ არ მოვიდეს? — ხვეულთმიანმა კიდევ ერთი ფურცელი მოაგლიჯა ყვავილს.

— რაკი თქვა, მოვა. თავს ნუ იგიჟებ და ყვავილებს თავი დაანებე. — კოხტაფეხებიანმა ყავა მოსვა. — ბავშვობიდანვე „სიტყვის ქალია“, დანებე-მეთქი ყვავილებს თავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბავშვობიდან... თითქოს იმის მერე არაფერი შეცვლილა. ხედავ, მე აქ ვგიჟდები და ის, ვითომც არაფერი!.. რა ენაღვლება?

— ისე, რა მაგის ბრალია? — განიერმხრებიანს დაბალი და სასიამოვნო ხმა ჰქონდა.

— როგორ? მგონი, საკმარისად გავიზარდეთ, რომ მორალზე ლაპარაკით აღარ დავღალოთ ერთმანეთი.

—რომ გაიცანი, მაშინაც ეგ უყვარდა შენს ქმარს. რაღას მიყვებოდი?

— უყვარდა არა... საიდან იგონებ ამდენ სისულელეს? უნდოდა და დღემდე უნდა. ამიტომაც... ზარია, მგონი მობრძანდა.

●

შევიდა თუ არა, იგრძნო, რაღაც შეცვლილიყო. უკან ვეღარ დაიხია და დანარჩენებს შეუერთდა. მერე თანდათანობით დაწყნარდა. გაუთავებლად ლაპარაკობდნენ, იცინოდნენ, იხსენებდნენ. მოდუღდა, მოეშვა, მოირღვა, მოსცლას არ ნანობდა, პირიქით, ალბათ, კიდევ და კიდევ მოვიდოდა. რამდენი დრო დაკარგა... ესენი სულ ერთად იყვნენ, ერთმანეთს ედგნენ მხარში და სხვებისაც ესმოდათ. იმათიც, ვინც გარეთ იდგა და ყვიროდა, იცოდნენ, რას ითხოვდნენ, რა უნდოდათ, საერთოდ, რა ხდებოდა. ეს თვითონ იყო გამოცარიელებული, დაცლილი, ტვინდაშრეტილი, უინტერესო, საკუთარი „მე“-ს ქექვით გატაცებული და ამიტომაც ყველასგან გარიყული. მათ კი, მათ ყველაფერი იცოდნენ. ყველაფერი აინტერესებდათ, დანარჩენებთან იდგნენ და საკუთარი მარტოობა, საკუთარი ეგოიზმი გვერდზე ჰქონდათ გადადებული. ამის დრო არ იყო. ამიტომაც ჰყავდათ მეგობრები, ჰქონდათ ოჯახები — ნამდვილი ცხოვრება.

— შენი საქმეები როგორ არის, პირადი? — მოუტრიალდა უცებ ხვეულთმიანი.

— არანაირად... თქვენი?

ხვეულთმიანმა პასუხი არ გასცა.

— ჩემი ძველებურად, — ჩაიცინა კოტაფეხებიანმა. — მე სხვასთან ვწუვარ, ჩემი ქმარი — სხვასთან. ბავშვები იზრდებიან.

არ იცოდა, რა ეთქვა. განიერმხრებიანს გაეცინა.

— შენი?

— ცუდად, აღარ შემიძლია მეტი, ვერ ვიტან. ვერც ქმარს, ვერც დედამისს... არადა, ისე ჰგვანან ერთმანეთს... პირუტყვებივით არიან. რამდენს ჭამენ, ღმერთო, რამდენს ჭამენ! მე კი, მთელი დღე ვრეცხავ, ვამზადებ, ვემსახურები და სიცოცხლე აღარ მინდა. ხანდახან გაღიზიანებას ვეღარ ვრეავ. მახინჯები! მერე რა საზიზღრად იყრიან ამ საჭმელს მუცელში... დედამისი თითებით ძიძგნის ხორცს, თვალებთან ახლოს მიაქვს, ათვალიერებს, მერე კი ტუჩების წყლაპუნით დაუღეჭავად ყლაპავს. მახსენდება თუ არა, მაკანკალებს. ის კიდევ, ის ცხოველი, ლოყებში იგროვებს საჭმელს და მერე, რომელიღაც მღრღნელივით, ჩქარ-ჩქარა, წინა კბილებით ღეჭავს და თან წყალს აყოლებს ხმაურით. დღეს დილით საუზმობდნენ, მე, რა თქმა უნდა, ჭურჭელს ვრეცხავდი. ამ დროს, ქუჩაში მანქანამ გაიხრიგინა. რკინის ნაჭრები მიჭმონდათ სადღაც. მერე ვიღაცამ ჩაიარა ჩემს ფანჯრებთან სიცილით. თითქოს არაფერი, მე კი კინაღამ აღფრიალდი: არც კი მახსოვს, როდის ვიცინოდი ასე. მერე...

— მერედა, ვინ გაძალებს, რატომ იტან ამას? — შეძრწუნდა, რამხელა სასოწარკვეთა იგრძნობოდა მეგობრის ხმაში. არ ეცოდებოდა, ეზიზღებოდა.

— პიჯაკს რომ იხდის, საყელოზე ყოველთვის ქერტლია, თუმცა ყოველ დილით ვწმენდ, — განიერმხრებიანი ეღარ ჩერდებოდა. — საკუთარი თავი მძულს რომ მასთან ვცხოვრობ. დღემდე არ ვიცი, რატომ გავყევი. მაშინაც ხომ ასეთი იყო. უბრალოდ, მეტი თმა ჰქონდა და ნაკლები ფული. თანაც, კი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევ მევე უნდა ვეპრანჭო რომ შევაცდინო...

— საქმეც მაგაშია! — გაეცინა კოტტაფეტებიანს. — სად უნდა წამოვიდეს? აკი გითხარი, ვინმე ნახე და დაწყნარდები-მეთქი. რას უფრთხილდები, რქები რომ არ დაადგა? მე როგორ ვცხოვრობ? შენი ცხოვრება უნდა გქონდეს, შენი საქმე, შენი ინტერესები. მაშინ ნაკლებად გაგაღიზიანებენ. იყოს რა, რას გიშლის?

— ვერ ხედავ, როგორ ეზიზღება? წამოვიდეს და...

— რომ ეზიზღებოდეს, მაშინ არც დაწვებოდა მასთან. დაიღალა და თავს იგიჟებს. ყველა შენსავით იოლად არ უყურებს ცხოვრებას.

— არა, მეზიზღება, მაგრამ ოჯახს მაინც ვერ დავანგრევ. მარტო არ შემიძლია. ვერ წარმომიდგენია, ყველაფერზე მე ვიფიქრო, მე ვიყიდო, მე მოვზიდო, თანაც ჩვენს დროში... მე შენ გეტყვი, შეძლებ მარტო თავის გატანას...

— შენ როგორ ახერხებ მარტო? — შეეკითხა უცებ ხვეულთმიანი.

— არ ვიცი. მიჭირს მაგრამ ვახერხებ.

— გაყრის გარეშე არ შეგეძლო მოგეგვარებინა?

— არა.

— რატომ, არ გიყვარდა? საყვარელი გყოლოდა. თუ საყვარლობა არ შეგიძლია? აი, ჩემს ქმართან დაწვებოდი?

— არა.

— რატომ, იმიტომ რომ ჩემი ქმარია?

— ისედაც. ეგ რომ მდომოდა, აქამდე, შენამდე ვიზამდი. რა გინდა?

— საქმეც მაგაშია, რომ არ ჭქენი. მაშინ იოლად გადაგიტანდა, ახლა კი, პერიოდულად ურევს და სხვასთან გარბის. შენ რომ არა, დავაბამდი. გესმის? როდემდე გინდა ამით დაიკირო?

— ამიხსენი რა, გინდა?

— ვერ გაიგე? რაკი შენ უნდიხარ, მე მტოვებს და სხვასთან, ვიღაცასთან წევს. დაწექი და მერე მოიშორე. ისევ ჩემთან მოვა.

— არ შემიძლია.

— შენ იმაზე უარესი ხარ, ვისთანაც ახლა წევს.

— მე წავედი, — წამოდგა და შეეცადა ორივე ფეზზე მყარად მდგარიყო.

— თუ ხუმრობა... ხვეულთმიანმა თვალებში შესცინა. — ეს ისე...

— მეგონა თქვენ მაინც იყავით კარგად, — თქვა და წავიდა.

●

ქარი ისევ აზაზზარებდა მორყეულ ფანჯარასთან და ამოსუნთქვა უქირდა. უეცრად იგრძნო, რომ ოთახში მარტო არ იყო. ნახევრად შემობრუნდა.

— ვინა ხართ? — ჰკითხა და თვითონვე გაუკვირდა საკუთარი სიმშვიდე. იქნებ, მთლად რეალურად ვერ აღიქვამდა, ან იქნება იმდენად იყო დაღლილი, რომ შიშის განცდის უნარიც არ ჰქონდა?

— რატომ არ გძინავთ?

— არ მეძინება. სხვის სახლში შესული კაცი...

— ქურდია, ე. ი. ქურდი ხართ?

— დიახ, — გაიცინა და თვალები მოხუჭა. — რა წავიღო?

— არ ვიცი, ნახეთ, დაათვალიერეთ.

— დიდი ხანია ფანჯარასთან დგახართ?

— არ ვიცი, ალბათ, — ქალმა ღამის პერანგზე დაიხედა.

— რას უყურებდით? — კაცი მიუახლოვდა და ფანჯრიდან გაიხედა, — ისეთი ქარია, თითქოს ტროტუარიდან თოვლს უნდა გვიდეს, არადა, აიხედავ ზემოთ და ზაფხულის ცაა... — ჩუმად თქვა კაცმა.

ქალი საიდანღაც მოსულმა გრძნობამ შეაშფოთა: რაღაც უხაროდა თითქოს.

— იქ ისევ ერთი ამბავია, — კაცმა გაურკვეველი მიმართულებით გაიშვირა ხელი. — ისევ სხედან. თქვენ რა, არ გაინტერესებთ?

— იცით, დღეს ისეთი ცუდი დღე იყო. სულ მციოდა, თან ყოველ დღე რაღაცას ვკარგავ. დღეს ჩემს ბავშვობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავეტორღიალე და დავკარგე. დიდი ნაწილი დავკარგე. ამ დროს კი, ისინი ყვირიან. ესენი, ისინი, ვიღაც მოდის, ვიღაც მიდის. ვიღაც რჩება... ხალხი ყვირის, ყვირის... მე კი არაფერი მესმის. ჩემისთანები ყოველთვის გვერდზე დგანან. მათთვის შესაფერისი დრო არასოდეს დგება. ყველა მომენტისთვის, ყველა სიტუაციისთვის ზედმეტნი არიან. თან, გამუდმებულად მეშინია. ხანდახან მეშინია, რომ აღარავინ მიყვარს, აღარავინ მახსოვს. ეს კი არა, საკუთარი სახის წარმოდგენას ვცდილობ და არ შემიძლია...

— ეს მარტივი ასახსნელია. თქვენი შინაგანი „მე“ გარეგანს არ შეესაბამება. საკუთარ წარმოდგენაში გაცილებით სხვანაირი ხართ. ვიდრე გამოიყურებით. დაწექით, თორემ გაცივდებით. ყველაფერი კარგად იქნება.

●

ყოველ ღამე მოდიოდა. ელაპარაკებოდა, ალაპარაკებდა, იხსენებდნენ... ხანდახან იქ მიჰყავდა, სადაც ხალხი იდგა და ისევ ყვიროდა, ისევ ითხოვდა თავისას. ცარიელ ქუჩებში დაბრიალებდნენ, ხშირად კოცნიდა და ყოველთვის თვითონ ხდიდა ტანთ. ქალისთვის სწორედ ეს ღამეული ცხოვრება გახდა ნამდვილი, მისაღები, ერთადერთი. დილით გაღვიძებულ ქალს მხოლოდ კაცის სუნი და მისი კეფით გამთბარი ცარიელი ბალიში ხვდებოდა. მთელი დღე დროს კლავდა ქალი. სახლში, ქუჩაში, სამსახურში — ღამეს ელოდებოდა, ღამის მოყვანას ცდილობდა.

ნახევრად ცარიელი სახლი თანდათან ივსებოდა ახალი მობინადრეებით, მეზობლებით. უამრავი ხალხი ადი-ჩადიოდა ქალის ფანჯრებთან, თუმცა მას ეს არ აინტერესებდა. ის ყოველთვის კაცს ელოდა, თავის ღამეს ელოდა.

— აბა დღეს რაღაზე ფიქრობდი? — ინტერესით ეკითხებოდა კაცი ყოველი მოსვლისას. — მიდი, მიდი, ხომ ვიცი, რომ ვერ ითმენ. — და ქალიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიანის კმაყოფილებით მიეცნენ მშვიდ და უშფოთველ ძილს.

●

რა მაწუხებს?.. ხანდახან, მე თვითონაც არ ვიცი რატომ, მძიმე და მოტკბო სუნი მივსებს ნესტოებს და სუნთქვის საშუალებას არ მაძლევს. ეს ქუჩაში მემართება. დავინახავ თუ არა ერთად შეყრილ ხალხს, ნაცნობი, შემოჩვეული სუნი მაღრჩობს. ამ სუნის ფერიც ვიცი და მძულს.

●

საკუთარი თავის მოტყუებას შევეჩვიე. განსაკუთრებულ სიამოვნებას მანიჭებს იმის შეგრძნება, რომ თავს ვებრძვი, არ ვიფიქრო. ვიღებ წიგნს, ვწვები და მოპირდაპირე კედელს ვუყურებ, თან ვფიქრობ, თანაც ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ნებისმიერ მომენტში შემიძლია შევწყვიტო ფიქრი და მსიამოვნებს. თავს ვიტყუებ, რომ ძალა შემწევს, საკუთარი თავი დავიმორჩილო.

●

ცარიელი ვარ. ცარიელი, მოსიარულე კოლოფი, რომელიც დროდადრო შიშით ივსება, მერე იცლება და საკუთარი სიმჩატით დამძიმებული, ისევ თავის წრეში ბრუნავს.

●

ეს ვარდი იმდენ ხანს ცოცხლობს და ისე ფერუცვლელად დევს ლარნაკში, რომ ხელოვნური მგონია. ესეც ხელოვნური მგონია.

●

ტელევიზორთან ვიჯექი. ერთი ლაპარაკობდა — დანარჩენი, ყველა ერთმანეთის მსგავსი, უსმენდა. ის ერთი კი — ჯანმრთელი, ღაღაჟა, ენერგიული, ზამბარაგაწყვეტილ თოჯინასავით იქნევდა ხელებს. რატომღაც [illegible]ლად დაწინწკლული მანქანის მინა გამახსენდა. მე წვიმის წვეთები მეგონა. თურმე, დიდი სისწრაფით მიმავალ მანქანას შეეთქვებული. და დახოცილი მწერები ყოფილა. ერთგან, მინის კუთხეში, წითელი ლაქა იყო — ადამიანის სისხლით გაბერილი კოღო შესკდომია და წითლად დაჭყლეტია შეშას. სწორედ ის ლაქა გამახსენა ჯანმრთელმა ორატორმა და მაშინ ვიგრძენი მოტკბო სუნი.

●

არ არსებობს გამოუვალი მდგომარეობა. არსებობს გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი, რომელიც გამოსავალს ეძებს იქ, სადაც ყველა გზა მოჭრილია, ანუ გამოსავალი არ არსებობს, თუ ბოლომდე აღიარებ, რომ გამოსავალი არ არსებობს, ეს უკვე ნიშნავს, რომ შესაძლებლობას უშვებ ყველაფერი თავიდან დაიწყო.

●

ის, რომ მე მიჭირს, ჩვეულებრივი, რიგითი გაჭირვება ყოფილა. ამიტომაც, არავის ეხება, არავის სტკივა, არავის აწუხებს. ეს ის ყოველდღიური სიახლეა, რასაც ფინჯან ყავასთან სადილის მზადებით დაღლილი ქალები უყვებიან ერთმანეთს და მერე, მშვიდად იძინებენ, რადგან სამყარო მათთვის იმ ოთხი კედლით შემოიფარგლება, ერთი ფერის ყვავილებით რომ მოუხატავთ და მათი სურნელით აკეთილშობილებენ საკუთარ ყოფას. მე კი, ამდენი ტკივილით, შინაგანი კანკალით და უკვე შეშლილი ადამიანის რეაქციებით, ძაფის გორგალივით ვიშლები ვიღაცის, თუნდაც ჩემივე ბავშვობის წინაშე, რათა შემდეგ ერთად ვიგრძნო გულის ჩაწყვეტაც, საკუთარი უბადრუკობაც, უმწეობაც და გათელილი და განადგურებული კიდევ ვცდილობდე ავხსნა ჩემივე სისუსტე. ურმის თვალზე დაკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულივით მივათრევ საკუთარ სულს და წელში ვეღარ ვიმართები. სულელ, პატარა გოგოსავით ვდგავარ და მიკვირს, რომ თურმე, უფროსებიც თამაშობენ „გაფუჭებულ ტელეფონს".

თანდათან დამშვიდდა... ახლა საკუთარ ბავშვობას იხსენებდა. უმტკივნეულოდ, ღიმილით, მსუბუქი სევდით.

— იცი, ბავშვობიდან მიყვარს, თოვლი რომ წამწამებზე მედება...

— იცი, ბავშვობიდანვე მიყვარს ფანჯარასთან დგომა და ფიფქების ყურება. ფიფქი ჩამოდის, შენ კი ისეთი გრძნობა გაქვს, თითქოს ზემოთ ადიხარ... — და დიდხანს იდგნენ ფანჯარასთან. გარეთ თოვდა, ისინი კი სულ ზემოთ და ზემოთ ადიოდნენ. კაცს ისეთი თბილი ტუჩები ჰქონდა, „როგორც მსოფლიოში ყველაზე თბილი რამე", — ასე ამბობდა ქალი.

— იცი, ქუჩაში რომ მივდიოდი და ვინმე გამვლელი დაცემინებდა, ჩემთვის ვამბობდი: „სიცოცხლე" და მიხაროდა. ეს მაშინ, პატარა რომ ვიყავი... — იცინოდა ქალი. ძალიან ბედნიერი იყო.

●

იმ დღეს კაცი განსაკუთრებით კარგ გუნებაზე მოვიდა. „შენი სული მიყვარს", უთხრა და ქალის მხარში ჩარგო თავი. „სულ თან დამყვება. არ მიყვარს უშენობა".

— მე არ შემიძლია. ასე მგონია, უცებ რომ გაქრე, მეც აღარ ვიქნები.

— იქნები.

— არ ვიქნები... — გაჯიუტდა ქალი და საშინელი ტკივილი იგრძნო გულში.

— კარგი. არ იქნები და ნუ იქნები, — გაეცინა კაცს. — ოდესმე მოგიპარავს რამე?

— კი, ყურძენი. ეზოში ვიპარავდით და ვჭამდით მკვახე ყურძენს.

— მაშინ დღეს მოიპარავ.

— არ შემიძლია.

— შეგიძლია... აი, გვერდზე ბინაში...

●

ქალი ყელში გრძნობდა საკუთარი გულის ფეთქვას. ბნელოდა. ბინაში საღებავის და წებოს სუნი იდგა. სინათლის ანთება არ შეიძლებოდა. ნელა, კედელ-კედელ, ხელის ცეცებით მიიწევდა წინ. ეშინოდა, მუხლები უკანკალებდა და ტირილი უნდოდა. იმას აკეთებდა, რაზეც არასოდეს უფიქრია, არც კი დაუშვია. ის კი არა, აქამდე ისიც კი არ გახსენებია, რას აკეთებდა კაცი მთელი დღის განმავლობაში. რატომღაც ეგონა, რომ ისიც მასავით დროს კლავდა ღამის დადგომამდე. „ქურდი" — არც კი უფიქრია ამაზე. კაცი ხომ ზუსტად ისეთი იყო, როგორიც უნდა ყოფილიყო. ქალი ხომ მის გარდა არავის სცნობდა, აღარავიზე ოცნებობდა. ახლა კი...

ჩამოხსნა თუ არა კედლიდან სურათი, სინდისის ყოველგვარი ქენჯნა გაუქრა. პირიქით, ნადავლით ხელში, მტკიცე ნაბიჯით გაბრუნდა უკან. ალბათ, გაუკვირდებოდა, ვინმეს რომ გაემტყუნებინა, რადგან ჩამოხსნა და უკვე მისი იყო... კიბის ბაქანზე მდგარი კაცი რომ დაინახა, გაეცინა. მერე სურათს დახედა და საკუთარი თავი იცნო.

●

— როგორ მინდა ვინმეს, ნებისმიერს, თუნდაც სრულიად უცხოს ვუთხრა, რომ ბედნიერი ვარ, იმდენად ბედნიერი, რომ უკვე ვეღარ ვამაგრებ ჩემში ამ გრძნობას. მითხარი, მითხარი, რომ გესმის, — ჩუმად ეჩურჩულებოდა კაცს და მის თავს მკერდში იხუტებდა.

— მესმის. ამიტომაც მე მითხარი, ყველაფერი მითხარი, კარგი?

— როგორ მინდა, ყველაფერი გითხრა... იმაზე მწყდება გული, რომ გაუცნობიერებელი შეგრძნებების გადმოცემა მიჭირს. ის კი, რაც ცნობიერში ამოტივტივდება ხოლმე, იმ გრძნობებთან შედარებით არაფერია. ამიხსენი, რატომ მომაპარინე სხვისი სახლიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთარი პორტრეტი ან საიდან გაჩნდა ეს სურათი საერთოდ?

— ნუთუ ყველაფერს ახსნა სჭირდება? პორტრეტი გაჩნდა იმიტომ, რომ მიყვარხარ. მოპარვით კი იმიტომ მოგაპარინე, რომ მეგრძნო. როგორ გიყვარვარ. შეგეშინდა?

— ძალი-ან, სანამ კედლიდან ჩამოვხსნიდი, მაგრამ ჩამოვხსენი თუ არა, უკვე ჩემი საკუთრება მეგონა. ალბათ, გამიკვირდებოდა, ვინმეს რომ სურათის უკან დაბრუნება მოეთხოვა.

— რახან მოიპარე, შენია, — გაეცინა კაცს. — მართალი ხარ.

— დიახაც, — ქალი კედლისკენ გადაბრუნდა, თავი ბალიშში ჩარგო და სიცილი დაიწყო:

— შენ ჩემი ქალი ხარ, — კაცმა ფრთხილად ჩამოუსვა ქალს ზურგზე თითი, — შენც იცი, ალბათ, კბენა, მაგრამ პატივს გცემ. საწოლში კატასავით შეგიძლია გაიზნიქო წელში, ჩემი ხელის ქვეშ იცვალო ფორმა, ცხოვრებაში კი პირდაპირ მიკბინო — თვალებში შემომხედო და ისე. შენ ზურგიდან არასოდეს მომეპარები. მიყვარხარ.

—მეც, — სადღაც, შორიდან, ალბათ, უკვე სიზმრიდან გასცა ქალმა პასუხი.

●

გამოეღვიძა. ლოყა კაცის მკლავზე ედო. მხურვალე კანი ჰქონდა და იმდენად მისი იყო, რომ ქალს შეეშინდა.

— გძინავს? — ჩაეკითხა, თუმცა იცოდა, რომ ეძინა.

— მძინავს, — მაშინვე უპასუხა კაცმა. — ცუდად ხომ არა ხარ?

— არა, იმდენად კარგად ვიყავი, რომ შემეშინდა. ვერ ვხსნი, არადა, ვგრძნობ, მეშინია.

— ეს იმ გაუცნობიერებელ გრძნობათაგანია. შენ რომ გაწუხებს?

ქალმა იგრძნო, როგორ იღიმებოდა ნახევრად მძინარე კაცი.

— არა, ეს სულ სხვაა. ეს დღეგრძენი.

— მაშ, რახან ჯერ ერთია, საშიში არ არის. თუ ბლომად შემოგესევიან, გამაღვიძე და შევუტიოთ. ახლა კი დაიძინე.

ქალმა თავი იმდენად პატარად იგრძნო, რომ მაშინვე დაემორჩილა. ზუსტად ასე ეუბნებოდა დედა: — „ახლა კი დაიძინე", — როცა ცუდ სიზმარს ნახულობდა ბავშვობაში და მასთან გარბოდა ტირილით.

●

— რომ არ წავიდე, სამსახურიდან გამაგდებენ. მთელი კვირა ვერ გნახავ, გესმის, მთელი კვირა... — ქალი თავს ცუდად გრძნობდა. იქნებ პირველად აღიქვამდა რეალური ცხოვრების შემოჭრას მათ სამყაროში და იმიტომ?

— რა თქმა უნდა, უნდა წახვიდე.

— მთელი კვირა...

— ნუ გეშინია, მალე გაივლის.

— არ გაივლის.

— ნუ გაივლის, კარგი რა...

— კარგი.

— მიყვარხარ.

— მეც. შენ ჩემს საწოლში დაიძინებ?

— არა.

— რატომ.

— იმიტომ რომ, შენს საწოლში შენთან ერთად მინდა.

— მაკოცე.

●

ცივი და გაცრეცილი დილა იყო. მენაგვეებს დღე-ღამეში დაგროვილი ნაგავი უზარმაზარი ტომრებით გაჰქონდათ და ხმაურით ცლიდნენ მანქანის აჭოთებულ ძარაზე. მაღაზიასთან ლურჯხალათიანი, წელში მოკაკული კაცი რძის ბოთლებს ტვირთავდა. აქა-იქ უკვე სინათლეები ენთო, ქალაქი ოღვიძებდა.

სკოლის მოწაფესავით მსუბუქად არ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა კიბეზე. სამი დღეც ვერ გაძლო. ჩამოვიდა და დღესვე ნახავს. შეუძლებელია არ იგრძნოს, რომ ქალი უკვე აქ არის. გასაღებს ეძებდა ხელჩანთაში. მეზობლის კარმა გაიჭრიალა. „როგორც ჩანს, ეს მეზობელიც გადმოვიდა“, — გაიფიქრა და სურათი გაახსენდა. ნახევრად ღია კარს გახედა. კარში კაცი იდგა, რძის ცარიელი ბოთლებით ხელში. დაპატარავებული და გაცრეცილი ეჩვენა. ეს „ის“ აღარ იყო.

— მე აქ ვცხოვრობ. რძეზე მივდივარ. ცოლ-შვილიც გადმოვიდა.

— ვხედავ, — მოკლედ, მაგრამ ხმამაღლა თქვა ქალმა და კიბეზე დაეშვა. ქუჩაში ნაბიჯს აუჩქარა და ამ დროს საოცარი რამ დაინახა. როგორ მოუნდა ვინმესთვის ეთქვა, გაეზიარებინა, მაგრამ კვლავ მარტო იყო.

●

ბავშვი დგას და უყურებს ჩიტს, რომელიც ეს-ესაა აფრინდება. ამ დროს, თითქოს ბავშვიც წყდება მიწას. გასაოცარი თვალები აქვს. არასოდეს, როგორც უნდა სურდეს აფრენა მოზრდილს, ასე არ იცქირება.

მოზრდილმა იცის, რომ ფრენა არ ძალუძს.

ბავშვს კი ჰგონია, რომ ყველაფერი ფრთების ბრალია.

ბედნიერია ის, ვისაც სწამს.

„დედა! ქუდი ჩამომიგდე“, — ეძახდა ვიღაცა დედას.

„დედა, გაჩუმე ეს ხალხი, ნუ ყვირის, ნუ ხმაურობს. აღარ შემიძლია მეტი, დავიღალე“, — მოუნდა ეთქვა დედისთვის და სწრაფი ნაბიჯით გაუყვა ცივ, ჭუჭყიან ქვაფენილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუჩა კვარაცხელია

მარადისობის მძებრვლობა ჯართ

1.

დაწყვეტილია ხსოვნის ძაფი,
ძუაზე ძონი აგებული
გაბნეულია.
ძაფი რომ წყდება, განა იცი,
რომელი მძივი დაეცემა
მიწას პირველად?
როცა წყალი დუღს,
გამოიცნობ, რომელი წვეთი
გაასხრებს ყველას,
აორთქლებული?
ჩვენ ორ შორის რომელი წავა
ამ ქვეყნიდან პირველი,
მეორემ რომ უყურო სოფელს,
სადაც უეცრად მზე ჩამქრალა
და უსხივო სიცივე სუფევს?
ჩემი ძოწები,
შენავლები შენი თითებით,
მარცვალ-მარცვალ იკარგებიან,
სად ქრებიან ჩემი ძოწები?..

2.

„მე იქიდანაც მეყვარები,
განიშნებ და ფხიზლად იყავი!"
გაცინებული აკაციის
მათრობელა სურნელი იქნებ
მეუბნება, რომ
გენატრება ჩემი ხელები
და ამ ხელებით
ნაჩქარევად გაშლილი სუფრა?
თითები ჩემი გელანდება?
მათი შეხება
სიტყვებზე უფრო მეტყველია
და სანუკვარი?
. . .
ჩიტი რომ ჩნდება დასანახზე,
წყალი რომ დის და
ბალახი რომ უხმოდ ბიბინებს,
წვიმა რომ მოდის,
ვარაკვლავი რომ გაახელს თვალებს,
მიქანდება გული საგულეა,
საგუშაგოზე ფხიზლად მყოფსა
და მომლოდინეს...

3.

სიხარულისთვის მიზეზი თუ არ
გვიძებნია,
მწუხარებისთვის გვიჩენდნენ მიზეზს.
ახლა ბრუნავენ მდუმარების ბლუ
დოლაბები,
დაგვიანებულს, სულაც უთქმელ
საყვედურებს ანამცეცებენ.
ჩვენივე შევირგეთ ჩვენ-ჩვენი ელდა,
უბეებში გადამალული.
შენ ახვა მხარეს ხარ...
ჩაძირული დიდ სიმშვიდეში...
და ყოველ ღამე
მესმია, როგორ მოთქვამს ვიღაცა
შენს ობლობას და სიმარტოვეს...
მე კი უფსკრულის ნაპირი ვარ,
საიდანაც მინდა გადავხტე,
რომ ერთხელ კიდევ დაგინახო
მომავალი ჩემკენ ღიმილით
და ავორთქლდე მერმე, ვით წვეთი.

4.

წარსულში შესვლა
უკანსვლით რომ შეიძლებოდეს,
წინ ნაბიჯსაც არ გადავდგამდი.
იქ დამრჩა სახლი,
მომავლისთვის რომ ვაშენებდი —
წალდის თხელ პირზე
დატეული ორთა საუფლო.
ნუ მიჯანყდებით,
თუკი ყოფნა იქ მირჩევნია
და ჩემს ფიქრებში
ვცხოვრობ უკუმიმართულებით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

5.

ძალიან ხმადაბლა,
კაცის ყური რომ ვერ გაიგონებს,
მინდა გითხრა —
არავინ არასოდეს ყოფილ
ისე ძვირფასი,
როგორც შენ,
ისე ახლობელი, როგორც შენ,
ისე ერთადერთი, როგორც შენ...
ერთადერთი — ბრბოში,
მარტოდმარტო — ბრბოში...
ერთი — ფეხით მოსიარულე
უმრავ მანქანას შორის,
დინჯად მავალი,
თავის ფიქრს რომ ულიმის
და ვერ ხედავს შუქნიშანს,
ვერ ამჩნევს, რომ ორ
უსასრულობას შორისაა
გაკრული ჯვარზე...

6.

ჩემო ძვირფასო!
განა ვარსკვლავები ხედავენ
ერთმანეთს?
განა ნიჟარებს ესმით ერთმანეთის
ხმები?
განა ხეთაგან დაფენილ ჩრდილებს
შეუძლიათ ერთმანეთს შეეხონ?
მხოლოდ სიზმარში.
არც ნივთია სადმე ქვეყანაზე,
სიყვარული რომ ერქვას.
მაშ, არარსებულის სახელია
სიყვარული?
ცარიელი სიტყვაა?
მაშინ მისი ექოც ცარიელი იქნებოდა.
ის კი, ლუდისფერ მწუხრში
თანდათან რომ დუმდება ზარი,
ისე იკლებს,
ჩუმდება,
ოღონდ ვერ ქრება,
თუ ერთ ნერვს მაინც შეუძლია იმისი
აღქმა.

7.

ვერა, ვერაფრით ვიხსენებ დროს,
როცა ჩემთვის არ არსებობდი.
ეგ როდის იყო?
იქნებ მაშინ,
პატარა რომ ვუზივარ მამას
დაძველებულ სურათში მუხლზე
და ვიცქირები აქეთ, სადაც
ჩვილის თვალები
იმავე თვალებს უნდა შეხვდნენ
დიდი ხნის მერე?
თუ მაშინ, როცა არდადეგზე —
მივხვდი უეცრად,
როგორ დამთავრდა სოფელიც და
ბავშვობაც; როგორ
ჩაინაცრა ტკაცუნა თონე,
ჩაინავლა ამოვარდნილი სურნელება
ლობიანების,
ნატეხ-ნატეხ რომ გამოგვქონდა
სახაბაზოდან,
თავქუდმოგლეჯით,
რათა თამაშს არ მოვცდენოდით —
მაშინ?
მაშინაც მწერთა გუნდებით
დალაქავებულ უძრავ ჰაერში
საცნაურლით იყავ გამჯდარი.
. . .
როდის არ მყავდი, არ მახსოვს ის
დრო.

8.

როდესაც სისხლში უძილობა
დახეტიალობს,
და თითო წამის თითო უფსკრული
სიღრმის მაცდურ ილუზიას ქმნის,
მომესმის ხოლმე იმ სიღრმიდან
დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი
ენის ბგერები —
ყრუ, ჩქამიერი,
მჟღერი, რბილი, ხაოასხმული...
ნარმომიდგება მითიური ადგილის
დედა,
ბიისფერსახა, დამჯდარი ხის ქვეშ,
უკვდავების ნაყოფს რომ ისხამს.
ბუტბუტიც სწორედ იქიდან მოდის.
სიტყვებს ვერ ვარჩევ,
მაგრამ თუნდაც ვარჩევდე, განა
იმათ აზრს ახლა ჩავწვდებოდი?
მესმის უბრალოდ, როგორც ხმები,
დავიწყებული მკვდარი ენის,
რომელზეც ალბათ რაღაც დარჩა
ამოუთქმელი
და წვალობს ვიღაც, იტანჯება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიახლოვდება ბიისფერი სახე
თვალებთან —
„ყოველი მკვლელი
თვითმკვლელია!“ —
მესმის გარკვევით
და ძილში წასულს
სიზმრის თბილი მედება ჭავლი...

9.

რა არის ეს —
ცხადი, სიზმარი თუ ძილ-ღვიძილი,
თოვლის ფიფქივით
უჩქამოდ რომ მოდის და მიდის?
ხმები ოდესღაც გარდასულთა,
შეყუჟულები ბალიშის ყურში,
დაღამებას რომ მოელიან
გაღვიძებისთვის?
. . .
მომდგარა ღამე ფანჯარასთან
შაოსანი მონაზონივით,
გაზრდილა მთვარე —
აფუებული ცომის გუნდა —
ვერ ეტევა ნახევარრკალში,
გადმოდის მშვიდად.
ცას აცახცახებს
ვარსკვლავების ცივი ციმციმი.
მეძახდა ვინმე? სადმე მიხმობდნენ?
მეწეოდნენ?
აი, აქა ვარ,
მიუსვლელსა და მოუსვლელს შორის
ხიდზე ვდგავარ, არ მეშინია.
იქაურობის, რა ხანია, არ მეშინია,
იქ ხომ შენა ხარ,
სანატრელო!
შენი იქ ყოფნით
მიმსუბუქებ აქედან წასვლას.
მე ვდგავარ ხიდზე,
ვით მძევალი მარადისობის...

10.

თუკი არავინ გატყუებს, მაგრამ
სიმართლესაც არ გეუბნება,
ურწმუნოების ხანაში მყოფი
დატოვებ ტაძარს
პატრიარქალურ მარტოობაში,
სადაც ქვავდება წვიმაც და ქარიც,
გაბლანდული ლურჯი იების
კოლონიებში,
მოყურადე მეორედ მოსვლისა
და ის სიჩუმე, რომელიც
მისდევს ფეხდაფეხ ხმაურს,
ყოვლის გამგები და შემნდობი,
მდუმარებას კლიტედ ედება.
უტყვი შეკითხვის მეტი
ძალუძთ რამე უძილო თვალებს?
ვინ შეინახავს ადამიანს,
დაიცავს მას საკუთარ თავში,
სხვა იარაღი თუ არ არის
სიკვდილის გარდა?

11.

იქ, სადაც მთავრდება არყოფნა და
ყოფნა იწყება,
ატმისფერი რიჟრაჟი შემპარავად
ფეთქავს.
იქ, სადაც მთავრდება ყოფნა და
არყოფნა იწყება,
ულტრაიისფერი მტვრის ნამცეცები
ქაოსურად მოძრაობენ სინათლის
სვეტში.
არყოფნის უსასრულო გზა
დაწყვეტილია
ყოფნის წერტილებით...
მორზეს ანბანით ჩაწერილი
კაცობრიობის ისტორია...
წამიერი გაელვებები წყვდიადში,
სადაც ყველანი ერთად ვიქნებით...
ან არ ვიქნებით არავინ...
...ქვავდებიან ტოტებზე
ჩამომსხდარი ჩიტები...
ქვები ვერ იქცევიან ჩიტებად...
ყოფნა-არყოფნის გადაძახილი...
სიკვდილისა და იმედის დიალოგით
იერიშმიტანილი გული, გრძნობა,
გონება,
ორივე მხრიდან დაცხრილული
გამჭოლი ტყვიით...

12.

წავიდეთ სხვაგან. იქ დავსახლდეთ,
სადაც მაღალი ბალახი ღელავს,
ლელვის ფოთლები სადაც სივრცეს
ზომავენ მტკავლით...
მხოლოდ დუმილი სადაც ყვავის,
არც წინაპართა მუნჯი ანდერძი
გვამუნათებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არც ხსოვნის მოჩანს ნაპირი.
წავიდეთ სხვაგან,
სხვა დღეებში, სხვა ცხოვრებაში,
რომელიც არ ცნობს ისეთ ყოფას,
ერთი რომ გვსურდა,
მეორეს კი მაინც ვიქმოდით.
(რა კრძალვა-შიშით ვმალავდით
ხოლმე სიხარულის
ჭიოტა ჭუტებს!)
წამო აქედან —
სხვა დროში, სხვაგან,
სხვანაირად ნაშენებ ტევრში
შევიდეთ თრთოლვით,
ავთვალს, ავენას საიმედოდ
მოფარებულნი...

13.

სიმღერას სძინავს ჩვენს ტუჩებზე.
თვლემს წამწამზე სინათლის სხივი.
იფესვებიან ჩვენი თმები მიწაში
უხმოდ.
აწვიმს სხეულებს,
სევდის ტყავში გამოხვეულებს.
უცხო ქარების მიმოსვლაა.
მიხტის ცაზე ფორთოხლის ბურთი,
ანაზდეულად გავარდნილი მრუდე
ხელიდან.
ერთად ნანახი კვამლიანი სიზმრის
ბურუსი
ზავდადებულთა დროშასავით
ფრიალებს კლდეზე...

14.

არც ეს საღამო დარჩება ჩვენთან,
არც დღე უთბესი.
მხოლოდ წუთები სიხარულის,
იშვიათი და კანტი-კუნტი,
გაიბწკიალებს აგერ-ეგერ
მეხსიერების ჭაში, სადაც
ღრუბლიანმა ცამ ჩაიხედა.
დღეების რიგი, უღიმღამო,
მიემატება იმ დღეებს, ჩვენი
არსებობა რომ არ ერქმევა.
წავა ცხოვრება იმდაგვარი, ჩვენ რომ
არ გვსურდა
და ამ ცხოვრებას ვერავისთან
გაასაჩივრებ.

15.

როგორ გაგექცე, თუკი უკვე
თვითონ დამტოვე.
დამშვიდობების შეისუნთქე
უსიტყვო კვნესა
და ამით უფრო მიმაჯაჭვე იმ
წყეულ წუთებს...
სამარადისოდ ჩამაასახლე
მდუმარებაში,
შენი თვალების ქუთუთოთა მიღმა
რომ დარჩა.

. . .

როგორც ნელ ცეცხლზე
გამოიწვის მაიოლიკა,
მეც ისე ვიწვი,
მოჭიქული და მოხატული
ჩემივე ცრემლით...

16.

იმ ერთი წამის ნიაღვარმა
რა წამართვა, რა წარიტაცა,
უდაბნოდქცეულ წუთისოფელს
შემატოვა რისი ამარა?
ნუთუ ვეძებდით ცხოვრებაში
მხოლოდ საფლავებს,
რომ მერე მათში უშფოთველად
მოგვეკალათა?
აჯერებს წვიმა მარტის ჰაერს,
გაზაფხულის ამძიმებს თოვლი
ჩაჭედილ სახლთა სახურავებს
ირმიც ქუჩაზე.
„შენ ვისთანა ხარ, ვისთანა ხარ,
შენ ვისთანა ხარ?“ — მეკითხებიან
და არ ვიცი, რა ვუპასუხო...

17.

ჩამოწვა ზეცა უსიამო
სიმართლესავით,
რომელსაც ვერსად ვერასოდეს
ვეღარ წაუხვალ.
მოკვდა ქალაქი.
გაუმჭვირი კედლების რკალში
ჩაიქცა მიწა...
უკაცრიელი ნეკროპოლის
სამალავები
სიცარიელეს გამოსცემენ
გაძარცულები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარკოფაგიდან ამოფრინდნენ
ფარშევანგები
და უკვდავების სასოება
ნაიღეს ფრთებით.

18.

აღდგომა უნდათ შენს ნივთებსაც —
სანთებელას, საფერფლეს, საათს,
საგულდაგულოდ ბნელ უჯრებში
გადამალულებს,
რომ თვალი უცებ არ მომიხვდეს,
დამცეცხლავია მათი ხილვა
მოულოდნელი...
შენი არყოფნის მზაფრავა ელდა
ისევ და ისევ,
თითქოს ყოველდღე და ყოველ წამს
კვლავ მიკვდებოდე...

19.

შემცირებულა სივრცე ნისლით,
რომელიც ახშობს
ხმებს, უხილავი ნაპირიდან
აჩქამებულებს.
სადღაც გრძელ გზაზე დახარჯულა
სინათლის სხივი.
გაბერწებული,
მოთქვამს თავის უნაყოფობას
სიცარიელე.
მძიმე წყვდიადით დაბორკილი
რაღაცა ფეთქავს,
ცოცხლდება თითქოს
ტყვეობიდან თავდაღწეული.
ხელები,
ჩემკენ უსაშველოდ გამოწვდილები,
წყდებიან სხეულს
და სიბნელეში მოცურავენ
კელაპტრებივით.

20.

თუკი სიზმარსაც სევდიანს ხედავს
კიპარისი,
რად უხანგრძლივებს ძილს ჰაერის
დამღლელი ქროლა?
მყუდრო კვირადღის უხმაურო
შუადღის ჩრდილებს
ლოდთა ლივლივა მხურვალება
მოუმწყვდევიათ.
გაწოვილია ქალაქი ბუღში.
არ ითარგმნება სიზმრის სევდა,
და ის სიტყვებიც,
რომელთაც ძალუძთ გამოლეჭონ
ბოლომდე გრძნობა,
არ იპოვება.
. . .
როგორი შვებით
შენ მაგივრად
შენს სამარეს ამოვავსებდი!

21.

გეძახდი, მაგრამ
ხმას ვერ განვდენდი,
ხეებზე თეთრად ყვაოდა თოვლი.
შენ მშორდებოდი,
მიგყვებოდა ცა უხარვეზო.
გელოდი, მაგრამ არსად ჩანდი.
გზა დაეწყვიტათ,
გაეხერხათ სივრცე ჩვენ შორის.
სინათლისაგან, ვით სისხლისაგან,
დაცლილი მთვარე
ნირწამხდარი იღიმებოდა.
ქრებოდა თავისმოტყუება
ტკბილნაღვლიანი.

22.

ჩვენ გვიღალატეს, საყვარელო!
დაგვღუპეს ქართა!
გამოგვაბეს ცხენის ძუაზე.
გაწირეს ჩვენი ქორწინება,
ხელდასხმული
თიხისა და ბალახის მიერ,
ნაკურთხი იით,
დალოცვილი
ტყის ჩიტთა სტვენით.
ვინ გაგვცა,
ჩვენი სამყოფელი ვინ მიასწავლა!
მიამბე, როცა გაიღვიძეს,
დაეხსნები ფესვების ხლართებს
მცენარეთა,
მიწისქვეშა წყალთა დინებებს,
ვინ გაგვიმეტა,
ისე შეუტია და შერისხა თავის ახლობელს, ახლობელმა გარეწარმა. რაღა უნდა გაეწყო ჩაქვავებულ, ხახა გამშრალ, ხელკარიელ მგოსანს, ჩივილის და სასამართლოების კარზე ყურაყუტის თავი სადა ჰქონდა.

ერთ დღეს დაღონებული მისეირნობდა ჩემი მეგობარი, მგონი ყრმობის ახლობელთან აპირებდა შეელას, ალბათ თავისი დარდი უნდოდა შეეჩიეკა.

გაზაფხულის მზიანი ამინდი იდგა. ქუჩის პირზე ჩაბწკარივებულ ვერხვის ხეებს ზენა ქარი იღლიებში უღიტინებდა და ვერხვები სიცილით იგუდებინდენ. ჩრდილები კი ხეების ქვეშ ბალ-თებივით დაძუნძულებდნენ.

მგოსანი ხიდს რომ მიუახლოვდა მათხოვარი შეამჩნია, ჯიბე მოიჩხრიკა თუ არა, უცბათ შეჩერდა.

— დეიდა ნენე, აქ რა გინდა?!. — შესძახა პოეტმა მათხოვარს და წელდაბრილი გადაეხვია.

— შვილო, შენ ხარ?! იშ, კინაღამ გული გადამიქანდა! — ხმაზე იცნო ნენემ მგოსანი.

— დეიდა ნენე, ეს რა შეგმთხვევია, რა გაგიჭირდა სამოწყალო?!

— ეჰ, ჩემო კარგო! სიბერემდე სიქაჩლეო, ჩემზე იტყვიან. ხომ გახსოვს ბენტერა სანდროი, ვისთანაც ოცდაათი წელიწადი ხასათ ვიყავი შეკედლებული, როცა ძალ-ღონე გამომელია და ჯიფის უნარი დამეკარგა სახლიდან დამითხოვა. იმ ხანათ ჩემი სიკოც გარდამეცვალა და დავრჩი ასე წყალწყალებული, ხო იცი შვილო, ღარიბ ადამიანს მკვდარი რო შემოეხვევა რა ძნელია.

— რა ღმერთი გაუწყრა სანდროს — თვალის უპე ცრემლით გაევსო პოეტს.

— ისე გაუწყრეს, უფალსა ვთხოვ, რომა ჩემის ცოდვითა სულ ხორცები იგლიჯოს, არმათ ექცეს ჩემი ამაგი!..

— როგორ ამოგრიეცხა გულიდან?

— გული სადა აქვს, შვილო, ჩემი დღე დასდგომოდეს იმის ნაწიბურსა, იმის მისხის-მისხსა, ხედავ როგორ გამომჭრა ყელი ამ სიბერის ყამსა?! — გული აუჩუყდა საწყალ დედაკაცს.

— ნუთუ არაფერი გიწილადა? — შეეკითხა მგოსანი და კანკალმა აიტანა.

— მიწილადაო? დედაშვილობას გეფიცები, ისე უსინდისოთ გამომადგო, რომ ტუჩმომხჩხვრეული სურაც კი არ გამოიმეტა. იმდენი მლანძღა და მათრია, რომ მკვდარი და ცოცხალი აღარ შემარჩინა.

— შეურცხვეს კაცობა. მაშ რითიღა არსებობ, ჩემო ნენე?

— ნახევარდღიური გამოფიტული ნაკვეთი მქქვია, ჩვენებიანთ ბეროს მესამედათ გავაბარეი და იქიდან ორი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდე კოდი ღალა შემოგვდის, მე და ჩემი შვილიშვილი ამითა ვსუნთქავთ. აქ კიდენა მოწყალებას ვთხოულობ, ამა რა. ვქნა შენ შემოგვევე? ასე ვაინაჩრობით ვატარებ დღეებს.

— სიკოს ბავშვი დარჩა?

— ხო ერთი გოგო, ჩემს ანაბარაა არის

ძართლაც ძნელია ეხლანდელ დროში ცხოვრება და ისიც უკაცო ოჯახი.

— კაცობის მადლი გაუწყრეს სანდროსა, ხედავ ხელზე როგორ დამიხვია, ღმერთო დიდებულო! შენ გაეცი სამაგიერო პასუხი — ხელების მაღლა აწევით წარმოსთქვა გამწარებულმა ნენამ.

— დამშვიდდი, დეიდა ნენე, დამშვიდდი! — აწყნარებდა პოეტი სიცოცხლედანცოლებულ მოხუცს.

— წამოდი, შვილო, ჩემი ნაჭირავები ქოხი გაჩვენო. — ნენემ მარჯვენა ხელი მიაწოდა მგოსანს, რომ ზეზე წამოდგომაში დახმარებოდა.

ცნობისმოყვარე ხალხი ნენეს და პოეტის გარშემო შეგროვილიყო.

ვერხვები კიდევ ხარხარებდნენ დაგდაწეული მზე მაღალი მთების კოშკებთან ბრდღვიალებდა.

მგოსანი და ნენე მიუახლოვდნენ ჭიშკარ მინგრეულ ეზოს. ნახევრად ბნელ ოთახში ნენემ სტუმარი შეიპატიჟა. ნენეს შვილისშვილი რაღაც ჩურებს ჭიჭყნიდა და უცხო ადამიანის გამოჩენაზე ბავშვური უხერხულობა იგრძნო, ღაწვებზე მარწყვის ფერი აუთამაშდა.

— გამარჯობა, გოგონა! — მიესალმა მგოსანი და ხელი გაუწოდა.

— გაგიმარჯოთ! ბოდიში სველი ხელები...

— არა უშავსრა... — უპასუხა მგოსანმა და გოგონას მაჯაზე სათუთად მოჭიდა ხელი.

— ამას შევხარი, ამაზე ამომდის მზე და მთვარეი, ეს გოგო მიმსუბუქებს ტანჯვასა. — მიუთითა ნენემ მგოსანს შვილისშვილზე. თან ძველი ფაჩუჩები წაიღრო, დაბალ ტახტზე მოიკალათა და ჩიჩმაგები გაიკეთა. კიდელზე ფანჯარა ნიავარებით მორთულ ჩარჩოში, ნენეს დაკარგული შვილის სურათი ეკიდა.

— დეიდა ნენე, რას ვიფიქრებდი, თუ ამ დღეში ჩაგაგდებდა ის წუნკალი, ნუთუ შებრალების ნატამალი აღარ შერჩა იმ ოხერსა! — ამოიოხრა პოეტმა და ხაღვლიანად შეათვალიერა ღარიბი ბინა.

— რაო, შებრალებაო? ჩემი ნამზიფეევი კიდობანიც კი არ დამითმო, დედისეული არახჩინი მჭონდა შემონახული, ისიც წამართვა და თავის საყვარელს გაუბოძა. ეჰ, ამ გულის კანკალს, ამ გულის ფრიალს, აბა რაღას გადავურჩები.

— რას გაწყობ, დეიდაჩემო, ბედის უკუღმართობას მაინც უნდა გაუმკლავდე. — გაამხნევა პოეტმა მათხოვარი და ცალი თვალი მინანქარივით გოგონას შეავლო, ოთახის კუთხეში რომ იდგა და დიდედოს მწველ საუბარს გაეფითრებინა, ისედაც ბადრივით ბავშვი.

— დეიდა, სიკოს ცოლი სად არის?

— ჭირში და კვნესაში, იცი, რა სირცხვილი გვაჭამა? სიკოს გვამი არც კი გაეეგბულიყო, რომ ჯერ შაუყულაანთ ფეთხუმს გადაეკიდა და მერე სადღაც გადაიკარგა. ამ გოგოს ცოდვითა არც იმას მოემართება ხელი. ხომ იცი, თუ ქალი ოჯახიდან გავარდა და გზიდან ერთი გადასცდა, ისე წავა ხელიდანა, ცხრა ყელი ბარიც რომ დაუბა, მაინც ვეღარ მოატრიალებ.

ნუთუ დედამ შვილი მიატოვა?

ყველა დედა, დედა რადაა შვილო! — უპასუხა ნენემ.

— მე ახლავე, ვეახლები, ჩემს მეგობართან შევავლი და მალე დავბრუნდები — წასვლა დააპირა მგოსანმა.

შენ იცი, ჩემო ნუგეშო, მოდი ესათუოდ მოდი, ვაი თუ ისე დავხუჭო თვალები, რომ ვეღარც კი გნახო. — მიაძახა ნენემ მიმავალ მგოსანს და ქვედა ტანის ქობოთი ცრემლმორეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალები მოიწმინდა. მერე თავის სიხარულს მიუბრუნდა.

— შვილო! სანამ ი ბაჭი დაბრუნდება სარეცხს ნოვშვი და მანდასურობა მიალაგეი.

— დიდედო! ვინ არის ეგ კაცი? — შეეკითხა გოგონა.

— ჩემს ხელშია გაზრდილი. ერთი ჯიბა გახრიკინებული ბებია ყოვდა, არ მოისვენოს იმან ამ ქვეყანაში, გამხმარ პურის ლუკმასაც კი აყვედრიდა. თუთა რა არის ისიც ძირნაყარი უნდა ეჭამა.

— მეტი ვინ ეგადაჭ — შეეკითხა გაკვირვებული გოგონა.

— არავინ, ხო იცი ადამიანი გოსჯი რომ დაიბადება, ორრემა შენა გგონია ქონება არ ეოხრა, ამ ცეცხლმოსაკიდებელსა, მაგრამა ყველაფერი ენანებოდა. დაალპადა, გააოხარებდა და თავისიანს კი ობშეპარულ ჭადის ლუკმასაც არ აოგებდა.

— რა შერჩა იმ უბედურსა? — წამოიძახა გოგონამ და ოთახის მიწურ იატაკს ცოცხი მოუსვა.

— შაკი მიწა, ოთხი ფიცარი, ისიც სამადლოთა ბაბაქაშაანთ ცხვირამ შეუკრა.

— დიდედო, ახლა რაღა გავაკეთო? ყველაფერი ნოვასუფთავე.

— წამოკოიფე გარეთ დირესთან რომ ჩინჩხვარი და ქეწეწი ყრია, ბუზარები ცეცხლი დაანთეო, გუშინდელი შეკამანდი შედგი, ნახეი, თუ ქინძი და სხვა რამ აკლია კიდეე უყავე. მერედა შენ შემოგველოს ჩემი თავი! გადადი ჯორდანაანთ კოტესთანა და ე მაგ ფულითა ორი ჩარეკი ღვინო გამოართვი, თან შეეხვეწეი, დედედაჩემმა შემოგითვალა: მინაოლოული ღვინო არ გამომიგზავნა-იქა!

— ჩვენ ხომ ამ ფულითა მატყლი უნდა გგეკეთებინა, წინდები რითიღა დაეიქსოკოთ? — შეფიქრიანდა ჰატარა ლიასანლისი.

— რას იზამ, შვილო, ეხლა სირცხვილში ნუ ჩაკოდგებთ, ხვალ ღმერთი მოგვცემს. ერთი კანძის გრეშებს რა-

გორც იქნება მოვაგროვებ, ან ბაჭეთ მივდგები, ან იქითა.

ამ საუბარში იყვნენ ნენე და თავისი ნეტარება, რომ ეზოდან ფეხის ხმა მოისმა და ოთახის კარი შემოაღო მგოსანმა თავის მეგობართან ერთად.

— დეიდა ნენე იცნობდეთ. ჩემი მეგობარია ვანო თარიშვილი.

— აჰა მშვიდობა! — მიესალმა ვანო. თან თვალი ეცა კუთხეში დაფუტურავებულ მაგიდაზე დადგმული მრგვალი ელმი სარკე. კბილმონჩხვრეული ხის სავარცელი და ჭრელი კატის მსგავსი ცხვირმოტეხილი ცარცის ყუელაბა.

— გაგიმარჯოს, შვილო! — უპასუხა ნენემ ახალ მოსულს და სათვალეების ზევიდან შეხედა ვანოს.

— ეს ცოტაოდენი ხორაგი მოგიტანე ჩემო საყვარელო დეიდა ნენე. — მოკრძალებით უთხრა მგოსანმა და ცხვრის ხორცი, ერთ გირვანქამდე აიფფასიანი ძეხვი, თონის პურები, დოშის ნაჭერი, მომცრო საღვინე გადმოპირქვავებულ ვარცლზე დაალაგა.

— უი, დამიდგეს თვალები, რათა სწუხდებოდი? მართალია გლახა და გაჭირვებული დედაკაცი ვარ, მაგრამ! — აფორიაქდა პურადი და გულუხვი ნენე.

— არა დეიდა, ამა როგორ გეკადრებათ ჩემთან ბოდიში, რა ჭირათ მინდა, თუ კი რამე მაქვავია.

— ჭირი მოგეპამოს შენმა ნენემა!

— ვანო, წეიღანაც ხომ გითხარი — მიუბრუნდა მგოსანი მეგობარს — ვინ არის ჩემი მოხუცი ნენე, სულით მდიდარი, ამან შთამინერგა პოეზიის სიყვარული, ამ წერა-კითხვის უცოდინარ ქალში ისეთი სიდიადე ელვარებდა, გეგონებოდა მისი ოცნების ჭერი ზურმუხტის თვლებით იყო მოჭედილი.

— შენი ჭირიმე! — ჩაერია ნენე — როგორ სმენათ გადაიქცეოდი ხოლმე, როცა კარგ ზღაპარს მოგიყვებოდი — ნენემ თავი ჩაღუნა, თვალები მოკუტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს ნატიფარ წარსულს ჩუმათ გახედა.

მართლაც და ბედნიერებაა, როცა შენი ცხოვრების გარიჟრაჟზე გულს შემწე მოევლინება. — ახმაურდა ვანოც და ნენეს გვერდით მიუჯდა.

— ბიჭო! აღარ გამოთქვამ ხოლმე ლექსებსა? — შეეკითხა ნენე მგოსანს.

— ხანდისხან, როცა გუნებაზე მოვდივარ. — თან ჩაიცინა პოეტმა. ამ ლაპარაკზე გოგონამ ყურები ცქვიტა, მოაგონდა ხელნაწერი რვეული, დიდედამისი სათუთათ რო ინახავდა ჭრელი სადაფით მოვარაყებულ სკივრში. გაიხსენა რვეულის ლურჯ ყდაზე წარწერა: ჩემს უანგარო მოამაგეს, დეიდა ნენეს.

— სწერს დეიდა, მაგრამ რა გამოვიდა, კი არ ამზეურებს და... — გულისწყრომით წარმოსთქვა ვანომ.

— რატომა შვილო? კარგი, კოკონა ლექსი ერთ სოფლათა ღირს, თუ რიგიანი ლექსი აღწყე, ის ხალხს როდი დაემალება, თუ არა და ერთ ისეთას დაიფრუტუნებს, რომა სირცხვილითა ყურები აგეწვება. აგერა, ი, ერთითხერთადგანა ქვახვრეელი სოლომონიც აცლის და იტყვის: ჩემი გამოთქმულიაო. სიტყვებს ენაზე აკოწიწებს, იგონებს რაღაცეებსა, ურწმენი ცხოველივით ჩმახავს, ყური რომ დაუგდო ლექსის სახსენებელი შეგძაგდება. აბა რა იქნება შვილო, სული არ უდგია, ქვევრივით რასაც ჩასძახებ იმას ამოიძახებს ხოლმე.

— მართალია, მართალი! — გაიცინა ვანომ. მგოსანს მოაგონდა ერთი ლიტერატურის ისტორიკოსი, რომელიც ამტკიცებდა: პოეზია რომ შეიცნო, დიდად განთლებული პიროვნება უნდა იყვე, ეს კი ის კაცი იყო მარინეტს ფეხებში რომ ებღაუჭებოდა.

ნენეს ლოყებატკუცული შვილიშვილი ანთებულ ბუხარს დაფუსფუსებდა.

ჭაისის ბინდი ჩიტების ჟრიამულით რჩავდა მთელ არემარეს. გოგონამ ნენეს რაღაც მიაწოდა, ნენე შეფაფუნა ხიალდა.

— განა არა, ამას წინად მოვისაკლისე, აი შვილო, შენი ყმობის ხანზე შეთხზული ლექსებსა, როგორ განძიგით ვინახავ! — ნენემ გაცრეცილი რვეული მიაწოდა მგოსანს.

— მადლობთ ჩემო ნენე! — მგოსანმა თავის ძველ ლექსებს ჩახედა და გულმა ფართხალი დაუწყო.

— ნება მომეცით, მე წაგიკითხოთ — წაეპოტინა რვეულს თავაზიანი ვანო.

მგოსანი ჭერშედგმულ ბოძს მიეყრდნო, გოგონა სმენად გადაიქცა. ვანომ ფურცლავდა ნესტისაგან ჩაყვითლებულ ფურცლებს. ნენე კალთაში ხელებდაკრეფილი მისცეროდა სტუმრებს. ვანომ „ჩემი სოფელი“ ამოირჩია.

I

გავხედავ ხვირთქლანარევ ორღობეს,
საღამოს მწუხრში ჩახვეულ ლანდებს,
მთის წვეროებთან მიხვეტილ ღრუბლებს,
და ხიდის ყურზედ ჯარმაგ ნაღბანდებს.

ტოტის დაწყვეტა, ტანა ნარეკი,
როცა ვიგონებ ფთფთთი მჭვალავს,
როგორც თვისტომი ისე ვუყვარდი
გვრატების ფრთებით მოჭედილ ჭალას.

როგორ მინდოდა იქ მომკვდარიყავ,
დურდღლო სიცოცხლე კი წყალს წაეღო,
ქვებივით დამრჩნენ გულისსაყარზედ,
ჭადრების ჩრდილი, კაკლების წენგო.

უძრავი ტახტი, წალო, ხანდუკი,
ფერისცვალობა, საფლავზედ ხილი,
ამბრიანთ ოჩას დუქნის დედუკი,
და გალავანთან ჭრაქებით ლხინი.

პირველი თრთოლა, როგორც შარბათი,
ეტიდან-ეტში იების გუბე,
ღილთ თვეის ქვეშ სველი ბარათი:
რათ მწუხრი ლექსებს, რათ დაღდუპე!

აქ ბარბარუკა, იქ ნიშა-ნიშა,
კვერნაკის ეკე — რეხი მინდორი.
მთვაზე ზოზინი ჭრელი ნახირის,
მდინარის გალმა ვეება ქორი.

ჩიტების როკვა, ბოკონ საბძელთან,
მკათთვის ფუნჯით ნახატი ზღვები,
ხან ბუს ჩხრიალზე ღამე ნაძვებთან
ცალინაოლის შუქის ზვეთები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭოტის ჯოჯოლა ჩვენ ცაცხვის თავზე,
ჭრაჭის ციფი, საქონლის ფშვინვა,
ერძით გასვრილი ჯამი თაროზე
და ძველი სახელი წისქვილის წინა.

წარსულს! ჩამოვრჩი, წარსულის ფერფლი,
მტკვარი გიზებით სადღე გამრიყავს.
როგორ მიყვარდა ჩემი სოფელი,
როგორ მიმდოდა იქ მოვკვდარიყავ.

— შენი ცოდო ზიდოს შენმა ავად
მახსენებელმა, რათა შვილო, — სიტყვაში გამოიპირა მოხუცმა ქალმა — კი არ უნდა მომკვდარიყავი, შენს სოფელში უნდა გიხარა. — უსაყვედურა ნენემ.

ვანო განაგრძობდა ლექსების კითხვას:

ვიღაცა მგზავრი ხეზე დამსხდარ ლექსებს
უყმშეულ,
ამიწოკავს: ბოეზიას ხეპრე, რეგვენი,
ბაღში ფოთლები გასცვენიდებათ ხნიერ
ალუჩებს,
დაიკოკანება ელამ ძეგლზე კვერნაკის
გაელი.

ღვინით გალეშილს: ოოსკიპები ღრეჭით
ჩამფლეავენ.
არღნის კივილზე მიიწვევენ ავვაროზ
ყაცებს,
დუქანში მოვდელი გადაისვრის გაქონილ
ფსალმუნს
და ჩემ სტრათთან ასკილივით
წაიბარბაცებს.

ნენეს რაღაც არ მოეწონა. ვანომ რვეული გადაფურცლა.

შემოხვალ ჩემთან, დაჯდები ჩუმად,
გამოსულდებათ სიძღერა ყურებს,
აფრინდებიან ღანღები ჯგუფად,
და შენ რაღაცას მისაყვედურებ.

თვალებს მიაპყრობ ბნელ სიფმაწვალეს,
ეხლაც კედელზე რო ილვინთება,
კლდე შეიბუდებს გველის წიწილებს,
და სკელ ღრუბლების ქვეშ გათენება.

— რა უკმეხი გათენებაა. — ჩაილაპარაკა ვანომ თავისთვის. გოგონამ მგოსანს გადახედა.

გაუხარელი ღღეები არის,
გაუხარელი ამინდები სდგას,
ბავშვი იბოლო, ოოთ საწყალი,
გუშინ კარდაკარ ეძებდა დედას.

ქუჩებში ჭოჭი, ფანჯრებზე ყინვლლი,
ზევით ღრუბელი, ძირს ნოემბერი,
ხეებს სიყვითლე, შარა დალილილი,
მონასტრის ზღურბლთან შეშლილი ბერი.

გაუხარელი ამინდებია,
წვიმები ბუხარს ედგე აკრობენ,
წისქვილთან ბეერი საფქვავებია
და სოფლად ჩუმად ლაპარაკობენ.

ნენემ გაიღიმა. ვანომ რატომღაც ფანჯრიდან გარეთ გაიხედა. მგოსანი იგონებდა შემოდგომის ამინდებში წვიმის წვეთებივით მომწყალარ სტრიქონებს:

ხელების სითბო და გულის ცემა,
ძმაო რამდენი გმონდა სათქმელი,
ნეტა, სად გაჰქრა ის აღტაცება,
ანდა ვინ გვეძებს გარეთ სანთელით?

რა წყალს მივეცე, როგორ მარტო ვარ,
რა უგვანო სიცოცხლე გრილი,
იმ დღეს ღვინის ფულს ვთხოვდი
მათხოვარს,
და ვუკითხავდი ლექსებს ტირილით.

— ქვეყნიერება არ უნდა გადაიკიდო, არა! — უმართებულოდ შეედავა ვანო მგოსანს.

— გუნდრუკი უნდა უკმეო, არა? — ნაწყენი კილოთი შეეკითხა მგოსანი.

ნენე და გოგონა სდუმდნენ. ვანომ „ნაფოტები“ წამოიწყო.

დე ყველაფერი წყალმა წაიღოს,
ჩვენ ბედი მაინც არ გვიღებნია,
რამდენჯერ ქარში ქარს გაგაოლილვართ
რამდენჯერ ჩუმად ჩაგვეინებია.

ფხიზლობ, დადიხარ, ძილში ირწევი,
ეკვირობ ეგ ცეცხლი სად დაგეტია,
რამდენი კაციც სცხოვრობს: ბიწაზე,
ქვეყნად იმდენი საგიეთია.

ჭოტი დასკინის ბნელ არეშარეს,
მწყრის: ქვითქვითია, ბიბინი ყანის,
გაუსხვეპავი ღამეა გარეთ
და პოეტების ნანირი ბღავის.

დიდხანს ასდევდი ულრან აღმართიებს,
გჯეროდა დედა და ბედისწერა.
არ მოგეწონა რო შეხედი ღმერთებს
და გაუხვიე სივრცეებს ცერად.

დაბურულ ტყიდან ისმოდა დრტვინვა,
მთვარე ზეკისკენ ისე ელამდა,
თითქოს ზედ ქრისტეს მიესხა ტკინი
და ღვთისმშობელი შეეშა ცალადა.

ღამემ კოპები შეიკრა. ნენეს ბინაში პაწაწინა სანათი აანაუტეს. სათნო ნენე თავსა ქინდრაგდა, რული ერეოდა. ნენემ შეაყვარა ყრმა მგოსანს დაფიქრება არსებობაზე, ჩაშტერება წარმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალობის უძირო ჭაში, თვალუწვდენი ფიქრების ბნელ ღამეებში დამორჩილება. ნენემ თავისი გაცისკროვნებული ზღაპრებით პოეტი ზვარაკავით მიიყვანა პირდაღებულ გამოქვაბულთან, სადაც უკუნეთიდან გადმოფრენილი ფრინველები ბუდობდნენ, სადაც ქარების ბღავილში პოეტების ნახირი უსტვენდა.

რატომ არ უშველა მგოსანს აკენის თაღზე დაკიდულმა შანამ, რა იქნებოდა, რომ ნენეს თვალი არ ეცა?

რა ვუყოთ, თუ იდუმალმა ნენემ დაქვრივების ყამს სკვოთების მანდილოსანივით არ ისკუპა გაგიზგიზებულ ცეცხლში, არ შეეწირა თავის მიცვალებულ მეუღლეს და ხასათ დაუჯდა ვიღაც შერეკილს.

ქალაქის შუშაბანდებიდან და ფანჯრებიდან წვრილ-წვრილად გამოპრილი სინათლე შუაღამეს ქინძისთავებივით თმებში გაერჩო.

ნენეს ბინიდან სტუმრები წასულიყვნენ. ნიბლია გოგონასაც ჩასძინებოდა და მის უმანკო სახეზე, ხელის მტევნებზე ციმციმებდნენ ციცინათელას შუქის წვეთები.

მტკვრის გასწვრივ ვეება ჭალა შრიალებდა რომ სისხამ დილით გვრიტების ფრთებით ცის ღაღანა კამარებში შეფრენილიყო.

სოფლის ოროლბეებში ხნიერი კაკლის ხეები შეხროვილიყვნენ და მოდიდებულ ბუყბუყა რუში ჩაყრილ საკუთარ ჩრდილებს ეყაყანებოდნენ.

სადღაც, რომელიღაც ადამიანი ჩუმად კითხულობდა ბედის საყვედურს: რად მწერდი ლეკსებს, რად დაიღუპე?!

ალიონის მორევი

ღამე შეკრთა, შეკრთნენ ადამიანებიც

სამი ამბანაგი ძველი ქვიშკირის სახლს მიადგა. დერეფნის კარი ფრთხილად დააკაკუნეს. შიგნიდან ნაჩქარევი ფეხის ხმა მოისმა.

— აა!.. მობრძანდით ყმაწვილებო! მობრძანდით! — გახარებული ბუტბუტებს სტუმრებს შუახნის დედაკაცი.

— ქალბატონო ბარბარე, როგორ გიკითხოთ? — მეესალმა გრენადერის პოლკის ყოფილი ოფიცერი.

— მადლობი ჩემო ლევან, მტერს თვალებს ვუბრმავებ და მოკეთეს გულს ვუხარებ. — ჩაიკუჭკუჭა მასპინძელმა, თან მოსულებს წინ გაუძღვა და სასტუმრო დარბაზში შეიპატიჟა, სადაც ფარშავანგის გვირგვინივით მოვარაყებულ ჭერზე მუცლიანი ლამფა ენთო ბროლის ჩარდახით.

— ჩემო ბარბარე, იცნობდეთ ბრწყინვალე თავადიშვილებს! — თავმომწონეთ მიმართა ლევანმა.

ბარბარემ გალაქული ქათინაურით ხელი ჩამოართვა შავთვალ-წარბა გაიოზს და ნაძალადევად მოღიმარე პოეტს.

მასპინძელი საზეიმოდ გამოპრანჭულიყო: მაღალ ტანზე ნარინჯისფერი ზედატანი ამოქარგული ღიღილოებით აეკრულებინა, ოეთრი ირმაით შემოვლებულ საყელოს შიგნით, ოდნავ გახსნილ ნაოკებიან მკერდზე, წვრილი ძეწკვი უჩანდა პაწაწინა ოქროს საათით; აბრეშუმშემოვლებული კაბის ბოლო ყვითლად გაკრიალებულ წვეტიან ფეხსაცმელებს სცემდა. შეევრცხლილი თმები სტაფილოს დარად შეეღება, ფერუმარუულწაყრილ სახის ღარებში ნარინაირი საღებავები ჩამოჰკდომოდა. მუქი თვალების სისველე ისე დაშრეტოდა, გეგონებოდათ ცხენის წაბლი ჩამოუჭედიათ ქუთუთოებშიო. წამწამებზე ყურჩის ფერი რაღაც წაეფლისა, მოშუშხული ტუჩები განუწყვეტლივ ეხსნებოდა. დახრული კბილები ტყვიის კორპებით ჰქონდა გამოჭედილი. ბარბარეს არაბუნებრივი კისკისი და გადაჭარბებული მიხვრა-მოხვრა, მის გატიალებულ წარსულს ამყოლვნებდა.

გაიოზს და პოეტს ცალფა ნარდის თამაში გაებათ. საწოლ ოთახში ლევანი ბარბარეს ეჩურჩულებოდა:

— როდის მოვლენ, ხომ არ დაიგვიანებენ?

— გუშინდელს აქეთია კარგი გზირივით ქალაქში ვარ გაკრული — პასუხობდა ტუჩზე ნახევრად ხელმიფარებული ბარბარე — ანიკო დავიბარე, შენი ცუგრუმელა ანიკო, იმას ვენაცვალე, ფსიტივით რომ შეხტება ხოლმე, დამპირდა: ამაღამ გამოუვლის ციურის...

— მერე, მესამე? — ვეღარ მოითმინა სულსწრაფმა ლევანმა.

— ნუ დარდობ, ეგეც მოვჩარხე — ჩაიცინა შუამავალმა და ლევანს მხარზე ხელის დაკვრით მიესაყვარლა — ანიკოს ვიღაც ნაცნობი ქალი შეუგულია, ისეთი უტურფესი, რომ მეტი აღარ შეიძლება.

— ვაი თუ იუცხოვოს აქაურობა — შეტორტმანდა ბოთი ლევანი.

— რაო?! — ხელები გაატტანა გადაჯიშებულმა ბარბარემ — ორი ჰიქა შამპანური და როგორც გინდა ისე დავატრიალებ, ნაბე თუ არ ჩაგიგორდებათ.

— თქვენ იცით ჩემი ბარბარე, ოღონდ ამ ყმაწვილებთან თავი არ მომჭარა, არ გაგვაცურო და რა ვიცი, ფეხქვეშ გაგეშლება; ხუმრობა ხომ არ არის, ასეთ თანამდებობის პირებთან და შეძლებულ ხალხთან სიცურე; თქვენს ჭერქვეშ პირველად არიან და ისეთი დრო უნდა გავატარებინოთ, რომ საშვილიშვილოთ დაახსომდეთ. თქვენებურად ასიამოვნეთ და იცოდეთ ყელამდე ფულში ჩაგსვამენ — დაახეთქა ლევანმა ტყუილი. მაგრამ გამოცდილ და ათას „გრანდ-ოტელებში“ ნათრევ ზღმურდლიან ბარბარეს, ადამიანის ზრახვებს ხელად რომ მოფიცხავდა ხოლმე, როდი გამოეპარა პოეტის გახუნებული ხალათი, გადაქერცლილი ქუდი, წეღან რომ ჩამოართვა და სადღაც მიმალა, სპირე დახეთქილი ფეხსაცმელი... თუმცა უამრავ ადამიანებთან შეხვედრით გაწურთნილი დიასახლისი, ამას როდი დაგიდევდა, ოღონდ სასუსნავი ეშოვნა, რამე ყრილიყო და დასაქცევი „ხელის ჭუჭყი“ დოზეგის ქვეშ ამოედო.

გადაგვარებულ და ჭკუათხელ ლევანს კი სჯეროდა, რომ ბარბარეს ბოსტნის ხოჭოს სირაქლემად მოაჩვენებდა.

ერთი წლის წინათ თავაწყვეტილ ლევანს ავხორცობის დანაშაულზე წასწერეს და რუსეთის პატარა ქალაქიდან ცხვირამონაყული იფრინეს, ცოტას გასწყდა გამხმარი თავი იქ არ დატოვა და ფეხები ციხეში არ გაჭყო. თავდაძვრენილი თბილისში რომ ჩამოვიდა, მახლობლებში ხმა გაავ

: „ჩრდილოეთის ცივი ჰაეა ვერ ავიტანე და ექიმების რჩევით სამხრეთში გამოვსწიე“. — მე შენ გითხრა, სირცხვილით პირი დაეწვებოდა, ანდა სახის ფერი შეეცვლებოდა.

უცოლშვილო და უბინადარო, ხეპრე და გაუთლელი ლევანი დღედაღამ უპრაგონოთ დაეხეტებოდა. უწესრიგობა, ყალთაბანდობა, აყალმაყალი, გაუთავებელი ღრეობა. ალიაქოთი იმის განუყრელი ფიქრები იყვნენ. ქუჩაში სრულიად უსაბაბოდ ვიღაც უცნობს დაეძგერებოდა, დაეტაკებოდა, ჩხუბს აუტეხდა. თუ სადმე ეშხიანი ქალი მოეწონებოდა ბედის საცდელად მწვევრივით ბარბარეს დაუქსევდა, ანდა შორიდან მიუჩენდა.

ლევანი მგოსანს ბავშვობიდან იცნობდა, ერთიმეორეს დიდი ამყოლები როდი იყვნენ, მაგრამ გადეყრებოდა თუ არა პოეტს, უსათუოდ სადმე დაითრევდა, ზედ გადაჰყვებოდა, გადაეგებოდა. საკვირველება ის იყო, რომ სამსახურიდან გამოგდებულ, საქმეში წელმოწყვეტილ ოფიცერს ჯიბის ბარაქა არასდეს არ ელეოდა. სად ქაფავდა ამდენ ფულს!, არავინ არ იცოდა.

დიდი ხანი როდი იყო გასული, რაც ლევანი გაიოზს საბილიარდოში დაუახლოვდა — სულმა სული იცნო. განუყრელი დოსტები გახდნენ. ერთი მეორის ტყავს არ დახევდნენ.

თავქარიანი გაიოზი გამრჯე აზნაურიშვილის ჩამომავალი გახლდათ, ნია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგ ლაზღანდარა და უკუდო ამპარტავანი. მამისეული ქონება აზარტულ თამაშში და ფარდებგაფარებულ სასტუმროების სახელგატეხილ ქალებთან დაახურდავა. ბოლოს თვალწარმტაცი მდედე შეირთო და თითქოს ლაგამი ამოსდო თავის ოფოფებს, ბინძურ ჩვეულებებს...

გაიოზი, მარტო თავის მშვენიერ მეუღლეს კი არ ათაყვანებდა, მდადეს მდიდარ მზითევსაც დახაროდა. გაფთქვინებული ხარივით აბრიალებდა შავგვრემან თვალებს.

ვინ იცის, როცა მოკრძალებული გაიოზი ცოლის ავლადიდებას მოიმკიდა, გული გაუმაძღარ სტომაქში ჩავარდნოდა და ქინმოკლული ვაჟბატონი გააშრებულ მხეცად გადაქცეულიყო.

არ არის მართალი, თითქოს ოჯახს ანგრევდეს სიღარიბე. კერას აცამტვერებენ უსარგებლო, ბილწი ადამიანები, ტვინი მუხლებქვეშად რომ ჰკიდიათ. რამდენ ბინადარს ქონება თავს გადაუდის, მაგრამ მთელ თავის სიცოცხლეს ჩხუბში და ლანძღვა-გინებაში ატარებს.

გაიოზის დაქვრივებული დედა სოფლად სცხოვრობდა, ჩავარდნილი და ჩამქრალი კერა მოღაავებულ ნაცარს ჰგავდა. საწყალმა დედაკაცმა ადარ იცოდა საიდან შემოევლო, საიდან რა გაეწყო.

ისე დაილეოდა წელიწადი, რომ გაიოზი ერთხელ არ მიაკითხავდა დედას. რა ახსოდა ულირსი ვაჟიშვილისგან გატანჯულ მოხუცს? მხოლოდ ცივი წერილები: „დედა! ფული გამომიგზავნე, თორემ ლამის არის წყალში გადავვარდე!“ არც მოფერება, არც სიყვარული მშობლისადმი...

გულგახეთქილი დედა, ხან აქეთ ეცოდოდა, ხან იქით; უკანასკნელ ლუკმას პირიდან იღებდა, მეზობლებს თითო მანეთს დაესესხებოდა, მარანში თუ ცოტაოდენი ღვინო ედგა ჩალის ფასად გაუბოძებდა ჯერიანთ მედუქნეს, ხომ მოგეხსენებათ გაჭირვებულ ადამიანს ყველა ფეხს აჭერს. უბედური დედაბერი ვაი-ვაგლახით შეგროვილ რამდენიმე ათეულ მანეთს კაცის ეშინოდა აწოდებდა გაიოზს, თან სწერდა: „მომხედე, შვილო! უშენობას ვეღარ ველევი. ჩამოდი, შენ შემოგველე, მოეპატრონე შენს კარ-მიდამოს. ამაზე მეტი ალარ შემიძლიან. თვალები ჩამიწყალდა, ჯანი ალარ მემორჩილება, წელში გადავწყდი, თავის მაღლა აწევა მიჭირს. მოეშველე შენს დავრდომილ დედას!..“

გაიოზი წაიკითხავდა გაძეძავებულ დედის წერილს და თქვენც არ მომიკვდეთ, წარბი არ შეეხრებოდა. მეორე დღეს, ჩიტრერეკია აზნაურიშვილი ჯიბეზე ხელს გაიკრავდა და დედის გამოგზავნილ თუმნიანებს ლოყებგამობერილ მეზურნეებთან აფრიალებდა. ანდა რაში ენაღვლებოდა. გარეგნობით ახოვან და მხარბეჭზე ნაბადწამოგდებულ გაიოზს დიდებულათ შვენოდა შვინდისფერი ლეკური ჩოხა, სპილოს ძვლის შეეერცხლილი მასრები, შავი ხუჭუჭა ბუხრის ფაფახი და ფეხზე გამოწკეპილი წყიები. თუმცა ამის ზეიადი და განდგაგან სიარული თვალს ეხამუშებოდა.

იქ კი, სოფლად, გაუტანელ გაიოზის მშობელს ახლობლები ანუგეშებდნენ:

— ცოტა მოითმინე, შენი ალვის ხესავით ვაჟი ხმაველას დაამთავრებს და განათლებული კაცი ჩამოგიგზავნ.

— ნეტა, თუ მოვესწრები, რომ ჩემმა გაიოზმა, თავისი ხელით მიმაბაროს მიწას... — პასუხობდა გულმოკლული დედა.

ბარბარეს ბინაზე საზეიმო განწყობილება სუფევდა.

ლევანი მწვანე მაუდით გადაკრულ სავარძლის ზურგს მიყრდნობოდა, ფეხი-ფეხზე შემოეწყო და ბოზარდიანაცის საუკეთესო პაპიროსს აბოლებდა.

გარეთ მკათათვის ღამე ჩამოწოლილიყო და მენჯი კაცივით მოკიაფე ვარსკვლავებს შესცქეროდა. ქედების იქით რაღაც შუქი იბრეშოდა, მგონი მთვარე თვალხუჭუნას ეთამაშებოდა ღვთისოს, მახარეს და კმარას, ბოლოს სამ გორაკად რომ გადაიქცნენ, სამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვე სამგორელი მწყემსები იყვნენ. ღვთისოს და მახარეს უყვარდათ ცქრიალა ქმარა.

დადგა ქალი შუაში, მიჯნურობით ცეცხლმოკიდებულმა ჯაბუკებმა სატრფოს მხარმარჯვნივ და მხარმარცხნივ თანასწორი მანძილები გადაზომეს და დადგნენ. ქმარამ მანდილით ანიშნა, მწყემსები დაიძრნენ, კი არ მორბოდნენ, მოფრინავდნენ. ქალი მახარესკენ გადაიხარა, ღვთისომ შეამჩნია და შეღაღადა უფალს.

— ღმერთო ძლიერო, შენ იყავ მოწმე ჩვენი პირობისა. რაკი მღალატობენ, ნურც მე დამრჩება ნურც იმის ეს ვერაგი ქალი. დეე, სამივე ალაგობრივ გორებად ვიქცეთ!

ღვთისოს ვედრება აუსრულდა და სამივენი ბორცვებად იქცნენ.

მართლაც, შუალა გორა ზემოსთან უფრო ახლოა, ეს ქმარა უახლოდება საყვარელ მახარეს და გაურბის სულგამწარებულ ღვთისოს.

ეს თქმულება საქართველოს მადლიან მიწაზე აღმოცენდა. თუ არა გჯერათ, ჰკითხეთ „ქოჩორას“, ჰკითხეთ „წამლიანს“, ჰკითხეთ ვაზიანს, ლოჭინს, ქარისებს.

— კამათლებო, დუშაში! — იჭეჭებოდა გაიოზი.

— აბა, ერთი ფანჯი დუ! — გაცხარებული მგოსანი მარჯვენა ხელის მუჭაში იაგნებს ათამაშებდა.

— ხომ არ მოიწყინეთ თავადიშვილებო? — თავაზიანად მიმართა მეტიჩარა ბარბარემ წელდახრილ მოთამაშეებს.

— რას ბრძანებთ, პირიქით. — უპასუხა გაიოზმა.

— როგორ გეკადრებათ ქალბატონო, ცოტა ოინებმა შემაწუხეს — შესჩივლა პოეტმა.

— ღმერთო, რა ხუმარა ყოფილხარ! — ბარბარემ ყასიდად ჩაიკისკისა, თან დიდის ამბით მეორე ოთახში შეირბინა და გამოფიტულ გულ-მკერდზე სურნელოვანი წყლები დაისხურა.

იქ კი, დარდიმანდ გაიოზის ბინაზე სიჩუმე სუფევდა, კაკლის ხის მაგიერ ჩარჩოში ჩასმულ სარკის წინ, ლამაზი მდადე პირიმზეობდა. თავის განაბულ თვალებს მისცეცებდა. ის ვიღაც ამფსონს ელოდებოდა. იქვე მომცრო მაგიდაზე გაიოზის ღია ბარათი ეგდო დამახინჯებული ქართული ასოებით ნაჯღაბნი:

„...არ იდარდო, ჩემო გულისთქმავ! გადაუდებელ საქმეზე მივიჩქარი, ხვალ კვირა საღამოს თუ არა, ორშაბათ დილას შენთან ვიქნები!...“

მდადემ როცა ეს წერილი წაიკითხა, ჩაეცინა და ქმრის ნაჩუქარი ჯვრისწერის ბეჭედი ზედ რომ აყიყის თვალი კიაფობდა, ხავერდის ბალიშზე დაადგრა. ფუნთუშა მდადე ერთობოდა. ქალაქის მივარდნილ უბნებიდან ძაღლების კანტი-კუნტი ყეფა ისმოდა.

— რათ იგვიანებენ? — შეეკითხა აუქშიე ლევანი ტინგიცა ბარბარეს და დასაძინებელ ოთახში დაკეცილი თეჯირი შეიტანა.

— აბა რა ვიცი, ლამის არის ჩემი დამემართოს. — უპასუხა შიშდარეულმა მასპინძელმა, თან თვალი შეავლო თავის ქალიშვილობის სუფთას, კედელზე რომ ეკიდა შუაზე გაპრილ საზამთროს ნახატივით.

მტერ-მოყვარე ღამემ ფანჯრებში ეზოდან შემოიხედა, ჯადის შუქს თვალი ჩაუკრა და უკან რომ უნდა გატრიალებულიყო, ფშატის ხეზე წაიფორთხილა. ნიავმა ჩათვლემილ ხეებს ჩამოუქროლა, ზოგს ფეხი გამოსდო, ზოგს ტოტებში წაებღლაძენა, ახმაურებულნი ტირიფები, აჩაჩხანდნენ ჭანდრები, აშრიალდნენ მაგნოლიები.

ეტლში შებმულ ცხენების თქარათქარი მოისმა. ყურმიდებულნი ბარბარემ ისიც შეამჩნია, რომ ეტლი იმის სახლის წინ გაჩერდა.

— მოვიდნენ, მოვიდნენ! — დაფაცურდა ფეხმოცვეთილი ბარბარე და კარებს ეცა.

ზედიზედ დამარცხებით გაბერილი პოეტი და გამარჯვებული გაიოზი ზეზე წამოდგნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბგეშეელა, გათენებამდე ქუდი ჰერში ვისროლოთ! — წამოიძახა ლევანმა და მოსულების მისაგებებლად გავარდა.

— სადა ხართ, ამდენი ხანი? არა გრცხვენიათ? — ინჯღრეოდა დერეფანში ბაჩლუტელ ბარბარეს ხმა.

— ხომ იცი, სანამ ციური გამოეწყობა ხუთი პატარძალი მოიკაზმება, ჩვენც ამისმა ლოდინმა გადაგვიყოლა. — ებოდიშებოდა დამხდურებს თოხლო ლოყებიანი ანიკო ლევანის ხარხარში.

— რახან თქვენ ნახვას ვეღირსე!... წამობრძანდით თქვენ შემოგვევლეთ, თავადები არ მომიწყინოთ — ჩაუცარ ნაადრევად გრძნობებდაბერტყილმა ბარბარემ.

— მერე და როგორი რჩეული თავადიშვილები — ბანი მისცა ლევანმა.

სიხარულით აცმუკებულმა სახლის პატრონმა განათებულ დარბაზში შემოიყვანა სამი მორთული ქალი.

— აქ რა გინდა?! — შეესვეარა გაიოზმა ანიკოს გვერდით ფერწასულ ქალს.

თვალი ვერცკი შეასწრეს ჩახმახის გამოშლას, რომ... დაიგრიალა რევოლვერის გავარდნილმა ტყვიამ და გულწასულ მდადეს შუბლი შეუნგრია. ცხელმა ტვინმა ზევით ამოსახა და განგმირულის შედეგებულ სისხლს დაერია.

ტყვიის კვამლის ზოლმა ლამფის ბროლის ჩარდახს მიატანა. ანიკო და ციური, თითქოს მიწამ ჩაყლაპა, სადღაც გაქრნენ, გაუჩინარდნენ. ბუში ბარბარე გარედან წიოკობდა, თავს ხან ფეტეროს ხის ღობეს ახლიდა, ხან ძელქვას, ხან ჭიშკარს. მართლაც რომ განსაცდელში თავდაყირა ჩავარდნილ წუნკალი დიაცის ყვლი ბოლავდა.

მეზობლების ჩოჩქოლი იდგა.

გონებადაკარგული პოეტი მომაკვდავ მდადეს ტახტზე ასვენებდა. სისხლის თქრიალი ნელ-ნელ სწყდებოდა. მაჯისცემა ეცემოდა. ვნებიანობის უცაბედი მსხვერპლი სამარადჟამოთ ხუჭავდა ორიოდე წუთის წინათ აღგზნებულ თვალებს.

დამთხვეული ლევანი ღამე დასეულ ქუჩებში ქუდმოგლეჯილი გარბოდა, იმის ლანდი დაწრეტილ ფარნების შუქის ანარეკლზე აქა-იქ გაიელვებდა ხოლმე.

მკვლელს ლულაგამურული იარაღი იატაკზე დაენარცხებინა და მდადეს ძირს დავარდნილ ნატის ხელთათმანს მიშტერებოდა.

შეზრიალებულ ფანჯრებს ბაღის ჩრდილები მოსწყვეტოდნენ და შემკრთალ თვალებს გაფაციცებით ახამახამებდნენ.

მამლები ყიოდნენ. გამაცემი ღამე ვერაგ ხელებს ალიონის რუში იბანდა. თითქოს ვარსკვლავებსაც შუქი გადაექნიათ.

მდადეს თავზარდაცემული დედა ფლოსტებში შეშველ ფეხებშადგმული, ჭიდარამთებგაწეწილი, ბარბარეს წყეულ ბინას ძახილით უახლოვდებოდა...

კარგა ხნის შემდეგ, ჩემმა მეგობარმა პოეტმა მდადეს სამარხეზე ბაცი ვარდებით ალეწილ ძეგლს, ჩუმად ამოუკვეთა:

ის კაშკაშებდა ვით ცრემლის გუბე,
ალალ გულის ფიქრებით სავსე,
და დაიღუპა... ოქნებ დაღუპეს,
ნეტავი რისთვის, ნეტავ რაზე?
ისმოდა წყევლა შეშლილ ქოშებით,
და თავგანწირვა ეიღბლო ცისთვის,
ზარი გოდებდა ხანგამოშვებით,
ნეტავი რაზე, ნეტავი რისთვის?..

ლალატის ღამეს ეს ქედმოხრილი სტრიქონები როდი სჯეროდა, ეს სჯეროდა მხოლოდ მდადეს გულდამწვარ, გულჩათუთქულ დედას, ნიადაგ რომ დაღმეოდა დაღუპულ შვილის ერთადერთ სურათს.

არ გაუვლია ერთ წელსაც, რომ მდადეს სიფლავის გვერდით დატოვებული სამარის ადგილი გაეთხარათ და მიცვალებულის მოსვენებას შორიახლო დარგული, ლიბრ გადაფარებული ზამბახებიც ელოდებოდნენ.

სასაფლაოს გადაღმით, ტრიალ მინდორზე ასწოლვან მუხას თავზეხელა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღებული ქარიშხალი კივილით დასჭიდებოდა, განსაცდელში ჩავარდნილი მუხა საშინლად ღრიალებდა. გააშველეთ!... გააზავეთ!.. — ჩჩაოდნენ ჭიღუკვეები.

უცნაური ხელოგა

რა, არ გინახავთ, ცხენარს წასული
რო უჭარიდდ და თავის ხელით რო
იბნევდეა საკინძის ღილებს?..

ღილს გაზეთები იუწყებოდნენ: ცნობილი საზოგადო მოღვაწის გარდაცვალებას. შავი არშიით შემოვლებულ სასამძიმრო წერილები გამბაგზრებელი მლიქნელობით კრუსუნებდნენ მცხოვარი ადამიანის სიცოცხლის აღსასრულს, მოპატიჟე კარიდან — კარზე დადიოდა: ცრემლი დაგვაყარეთო!

მიცვალებულს ყვრა დღეს ასაფლავებდნენ. აუარებელი ნაცნობი, და გულშემატკივარი მიაცილებდა ძვირფას ცხენარს. უკან თეთრი და შავი ბალდახინები სუდარაგადაფარებული ცხენებით, ძმიმედ მიყვებოდნენ, ცოცხალი გვირგვინების გრძელი რიგი წინ მიუძღოდა ვერცხლისფრად შეღებილ კუბოს.

სასლეე ორკესტრი ვიღაც ბეეფურგები მუსიკოსის სამგლოვიარო ჰანგებს ღნაოდა.

ყველებით მორთულ ნეშტს ხელის ციმციმით მიასვენებდნენ. კუბოს აწევაში სულ ათიოდე კაცი იცხელებდა თვგს. ვიღაც ეჭვდარეული კაცი თავისაანს უმარტავდა:

„ გაიძვერა მომაკვდავმა, მიცვალებულის სამარომდე მიცილებით რომ გული არ გაუწყალდეს, ყეენობის მსგავსი სანახაობა მოაწყო: გვირგვინები, ბალდახინები, მუსიკა... თურმე ნუ იტყვი მკვდრის პატივსაცემად... ისეც დაურჩება თავი!..“

მგლოვიარე ხალხის ნაკადი ნელი ნაბიჯით მიიწევდა. სასაფლაომდე ნახევარზე მეტი მონაწილე გაიპარა, რადგან ზოგს სადღაც უგვიანდებოდა; ზოგიერთი კი ფიქრობდა: ჭირისუფალს ზომ დავენახვე, მოუსამძიმრებელი რაღა ჯანდაბაა უნდა; იფხიკებოდნენ, იძურწებოდნენ ქურდულად, ოინბაზურად; გვერდზე დგებოდნენ, უცხო მგზავრებ! ერეოდნენ, განგებ უკან რჩებოდნენ.

როგორც იყო შეთხელებული ხალხის ტოტი ხრიოკი მთის ზეგანის ბეჭზე შეფენილ სასაფლაოს მიუახლოდა. შიშველი დასაბამი ახალ ტანისამოსში გამოწკეპილ ადამიანებს აბარებდა დასასრულის აკლდამებს. გაბუტულ ძეგლებთან სიკვდილის დაუსრულებელი წყევლა ისმოდა.

გათხრილ საფლავთან ხალხი მოგროვდა. თავახდილი კუბო სამარის პირზე დასაკვენეს. სამღვდელოებამ უკანასკნელი წესი აუგო განსვენებულს, დაოსებული ჭირისუფლები რის ვაი-ვაგლახით მოაცილეს განსვენებულს, მოთქმით რომ იმდურეობდნენ და უგონოთ რომ ჰკოცნიდნენ დაკარგულ იმედს.

მესაფლავეებმა კუბო მსხვილი თოკებით ჩაუშვეს სამარეში, მოიმარჯვეს ბარები... ოგრიალა მიწამ და კუბოს სახურავზე გოროხების, კლდენაშალის რახა-რუხი ატყდა, თითქოს წარმავლობა ტაშს უკრავდა, თითქოს ცოცხალი ადამიანები საიქიოს დიზშული კარებს აკაკუნებდნენ. საკვდილმა კიდევ ერთი ნადავლი ჩაყოდა საიქიოს.

ადათი მოითხოვდა — სამარეს ყველამ თითო მუჭა მიწა მიაყარა. ხალხი კანტი-კუნტად დაიშალა, უწესრიგოთ დაეშვა ქვევით.

ზურგშექცეული სასაფლაო ვიღაც სულიერს უთვალთვალებდა, გველივით სისინებდა: წყალნი წავლენ და წამოვლენ ქვიშანი დარჩებიანონ!..

გამხდარი კაცი, მკლავზე ძაძა შემოვლებული, გასამჯელოს უსწორდებოდა: კუბოს თავის ამწკვებს, მაწანწალებს, გვირგვინების წაღებით, ან როგორც თვითონ ამბობდნენ: თრევით რომ დაქანცულიყვნენ. მესაფლავეები ხელების ქნევით ერთდაიმავეს ეჯანჯლებოდნენ, თავპირს აჭამდნენ ჭირისუფალს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცი, რა ძნელი ამოსათხრელი იყო, სულ ქვანარევი ყამირი, წელები ჩავიწყვიტეთ, პირდაპირ ჩავიხოცეთ. სხვა არაიყვესრა, წერაქვი და ბარი ვეღარ შევირჩინეთ.

ყიყმატა, დონდლო და მუნიანი მათხოვრების თვლა ხომ ადარ იყო, ზინტლის სუნათ ყარდნენ. მუმლივით დასეოდნენ იქაურობას: გონჯი, კოჭლი, კუზიანი, წლობით ხელპირდაუბანელნი, ქოშში და ცინგლში აგლესილი ძონძებით, ცერის ფრჩხილებში გასრესილი ტლეების ლორწო ჩაჰკვდომოდათ. მომწვანო სკვინტლის ბურთულები ცხვირის ნესტოებში გამოსჩრიდათ; ჭუჭყიანი, თონთლო ხელები ყვავის ბოლოებივით გამოეშვირათ, ერთ ჭიქა ღვინოს და ლავაშზე დაყრილ შილაფლავს იხვეწებოდნენ, მართლაც საზოგადოებიდან კუკუ ამოკრულებმა რრი გოზაური მუხრანული დააყიროვეს, ყველაფერი შეთქვლიფეს, ველურებივით ამოიყორნენ და მუცლის გახეთქვაზე იყვნენ.

იქვე, ხავსმოდებულ ლოდზე, ზურგშექცევით წამოსკუპული, ღრანჭმოგრეხილი და საშინლად ამობრანცული წილიანი გლახაკი ირიბეებოდა, ხან თავისთვის ჩაიბუბუტყუებდა: იფ! ძლიეს არ გავძეხით, ძლივს არ ჩავიგმრიელეთ პირი! თან საკმლით გათხუპნული წვერ-ულვაშს სიამით აკანტურებდა. ამ თავდაფეხებებამდე ამოთხუპნულ ხორციელისთვის, ტანი რომ დაგებანათ, ალბათ ათი ტაშტი ჭუჭყი გავარდებოდა.

განსვენებულის მახლობლებმა, გვირგვინები რომ არავის გაეტაცა, დალეწეს, დაანჩხვრიეს და ისე მიაყარეს ჯერ კიდევ მფეთქავ სამარეს. დიახ, სასაფლაოზეც ბურდობენ და მერე როგორ! ზოგჯერ მკედარსაც ამოაგდებენ ხოლმე ზევით, თუ დაიგულეს ჩატანებული ძვირფასი სამკაული. ამ დროს სიკვდილი სიცილით ისე იჭაჭება, რომ სულს ძლივს იბრუნებს. ამიტომ არის, რომ ავაზაკები და ჯიბგირები ყველაზე ახლო იცნობენ სიკვდილის ბერიკაობას. სიკვდილი ამ სალახანებს ალბათ ლად როდი ეტანება. ისინი სიკვდილს ნაბიჭვრებივით დასდევენ, რადგან სიკვდილმა იცის ქვეყნიერების ძარცვის ფილი გზა და მიმართულება.

მარტო ის რათა ღირს, რომ ვერცერთმა მხატვარმა ვერ დახატა სიკვდილი დამცემებს თუ ბანდიტებს შორის.

დაბინდდა. სასაფლაოზე დალეული სანთლების შუქი აქა-იქ მოსჩანდა. შორიახლო მწუხარე ადამიანების ქვითინით დაღლილი ძეგლების ფშვინვაღა ისმოდა.

მხოლოდ ჩემი პოეტის ლანდი კიდევ ირწეოდა საფლავებ შორის. ის ხშირად აუძღვებოდა ხოლმე უცნობ ცხედრის, ის თითქოს შუაზე გაპობილ სამყაროს ასდევდა, სადაც ორივე მხრიდან ჩაუდის სიხარულის და კრუელის მდინარე, სადაც სიცოცხლე და სიკვდილი ეამთა სრბოლით დასაწყისიდან ერთი-მეორეს ედავებიან და მაინც ერთმანეთი ვერ ამოიჭამეს.

დაღამდა. პოეტი სასაფლაოს გაყურსულ მიდამოებს სტოვებდა და თავის „უცნაურ ხელობას“ იმეორებდა:

სასაფლაოზე მესაფლავე გაისეირნებს,
ბედუზრუნველი. მუხანათი, წარპლების
ტალი,
კაცი, რომელიც უყმეროდა ქვეყნის
სეირებს,
როგორც ჭინჭარი, როგორც ძეძვი,
როგორც ველური.
ჩამობნელდება. ტიტალ წნორებს წაუვათ
გული,
უკვდავებაა სიცოცხლეზე რომ
ისეირებს,
და მესაფლავე ბახინ მხარზე
ბარგადებული,
სასაფლაოზე პერის ჭამით გაისეირნებს.

ჭირისუფლებს ხარჯი გაემართათ: უკანა ოთახში მანდილოსნები დამსხდარიყვნენ, ზოგი თავაზიანობის გამო პატარძალივით იპრუწებოდა, ზოგნი ყასიდათ იცრემლებოდნენ, კარიჭაანთ ფაშფაშა, ჩატუჭული ქალბატონი სიასამური ბეწვი რომ გადაეგდო ხორცებჩაკეცილ კისერზე, თან ყველას ტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიებათ რომ ნათლავდა, ერთი ისეთას ითხლიშებოდა, თითქოს დიდ წვეულებაში დაეპატიჟენათ. მეორე მოზრდილ თთაზში მამაკაცები შეკრებილიყვნენ. ხშირად ისმოდა: აი დედასა, რა კაცი იყო! დაგებმტვრეს სიკვდილო ეგ სამიწე ფრთები, რაღა ჩვენ საყვარელ ადამიანს დაახცრი? ვედარ მიაგენი ზედმეტ ბარგს და მუშუკს?..

ღორმოცელა მექელეხენი საკმელს სვავებივით იღმერძლებოდნენ, ღვინით იჭყიპებოდნენ. ცოდოს ნუ ვიტყვით, ზოგმა დაზარალებულის ოჯახს ფულადი შესაწირავი დაუტოვა, ზოგმა დაკცეულ კერას საკლავით სცა პატივი, ზოგმა ჯირნახულით. მაგრამ ზოგიერთები გასკდნენ თუ არა, ჩუმათ აიკიფნენ. „ტვლეპიანთ ვანესა ხუთი მანეთი შემოეწირია, ააშენოს ღმერთმან!“ — ხრინწიანი ხმით გაპყვიროდა სადღეგრძელოებჩამორიგებული ჯაჯანა თამადა.

ოჯახის ქვრივის მაზლისცოლი სპილენძის სინზე ბარაქიანთ დახროვილ ქაღალდის ფულს თვალყურს ადევნებდა.

შუაღამემ მოაღწია. მამლებმა მეორედ იყივლეს, მაგრამ მადაგალვიძებულ და შეზარხოშებულ კაცების უმეტესობა სუფრიდან ადგომას აღარ აპირებდა.

„ცხონებულს ქეიფი უყვარდაო!“... მკვდარს რასაც უნდა იმას მიაწერენ.

მკვდრები რო ოღვიძებდნენ, მაქვს წყალობა, რომ მკვლევართა ფარა ეშოვლებდა, ანდა თავისი დაემბართებოდათ სასუფევლიდან დაბრუნებულ იმ ადამიანების დანახვით, ვიზედაც ათასგვარ სისულელეს და ზოგჯერ გადაკარბებულ სიბრძნეს ჩმახავენ.

გათენებამ მოატანა, როცა ხალხი მაგიდებიდან ზლაზენით წამოიშალა. ზოგიერთის გულის ძილიც გამოეცხო. ხვედურული ბრაცა ისე გალეშილიყო, რომ ხნიერ ქლიავის ხეს რაღაცას ეტუტუნებოდა. მოკუნეიანთ კატოს ბიჭი კიბის ქვეშ პირქვე გადათხლარშულიყო, ფეხები მიწაზე გაეშოტა და ისეთას ხვრინამდა, იტყოდი საზარაღულშიაბის დანას უყრიანო, ჯინჯიბახი კი არა, აზარმაციც რო დაგეგდო, მაინც ვერ წამოაგდებდი; ოხერელი პალე, მწოფე ზღმარტლივით სახე რომ ამღვერეოდა, ძლივს ქშინავად და გულასუყებული ამაზრზენათ აბოყნებდა; ჯირკველაანთ სანდროს და თავსუბუქის ბიჭს კისერი მოსწყვეტოდათ, ალაყაფის კარებთან ხელიხელ გადახვეულნი ბარბაცებდნენ, თან ერთმანეთს სიყვარულს ეფიცებოდნენ და უგემურად პროშტნიდნენ; ჯარუმაანთ კინკილს ბუხლები ეეკეცებოდა და ბოშური ურაკინეს, თავჩაქინდრული ერთ ადგილზე რომ ოდგა, თითს უქნევდა; სისუქნისგან მოუქნელი მღვდელი ონოფრეკე ლაზათიანად გამობრუეულიყო და თავის გუდაფშუტა დიაკვანს ფეხარეული მიყვებოდა; ტაბლის მსუნაგი ჩია მნათეც თავის კვალობაზე გამოხეთქილიყო, ხმა ჩახლეჩოდა, რაღაც აუგს ბურტყუნებდა, თან ეიღაც მიზანში ამოღებულს ემუქრებოდა: „შენ თუ არ გაგალანდო, და სისხლის ვეძა არ ამოგადინო ე მაგ ცხვრიდან ბიჭი არ ვიყვე!..“

სათონეში შინაურები შესანდობარს კიდევ განაგრძობდნენ. იქვე მოხარშულ და გაფუფქულ ჭედილას თავფუხს ცხელი ორთქლი ასდიოდა. ქაფქირის ახლო ჭრელი კატა ჩაკუეცქულიყო და ენის წვერით მალ-მალე ტუჩებს ილოკავდა.

იქ კი, სასფლაოზე დილის მდუმარება სუფევდა. გუნდის ხეები ფრინველების ყრიამეულით გაოგნებულნი წუხანდელ სიზმრებს ჰაერში ფრიალებდნენ.

როქე მესაფლავე ბარის ტარზე დაყრდნობილიყო, პატარა გაცრეცილი ნაბდის ქუდი შუბლზე ჩამოეფხატა და შინ მოყვანილ თამბაქოს ღეჭავდა.

შუადღე მიიწურა, როცა დიდ გზაზე კიდევ გამოჩნდა ვვირგვინები, ხალხი... მოხუცი ძეგლები ხელის გულის ქვეშ გასცქეროდნენ ახალ სტუმარს და ღრძო თვალებით იღიმებოდნენ.

ხეპრე მესაფლავე მხარზე ბარგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებული საფლავებს შორის დაძრწოდა. დაღვრემილი ქანდაკების ზურგს უკან დამალული სიკვდილი მესაფლავეს ჩუმად თვალს ადევნებდა რომ როგორმე ფეხები შემოემტვრია, გონებაშერყეული ღმერთი დაკონკილი ტანისამოსით, წელკავ ამართული, ყაყანა კაცობრიობას წარმავალობის იალაღებზე ნაგვრალ სიცოცხლეს აძოვებდა. ხანდისხან დამფრთხალი განგების ღრიანცელი ისმოდა:

„საით მიედინებთო, თქვე ოხრებო?!“ ფერდებჩაკვენილი ნაგაზები ყეფდნენ, ყმუოდნენ და მერე რა!

ღამით ადამიანთა ფარეხებში მაინც წვიდლკვიელი ისმოდა. ადამიანები ჭილყვავებზე უარესად ჩჩაოდნენ.

აკრუხებული სიკვდილი ძვლებს აკანტუნებდა და მხართეძოზე წამოწოლილ ქურდებს წუხანდელ ამბავს უყვებოდა — როგორ მოიხმო, შეიტყუა, მოგუდა, გადასანსლა... თან თავის ლეკვებს ეალერსებოდა, ლოშნიდა. ლეკვები წამტაცუნებდნენ და უბალონ კუდებს აცანცარებდნენ.

იქვე მოზრდილი გობი იდგა, ამ გობში პუტავდნენ ადამიანებს და მესაფლავე კი შიგ ალბობდა ხოლმე ხმიადი პურის ნატეხებს. გობის ერთ გვერდზე, ვიღაც მგზაფრს ალმაცერად მიეწერა ბედის სიმუხთლე „ეჰ, ეს ოხერი, მოვდიავთო ანგელოზები და მივდიავართ კუდიანები!..“

გობის მეორე გვერდზე ბატის ნაფეხურებივით დაბრეცილ, ძველი ხუციური ენით ნაწერს გაპირვებით ამოიკითხავდი:

ჩვენ ხომ სიცოცხლეს სულ კალთაზე ვებღაუპენით...

ათასი წლების ნახირი წავა
ძოგიან, შუქს გაღმა, კამარებს იქით,
უკან დარჩება, როგორც წამება
სიარეკვე ათხრილი მიწის ფლოქვებით.

სასაფლაოზე ჯაგარაყრილი ქარი ამოვარდნილიყო და საფლავებ შორის გაშენებული წოწოლა ხეები მთვრალი მათხოვრებივით ხითხითებდნენ. სადღაც, პირქვე დამხობილ კუბოებზე შემდგარი გაბრუებული მკვდრები იქიოს მოხუცულ კარების სახელურს ეჯაჯგურებოდნენ.

ეკლესიის მტრედები

დღეს შენს ქუჩაზე აღარ დადიან
მოგვები, შუბლით რომ ჰგვანდნენ ხეთებს,
შენ რომ წახვედი, ასე მგონია,
მთელი ქვეყანა თან გაიხვეტე.

ზოშიები უსტვენდნენ. გაზაფხულის საამური დღე იდგა. ყელღინღლიანი ბარტყები ბუდეებიდან იცქირებოდნენ. ქალაქის ბაღი მოსეირნე ხალხს აეჭრელებინა. მწვანე ფერის ჩარიგებულ მერხებზე და ჩუქურთმებიან ფანჩატურებში დამსვენებლების ტევა არ იყო. სად არ გაისმოდა სიმღერა, ქივილ-ხივილი.

ვიღაც უნიათო, ბაიყუში და ყარყუმი წელზე ხელებგადაწყობილი ბელტიაულაპიასავით კენტად მიფრატენობდა რატომღაც სჯეროდა რომ იმის გამოჩენა ცხოვრების ასპარეზზე უსაფუძვლოა. ამიტომ როგორც ზეციურის სადარი ბრბოს უნდა გაემიჯნოს განუდგეს, გამოეთიშოს, თავი არავის არ უნდა გაუყადროს და სამოთხემ უკან უნდა გაიწვიოს საყვირების გუგუნით.

მოხუცი მამაკაცები უშვილო თუთის ხის ჩრდილში შექეუჩულიყვნენ, მეტი რა საქმე ჰქონდათ, თუ არა ახალგაზრდობის გაკილვა: არ მოსწონდათ მათი ჩვევები, ქცევა, სითამამე, ცხვირმოუხოცელებს, ოლაპებს, ლაწირაკებს უწოდებდნენ! ისე როგორც ზოგიერთა ხანშესულებს ემართებათ.

— ჯელი რო ვიყავი, ყველას ჩემზე რჩებოდა თვალი! — დიდგულობდა ხარფუხელი ვანუა, და თან ყალმუხის ქუდს ხელში ათამაშებდა.

აი დედასა, ჯერონ ქალთან უშნო რას გავიღლები, ან რა და, მე შენ გითხრა, რამე წინდაუხედავი წამომცდებოდა! — ბაქიობდა გლდანელი სანო, რომელსაც დავიწყებოდა ყველა თავისი სიმამაძაღლე და იმის ხნისა ქვაც აღარ გორავდა.

პირბადეჩამოფარებულ ჩაუქა, კუსპარა და ტყლარჭია ქალების პრანჭვაგრეხას ხომ საზღვარი აღარა ჰქონდა. გაბღენძილ და გაჯიმულ მოხელეების ქედმაღლობას ნუფაო ეტყვით!...

ქათიბით და ოქრომკედით მოკედილი დარბაისელი მანდილოსნები მალბაზი ბაღლებით გარემოსილნი მოსეირნობდნენ და მათი მშვიდი, ნებიერი მუსაიფი გულს ახარებდა.

ამ ბაღის თავზე ძველთაგან ძველი ეკლესია ახირულიყო.

ჩემი მეგობარი ეკლესიის წინ მიგდებულ გამხმარ ფიჭვის მორზე ჩამომჯდარიყო და ეზოში დაფრენილ მტრედებს ნაკმაზს უყრიდა. მტრედები ღუღუნებდნენ და ისე შესჩვეოდნენ ძეწნასავით თავდახრილ პოეტს, როგორც თავის პირმშოს. ნუთუ მუდამ ერიდებოდნენ ადამიანს ფრინველები?

მგოსანმა რამდენჯერმე შეამჩნია, რომ ეკლესიიდან ხშირად გამოდიოდა ნათელი სახის მოხუცი კაცი, ცალკე მიკრუნჩხული მიჯდებოდა, ხელისგულებით დაეყრდნობოდა მოკაუკეზილ პრიალა ჯოხს და მდუმარებას მიეცემოდა. აი, დღესაც ის მოხუცი ღრმად ჩაფიქრებული ისვენებდა ეკლესიის კიბის გვერდზე. მგოსანი ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო, ველარ მოითმინა, გვერდით მიუჩოჩდა და გამოეხმაურა. მოხუცი უხალისოდ აძლევდა პასუხს. როგორც იყო და არ იყო, უცნობს გული მოუბრუნდა და წყნარად მოუყვა:

— ხომ იცით , საწყალი კაცის ოჯახში ყველამ შეიჯყიტაო! სადაც გავიქეცი, იქ წავიქეცითო. ჩემი ცხოვრება გადასახლებაში გავატარე. ჯერ ახალგაზრდა ვიყავი, როცა მეფის ჟანდარმებმა შორეულ ციმბირში გამამწესეს. ტუსაღებს ნადირებივით გვერეკებოდნენ სუსხში და ავდარში, თოვლში და ჟყაში, ისე გვეპყრობოდნენ, როგორც პირუტყვებს. თუ წელამდე სადმე ტალახში ჩავიფლობოდით, მოშველების მაგივრად თოფის კონდახებს გვიშენდნენ, როზგებს გვირტყამდნენ სადაც მოხვდებოდათ: ზურგში, თავპირში. წელში... ისმოდა დრტვინვა, სივალალე და ბრძოლა ბორკილების ჩხარა-ჩხური. გზაში ბევრი კარგი ამხანაგი დაგვეღუპა, ველარ აიტანეს შეგინებული სიცოცხლე და მიწასთან გასწორებული ბედის უკუღმართობა.

უნდა შესწრებოდით ხელფეხწაძრულ, გაწამებული ქალების და თოთო ბავშვების საცოდაობას, გადასახლებაში მიმავალ ოჯახის ბურჯს შიშისაგან დაზაფრულები რომ გამოჰყოლოდნენ; მხოლოდ იმიტომ, რომ ქმართან ერთად, მამასთან ახლოს გაეტარებინათ შემაძრწუნებელი წლები და ტაიგის ნამქრების კორიანტელში დაელიათ კვიმატი დღეები. ნეტავი შენს ბედნიერ თვალებს ენახათ ტიუმენის და ტომსკის საპყრობილე, სადაც ერთ მომცრო საკანში ორმოცამდე პატიმარი შეეყარათ, ორ ჯოჯ ადგილს ვერ იშოვნიდი, რომ წაგდებულიყავი; სადაც მოწამლული ჰაერი და აუწმერელი სიბინძურე სულსა ხუთავდა; სადაც ქარბუქივით მძვინვარებდა ათასნაირი მოარული ჭირი და გამხმარ ბალახივით სცელავდა უფლებაყრილ ადამიანებს.

— როგორ, საავდმყოფოები არ არსებობდა? — შეეკითხა ფერწასული მგოსანი.

— იქაური საავდმყოფოები იმ გამოყრუებულ არემარეში, რომ ნახოთ გული შეგიღონდება... გაყინული ოთახი, ჭუჭყიან იატაკზე დაყრილი ქეჩის ნაჭრები, წაპილწული: ნარწყევი სისხლით და ფურთხით. სულთმობრძავი გვამები ჭიაყელებივით იკლაკნებიან, ოდნავ თავაწეულები, ქუთუთოებაბურცულები, სახეჩაყვითლებულები, ხელებით და ფეხებით დაფორთხამენ და გმინავენ; მსხვილი რკინით აკოლილ ფანჯრებს უგონო თვალებით შეჰყურებენ. კი არ იტყვი, რომ იქ ტუსაღები ყრიან, არა ის რაღაც ადამიანთა ნაფაქვენებია. ძონძებზე და გამხმარ სხეულზე ისე ფუთფუთებენ, რომ შეიხედო ტირილი წაგსკდება. ის ავადმყოფთა თავშესაფარი კი არ არის, დამბლადაცემულ უთვისტომოთა ხვრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია, ის, რაღაც ორნახადი ტანჯვის განსახიერებაა. იქ დასნეულებული პატიმრები მდუღარე ცრემლების ოშხივარზე იბრუკებიან.

ნეტავი სატუსაღო ნავები გაჩეკენა „ბარეებს“ რო ეძახიან, მდინარის ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე რომ გადაჰყავთ პატიმრები. აი, ამ ძეძვივით „ბარეებში“ ყრიან, თაკრავენ ჩემისთანა ურვადარეულ ხალხთან ერთად, მაწანწალებს, გარეწრებს, ავარებს, ყველა გზის ნაძირალებს. სიმწრით ტუჩებს იკვნეტავ, გული ყელში გებჯინება, ბოლმა გაღრჩობს, სულს ვეღარ ითქვამ; სიკვდილი გენატრება, უძახი, ეგედრები როგორმე ამოგთრიოს, ამ გასატიალებელ სავარმედან, მაგრამ, ეს ოხერი, ეტყობა სიკვდილიც თაკილობს ყველგან ჩაძრომას. საკუთარ ძარღვების დაწნულ მარყუჟზე ჰკიდიხარ, კონწიალობ, თითქოს შენი სისხლის წვეთები მუხლებზე დაცემულ დედის ჭაღარა დალალებს ეცემა. მოხუცმა ოდნავ შეისვენა და განაგრძო:

— ასე დიდიხნის თრევის შემდეგ, ურჩი იაკუტის ოჯახში შემასახლეს, სადაც სიცივე ძვლებამდე აღწევდა და ენით გამოუთქმელი უწმინდურება პარპაშობდა.

საკმარისი იყო თმებგალოპრილ იაკუტის აყროლებულ ქოხიდან გარეთ ფეხი გამედგა, თუნდაც ერთი წამით გამესწორო სუფთა ჰაერის ჩასასუნთქავად, უდიერი იაკუტი მყისვე ბურტყუნით ამედევნებოდა და თითით მანიშნებდა, რომ უკან დავბრუნებულიყავი. ნაჯახი რომ ამეღო ჯოხის გამოსაჩორკნათ, ის ჩემი ცოდით სავსე სისხლზე შემაგდებდა, თავის ულმობელ ხელს წამატანდა: ნაჯახი დაადგეო!

ვიყავი გამომწყვდეული და გაკავებული მურდალი იაკუტის ბუნაგში. უმარილო, უცხიმო და უგემური კერძით ვსაზრდოობდი მათივე საერთო ქვაბიდან. მეხეეოდა ტელი და ბაღლინჯო, წამდაუწუმ ბეკებს და იღლიებს ვიქექავდი, ვიფხანდი, მთელი სხეული გადატყავებული მქონდა ფრჩხილების კაწვრით. იქაური ბინადრობა თვეს გრძელდება. სიცივით ფურფუტი გაგიდის, ვერც პირს დაიბან, ვერც ხელებს, ანდა კიდეკაც რომ დაიბანო, რითი უნდა შეიწმინდო, როცა ჩვრის ნაფხრეწიც არ გაქვავია. გსისხავს შავი ნახველი, ტურტლი და უსუფთაობა.

— რის შემძლეა ადამიანი! — ამოოიხრა მგოსანმა.

— ადამიანი, ჩემო კეთილო, ნადირზე მეტის ამტანია და აი გატყობთ, მე რომ გიყვებით, გეშინიათ, თქვენ მართალი ხართ! იქ, მტერსაც არ უნდა უსურვოს ადამიანმა, მაგრამ თუ ჩავარდით ამ შეჩვენებულ ალაგას, რაღას ვაწყობთ. პირველად შენი საკუთარი ჩრდილიც გეხამეშება, გეჩოთირება. გარემოს კი არა, შენ ხმასაც კი ვერ ეგუები. მაგრამ მერე თითქოს ტვინი გილაყდება, ჩურჩუტდები და დაბრმავებული მიჰყვები ბედისაგან დამცირებული ცეცხლმოკიდებულ სიცოცხლეს.

— ნუთუ ვერ შესძელით, რომ იმ ჯურღმულიდან გამოქცეულიყავით? — შეეკითხა პოეტი.

— თუ გაქცევა დაგაპირე, რომ გაჭირვებას თავი დაალწიო, იქ მხოლოდ ქარბუქს უნდა ენდო, გზა და კვალი არ იცი, ვინ იცის სად ამოგგმრება გამწარებული სული. შეიძლება უიღბლობამ გადაიაროს: გასცდე ვაების საზღვარს, უვნებელ ადგილს მიაღწიო, ვინმე ღეთისნიერს თავი შეაფარო, თუ არა და დაგეშალი მდევრები უმწეო დევნილს შეგიპყრობენ, გაგბოჭავენ, გაგწელავენ, წვეს გამოგადენენ, ცოცხალს გუდასავით ამოგიღებენ, მერე იქნება ტანჯვა გაკმარონ, ნახევრად მკვდარი სახრჩობელაზე ჩამოგკიდონ და ამით დამთავრდეს ”ყველაფერი.

— სული რომ გაგაფრთხობინონ ჯერ უნდა გაწამონ, მიწას ისე როდი მიგაბარებენ. — დაუდასტურა მგოსანმა.

— არა, სულს ისე არ ამოგართმევენ, შენი ნებით სულს ვერ გააპნევ. — დაიკვნესა მოხუცმა.

— მერე? თქვენი ჭირიმეთ! — გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახსენა მგოსანმა მოხუცს, რომ იაკუტის ამბავი არ ჰქონდა დამთავრებული.

— ექვსი კვირის შემდეგ სულთამხუთავები ბინას მიეკლიდნენ, ერთი ოჯახიდან შეორე ოჯახში გადავყავდი... ეჰ, რა არ გადამხდა ამ მოსთვლის.

— ისე რომ თუ თავისუფლებისკენ გაიქერი, იაკუტი პასუხს აგებს ხელისუფლებასთან, არა? — სიტყვა შეაწყვეტინა მგოსანმა და რატომღაც წელან რომ უნდა შეკითხოდა, ახლაც შეეკითხა.

— დიახ, ნოყოყა იაკუტმა იცის რომ თქვენი თავი მას აბარია, ამიტომ თავის ვერაგ თვალებს დღეღამ არ გაშორებს, შენს ჩრდილზე მატლივით დაცოცავს„ მძინარესაც კი გითვალთვალებს, მთელი ძალღონით გზლეფავს, გავიწროებს. იაკუტი თავის ქოხს „ულუსს“ უწოდებს, ან ამ „ულუსში“ ერთად ვეყარეთ პირუტყვი და ადამიანები, საქონლის ნეხვი, შმორი, ნესტი, ქვამლი, სამარის ლოდივით აწვება ისედაც გაძაღლებულ სიცოცხლს, და სული ცბილით გაჭირავს. ეხლაც მიკვირს რატომ ჭკუაზე არ შევშალეო... თუმცა, ზოგიერთმა ვეღარ გადაიტანა დაუსრულებელი წამება, დამცირება, გამძლეობამ უმტყუნა და თავი მოიკლა. ზოგიერთი ჭკუაზე ისე შეიჭყა, რომ თოკით ძლივს აბამდნენ, ქამრებით ძლიგს კოჭავდნენ, იცით რა გამგმირავი სურათი იყო? ცოდვით ვიწოდი, ბალღამი მერტოდა. ისინი ცალწვერგაკრეჭილები, ხელებგაძაგრულები, გონებაწართმეულები შემზარავად ხარხარებდნენ შემკრთალ სიკვდილთან!.. იქ ორგანი უფსკრული ჭრიალებდა, თითქოს ჩაკირული ჯოჯოხეთი უსტვენდა. ეს ოხერი გული კი მაინც სძგერდა... არა! კი არა სძგერდა, გულს ბაგბაუვი გაჭქონდა.

—განა რა დანაშაული მიგიძღოდათ? — შეეკითხა გაფითრებული მგოსანი და ძარღვებში სისხლი გაეყინა.

— არავითარი! იცოდეს ღმერთმა! არც გამოძიება, არც სასამართლო. მოულოდნელად მომიხტნენ ოლქის უფროსის მოგზავნილები, არ ეიცი ვინ. მაგდო იმაი ყბაში, და გამომეცხადეს: ადმინისტრაციული წესით გასახლებთ, როგორც საეჭვო პიროვნებასო! ეს იყო და ეს. მერე დღეს თავი ტუნდრებისკენ მიკრეს. არ დაგიმალავ, მეფის მთავრობას არც ისე ცუდი თვალით ვუყურებდი, ერთი საწყალი ფოსტის მოხელე კაცი ვიყავი და ყოველგვარი რევოლუციონერობა ჩემთვის უცხო იყო; სულ არ მეპატნავებოდა პოლიტიკური ამბები, ტუტრუცანათ მიმაჩნდა ის, ვინც საზოგადოებას თავსა სწირავდა. ეხლა კი დაუძინებელ მტრად გადამაქცია რომანოვების დამთხვეულმა ხელისუფლებამ. იქ, იმ ქვესანელში გავატარე ოცი წელიწადი, სრულიად უდანაშაულო ადამიანმა, გესმით? გულის ხეთქვის ოცი წელიწადი! დავბერენდი დავრდომილი, გონება დაჩლუნგებული, წყალულით და გულის მანკით დანაცრებული, უკურნებელი სენით ძვალგამოხრული... აბა, რიდას მაქნისი ვარ, ერთი მითხარით? ორწყალს შუა დავრჩი: ცხოვრებას რაღად ვუნდივარ, სიკვდილიც ჩემს დანახვაზე მსახვრალ ხელებს ატატანებს, ისიც კი არ უნდა რომ ჩემი წაყვანით თავი შეიყოლიოს. საცოდავი ჩემი მეუღლე ჩემ ჯანდამწვარ შარას გამოჰყოლოდა, ჩემ საძებნელად წამოსულიყო, რას მომაგნებდა იმ ამხედრებულ თოვლის უდაბნოში. საწყალს თავგზა არეოდა და სადღაც ციმბირის მივარდნილ კუთხეში, დაღლილდაქანცულს დაელია გვემული სული. უბედურს ჩემი ნახვა აღარ დასცალდა. ხედავთ? უდანაშაულო ოჯახი როგორ ამომიგდეს, როგორ დამიქციეს, ამომიბუგეს და ამომიწყვიტეს... მას აქეთია მოვდივარ და მოვსტირი ჩემს დაცახვილ სიცოცხლეს. ნუთუ ეს იყო ჩემი ხვედრი ამ ვრცელ ქვეყანაზე, ნუთუ ჩემთვის მოიცალა ყველა თავზარმა?!...

— არ შერჩებათ ბოროტება.

— ან, ენამ გიყივლათ, არ შერჩებათ, არა! — პასუხობდა პოეტს ხელებაცა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელებული მოხუცი და თან გაბზარული ქვევრივით ახველებდა.

— უსამართლობა დიდხანს ვეღარ იბოგინებს. — ანუგეშებდა ჩაქოლილ მოხუცს ჩემი მეგობარი.

— თუ არა და იცოდეთ ხალხის გასგისი ერთიანად აიხვეტება.

— მართალი ბრძანდებით, მართალი — თავს უქნევდა პოეტი.

— სად გამომიღიმდა მთელი სიცოცხლე... რამდენი სამსალა მასვა ამ გასაოხრებელმა ცხოვრებამ — გულის ტკივილით წარამოსთქვა მოხუცმა.

— ეხლა, ალბათ ლოცვებიდა გამშვიდებთ? — მგოსანს უნდოდა მოხუცისათვის რაღაც ეამებინა.

— ჩემს სიკვბუკეში, როცა ჯანღონინი ვიყავი სავსე, არც ხატი მწამდა, არც კათალიკოსი, მაგრამ დღეს ისე შემზიზდა ეს ძაღლუმადური ცხოვრება, რომ მინდა გამეფდმენით ეკლესიაში ვიდგე და ანთებულ კანდელს ვუყურებდე. საყდარში რატომღაც ვისვენებ და სიმშვიდის ნიავი მივლის. — ამ სიტყვებმა პოეტი შეაყრეოლა. მოხუცი განაგრძობდა. — როგორ არ ვიცი რომ ღმერთი არ არსებობს, მაგრამ რატომღაც მინდა ის ჩემს ნისლიან წარმოდგენებში ცისკარივით ვნთოს, ამის მეტი რაღა დამრჩა, ჩემო მოკეთევ. — მოხუცმა გაყუჩებულ სივრცეებს გახედა — გადასახლებაში სულ ის მენატრებოდა, რომ გულზე ჩემი მიწა დამყოლოდა, რომ უკანასკნელად ჩემს სამშობლოში ამომესუნთქა, რახან ეს აღმისრულდა და ჩრდილოეთში მოღავებული სუსხიანი ქარების, ან თეთრი დათვების საჯიგენი არ გავხდი, ჯანდაბას! აქამდე ხომ მოვათრიე ეს გატიალებული სული. მაინც გამჩრეს ვუმადლი. ჩემს მიწა-წყალზე ერთ ციდა ადგიოს ხომ დამითმობენ?..

მგოსანმა შუბლზე აკოცა ხელჩაქნეულ მოხუცს. — ალალი იყვეს და უსაყვედურო თქვენზე სამშობლოს თბილი ალითები. ალალი! — უთხრა მგოსანმა.

— ჩემო კარგო ადამიანო! ალერსით რაღას განვიკურნები. მორჩა ფანტაზიის სუყვეთფერი. ჩექმის ქუსლებიდან დაწრილული დღეები, გადაქეკილი ბედნიერება არასდროს აღარ გამოდარებს; რაღა ეშველება ჩემს აკლებულ კარმადამის, შეგინებული სვინდისს, მთარალების ტყლაშუნით დაძაბუნებულ სხეულს, აღმოფხვრილ საძირკველს, შებღალულ და შელახულ სიცოცხლეს, რა მოვლება აბა მითხარითო?.. ხმა ჩაუვარდა ცრემლები წამოყარა.

— სადღა ავყვე ეხლა ამ გავერანებულ მოლიპულ ბზეს, გული მწუხარებით მეკუმშება, ჯიაკოონა მოდებულ გულს ვინ გამიქარვებს, ვინ?

წელმოტეხილმა ნაპატიმრალმა კიდევ ყრუთ ჩაახელა და გამომეშვიდობა მოწიწებით ზეზე წამომდგარ მგოსანს.

ცა მოიღუშა, ღრუბლების აყრის დრო დადგა. სამრეკლოს ზარებთან მტრედები სთვლემდნენ და იცით რას? უმანკო სიზმრებს, სიკეთეს, კამარების ელვარებას, მარადიულ თავისუფლებას, წალკოტებს, ყველაზე ძვირფასს, რაც კი განგებას წარმოუშვია, თუ მოუმადლებია.

მგოსანი ჩუმად მიყვებოდა ნიავშეფუფრჩენილ, სირმებგაკრულ ცაცხვების ხეივანს და გულში მღეროდა:

შენ დაგმარხავენ ბინდების ლხინი,
სამრეკლო აშლის მთვლემარე მტრედებს,
დაუშვნს წვიმა, შორს ბალდახინი
დიდხანს იკენესებს და იჩურჩეტებს.
ფუტურო სხეულს გულის სიზმარი
შერჩება, როგორც ჯოლგოთის თბილი,
სისხლზე შემხვარი ძვლების ჩინჩხვარი
და მოგონება ნისლივით გრილი.
სოფლის წისქვილთან რუ ადდდება,
ქუხილი მოვბში ჩაისვრის ანრგილს,
შენ კი მიწის ტყეშ შემოგაგდებენ
ხელ-იღლიაში კუბი ამორჩილს,
მოიღრუბლები, მკერდში ჩაიტვრენ,
ფრთხილად ჩაყვები ულრან ნაპრალებს,
გამოიცა, განგებ მძლავრად დამსტაკენ,
მე კი ამ სტენას ქარს დავაბოლებ.
წყვდიადი მძიმედ დაუშვებს ფარდებს,
შესწყდება ფეტიად ენკვების ბრძოლა
სულს შეგიხუთავს ძეძეიანი დარდი
და ჯოჯოხეთის პირქანი ხრჩოლა.
გვირგვინს დამადებ, რომელს ბიმამგზავსებ,
ბედ-ბოძკილ დღეებს დიდხანს იყავრებ,

პირქვე დამხობილს საყვარელ გვამზედ.
ჭირები ტანჯვით აგაგლეჯავენ.
გარეთ გადაყრილ ნაცარსა ეგაკვლიან!"
თან იტყვი: „იქნებ ღმერთმა ინება!"
ჩაძვნეց მაღლავებს და იქვე
ცრემლებთან ერთად ჩაგეძინება.

ბაღი შრიალებდა, საღამოს ფოჩიანი
ჩრდილები ჭენჭყეტას ბუჩქებსაც წა-
მოესწაო და ღობის გასწვრივ გაბუსხულ-
ი ბალღებივით ატუზულიყვნენ.

უცბათ გაიღვა და ღრუბლების
გრუხუნიც მოისმა. წვიმამ ოდნავ წა-
მოეკიდა. ხალხი ნელ-ნელა შეთხელ-
და. ბინდმა ციდან ფრინველების გა-
დმოტვირთვა ბუდეებში დაამთავრა.

ბოღმამორეულმა ხეებმა შვება იგ-
რძნეს, მოსეირნეთა ფეხებით დამტვე-
რიანებული ჩრდილები მიწიდან ფარ-
დაგის ნაჭრებივით წამოკრიფეს და ბე-
რტყვას შეუდგნენ. განსაკუთრებით
ცალმხარჰამოხლეჩილი ბებერი მუხა
ბურტყუნებდა:

„რა კაცობაა, ჩრდილების ასე დასვ-
რა! ეს არის ადამიანობა?!." — თან სიბ-
რაზით თავის ვეება ტოტს მახლო-
ბელ არყის ხეს ულაწუნებდა.

მგოსანი მივარდნილ ქუჩას უახლოვ-
დებოდა და გახსნებულ სტროფონებს
მოხუცის სახსოვრად ინახავდა:

რა ეკმა, იყო ქვა თუ ზეკაცი,
ვისთვისაც ზეცა დაპატარავდა,
ვისაც არ ჰქონდა სარკმელი მზისკენ,
და რიფრაფებში შუქს იპარავდა?!
რა ეკმა იმას, მგზაფრო, მითხარი,
ვინც ძვლების ეფეტო ვერ დაეყოვნა,
ვინც იწანწალა მეჭუზულ ფიდანს
და თავის ჩრდილიც ვეღარ იპოვნა?!
ვისაც გაუწყდა ლოცვათ ილაჯი,
ჩასწვა: ბაგშობა, გრძნობა, კრებული,
ვისაც გრიგალმა ვერ მოაგლიჯა,
წუყდიანცა მკერდზედ ლამაგრებული?!
რა ეკმა იმას, ვინც ქვესკნელშიაც
სივრცეებს თვალი ვერ მოარიდა,
ვინც პირქვე ეგდო, ან სიცოცხლიდან,
თუ გინდ ვარსკვლავებს გაღმა გაფრინდა?!
ვინც დადიოდა ცრემლგაწუწული,
და კრიჭაშეკრული სძულდა სუფველ?!
ხედავ, რას სჩადის გულქვა საწუთრო
და ყიფლეცივი ცივი ქვეყანა!

ორთავიანი არწივი ფრთებს იქნევდა,
გულგასაწყალებლად ყაპყაპებდა და
თავისი კერაგი ბრეყალები დაჯდა
თავისუფლებისათვის გაეყარა.

ფაშვგადმივარდნილი პოლიციელი
ქუჩის ჯიხურთან აბეზარივით ატრუ-
ტულიყო, ეტყობოდა ძილს აეტანა,
სთვლემდა, თავი ექანდრებოდა, ხან
ერთს ისეთას შეხტებოდა და თვალებს
დაკუეტდა, იტყოდი გაკუნეგული ცხე-
ნიდან გადმოვარდაო.

გაწამებული მოხუცი, სადღაც პატა-
რად მოფიცრულ ოთახში შეკუდლე-
ბული, ძმიმედ ახვლენდა, სისხლს ან-
თხეედა, განუწყეტელი ხიხინით გულ-
ღვიძლი ეთუთქებოდა. პირქუში ოცი
წელი დალეწილ და შეუთანცხყოფილ
სიცოცხლის ნანგრევებზე ალმართულიო-
ყო, როგორც უცუღმართობის წყეული
ანრდილი, როგორც შეუბრალებლობის
და ტანჯვის სიმბოლო, როგორც სიტ-
ლანქის და ღვარძლიანობის შავად აგ-
ლესილი კვარცხლბეკი.

დაუძლურებულ დასჯილს საღღა
ჰქონდა იმის მოხერხების უნარი, რომ
რიფრაფებში შუქი მოეპარა, ან თავისი
ჩრდილი ეპოვნა. ის გამოეკამა უსამა-
რთლობას, დაეხანშირებინა უსვინდი-
სობას, ის ისე დაეხრათ და დაეღრ-
ღნათ მძვინვარე დღეებს, რომ ადამი-
ანის შეხვედრაზე მუნლი ეკვეთებოდა.
ის ლოცვითაც ვეღარ იშუშებდა შერ-
ჩენილ დარდებს. რა უბედურებაა, და-
იბადო და შენი ბედი შენს გემოზე
ვერ გამოჭედო.

უკმეხი, ფიცხი იაკუტის რუხი ლან-
დი, ყალიონის ბოლივით შეჭრილიყო
მოხუცის ბინაში და გაფაციცებით მი-
სცემოდა ხანგრძლივი გადასახლებით
გამოშტერებულ ადამიანის მოძრაობას,
თვალებს, ფერწერთმეულ სახის ნაკვ-
თებს.

შუაღამისას ამოვარდნილი ქარი გა-
ჯანჯახებულ სივრცეებს არახრახებდა,
თითქოს გრძელი ხალათი ზეკას ბერ-
ტყავდა, ვარსკვლავები ყუნწში წყდე-
ბოდნენ და ჰაერში იკროლებოდნენ.

გულქვა საწუთრო კი მშიერი მგელი-
ვით გაყმუოდა ღრუბლების ფარეხს —
ტიალ სივრცეებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედამიწა გლაოდა

ფრთხილად, ხალხი მიწიდან არ გადაცვინდეს!

ამოვარდნილი ქარიშხლები ზათქით, წუილით და ღრიანცელით მიერეკებოდნენ შემზარავ ღრუბლების ჯოგს ევროპის გაცრეცილ სივრცეებში. ორტოტა ელვა და ჭექა-ქუხილი, დელგმა და ბდღვირი შემაძრწუნებლად მოიგგალვებოდა რუსთაველის და დანტეს, შექსპირის და გოეთეს, ჰიუგოს და პუშკინის სამშობლოს მიწა-წყალზედ. დედამიწა უკუნეთის ქარაფების წინ ინჯღრეოდა. ხუფაყრილი ვულკანები ყვიროდნენ. უსაზღვროების გაუვალ ხრიოკებში ელდანაცემი პლანეტები ბღაოდნენ... პირველი მსოფლიო ომის აუწერელი უბედურება დასტეხოდა ქვეყნიერებას. დიდი და პატარა ფეხზე წამოჭრილიყო. განწირულ ხალხთა დაუსრულებელი ნაკადი ჭირხლვივით მიიწევდა კაცობრიობის სასაკლაოზე, სადაც ალქაჯების ცეცხლის კოკონი ენთო და გერმანელების იმპერატორი ვილჰელმ მეორე თავიდან-ფეხებამდე იარაღსხმული ჯარით, ლენცოფანაჭამი ნადირივით დარეოდა ფრანგებს, რუსებს, ბელგიელებს...

ზარბაზნები გრგვინავდნენ, სისხლის მორევში იკეცებოდნენ მშვიდი სოფლები. მიწის პირიდან იღგებოდნენ საუკუნეთა ჯაფით აღმართული ქალაქები, ნადგურდებოდა ხუროთმძღვრების დიადი ძეგლები, ნაცარტუტად გადაქცეულიყო ერების აურაცხელი ქონება და სიმდიდრე, ბრწყინვალე ქმნილებანი გადაჩჩხვრეულიყო თოფის კონდახებით, ხელოვნქმნელი საგანძურები ლაფში ამოეთხვარათ. ლუვრის კიბეზე ხელებმოკვეთილი მილოსელი ვენერა იდგა და გამვლელ-გამომვლელს ბედის უკეღმართობას შესჩიოდა.

დიახ, შავი ღრუბლები ტრამალებს, გზაჯვარედინებს და მთელ არემარეს მოაბნელებდნენ. ქვემეხები გრიალებდნენ, სტყვიამფრქვევები დღედაღამ ყეფდნენ. სტყვიასავით წამოსული ტყვიის თავსხმაში, ბათქაბუთქში, გაოგნებული მოსახლეობა სად გარბოდა

.ge ნაც არ იცოდა. ასე გასინჯეთ, ვეებერთელა კვამლის სვეტებით ცის კამბადონებიც იჭვარტლებოდნენ და კაცს აღარ ეგონა, თუ გამუოული ტატნობებს შხაპუნა ავდრები ოდესმე გადარეცხავდნენ. კამარებს ზევით აზიდულიყო: გამსკდარ ყუმბარებისაგან გამოფეფრული თოს ორწოხების ბეული, ძირფესვიანად ჰაერში ატყორცნილ შესანიშნავ ნაგებობათა შედეგებული მტვერი, აფეთქებულ არსენალების ღრიანცელი, დანგრეული სახლების, ხიდების, კოხმახების ანარეკლი, მართლაც გველეშაპებს ალყა შემოერტყავთ წუთისოფლისათვის.

დღე ერთი იყო და საგანგაშო საყვირების ათჯერ ზრიალი. სამარქაფო ჯარისკაცების ჭაჭანება აღარსად სჩანდა. სახანძრო რაზმში ქალები ეწერებოდნენ.

მტარვალების გამოისობით რა წვერ-ამწვანებული ახალგაზრდობა ისხიბეობდა. ღმერთო, როგორ ნაქუჩებივით ისროდნენ ყმაწვილკაცობას გამძვინვარებულ ჭიკოკონაში, რა უწყალოდ იქუფეებოდა მთელი ქვეყანა.

გაძვალტყავებული ლტოლვილებით გაჭედილიყო რკინიგზის სადგურები, ტუტლიანი და მოხუხული ბაქნები. შიმშილისაგან დასუსტებულ და ხმამაკნავებულ ბავშვებს, შეწუხებულ დედებს, შრატის ფერი დასდებოდათ; ერთ ადგილზე ჯდომით მუხლები დბუეებოდათ; ხმაურს და ერიამულს, ნაგავს და ჩეჩქს და ყლარტის სუნს, კარფანჯრებჩამტვრეულ დარბაზებს, ბამბის პატრუქამორჩილ ჭრაქებს, ცარიელ თვალებათოა გადაექციათ უსახლკოოდ დარჩენილი ადამიანები; ლტოლვილები იმდენად სასომიხდილები გამოიყურებოდნენ, რომ შეგეხედათ წაიქცეოდნენ.

შარა-გზებზე შიშიანობა იდგა: ძარცვა და რბევა გახშირებულიყო. მამასისხლად ფასობდა კვნიწი მარილი და შავი პუოის ნატეხი. ბაბლის და ნაცარქათამას კერძი სანუკვარ საჭმელად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ითვლებოდა; თუ ღრინჭველას და მაჩიტას ვინმე მიაგნებდა, სიხარულით ცას ეწეოდა.

გამაღლებულ ომს ბოლო არ უჩანდა. საზღვრები ხელიდან ხელში გადადიოდა. ფრონტები ამინდებივით იცვლებოდნენ ხიშტჩართული ბრძოლებით, ცხენოსანი მხედრების თქარა-თქერით, გამართული ხმლების ჭაბაჭუნით, გამარჯვებულთა სიერიშო ყიჟინით და დამარცხებულთა უკან დახევით. თავში კეტდარტყმული კაცივით ბარბაცებდა ქვეყნიერება, ეფრთას ხმელეთი შემოხვეული ურჩხულის სიმძიმით იზნიქებოდა. ჩახურებული დედამიწა მკვდრებს ძლივსღა აუდიოდა, სასაფლაოებს ვეღარ ინელებდა, სისხლს აღებინებდა, სუნთქვა ეკვროდა, მზად იყო ზეცის ბალიში აენგრია და სადღაც შორს, შორს... თუ გნებავთ, სინათლის იქით გადახვეწილიყო, ოღონდ მსოფლიო უსიამოვნებას, გაუნელებელ შფოთვას, ადამიანთა ხოცვა-ყლეტას განშორებოდა... განშორებოდა ცოდვილ ქვეყანას.

შებოლილ სივრცეებში ფრინველებსაც სული უგუბდებოდათ. რა ვუყოთ, თუ მზოლოდ ლეშით გამაძღარი ჭილყვავები მეტჩრობდნენ, აუგს ყბედობდნენ. სამაგიეროდ ბრძოლის ველზე ცოდვის კითხვა ტრიალებდა: აჩეხილ და წელებგამოფატრულ მებრძოლთა ზედახორა, დასახჩრებულ მოკლულებით ამოვსილი ჭაობები; ხრამში და ღრეებში გადაჩეხილი საზიდრები, ავტომანქანები, ტყვეით დაცხრილული ჯაბუკები, თავგაპობილ პირუტყვებთან ერთად ერთიმეორეში აზელილიყვნენ, მინდრები მოდებული იყო გაფშეკილი და გახრწნილი მკვდრებით, უყურადღებოდ მიტოვებული დაჭრილებით; წყლით სავსე ორმოები, ხომ საშინლად ყარდა ნაიარევი და ჩირქგამხვალი გვამებით. ხევში თავდაყირა გადავარდნილი ჯავშნიანი მატარებლები, ნაპირზე გარიყული დამხრჩვალი მეომრები გამობერილი მუცლებით; პირქვე გადმობრუნებულ ნავსადგურებთან ღუზაჩამოყრილი და ცხვირშეჭყლეტილ ხომალდების შიშინი; ჩაძირული გემების ალაგას მეზღვაურთა ქუდების, ბავშვთა სათამაშოების, დამსხვრეულ კარჭაპების, ნავების და ნიჩბების ტივები — კაცობრიობის ჭკუაზედ შერყევის უტყუარი ნიშანი იყო.

უდედმამოდ დარჩენილი, თვალებშეშუპებული ბალღები, შერცხვენილი გოგონები ერთი ქალაქიდან მეორეში დაძარწოდნენ და ცრემლმორეულნი ეხეთქებოდნენ ალაგმულ სიცოცხლის გადამწვარ მარგილებს.

მდუღარე სისხლის ნიაღვრებში ლპებოდა მიქელანჯელოს, დოსტოევსკის, ბაირონის, ბარათაშვილის, პუშკინის, ჰიუგოს სამშობლო.

საფრანგეთის სატახტო ქალაქში გერმანელების ყუმბარები წოიკობდნენ, პარიზი ღველფში და ღადარში იკრუნჩხებოდა. ომის ქარაშოტი საბერველივით უბერთავდა, წალეკილ ხალხთა საუნჯეს დაუზოგავად ანიავებდა. დედამიწა კოკისპირული ტანჯვის სადღვებელში ჩაეგდოთ, მართლაც გავარვარებულ საკირეში იწოდა ახლად ფეხადგმული მეოცე საუკუნე.

თუჯისფერი ღრუბლები ისე ეკიდა, თითქოს ზეცას სარჩული გამოსჩროდა.

წელმოწყვეტილი და გამოთაყვანებული მეფეები, აბრეშუმის შარიშურში ჩაფლული ქარაფშუტა და თოქშო დედოფლები, უფლისწულებს ბაკეიბივით უფრთხილდებოდნენ, სეფე-ქალებს და ძიძებს დღეში ათჯერ უტატანებდნენ; თაღლითი და ყოყოჩი პრემიერ-მინისტრები; ფუნეკიანი და ჩჩაკუნა დეზიციანი მთავარსარდლები განიერ რუკებს გამადიდებელი შუშებით წაყუდებოდნენ, მტრის სტრატეგიულ გეგმებს ფუშავდნენ, ერთმანეთს ფეხებში ბრიყვი ჩოჩრებივით ეხლართებოდნენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან გაცხარებული კამათით და ყვირილით ჰიჭინაზე სივდებოდნენ...

გაიძვერა ელჩები და გაქნილი დესპანები ერთ შეხლა-შემოხლაში და ჩოჩქოლში იყვნენ: შეკრიკებს სინსილოს უწყვეტავდნენ, ხან სად აფრენდნენ, ხან საით; ერთმეორეს ლაყე კვერცხივით ასკდებოდნენ, თეთრ ხელთათმანიან წამოცმულ ხელებს იქნევდნენ, მუშტებს მაგიდაზე უტყაპუნებდნენ, მეტისმეტი სიანჩხლით სისხლი თავში უვარდებოდათ, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ. საიდუმლო მიმოწერების, მლიქვნელი პირობების, ფარატინა ქაღალდის ფასად რომ ღირდა, სახელდახელოდ შეთითხნილი არზების კისრის ტეხვა და კორიანტელი იდგა, დაგეშილ ჯაშუშებს თავის საჩხერკედელაო ამინდი დასდგომოდათ: მტრის ზურგის უკან დაეხეტებოდნენ, მიბობღავდნენ, ჯარის განლაგებას ზვერავდნენ, სამხედრო ბაზებში ნიღაბამოფარებული მიძერებოდნენ; საეკვო რესტორანებში მიმტანებად ეწყობოდნენ, რომ ყბედი და ბახბუხა გენერლებისათვის განგებ ყური წაეყრუებინათ, თუმცა ბევრ მათგანს ჯილდოს სანაცვლოთ სახრჩობელას ყულუფზე კონწიალი დაპბედებოდა.

ტყვეებს ეკლიან მავთულით შემოვლებულ ბანაკებში ერეკებოდნენ, შიშდარეულებს სახეზე კაცის ნასახი ძლივს-ღა ემჩნეოდათ. იყნენ ისეთი ყალიბის წუნკლიანი ბედოვლათებიც, რომ ტყვედ ჩავარდნილების წამოყვანა ეზარებოდათ, იქვე ხვრეტდნენ, ან ცოტას გიიტყუებდნენ და სადღაც უწყალოდ სპობდნენ. იმ უბედურთა არც მუდარა, არც ტირილი, არც მუხლებზე ხელების შემოხვევა მათ გულს არ უჩვილებდა, არ ულობობდა. მართლაც რომ ომი ლმობიერებას აჭრობს, აბრაგებს, ამხეცებს ადამიანებს.

ჩულიან და ცინგლმოუწმენდავ სულთანის თურქეთს ამიერკავკასიის დაპყრობა განეზრახა: ჭოროხის ნაპირიდან, არსიანის ქედიდან, გაღმა არაქსიდან ჯაჭვაწყვეტილ ნაგაზივით ალთინეფაბოდა და ჰამბურგის ბაზარზე შესყიდულ დურბინდით ათვალიერებდა აჭარის, მესხეთის, ალეკსანდრეპოლის მიდამოებს.

ოდესღაც სათათრეთში გადახვეწილ სომხებს ნახევრად ველური ასკერები ანატოლიის ხრიოკებში ულმობლად ჟუჟაკდნენ. ანკარელი ნადირები უდანაშაულო ხალხის სისხლში ამოთხვრილი ხელებს, ვერც ერთ შთამომავლობას ვეღარ დაუმალავენ. ხერთვისის ნეკნებაჩამტვრეულ ციხის წყვეულს ხონთკარის ჩამომავალნი განა ოდესმე მოინელებენ?

თურქეთში გატაცებულ ქართველს პოეტი სწერდა:

რუზი მეჩეთი ცაზე აყრილ ღრუბლებს
იცოხნის,
ზოგჯერ ამთქნარებს ყურანივით ტლანქი,
ტიალი.
შენ კი ჩადრივით მოგისხია მხრებზე
სიეოცხლე,
მიპყვები ბუერანს და გიყურებს მთა
თრიალეთი.
ვიცი, მოკეთევ უცხოეთი გღრღნის და
გაწამებს,
გატაცებული ნაფუზრები, ქედი, მინდორი,
დახედავ ყვავილს, ვით მძინარე ბავშვის
წამწამებს,
თავს დატოტვილი რო ადგია ხნიერი
წნორი.
ოშკის სამრეკლოს ჩუქურთმებში ბუდობს
სიმღერა,
ეგ იავ-ნანაც თამარეფის სახის ხალია.
ჩაფიქრებულხარ გზიდან-გზაზე
ბედამღერეული,
და ქართულ ჰანგებს შენს მკერდის ქვეშ
უფართხალიან.
იცი, რომ შენსკენ არსიანის ნაკადულები,
გულდაწყვეტილი ბალღებივით იქქორებიან?..
ხერთვისის ძირში მტკვრის ტალღების
ბკადღები,
რატომღაც ძმაო, ხან ვაზივით
იცრემლებიან.
დრო რას დახეთქავს სწრაფ ჭოროხის
ზვირთების ყაჯარს,
ზედ გადახვეწილ ქართველების ფიქრები
ყრია.
რა დავიწყვიტ ჩემი ერის დიდების მაყარს,
ვინც საქართველოს ფერეფანი ჩამოანგარია.
ხრიოკ სივრცეში მინარეული ძმიმეთ
ახვეულებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხედავ, უბედურს ჭლეკი როგორ შეუნახია?!.
მანდ რჯულშეცვლილი დაემხობი მეჩეთის
ხვრელთან,
მესხეთში შენი ქრისტიანი დედა მარხია.

ავსტრიის მხარეზე გააფთრებული ბრძოლები სწარმოებდა, იქ, სადაც ხრიკიანირედლის ღალატმა, კინაღამ სულ ერთიანად არ დაღუბა ფრანც იოსების მიწა-წყალი, ჩაუხა პრუნდენტე-ების და მილიონერების წასასინებით მთელი დასავლეთი ცათამბჯენ ჭიკოკონაში ათქვეფილიყო, ცეცხლის ნაპერწკლების ტკაცატკაცი და ტკრეალი ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანედან ალეირის ნაპირებამდე სწვდებოდა.

ღვედდაწყვეტილი დედამიწა ჭაპანს ვეღარ ეწეოდა და ისტორიის ორხე-ბულ გზებზე გულსაკლავად ბღაოდა. აოშვნილ უბედურებას გაპარპაშებული მტარვალები დახარდნენ, ძვირფას ნა-დავლს, დოლარებს, სტერლინგებს და ეკატერინე მეორის სურათიტყუპებ-ულ ათთუმნიანებს სეიფებში ინახავდ-ნენ. დასწყევლოს გამჩენმა, რაღაც ბრმა-ყრუობა ბატონობდა, გიჟები მა-რთავდნენ ქვეყნიერებას. სიბნელის ბა-თქაშით შემოლესილი სამფლობელო გეგონებოდა, სადაც შმაგების გაუგო-ნარი უტიფრობა და გონებამიუწდო-მელი ბოროტების კუნტრუში მეფო-ბდა.

ილაჯგაწყვეტილი ხალხი მოიითხოვ-და უთანასწორობის განადგურებას, ზავს, მშვიდობას, რომანოვების, ჰოგენ-ცოლლერების, ჰაბსბურგების დინას-ტიის დამხობას.

ჩემმა მეგობარმა თავისი თვალით იხილა: ომის აუტანელი ქარცეცხლი. გაფიჩხეზულ ჭაბუკებზე კრიჭაშეკრულ და განგმირულ ვაჟკაცებზე ჯიქივით ნამქერის ფრთებგაშლილი ბუქნა; სასო-წარკვეთილი ადამიანები როგორ მრა-ტრატებდნენ ომის ნიაღვრებისგან წა-ლეკილ გზებზე, დანაღმულ მინდვრებ-ზე და ისე იღუბებოდნენ, რომ მათი ხორცის ნაფლეთებიც აღარსად სჩანდა.

გულდანაკლულებული ხალხი ბრალ-გავდა... მოთმინების ფიალა ევსებო-დათ. ხსნისკენ ლამობდნენ. წყალში დამხრჩვალი მოხუცებით, ჭაბუკებით, ბალღებით მდინარეები შეგუებებულია-ყვნენ, სრუტეები პირქვეამობრუნებულ კრეისერებით გატეხრულიყვნენ. ზღვებს და ხმელეთზე კბილებდაკრეჭილი მდე-ვებივით მოიწევდნენ, შუაზე გაგლეჯი-ლი ჯებირები გადმოელახათ.

დაღლილი და დაქსაქსული ჯარი მორღვეული ფრონტიდან შინ ბრუნდე-ბოდა ვაზნებდაცლილ პატრონტაშით, ჩამოშვებული თმებით, გაბარჯღული წვერულვაშით, დაცხვებული ფარა-ჯით, ჩამოდღლეზილი სამხრეებით, ბაწარმოკრული ჯღანებით, დაძონძი-ლი ტოლოებით, ზოგს ტალა-ხში ამოსვრილი ჩანთები და კორპ-დაკარგული მათარები აეთრია. ზოგი-ერთს თავის ჭრილობა ჭუჭყიანი ბან-დით შეეხვია, ზედ გამონაყონი სისხ-ლი რომ შეხმობოდა.

საბარგო მატარებლების ვაგონები, ბანები, ასე გასინჯეთ ორთქლმავალიც, მეომრებით იყო გაჭედილი, ამას ზედ ერთვოდა ჩხუბი, მუჯლუგუნი, ალიაქოთი, ლანძღვა, მუქარა; ზოგს ფეხი უცდებოდა და გაქანებულ მატარებ-ლიდან სასიკვდილოთ ენარცხებოდა მიწაზე. იყო ერთი ჭაღლეტა, თავბი-რის მტვრევა და აყალმაყალი.

არაქათგამოლეული და შეფიქრია-ნებული მემანქანეები ოფლად იღვრე-ბოდნენ, ცხვირის ნესტოები, სახის ნა-ოჭები, ყურები ჭვარტლით გამოსტე-ნოდათ, თავიდან ფეხებამდე მურში ისე იყვნენ ამოსვრილები, რომ ადამი-ანის გარეგნობის ნასახი დაჰკარგოდათ; გეგონებოდა შავ ტანისამოსზე ძალათი მიეკრათ თვალის კაკლები და ოდნავ მოთეთრო კბილები. ორთქლმავლები, როცა უახლოვდებოდნენ სახიფათო მოსახვევებს და დაზიანებულ ლიან-დაგს, განსაკცდელში ჩავარდნილ მგზავ-რივით კიოდნენ, აღმართზე მძიმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტვირთს ვეღარ ეწეოდნენ, ჩერდებოდნენ და საცოდავად ჭშინავდნენ.

ორიოდე გადარჩენილი საბადრაგო გემი ეზიდებოდა დაჭრილებს, ხეიბრებს, ავადმყოფებს, ფეხებმონჩჩვრეულებს, ჭაპანწყვეტით მიაღწევედა ზღვის აქოჩრილ ზვირთებს, ხან გზადაბნეული კამეჩივით დაიყოლიებდა ხოლმე თვალუწვდენელ ტალღების უდაბურებაში.

●

დიდი დავიდარაბის და თავპირისმტვრევის შემდეგ, როგორც იყო მგოსანი თბილისში ჩამოვიდა. ბინაო თავის მეგობარ მხატვართან მოეწყო. ომის ჭირვარამს თავისი დაღი დაემჩნია პოეტის ხასიათზე, მოსვენებაზე. ძილში მალიმალ შეხტებოდა: „უშველე, ცოდოა, ცოდო!“ — ყვიროდა ბედშავი სიზმრებით დატყვევებული.

მხატვარი ელდანარევ მეგობარს მზრუნველობას არ აკლებდა, ჯანს არ ზოგავდა, იმის გატეხილ ჯანმრთელობის აღდგენაზე ფიქრობდა. პოეტს გამუდმებით აწუხებდა ფეხის ჭრილობა, ეტყობოდა, გასაოხრებელი ყუმბარის ნამსხვრევები რბილში ჩარჩენოდა.

— რა ამბავია ჩვენში? — ხშირად ეკითხებოდა მგოსანი დაღონებულ მხატვარს.

— გაიხედე რა არეულობაა! ყველაფერს ნატისუსალი ასდის, ძაღლი პატრონს ვეღარა სცნობს, ჩვენი სამშობლო სულს ღაფავს, საქართველოს დოვლათიან ფიჭაში კრაზანებმა დაიბუდეს...

მხატვარი ვიღაც რეტიან მეკახშეს სახლის კედლებს უთეთრებდა, ოთახის ჭერზე თაიგულებს უხატავდა. იატაკს ოდნავ გამომწვარ აგურისფერად ღებავდა რადგან სამეშაოს თავს ვეღარ ართმევდა, შინ გვიან ბრუნდებოდა. მგოსანიც, რომელიღაც კერძო სტამბაში ამკინძავად მოწყობილიყო, ის ღარ უხვევდა ღვინის სარდაფებს, აღვირახსნილ ცხოვრებისათვის თავგაბეზარ ეკრა.

პოეტი ვახშამს ამზადებდა, როცა დაღლილმა მხატვარმა ოთახის კარი შემოაღო.

— თუ წაიკითხე ფარფლაძის ლექსები? — შეეკითხა მხატვარი.

— არა! — უპასუხა ლექსის მოყვარემ.

— აბა, ერთი გადახედე. — მხატვარმა ყვითელყდიანი წიგნი მიაწოდა მგოსანს ისეთი ქცევით, თითქოს ხელში რაღაც საწამლავი ეპირა. პოეტმა წაიკითხა რამდენიმე ფუქსავატი ლექსი, სადაც პოეზიის გარდა, ფაფანაჯამ სტრიქონებზე და მხატე ფიქრებზე ყველაფერი უშნოთ ეყარა. რაღაც მყარალი სუნი ასდიოდათ დახავსებულ რითმებს, კბილმოცვეთილ სახეებს და პოეტიკურას უჯიათო ღრეჭას, კუს ნაბიჯებს ჰგავდნენ ქილიკა, ბლაგვი პწკარები.

— ამ დაგვალულ ნაჩხაპნებს რომ წაიკითხავ, ასე გგონია რუსთაველის სამშობლოში კი არა, ავსტრალიელ ველურების ქვეყანაში იმყოფები. ღმერთო! გვიხსენი ამ უწმინდურებისაგან, ჯვარი აქაურობას! ასეთ ბეღურ ლექსს, თუ გინდა ცისმარე დღე შემოუბარე, შემოუთოხნე, მორწყე, მაინც გახმება. — წამოიძახა აღშფოთებულმა მგოსანმა.

— ეგ ხომ თავის მოჭრაა! ანგლო-საქსების რასას აქებს და მერე როგორ უსირცხვილოდ!

— ამ უნიჭო მელექსეს, რომ ჰკითხო, ალბათ გიპასუხებს: მე სრულიად ახალი მიმდინარეობა შემომაქვს ლიტერატურაშიო.

— ასე ემართება ზოგიერთ მუსიკოსსაც, კაკბების კაკანის მაგივრად რაღაც ყოროყინს გადმოგვცეს, ნაკადულის რაკრაკის სანაცვლოდ წვიმის წუმპეს შეგიშხაპუნებს სახეზე, ყურთა სმენას გიხშობს და სჯერა, რომ ახალ ჰანგების ბგერას ნერგავს ხელოვნებაში, ნაცარქცთამა ნეფის ვარდი ჰგონია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— პირფერობა უმწეო მწერლების მოგონილია.

— იმის მაგივრად, რომ საწყალ ფიროსმანს შემწეობა მისცენ, დაეხმარონ, საცოდავი ავათ ყოფილა...

— სადა სცალიან რეგვენ მინისტრებს, ასეთ პირუთნელ ადამიანებს მიხედონ. ისინი ბანქოს თამაშში აგირავებენ ამიერსა და იმიერს, ისინი ხალხის სისხლში კოჭაობენ, ყურს არაფერზე არ იპარტყუნებენ. — მიუგო მგოსანმა.

— როცა სახელმწიფოში ასეთი დაქუცმაცებას და არევ-დარევას ხედავ, უნებლიეთ გული გადმოგიცივდება ეს ოხერი, აბა რა არის? —თითქოს თავისთვის წარმოსთქვა მხატვარმა და მძაღე მჭადის ნატეხი ბადიაში ჩაიფხვნა.

ორმა მეგობარმა ძოწი ვაჭშამი დაამთავრა. გარეთ შხაპუნა წვიმამ დაუშვა, ახმაურდნენ სახლის ბანები, არარხანდნენ თუნუქის მილები, ენები გარეთ რომ გადმოეგდოთ, თითქოს ხახაში ხელი ჩაეყოთ და წვიმის უმარილო წყალს ალბინებდნენ. შეხტნენ და შემოხტნენ ქვაფენილებიც, კაკუნი ასტეხეს ფანჯრებმაც...

მგოსანმა მეგობრის თხოვნით თავისი რვეული გაშალა.

დარდი კვამლივით მედება ყელზე,
ირგვლივ რიყეა, უდაბნოს ქვები,
ისე დავდიარ ამ ქვეყანაზე,
თითქოს საკუთარ ცხედარს მივყვები.

თითქოს ქადაგათ დავცემულიყვე,
საკუთარ ბედის ანთებულ ჩატთან,
და ალიონზე, მამლის ყივილზე
ავგზნებულიყავ ქარში თანდათან.

სადღაც კიაფობს მთვარის ბულული,
შუქი დამეგნებს, უნდა რომ სწუხდეს,
თითქოს მე ვიყავ გამოქვაბული
და ჩემ ქვეშ სისხლის მდინარე ჰქუხდეს.

გარეთ წვიმა იალქნებიან ქარს ებღლანძღებოდა, პოეტის გულზე მეორე ლექსი შვავდებოდა:

სელს როცა ლვდავ, უკანასკნელად
ბორტყ თვალებით გახედავ ვეღებს,
გაღმით უკუღმა ეგდო ქვესკნელი
და შიგ სისინი გაპქონდათ გველებს.

დაუმარხავი გვამივით ყარდა,
ხელები სუნავდა ხანგამოშვებით,
წარმავლობის ტიალ ყორესთან
ქარი ეცქეოდა თეთრი ქოშებით.

ჩაბნელებულ ხსოვნაში რაღაც ინთებოდა და ისევ ქრებოდა.

წვიმა თავსხმას უმატებდა. კამეჩივით გალაჯულ ღამეს ამანავებდა, საურველით ხეხავდა. ქარი კი ნაგიყარივით დარბოდა: ხან ტელეგრაფის მავთულებზე უსტვენდა, ხან ქუჩებში მოვარდნილ ნიაღვრებში შიშველ ფეხებს ყოფდა და ქალივით კოოდა, ხან კარებს აწვებოდა, კარებები დაღლილ ადამიანებივით ძლივს რომ სუნთქავდნენ; ხან ფიცრულ სახლებს აპრჭუნებდა, ხან რომელიღაც შენობის სხვენზე აიკრეზოდა, აქეთ-იქით კრამიტს ყრიდა, ხან მოგლეჯილ ყავარს გაწუწულ მგზავრებს უშენდა.

მხატვარი სდღიდა და თხელი თუთუნის კვამლი კედლის ლურსმანზე ჩამოკიდებულ ლამფის შუქს ეელებოდა. პოეტი განაგრძობდა:

სად ვინ ჩაგიხსნის აფიცრულ სარკელს?
სად ვინ იპოვნის უძეგლო ცხედარს?
ვისაც სიცოცხლე საკვდილისაკენ
მიჰქონდა, როგორც უგრძნობელ მხედარს.

და სულ არაფერს არ დაგიდვედა,
არც რიყრაკს, არც ბინდს, არც შუადამეს,
ვინც არ იცოდა, ვინ იყო დედა.
იქნებ ანდერძათ ეტყოდა რამეს.

„ცაცხვის ხე“ წაიკითხე — სთხოვა მხატვარმა. პოეტმა მელნით ნაწერი გადამჭრალი რვეული შუქის ქვეშ მოიმარჯა.

ყვავებს შეუტევ, მიაყრი რისხვას,
რადგან მხოლოდ შენ შეგებრალება,
ფოთლებს დამაყრი შემოდგომის ხანს
და ეს იქნება შენი ცრემლები.
თუ ზამთრის ღამეს, ოდესმე წამლათ
მთვარე კრიალით გაპოპყვეს ქოსს,
უთხარი: დიდხანს ნურსად ნუ წავა
და შენს ტოტების გარს იტრიალოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუყე: როგორ მტკიოდა გული,
ძველს: როგორ შერჩენიდა მთელი ქვეყანა,
როგორა ჰქონდა ზიწის გულნი.
და სიუკუნე ბრიკი, ყაკანი.

მეტს ნუფარაფერს ნუღარ უამბობ,
თორემ მთვრალს ხმას ვერ გიგონებ,
ის მწუხარეა როგორც ობლობა,
ის სიცოცხლეში ერთხელ ლეღუნებს.

ოცდა ფერს შესცდა, და ამბავია?!.
იტყვის სოფელი ერთ სასხამ ღილით,
„აქ ხე მარხია პოეტის გვამით
— სახად შეყრილი და მოთენილი“.

ფასაუნჯის ფრთები

ამოიოხრა და თან ამოტანა მთელი სიცოცხლე.

ვიწრო ქუჩის აღმართის ზევით წამომდგარ ერთსართულიან სახლში ცხოვრობდა ხანშესული მწერალი, კარგზე კარგი ადამიანი. მომწყრე იყო აუარებელი ამბების, ვინ იცის რა არ გადახდენოდა, კალოს გარდა ყველაფერი დატრიალებულიყო მის თავზე.

დაბრეცილ ქუჩებს, შელმართებზე ჩამოფენილებს, ხშირად ჩამოჰყვებოდა ხოლმე ჩვენი მოხუცი, რომ იმ რედაქციაში შეევლო, სადაც იმის ნოველები თმებგაჩეჩილ გამომცემელს, გადასწორებული, წაშლილი, და ზოგიერთი წლებით წაუკითხავი, თავის მაგიდის დანჯღრეულ უჯრაში ეყარა.

ხომ გინახავთ უყმური კაცის ბოღოზი სახე: ყბის ძვლები გარეთ რომ გამოსჩჩრია ხახვის ფურცლის სიფრიფანა ტყავიდან, კორძივით მეჭეკი ცხვირზე ფითრივით რომ შეტყუპებია; ჯიბლიბოთი დათხრილი თვალები, თითქოს ორი ჯოჯო იცქირება ორ ხამხამა სოროდან; გათხლეშილი ტუჩები, ჭიანაჯამი კბილები, ღვარძლიანი ღიმილი, ი ვის ხელში ჩავარდნილიყო ხანშესულ მწერლის ავლა-დიდება.

„თქვენს ნოველებს, ჩვენს ჟურნალში მაშინ დავბეჭდავთ თუ ჩემს შესწორებებს დაეთანხმებით!“ — მიახლიდა გამომცემელი რიდებით მისულ მწერალს შესვლის უმალვე.

„თუ თქვენ, თქვენებურად გადააკეთებთ, ის ხომ ჩემი თხზულება

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბოდიში, თქვენი ჭირიმეთ!“ — ამასლა ეტყოდა განკიცხული მწერალი ბრაზმორეულ და წყალწყლებულ ბაზიერს.

გულჩათუთქული ბრუნდებოდა შინისკენ ზეზეურად ჩამომხმარი სათნო მოხუცი, მუდამ და მუდამ მიესაფარი, მუდამ და მუდამ გაწბილებული. მიჰყვებოდა აღმართებს ბურუსივით ვით მატიანე. სად მიიწევდა მოხუცი კაცის ბედის ყივარი? კვიმატი სიცოცხლე რად უსუსხავდა სანდომიან და საყვარელ სახეს? რათ მოუჯახუნა ყველამ კარები? რათ უსწრაფვენდნენ გაუჩარელ დღეებს? რათ ათივლისწუნეს? ნუთუ იმიტომ, რომ ის სწერდა კიეშნით მოცელ ესკიზებს? ის ხომ საკუთარი ძვლების ჩინჩხვარს უკეთებდა თავის შემოქმედების ცეცხლს; ის ხომ თავისი გულის საქაჯავში სწერადა კამკაძა ცრეშლებს, გვირილებივით რომ ყვაოდნენ მის ცხოველმყოფელ ნოველებში; ის ხომ თავის უებრო ნაწერებს ფეხქვეშ არავის უშლიდა.

რად გადაქცეულიყო უდაბნოს სილად იმის განკიცხული სიცოცხლე? რატომ არ მოსჩანდა არსაიდან მივარდნილი ოაზისი? ერთადერთი საგუბარი მაინც?!

თითქმის ყოველ კვირაძალზე ჩემი მეგობარი მოხუც მწერალს მიაკითხავდა, ერთმანეთი ისე უყვარდათ, თვალში რომ ჩაჯარდნოდნენ, თითს არ ამოისვამდნენ. მგოსანი ხშირად უყვებოდა ომში გატარებული წლების თავგადასავალს.

ხან ასე საუბრიდან ხელოვნების საჭირბოროტო საკითხებს ეხებოდნენ, ხან საკუთარ ნაწერებს გადაფურცლავდნენ. მოხუც მწერალს რატომღაც უყვარდა ეს ლექსი:

შენთან ყოველთვის იმ დროს მოვდივარ,
როცა ბინდებში ხალი ილვავ,
ჩემი ცხოვრება შენი დარდია,
შენ კი ხარ ჩემი განწყობილება.

როცა შენ აღმართს შეეყვები ხოლმე,
ხმა მესმის: რეკე დღეშალ ზარებს,
ამ დროს ქვეყანა თითქოს ხომლოიგ
და ყველაფერი პირქვე ზანზარებს.

შენ რომ მრეკავ გაკვს ისე ამოდის,
როგორც შერისხულ მლიველია ხროვა,
იწყობა ქმუნვა მორთხმულ მოგვების,
და შორიახლიკ ავლრების გლოვა.

შენი ხე გარეთ გზნებით საუბრობს,
გზნება, რომელიც ჩვენც გაგაბუნებს,
ხე რომ შენსავით ყველას გაუთბის,
და ხან მგზავრივით რომ გარახუნებს.

აქ არის რაღაც მწველი სიამე,
გულს რომ ჩასტირი და იმალები,
შენი საკანი თეთრი ღამეა,
ან დაღუბული კაცის თვალები.

ხან ჭროღა თვალებს ეცმათ იკროლავ,
თითქოს კვნესისხარ: მიშველე დედავ!..
თითებს ისრესავ, სხეულში ხრჩოლავ,
ო, ეგ სამწუ ხელების ფშვნეტა.

ამ დროს შენს სახეს რას დაინახავ,
ძმაო, გამრენმა არ დაგანახოს,
ისე შმაგია მაშინ ეგ სახე,
რომ შეიძლება კაცი დალახვროს.

ფეკვიატე. ნეტა რა ჭირად?
შენ რას ავწერდი რეშარნატის ფუნჯი.
ამ დროს ხელებში ყველი გიჭირავს,
და თვალებიდან მოსჩანს ფასკუნჯი.

ფანჯრიდან თითქოს ვიღაც ვახელებს,
ნუთუ არ ეყო, რაც რო გიწვალა?
სტეკსავ ღღეებს და სწყვეტი ამ ხელებს,
სამშობლოს გზები ვინც მოგასწავლა.

ბედმა სამხარიც კი ჩაგიმწარა,
და შეგაჩვია შფოთვა სიცილით,
ოა ვუყოთ მერე, ვიღა არ წავა.
მიწასკენ მაინც მეფიზს სიკვდილი.

ჯანდაბას, ეარე იხეტიალე,
ხან გაიღეძე მუდამ ბნისასთ,
ხედავ მზეკრაკო შენ და სიცოცხლე
ამ დედამიწას როგორ შეაშრით?!

იტკვიან: ჩუმათ ვიდოდი ხალხში,
ზოგჯერ ხალხისგან სალამიც სწყინდა,
როცა სულ მარტოდ რჩებოდა სახლში,
რაღაც ფერშემკრთალ სიგიჟეს ქმნიდა.

რამდენი ბრიყვი ავს დგებრალებს:
„ეიეხობთ იმ ყარაუულს, მგონი მუნჯია“,
სად, ვინ, შეიგრძნობს იმ კაცის თვალებს,
კაცი, რომელიც ხან ფასკუნჯია.

ნოემბრის ქარშეყრილი ღამე ყმუოდა და ჩაბნელებული სივრცეები უფრიალებდა. მოხუც შემომქმედს ტკბილად ეძინა, როცა ხელისუფლების საიდუმლო აგენტები მიუხტნენ, კარები დაუკაკუნეს ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... მწერალი დაფეთებული წამოვარდა, თითქოს იგრძნო, რომ რაღაც უბედურება დაატყდა.

კარის გაღება იყო და ავაზაკებივით შეეცვივდნენ მოხუცის ბინაში. ხორკლიანი ხელებით ყველაფერი გადაუქოთეს, ოჯახის ნივთები მიყარ-მოყარეს, ყუთბალიშიც გადმოაბრუნეს, არ დაუტოვეს გაუჩხრეკავი სათუთუნე ქისაც კი...

რეტდასხმული და საგონებელში ჩავარდნილი მოხუცი საცვლების ამარა იდგა, ძაგძაგებდა, შეშინებულ ბავშვივით უყურებდა თავის ანგრეულ კერას.

— ბებრუცუნა! ხომ ხედავ დაპატიმრების ორდერს? დაუყოვნებლივ ტანთ ჩაიცვი, შეკარი შენი ლოგინი, უფლებას გაძლევთ ერთი ხელი თეთრეული იქონიო. აბა, სწრაფად მოემზადე! — უბრძანა უცხვირპირო მტარვალმა თავბრუდახვეულ მოხუცს.

— ორიოდე წიგნის წამოღების ნებართვას ხომ მომცემთ? — შეეკედრა მწერალი.

— წიგნები? არა ეხლა ჭიანური არ გნებავთ კიდევ? შეღრინა ნადირმა, და ბაყვებში მოხუცის ნაწერებით გატეკნილი ტომარა ამოიდო, რომ პირი კანაფით მოეკრა. გახელებულმა ავაზაკებმა სახლის კარი დალუქეს და ჯანგატეხილი მოხუცი უკან ხელებგაბაწრული წაიყვანეს იქ, სადაც ღრჯოლებგადმოყრილი ალქაჯები სისხლით გათხვრილ საკაში შებორკილ ტუსაღს ელოდებოდნენ.

ხელებდამიწებულმა სიკვდილმა ჩამოიობინა.

რაზე მოსრისეს, რისთვის მოდშენიტეს ის ადამიანი, რომლის შთამგონებელ ფიქრებში ათონის ზარის ჩამორეკილი ჰანგები ბუდობდნენ და საკმეველშეპყრობილი ელეპტრები კიაფობდნენ. ნუთუ, ამ ბებერი კაცის ბუტბუტი შეეშინდათ? ერთი ფეხი ჩასმულიყო ში რომ ედგა. და მეორე ფეხით მიწაზე ძლივს ფამფალებდა, ის ხომ სატეკარს არავის არ უღერებდა, ის ობოლი ბალღივით მისჩერებოდა თავისი ცხოვრების სიდუხჭირის საფლობებს.

მარტოხელა და გულჩახვეულ ხელოვანს, საიდანღაც წამოეწია წყეული ფასკუნჯი და ათრაული ბველის კუდით გამოუნასკვა უკანასკნელი დღეების სიმშვიდე; თავისი მსხვილი კლანტებით გაიტაცა, სადღაც ტიალ სასაკლაოზე, რომ საცოდავი მოხუცისათვის გამოკვერილი ნისკარტით ამოკორტნა დაჭყეტილი თვალები, ამოჩიჩქნა ჩათუთქული გულღვიძლი.

ბნელ და ნესტიან საკაში გამომწყვდეული მოხუცი, ვიწრო სარკმელიდან შემოჭრილ შუქის დოლბანდებს მისჩერებოდა, ხან ერთბაშად წამოიყვირებდა:

„მიშველეთ! ქარიშხალმა ქვეყნიერებას ზეცა გადაგლიჯა!..“ — სბრალო მწერალი ჭკუაზე შერყეულიყო.

გულამომჯდარი მგოსანი საპყრობილეს პირქუშ კედელთან ატუზულიყო, საიდანაც მოისმოდა ცხრაალიტულში შერეკილ, გამომწყვდეულ ადამიანთა გამგმირავი ზუზუნი, სივალალე, თითქოს ავი განეულის აჩრდილი დილეგიდან ყეფდა.

დასაქცევი სატუსაღო კი რკინის არტაშნებით შემოჭედილი, გაშშებული და განაბული იდგა, როგორც ხელყოფის და ძალმომრეობის ყველაზე დიდი უწმინდურება.

ზღვაში გადაგდებული კენჭივით დაიკარგა ქართული სიტყვის დაუშრეტელი მდანი.

ვინ იცის, ქართველი ერის ბნელეთის მოციქულებმა სად ჩაფლეს დაჩენჩხილი, ხორცებდალუჯრებული, დაჩხვლეტილი და დაჯიჯგნილი მოხუცის ნეშთი? ალბათ მადლიერმა მიწამ დაუხუჭა ცრემლმორეული თვალები და მანინჯ სამარეში ჩაუფინა თავისივე კონკის ნაფლეთები... იქნებ მოხუცის მდუღარება სთხოვდა შებრალებას ჭაჭის

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაყით გამსკდარ მტარვალებს?.. არა, ის არავინ არ შეივრდომა.

...დიდი ხნის შემდეგ, როცა მგოსანს ილაჯი გადაუწყდა მოხუცის ციხით, როცა გული დარდით ამოუსკდა... ყური მოკარა: მივარდნილ სამიკიტნოში, ხრაკიანი სასმელებით გამომტყვრალ ცინგლიან ჯალათს წამოეყრანტალებინა:

„იანვრის ღამეს ხელებგაკაკვებული სულელი მოხუცი ციხიდან გამოვიყვანეთ, ქალაქგარეთ გავათრიეთ, გათხრილ ორმოსთან ძლივძლივობით დავაჩოქეთ, სანამ არ წვავუტიალეთ, როდი გაჩერდა, მერე ზურგში და კეფაში დავუშინეთ ტყვია, როცა სული გავაფრთხობინეთ და ფეხები ლაზათიანად გაჭიმა, საფლავში გადავუძახეთ, თოფის კონდახებით მივაყარეთ მიწა და თოვლი, ერთი მოზზოდილი კლდის ნატეხიც გადავუშვით, რომ ის სულძაღლი იქიდან აღარ ამომძვრალიყო!..“ თურმე ორფეხა პირუტყვი მოხუცის დახვრეტის ამბავს დამსწრეებს ღრეჩით უყვებოდა.

მგოსანი მეგობრის საცოდაობით ვეღარ ისვენებდა, აღარ იცოდა, რა წყალს მისცემოდა. რამდენჯერ მარტოს უფიქრია:

„ვაი, თუ ზამთრის სუსხიან ღამეში, თოვლში ამოგუნგლულ მოხუცს ჭირისუფალივით მისდევდა ტანმაღალი კორიანტელი; როცა მოხუცის ნელთბილი გვამი ღრანტ ხაროში თავდაყირა გადააგდეს, ვინ იცის, შუაღამემ როგორ შემოხვია ხელები, როგორ დაეჭიდა, რომ რიჟრაჟებში მაინც მიეჩქმალა ნაწამები ცხედარი. ის ხომ ვერც დაღლილმა ნამქერმა წამოიკიდა, შერყეული მკვდარი ყველს ხელიდან უსხლტებოდა. ის შეწყნარებასაც აღარ თხოულობდა.

შუაღამემ რომ ვეღარაფერი გააწყო ერთი დაიმუხლისთავა, თავში წაიშინა და საზარელი მოთქმით გადაიკარგა კაცთ მძულვარების სამყაროდან.

გულამოსკვნილმა ნამქერმაც ზურგშექცეულ ჯალათებს ქოქოლა მიაყარა და ქვითინი წასკდა...“

ასე ფიქრობდა ჩემი მგოსანი, მაგრამ ამას როდი უფიქრდებოდნენ ჩემი ერის გარეული ყაჩაღები. ისინი თავს ქვაზე უჩეჩქავდნენ ყველა იმ ალალმართალ ადამიანს, ვინც თავისი სწორუპოვარი სიმღერით ქართველი ხალხის გულს ატყვევებდა. ეჰ, ეს ოხერი, რამდენ მირონცხებულ და უმწიკვლო მგზნავრს ისე გაუმწარდა დაბრიყვებული სიცოცხლე, რომ ხელ-ფეხი იშვირა და ჩაეხეთქა დიდი მდინარის მძვინვარე ტალღებს.

იმ ხანად პოეტი მწერდა:

შენი არ ვიცი, მე დავითენთე,
გულმკერდში ცეცხლის ბული მერევა,
ნუთუ ოდესმე არ გათენდება,
ნუთუ არ მოვა ბედნიერება.

დაღუპულ მოხუცს იგონებდა:

ის მარტო იყო, ვიდოდა კენტად
ის აღარავის დაათენდება,
იმას ჭკუაზე შერყევა ქვეყნად
მიაჩნდა რაღაც ბედნიერებათ!..

ღრუბლის ნაძოვი ქედი უყვარდა,
და კავკასიის ჭალარა თმები,
გული ტირილით ამოუვარდა,
როცა მიწაში ჩაფლეს ნიჩბებით.

თუმცა ჯვარცმული მოხუცი ნიჩბებით კი არა, გათახსირებულებმა მძორივით ჩაფლეს... იმას სამარეც როდი დაუთმეს, ის თავის ძვლების აკლდამაში განსვენებდა. იმის გახუნებულ ძვლებს მიწაც ვეღარ ინელებდა. რას ერჩოდნენ უბედურ მოხუცს?!

რა იქნებოდა ცოტახანს კიდევ ეცოცხლა იმ ადამიანს, ვინც თავის აბუჩად აგდებულ ცხოვრებას თვითონვე დაათენდა, თავისივე ნათელი შემოქმედებით.

რა იქნებოდა, რომ არ მოესპოთ, არ ჩაექოლათ ის ადამიანი, ვისაც ღრუბლის ნაძოვი სივრცე უყვარდა და შუაღამისას დაბურულ ბაღებიდან ვერხვების სტვენა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თენგიზ ფიფია

მეზღვაურული ჩანახატები

კვლავ ჩამოჰკრეს ზარებმა

სრუტის შესასვლელთან წყალში ყელამდე ჩამჯდარი კუნძული ჩალით გადახურულ ქოხს ჰგავს და თაკარა მზისგულზე, ცეცხლმოკიდებულივით ხრჩოლავს. იქვე, ხელმარცხნივ, მეორე, ბოლოწაგრძელებული კუნძული გაწოლილა და უსასრულისაგან ძირს დაშვებული კალთები ზღვაში ჩაუყრია. მისგან ერთ კაბელტზე, ახლოდანაც კი ძნელად შესამჩნევი, წყლით დაფარულ-შენიღბული კლდოვანი რიფია ჩასაფრებული...

კუნძულთან, გადაფერდებულ, სანახევროდ წყალში ჩაძირულ გემს, საკვამლე მილი სასროლად გამზადებული ქვემეხივით შეუმართავს; ასე გგონია მისი შავი ხახიდან სადაკაა გრუხუნით ამოვარდება ჰურეიო. გადაყვითლეულ წინა ერდოზე, საფლავზე ცერად დასმული ჯვარივით წამომართულა დროისაგან ერთიანად დაჭმული ანძა, რომელსაც, დაღლილი კაცი დასასვენებლად ხეს რომ მიეყრდნობა, ისე მისწოლია მეორე ანძის ნამუსრევი. გემი ისეა გაუბედურებულ-გასაცოდავებული, რომ შორიდან ნაღმით აფეთქებულ, რკინის კონსტრუქციებიან ხიდს წაგავს.

ეჭვგარეშეა, მან საბედისწეროდ გვიან შენიშნა ვერაგულად დაგებული მახე და შეეწირა კიდევაც ამ წინდაუხედობას. მას აქეთაა, ასე თანდათან, წლიდან-წლამდე უიმედოდ ირჩობა ამ ღვთისაგან დაწყევლილ, უკაცრიელ ნაპირებთან. იძირება და ვერ ჩაძირულა.

გემმა იცის, რომ დიდი დრო აღარ უწერია და, რა ხანია, შერიგებია ბედს. მით უმეტეს, რომ ამ შეჩვენებულ ადგილებში ხელფეხწართმეულ გდებას, არყოფნა სჯობია ბევრად. ყველაფერი სჯობია ამ გაუთავებელ წამებაზე და ჯვარცმას...

გემი კი ადამიანებმა დაღუპეს თავისი გაუფრთხილებლობით. თანაც რა ადვილად გაიმეტეს, რა მალე მიიეწყეს. არადა, რამდენი სიკეთე გაუკეთებია მათთვის, რამდენჯერ უხსნია გაცოფებული ტალღებისა და ქარიშხლისაგან. მათ კი... ჯერ იყო და, თავპირისმტვრევით ჩაცვივდნენ გემიდან, მერე გული საგულეს რომ დაიგულეს, მობრუნდნენ კიდევაც, ბევრიც უტრიალეს აქედან თუ იქიდან, ბევრიც იწუწუნეს და ივიშვიშეს, მაგრამ მერე რა... ამ გემის მეჩეჩიდან ჩამოსაყვანად საჭირო სახსრები ორ ახალ გემს აგვიშენებსო, დაასკვნეს, რაც დასახსნელი იყო, დახსნეს, წაიღეს და, უკან მოუხედავად წავიდნენ. ეჰ, რა მალე ავიწყდებათ ადამიანებს სიკეთე!..

რა ქნას, წყევლა-კრულვისათვის მაინც არ ემეტება. ეგ კი არა და, ახლაც, სიბერისაგან გამოღამებული თვალებით გულხეთქებით გასაკვირს ამ სახიფათო ადგილებში შემოსულ გემებს და თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისი ჩახლეჩილი, ბებრული ხმით აფრთხილებს ადამიანებს, ფხიზლად იყავითო. მაგრამ ადამიანებს გემების ენა არ ესმით. გემებმა კი, რა ქნან, ისინი ხომ ადამიანების ნება-სურვილით დადიან. თუმცა, ადარც გემები არიან ძველად რომ იყვნენ, ისეთები, გადაგვარდნენ და გადასხვაფერდნენ...

გული უკვდება, როდესაც ეს ახალი, დიდი, ლამაზი გემები მედიდურად ჩაუვლიან გვერდით და ზედაც არ შეხედავენ, აქაოდა, ვის დაჰკარგვიხარო. ეჰ, რა იციან, რომ სწორედ ეს მედიდურობა და გულგრილობაა ყველა ბოროტებისა და სიავის სათავე; ისევ ძველი, ლასლასით მიმავალი, დამაშვრალი გემები თუ შეეხმიანებიან: „რას იზამ, ძმობლოო, კუდი დროება დაგვიდგა, შენ კი არა, ისეთი ახალთახალი გემები დგანან ნავსადგურებთან უქმად და უძრავად, თვალი მომეცა და მაყურებინო, იტყვი. ვის სცალია შენთვის...“

„ჯართად მაინც არ გამოვდგები, დალოცვილო?..“

„მანდაც კარგად დგახარ, შენ შემყურეს გვახსენდება, რომ სიფრთხილეს თავი არ სტკივა...“

იცის, განა არ იცის, მაგრამ ეს არ შველის საქმეს...

ღამე, როცა ყველაფერი ცოტათი მიწყნარდება, როცა ჰეფესტო თავის საბერველს მცირე ხნით შეასვენებს და აქაურობა ოდნავ სულს ამოითქვამს, მთელი დღის სიცხისაგან რეტდასხმულს, მოლანდებები ესტუმრებიან და ამ მოლანდებებში არეული, თითქოსდა სიზმრად ნანახი მოგონებები ძველ, წარსულ, ბედნიერ ცხოვრებას ახსენებენ...

ადამიანებისაგან განსხვავებით, გემებს თავიანთი დაბადების დღე ახსოვთ. არა მარტო ახსოთ, არამედ ესაა მათი ყველაზე მეტად სანუკვარი დღე. ყველაზე დიდი დღესასწაული..

მაღალ სტაპელზე, ამაყად შემდგარ გემს, ძლივს ამაგრებენ არამკითხე აღვირები. ნაირფერად მორთულ-მოკაზმული ზღვა ხალხი მხიარულად მიიჯრებ-მიიჯარება მის ირგვლივ და მათ აღგზნებულ ხმებს ორკესტრის ხმაინობაც კი ვერ ახშობს. იქვე, მის ფერხთით მოლიცლივე ზღვისა და ჯერ კიდევ შეუმშრალი საღებავის სუნნელით თავბრუდახვეული გემი მძიმედ ტორტმანებს და ერთი სული აქვს, როდის შესცურავს ამ ლურჯად მოკამკამე, მოალერსე ტალღებში, ისე მაცდუნებლად რომ უხმობს და ეძახის...

მან ჯერ არ იცის, რომ ცხოვრება მარტო ზარ-ზეიმი და სასულე ორკესტრის მხიარული გრუხუნი როდია და, რომ არც ეს ნებივრად გაწოლილი ზღვაა ყოველთვის ასე თვინერი და კეთილმოსურნე. მან ჯერ არც ადამიანების ხუშტურებისა და ოფოფებისა იცის რამე. დიახ, ჯერ არაფერი იცის და, არც უნდა იცოდეს... მთავარია, რომ ახლა ყველაფერი მოსწონს, იზდავს და მხოლოდ ერთადერთი სურვილი აქვს, რაც შეიძლება მალე გაითავისუფლოს თავი ამ ბაზარი სამაგრებისაგან და შეაპოს ეს უძირო, უსასრულო სილურჯე, რომელიც შეთქმულივით ეჩურჩულება და უამრავ, ჯერ შეუგრძნობ და განუცდელ სიამეს ჰპირდება, შორეული, ზღაპრული ნაპირების ხილვას აღუთქვამს...

და, აი, ორკესტრმა დასცხო მხიარული მარში... გემმა იგრძნო, რომ სამაგრებისაგან ათავისუფლებენ და დაიძრა ზღვისაკენ. ცოტაც და, ადამიანების მხიარულ, გამაყრუებელ ყიჟინაში გემი ხმაურითა და ზათქით შეიჭრა ზღვაში, წამით შეჩერდა, მხრები შეარხია, მიიწ-მოიწია და მერე, ბედნიერებისაგან სუნთქვაშეკრულმა, ლაღად შეინავარდა თბილ, მოალერსე ტალღებში...

და დაიწყო ქვეყნიერების კიდით კიდე ლაი ნავარდი, დაიწყო ბედნიერი, დაუვიწყარი დღეების დაუსრულებელი მონაცკლეობა...

ფასდაუდებელი ტვირთით ზურგდამძიმებული, ზღვებთან და ოკეანეებთან ჭიდილით დაღლილ-დაქანცული, ამაყად მიადგებოდა დიდ, ზღაპრულად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლამაზი ქალაქის ნავსადგურს, რომლის სანახებში მცირე თუ დიდ გემებს სათვალავი არა ჰქონდა. ჰაერი დატენილი იყო მხოლოდ ნავსადგურისათვის დამახასიათებელი, სასიამოვნოდ თავბრუდამხვევი ხმაურით. ამ ხმაურიდან გამოდიოდა და მისკენ მოეშურებოდა გედივით ლამაზი, თეთრი კატარღა, რომელსაც მოჰყავდა თეთრ საზღვაო ფორმაში გამოწკეპილი, სახემიმარი ბოცმანი და მერე, ცოტა არ იყოს, მომეტებული ყურადღებისაგან გაფხორილი, მედიდურად და საქმიანად შედიოდა ნავსადგურში. შედიოდა და თან ეჩვენებოდა, თითქოს ადგილზევე იდგა. მისკენ, მის შესახვედრად კი მოცურავდნენ დიდებული ნაგებობანი, ხალხით გავსებული სანაპიროები და ამწეებით, ელევატორებით, მძლავრი ბაგირებით საამედოდ დაბმული გემებით გავსებული ნავმისადგომები...

იდგა ნავმისადგომთან და ნელ-ნელა იცლებოდა, იმსუბუქებდა ზურგს და თანდათან ამოდიოდა წყლიდან, თითქოს იმისათვის, რომ უკეთ მიეხედ-მოეხედა, უკეთ დაენახა მის ირგვლივ გამართული საზეიმო ფერხული და ისევ ნებდა. გამორთული ძრავის დგანდგარი აღარე ტანს უზრიალებდა და აღარც ყურთასმენას უხშობდა...

მერე, ისევ შორეული გზა, შორეული ნაპირები, სადაც მოუთმენლად მიგელიან, სადაც სიხარულით დაგხვდებიან და ხელგაშლილად მიგიღებენ... მანამდე კი, უშიშრად ებრძვი ყალყზე შემდგარ ტალღებსა თუ თავაწყვეტილ გრიგალებს, ერთთავად რომ ლამობენ, როგორმე დგაბრკოლონ და დგაგვიანონ. უფრო კი იმიტომ გერკინებიან, რომ ძალა გაგისინჯონ...

.

როცა ყველაფერი მიწყნარდება და მთელი დღის ნაწამები, მირიადი ისრებით უმიწყალოდ დაჩხვლეტილი ეთერი ოდნავ შვებას იგრძნობს, რაღაც სასწაულებით გადარჩენილი ანძები კანტიკუნტად იჭერენ გემების გადაძახილს და ასე ოგებს გემი ქვეყნიერობის ამბებს. თუმცა ეს იშვიათად

ადამიანებმა ამაზე, რატომ უნდა შეადგინონ სასწორზე გემიცა და საკუთარი სიცოცხლეც?!

ახლა მაინც ხომ უნდა გაეცალონ აქაურობას, აქ ხომ მალე ნამდვილი წარღვნა დატრიალდება. ზღვა თანდათან ყალყზე დგება და ქარიც უწევს ხმას... წუთი წუთზე იცვლება ყველაფერი, იცვლება და გაგიჟებულ, ლაგამაწყვეტილ რაშს ემსგავსება...

ზღვა უკვე დუღს და გრიგალი ყურთასმენას ახშობს. ეთერი მგლოვიარე ქალივით გამწარებული კივის და გაწყვეტაზე მიმდგარი ანტენები გულსაკლავად კვნესიან და ვერაფერს არჩევენ ამ გრგვინვაში.

მეომრებივით მწყობრად დარაზმული დელფინები სწრაფად მიეცურავენ სრუტის მიმართულებით. თოლიებმა რა ხანია, მიატოვეს ზღვა და ხმელეთს შეაფარეს თავი, თევზებმა კი ზღვის სიღრმეებს მიაშურეს და გაირინდნენ.

ირგვლივ ჩამობნელდა და ჩამოიკუპპა.

ტალღები თვალსა და ხელს შუა იზრდება, ცისკენ მიიწევს და მერე, თითქოს თვალშეუყვლებ ციხესიმაგრის კედლებს საძირკველი გამოუშალეს, ზამთითა და ზავთით ენარცხება დაბლა. გრიგალი კი ერთიანად გათეთრებული თავებიდან დაუწდობლად აძრობს სკალპს მათ და მიწიდან ატაცებული უდანოს მტვერივით უკვალოდ ფანტავს ზვირთთა ამ ჭაღარა ნამუსრევს..

ტალღების გრუხუნი სულ უფრო ძლიერდება და ჰეფესტოს გრდემლის ხმა იქაურობას ახშობს. ზღვის ზედაპირი ერთიანად თეთრდება და ქარისაგან მძლავრად ატაცებული წყლის ზმეფები აბნელებს ისედაც ჩაშავებულ ცას, რომლის თაღზე გადმომდგარან რაღაც გაუგებარი მიზეზებით განრისხებული ღმერთები და მსხვერპლს ითხოვენ...

და უეცრად ამ წყვდიადში შუქმა გაიელვა. ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ბებერმა გემმა თვალუნს არ დაუჯერა. მომეჩვენაო, გაიფიქრა. მერე, როცა შუქი კვლავ გაკრთა, [illegible] ზე შემოყვარა. სიეჭეო აღარაფერი იყო — რომელიღაც თავმბეზრებულ გემს სრუტისაკენ ეჭირა გეზი...

ახლა, ამ წარღვნაში გემის სრუტეში შემოყვანა, მის სასიკვდილოდ განწირვას ნიშნავდა... რატომ იმხვდრებენ ადამიანები ისედაც შემომწყარალ ღმერთებს?

ახლავე უკან გაბრუნდნენ, სანამ გვიანი არ არის!.. მაგრამ ვინ გისმენს და, გემის სასიგნალო შუქი თანდათან უფრო მკაფიო ხდება...

ბებერი გემი თვალს არ აშორებს სრუტისკენ მომავალს და სუნთქვაშეკრული, გაჭირვებით უძალიანდება ზედმომდგარ ზღვას...

ქარიშხალი უფრო ავდება. პირზე დუქმომდგარი ტალღები სულ უფრო მაღლა მიიწევს და კედლებად ებჯინება ტყვიასავით დამძიმებულ, ჩაშავებულ ცას. უცხო გემი კი, ღუზიდან აწყვეტილივით უანლოგდება ხელმარჯვნივ, ყელამდე წყალში ჩამჯდარ კუნძულს, რომელსაც წყლიდან მხოლოდ თავი აქვს ამოყოფილი და იმ თაესაც წაგლეჯას უპირებს ზათქითა და ღრიალით მომსკდარი ტალღები.

„სად მიდიხართ, იქით არ შეიძლება!“ — გამწარებული ყვირის ბებერი გემი, მაგრამ ადამიანებს გემეზის ენა არ ესმით. ესეც არ იყოს, ვის რას გაგაგონებ ამ წარღვნაში... და გემი, როგორც ბრმა მისთვის უჩინარ უფსკრულს, ისე უანლოგდება სრუტის შესასვლელთან მომლოდინე ბედისწერას... მონუსხულივით მიეჭანება წყალში ჩასაფრებული, წვეტწამახული რიფებისაკენ...

ბებერი გემი უმწეოდ ხრიალებს და აღარც თვითონ უძალიანდება ყალყზე შემდგარ ტალღებს, გამეტებით რომ ეხეთქებიან და წუთი წუთზე წკვარამში შთანთქმით ემუქრებიან...

მერე გაისმა ძლიერი დაჯახების ხმა და რკინის ღრჭიალი, ჩაშავებული ცა სისხლივით წითელმა მაშხალებმა დასერა...

ცოტაც და, გემის სასიგნალო შუქიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაკრა და ყველაფერი მორჩა, ყველაფერი დამთავრდა...

ლაწალუწის ხმა მხოლოდ ბებერი გემის სმენას მისწვდა, სხვა ვინ რას გაიგონებდა ამ ჯოჯოხეთში. თანდათან უკანასკნელი ძალაც წაერთვა და როცა კიდევ ერთხელ, ვინ იცის, მერამდენ შემოასკდა ძლიერი ყველაფრის დამბაგრეველი ტალღა, ერთი იხუვლა და ადუღებულ წყვარამში ჩაიხვეწა...

მერე, როცა როდის-როდის ჩაწყნარდა ყველაფერი, ზღვამაც გული იჯერა და ჭარიშხალმაც, იქაურობას ელაჟ სიცხის ალმური დაეპატრონა და სატანის ქვაში მოთუხთუხე კუპრის სუნი ასდიდა, ჰეფესტო ისევ შეუდგა თავის საქმეს და ავაურვარა, ცეცხლად ააკვესა ყველაფერი...

სრუტის შესასვლელთან, ყელამდე წყალში ჩამჯდარი კუნძული ავლავ ცეცხლმოდებული, ჩალით გადახურული ქოხივით ახრჩოლდა. მეორე, ბოლოწაგრძელებულმა, მთელი სიგრძით წყალში გაწოლილმა კუნძულმა, უსასოობისაგან კალთები ისევ ზღვაში ჩაყარა, თითქოს ჩაყურყუმელავებას აპირებსო. წყლისქვეშა ქარაფზე ალპინისტის წერაქვივით შერჩენილი ბებერი გემი აღარსად ჩანდა. სამგიეროდ, ცეცხლმოდებული ქოხივით ახრჩოლებულ კუნძულთან, შუაზე გადატეხილი ქვევრივით ეგდო ახალთახალი გემი და მის ახლომახლო სულიერის ჯიანება არ ჩანდა...

და შორეულ, ნისლიან ალბიონზე, როგორც ყოველი გემის დაღუპვის ჟამს, კიდევ ერთხელ ჩამოჰკრეს სამგლოვიარო ზარებმა...

მართლა თუ გალოგდა

ORი დღე გადაბმულად ბორგავდა ზღვა და გავეშებული ეჯაჯგურებოდა გემს, ყალაზე შემდგარი ტალღები მჯავრულად უტევდნენ გვერდიდან და მის გადაპრქვევებს ლამობდნენ. ორი დღე მთავარ გემბანზე ამოკრილი ტალღები, მარილისგან დაშაშრულნი, ეგდნენ ლოკავდნენ გადასასვლელი ჩიდურა და გემს გამუდმებით ციებიანივით აძალგაებდა. ლაგამმოშვებულ სტიქიასთან მარტოდ დარჩენილ გემს ტყვეთასავით მძიმე და ჩამავებული ცაც აწვებოდა მთელი სიმძიმით და ქვესკნელში ჩანთქმით ემუქრებოდა, მაგრამ სამართავ ჯიხურს საიმედოდ შეფარებული ადამიანების წყალობით, იგი მაინც შეუფერხებლად მიიკვლევდა გზას...

ორი დღის შემდეგ, როცა ქარიშხალისაგან ნაგებები ზღვა ცოტათი ჩაცხრა და ირგვლივ ჩამოწოლილი ბურუსი და ჯანღიც ნელ-ნელა გადაიკრიფა, საიდანღაც ბატარა ჰიპელა-ჩიტები მოფრინდნენ და, ქარი რომ ატმის ყვავილებს ჩამოფერთხავს ტოტებიდან, ისე ჩამოცვივდნენ გემის წინა ერდოზე. ჩამოცვივდნენ და აღარ იქცრიდნენ, თითქოს ერთიანად ჩაიხოცენ და ჩაქვავდნენო. ეყარნენ ასე უსულოდ, ნაცოცხლის ნიშანწყალიც არ ეტყობოდათ. ისედაც ბატარა ფრთები და ბაბუაწვერასავით ფაფუკი ბუმბულიღინღლი დასველებოდათ, დამძიმებოდათ და არაქათგამოლეულებს, თავის წამოწევის ძალაც აღარ ჭერნდათ.

მაინც იძალა დადარჩენილმა სიცოცხლემ და აქა-იქ ოდნავ შესამჩნევად შეირხა ფრთები, მდინარის პირად ბინადარმა ჩიტებმა რომ იციან, ფრთების ფართხალოით გადაივლებენ წყალს და ნემსის წვერივით წვრილ ზრეფებს მიმოისროიან აქეთ-იქით, ესენიც თანდათან ამოძრავდნენ, მოცოცხლდნენ, აფრინდ-დაფრინდნენ. აქ, რკინის გემბანს დაჯკრეს ბატარა, უმწეო ნისკარტები, იქ, ღუზის ჯაჭვს ამოყოლილი, რაღაც სასწაულით ზედ შერჩენილი, წვიმისაგან დამბალი შლამი გაქექეს, და როცა დარწმუნდნენ, იმ არემარეზე მათი საკმილო არ იყო რა, ბედს შეურიგდნენ, მონახეს შედარებით მშრალი, წვიმასა და ქარს მოფარებული ადგილები და ჯგუფ-ჯგუფად მიეყუჯნენ, მიიბუზნენ, მიწყნარდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს ყველანი ერთიანად შეიწოვნო გემმა.

სამართავ ჯიხურში კი უამინდობით გულშეპირვებული ადამიანები დაძაბული გაჰყურებენ ნისლით შემოპატარავებულ ჰორიზონტს, და შიგადაშიგ გახეიდვენ წინა ერდოს, რომელმაც ჩიტები შეიფარა, თან გულმოდგინედ აკეთებენ თავის საქმეს: სათმეიდან უპირავთ საკე, ხშირ-ხშირად ამოწმებენ გემის ადგილსამყოფელს საზღვაო რუკებზე, ყურადღებით ჩასაკვირაან რადარის ეკრანს, რათა რაიმე ხიფათს არ გადაეყაროს ამ უცხო ზღვაში, ამ უცხო ნაპირებთან, შორს, ნისლისა და ჯანღის მრუმე საბურველში რომ მიკრეულან.

რაც უნდა იყოს, ეს მათთვის ყოველდღიურობაა, რომელსაც ჩვეული კალაპოტიდან ვერავითარი ძალა ვერ ამოაგდებს. უამინდობას დარი შეცვლის, დარს ისევ უამინდობა, საქმე, ჩვეული საზღვაო საქმე კი მაინც გაკეთდება და მეზღვაურისათვის აქ ახალი და უჩვეულო არაფერი იქნება, როგორი მეოცრედ მოსცვლაც უნდა დატრიალდეს ამ უცხო, შორეულ ზღვაში...

ჩიტები კი მირაჟივით გამქრალან; თუ მეზღვაურებს მოეჩვენათ, ისე, როგორც შუაგულ ოკეანეში არა ერთხელ მოლანდებიათ პალმიანი კუნძულები, რომელთაც მანამდე უანლოვდები, სანამ არ გაქრებიან.

მართლაც და, როგორ უნდა შემოებედათ ამ დღეღებულ ზღვაში უმზეო, უსუსურ არსებებს. აქ ხომ გარდუვალი დაღუპვა და გაქრობა ელოდათ. ყოველდღიური საზრუნავითა და ერთფეროვნებით თავგადაზრებულ ადამიანებს, განა ცოტა რამ შეიძლება მოეჩვენოთ თუ მოელანდოთ ამ წარღვნაში? მით უფრო, რომ წინა ერდოზე ახლა სულიერის ჭაჭანება არაა.

და, ანაზდად, ყველასაგან მოულოდნელად, ჩაღამებულ, დადუმებულ სამართავ ჯიხურში, სადაც მხოლოდ საკის ერთფეროვანი, ოდნავ გასაგონი ბუზუნი და ტალღების დროდადრო შემოვარდნილი ხმაური ისმოდა, ბაგუბედავად, შიშით, შემდეგ კი სულ უფრო გარკვევით და გაბედულად ისმა უცნაური სტვენა...

ადამიანებმა ჯერ იფიქრეს, ქარი თუ აპირებსო კვლავ ამოვარდნას, მაგრამ კარგად რომ მიაყურადეს, ქარის ერთფეროვან, მეტწილად უცვლელ, ნერვების მომშლელ სტვენა-წივილს სრულიადაც არ ჰგავდა ის ხმა... ამ ჩამუქებულ, განრისხებულ ტალღების საუფლოში, სამართავი ჯიხურისაკენ ნაზი, უხილავი ფრთების რხევით მოფარფატებდა ჯადოსნური ბგერებით აღსავსე საოცარი საგალობელი...

აშკარა იყო, წინა ერდოზე წარღვნას გადარჩენილი სიცოცხლე ფეთქავდა, ხოლო ირგვლივ თითქოს ძარღვებაშლილი სტიქია კი არ ხმაურობდა ზათქით და გრუხუნით, არამედ უსიერი, ულრანი ტყე აშრიალებდა ტოტებს... და ბუნების ამ მძლავრ მაჯისცემაში, რაღაც სასწაულით მაინც ატანდა სუსტი, მაგრამ დაუმორჩილებელი სიცოცხლის სუნთქვა და ამ სიცოცხლის საგალობელი.

გალობდა ჩიტი თავდავიწყებით, გალობდა საოცარი აღტყინებით, ისე საამოდ და გადმდებად, რომ ამ უამინდობით შეჭირვებულ, ნამშობლოს სევდით აფორიაქებულ ადამიანთა გულებს სალბუნად ეფინებოდა. გალობდა ისე, რომ ამ მოქუფრულ ზეცას და აბორგებულ ზღვას ნირს უცვლიდა, ასხვაფერებდა.

გვიან, როცა ღამე მთელი სიმძიმით ჩამოწვა და სავსებით ჩამობნელდა, გალობა შეწყდა და ბნელში ჩაიკარგა, მაგრამ დილით, როგორც კი ჩამუქებული ცა მზის პირველმა ნეიტამ გაჩინა და ყალუზე შემდგარ ზღვას ოქროს ნაკადად გადმოეღვარა, გალობა ისევ გაისმა და მანამდე არ შეწყვეტილა, სანამ, ვინ უწყის, საიდან მოფრენილმა ჭილყვავებმა წინა ერდო ერთიანად არ გადაეშვეს. ვის არ დაფრთხობდა ეს მოულოდნელად მოვარდნილი სიშავე და ელდანაცემი ბგაობელიც ჩაჩუმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, ხმა ჩაიკიდა, გაისუსა... ჭილყვავები ერთთანს ერთყელით დამძიმებული ფრთების სწორებით დაბოტებდნენ გემბანზე. შემდეგ კი წინა ერდოს ხარიხებზე ერთმანეთის გვერდით, ნახევარწრედ ჩამორიგდნენ, გეგონებოდა, წრეში სოლისტის გამოხტომის მოლოდინში არიანო, გაირიხდნენ. ისე გახევდნენ, ისე ტანშეუქანებლად გაქვავდნენ, თითქოს ხარიხებში ელექტროდენი გაატარეს და ყველა ერთობლივ იმან გაშეშათ. წინა ერდოზე ჩამოწოლილ სამპარისებურ სიჩუმეს კი მხოლოდ გემის ქიმს შეხლილი ტალღების ხეთქების ხმა არღვევდა ხანგამოშვებით და, გალობა კი არა, იმ პატარა ჩიტების კვალიც კი გამქრალიყო; თითქოს წუხელ ეს ჭილყვავები მოფრენილიყვნენ განსაცდელისაგან დაპატარავებულ-დაჩაგვებულები და ახლა, დასვენებულზე, სულმოთქმულზე, ისევ ჭილყვავებად გადაქცეულიყვნენ. გალობა კი, ჩანს, მოეჩვენათ. აბა ჭილყვავების გალობა ვის გაუგონია!..

ცოტა ხნით თავის მოსაჩვენებლად გამოანათა მზემ და მერე ისევ საავდრო ღრუბლები აიფარა სახეზე. ისევ ჩამოქცდა და ჩაშავდა ცაც, ხელისგაწვდენაზე მომდგარი ჰორიზონტიც და ყალყზე შემდგარი ზღვაც.

როცა დარწმუნდნენ, ჭილყვავებს ავი ზარახვა არ ეღოთ გულში და მათ თავიანთი სადარდელი აწუხებდათ, პატარა ჩიტუნებმა ნელ-ნელა გამოყვეს თავები თავშესაფრებიდან. უფრო გაბედულებმა მოკლე გადაფრენ-გადაარბენები იწყეს ერთი თავშესაფრიდან მეორეში. შემდეგ სხვებიც აჰყვნენ და მალე წინა ერდო ერთიანად გამოცოცხლება, აფთვიეფდა. ჩიტები გულმოდგინედ დაფარფატებდნენ აქეთ-იქით რაიმე ასაკენკის საძებრად. ჭილყვავები კი, თითქოს არც არაფერიო, ისხდნენ თავისთვის, გრძელი, ყვითელნისკარტიანი თავები ჩაეკიდათ და თავის ჭილყვავურ დარდებს მისცემოდნენ. ჩიტუნები კი სულ უფრო თამამად, მიეურიდებლად ფრენდნენ, არაკისი და არაფრის შიში მათ პატარა გულებში არ აკრთობდა, ანდა, რისა უნდა შინებოდათ? ცოტა სულს მოითქვამდნენ, გამოდარებას დაელოდებოდნენ და შემდეგ ყველა თავ-თავის გზას ეწეოდა, დროებით თავშესაფრად კი ეს დალოცვილი გემი ყველასთვის იკმარებდა...

ერთ, სხვებთან შედარებით, დიდ ჭილყვავს, ეტყობა, მობეზრდა ხარიხებზე უმოძრაოდ ყურყუტი და მუხლის გასაძრთავად ძირს ჩახტა. ბაჯბაჯით გაიარ-გამოიარა და შედგა. ჩიტები ხან წინ გაურბენდნენ, ხან უკან, ხანაც გვერდით და ისიც, თავის ოდნავ შესამჩნევი შებრუნება-შემობრუნებით გადაევნგამოადევნებდა თვალს. ერთხანს ასე იყო, მერე მძიმედ აფრინდა და ისევ ხარიხებზე დაეფერთხა. ახლომახლო მსხდომმა ჭილყვავებმა შეთქმულებივით მისკენ ჩაჰკიდეს ყვითელნისკარტა თავები, თითქოს რაღაცას ბჭობენო.

ის დიდი ჭილყვავი ისევ ჩამოხტა ხარიხიდან, ცოტაზე წამაბაჯბაჯდა და გაჩერდა, იდგა გაუნძრეველად, ოდნავ შესამჩნევად ატრიალებდა თავს აქეთ-იქით და სასხვათაშორისოდ ადევნებდა თვალ მის ახლომახლო გაფრთხიალებულ ჩიტებს. მერე ანაზდად წამოიწია, აიწურა და ქორივით დააცხრება ერთერთ ჩიტუნას.

თვალის დახამხამებაში ტვინამოხაპული, მკერდგაგლეჯილი ჩიტი უსულოდ ეგდო გემბანზე... უმალვე, თითქოს ამას ელოდნენო, რამდენიმე ჭილყვავი ფრთების ტყრშიალით ჩამოვარდა ხარიხებიდან და უმოძრაოდ დაგდებულ ჩიტს ჭირისუფლებივით დაადგნენ თავს... მაშინ კი, როცა ის დიდი ჭილყვავი კიდევ ერთ ჩიტს წაეტანა, ყველა ერთად აიშალა... თვალის უსწრაფესად წინა ერდო ტვინამოხაპული, მკერდგაგლეჯილი ჩიტებითა და გაასისლიანებული ბუმბულით მოიფინა... მერე კი, თავისივე ნაკვაცარით შეშინებული ჭილყვავები შემზარავი ყარანტალით წაშავდნენ სადღაც და წინა ერდოზე სიცოცხლის ყოველგვარი ნიშანწყალიც ჩაიწრიტა, ჩაკვდა და ჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამარდა. ან არადა, რა გადაურჩებოდათ. განა რამდენი ტკვინი და გული უნდა ჭქონოდათ საცოდავ, ცოცქნა არსებებს, რომ ამ დამშეულ ჭიოყვავებს ჭყოფნოდა?

მერე, როცა წინა ერდოზე ანაზდად ამოვარდნილი როყიი ტალღა უკუოქცა და ისევ ზღვას შეერია, გემბანზე აღარ იყო უსულო ჩიტები ეყარა და აღარც მათი ბაბუაწვერასავით ფაფუკი ბუნტყული ჩანდა სადმე.

სამართავ ჯიხურს სიმედოდ თავშეფარებული, უამინდობით ნერვებაშლილი ადამიანები საჭიროებისამებრ აკეთებენ თავის ჩვეულ საქმეს და გემიც ჯიუტად მიარღვევს ქაფმომდგარ ზღვას. რა ხიფათს არ გადაჰყრიან, რა გაჭირვება არ შეხვედრიათ ამ ყალყზე შემდგარ ტალღებთან ჭიდილში, მაგრამ სულიერი წონასწორობა არასდროს დაუკარგავთ, ოღონდ ეგაა, წინა ერდოზე დატრიალებულმა ქარბობოლამ კიდევ უფრო გაუმძაფრა მათ უამინდობით მოძალებული სევდა-კაეშანი.

ზღვა გვერდიდან, ქურდულად აღარ ესხმოდა თავს გემს. წინიდან დაუარა და ახლა მკერდით უტევდა. ფოროშტევენს შეხლილი, მარაოსავით გაშლილი ტალღა კი გვირგვინად დაადგა წინა ერდოს...

და მოულოდნელად, ჯერ სუსტად, გაუბედავად, შემდეგ კი სულ უფრო და უფრო გამეფებულად და მკაფიოდ გისმა ნაცნობი სტვენა... წამით თითქოს ზღვაც შედგა, ტალღებმაც შეწყვიტეს გრუხუნი, სამართავ ჯიხურში მოფუსფუსე ადამიანები სმენად იქცნენ...

წარღვნას გადარჩენილი სიცოცხლე კი გალობდა, გალობდა საოცარი აღტყინებითა და თავდავიწყებით. და ეს სხვა არა იყო რა, თუ არა სიცოცხლის მარადიულობის საგალობელი...

ხოლო, როცა ჩიტმა ისევ მოულოდნელად შეწყვიტა გალობა, როგორც დაიწყო, და საბოლოოდ ჩაჩუმდა, ადამიანებს კიდევ დიდხანს ჩაესმოდათ მისი ხმა... მოგვიანებით კი. როდესაც ტალღების მომეტებული ხმაური და კვნესა ამოვარდნილი ქარის გრიალი გაისმა, შეეკვდნენ კიდევაც, მართლა გალობდა ჩიტი, თუ მოეჩვენათ ამ გულმოსულ ზღვასთან შეჯიდებულ, ხმელეთის ხმებს დანატრებულ ადამიანებს.

ᲗᲘᲜ ᲘᲒᲘᲡ....

მთელი ეს დღეები ბოცმანი უგუნებოდაა და, ალბათ, ამის მიზეზიცაა რომ ვერაფრით იძინებს. მართალია, ძლიერი ღელვაა და გემი გაუპოხავი ურემივით ჭრიალებს, მაგრამ ბოცმანი რომელი ახალბედა ნახეთ, ამგვარი რამეები უფრთხობდეს ძილს. მას სხვა რამ აწუხებს — უამრავი საქმე აქვს გასაკეთებელი, უამინდობა კი ხელს უშლის. ერთი თვეა ამ შტორმებისა და ღელვის გადამკიდემ, თითიც ვერ დააკარა გემს, რომელიც მოუფლელობისაგან ბალანგაცვენილ ჯაგლაგს დაემსგავსა. კაპიტანმა კი მკაცრად გააფრთხილა, მიზეზები არ გამაგონო, შავ ზღვამდე გემი პატარძალივით უნდა მორთოო. კაპიტანსაც ვერ გაამტყუნებ, სამაზო ნავსადგურში უფროსობა თუ ათასგვარი მოცლილი ხალხი ამოვა გემზე და თან ოქროს მთებიც რომ ჭქონდეთ ჩამოტანილი, მოლაპარაკებულებივით ყველას ერთი ეკერება პირზე: რას დაგემსგავსებიათ გემი, გადაგეღებათ მაინცო... არადა, შავ ზღვამდე რაღა დარჩა...

ამ ბისკაიმ ხომ მთლად წაიღო გული. მეორე დღეა ლაყე კვერცხივით აყანყალებს გემს. ისე, ზოგიერთებს კი უტირა ყოფა, კი! ზოგიერთებში ბოცმანი უპირველესად გემის ექიმს გულისხმობს, რომელსაც ზღვის ავადმყოფობა აწუხებს, და რომელიც ახლა, ეჭვგარეშეა, გადაყვითლებულ-გადაფიფრებული ასვენია თავის კაიუტაში. დიახ, სხვა სიტყვა, ბოცმანის ღრმა რწმენით, ამ შემთხვევაში არამც და არამც არ გამოდგება... ბოცმანს პირველი დღეებიდანვე არ მოუვიდა თვალში ექიმი. ისე, სულაც არაა აუცილე-

ბელი, ყველას ყველაზე მზე და მთვარე ამოსდიოდეს, მაგრამ ვის მოეწონება, როცა გემზე ორი დღის მოსულ კაცს თავი ისე უჭირავს, თითქოს მკერდი ჩინ-მედლებით ჰქონდეს მოჭედილი.

ისიც აღიზიანებს, რომ ექიმი მის ათვალწუნებას აინუნშიც არ აგდებს და, საერთოდ, ზედაც არ უყურებს ბოცმანს...

როგორც იქნა, როდის-როდის ჩაეძინა და განგაშიც გამოცხადდა. რამ გააღიეა ეს ხალხი, — ძლივს მოასწრო ამის გაფიქრება, რომ გაისმა ერთი ხანგრძლივი და შვიდი მოკლე სიგნალი. ეს იმის მაუწყებელი იყო, რომ ზღვაში ადამიანი იხრჩობოდა. მერე საკანჯო ავრალი გამოცხადდა და ბოცმანი მიხვდა, რომ რაღაც სერიოზული ამბავი მოხდა...

ახლა ბოცმანს ფიქრის დროც აღარ ჰქონდა და რასაც მაშველ გუნდთან ერთად აკეთებდა, საათის მექანიზმის მუშაობას უფრო ჰგავდა, ვიდრე ჩვეულებრივი ხორციელის საქმიანობას.

წყვარამ ღამეში, როცა ბისკაი ბურთივით ათამაშებს მაშველ კანჯოს, ბურთივით, რომლის კარში გასატანადაც ასე თავგამოდებით აწყდებიან ერთმანეთს ბისკაის გააფთრებული ქარები და იერიშზე გადმოსული ტალღები, მაგრამ ამ ყიამეთში ვერც ერთს გოლის გასატანად კარისათვის ვერ მიუგნია, ძალზე ძნელია სწორი ორიენტირება მაშველი ყილეტის ოდნავ მბეჟუტავი ნათურის შუქზე, რომელიც ხან ჩაიკარგება ტალღების სიშავეში, ხან კი ციცანათელასავით ოდნავ გამოანათებს. უფრო ძნელია, რისი ეიავიგლახით კანჯოზე ამოათრიო მაშველ ყილეტზე ჩვარივით დაკიდებული ადამიანი. კიდევ უფრო ძნელია და თანაც წარმოუდგენლად სახიფათო, მიუახლოვდე გემს და ახლა კანჯოდან, რომელიც ოდნავ მოუზომავი მანეგრით შესაძლოა, კვერცხივით შეასკდეს გემის ქიმს, გემზე აათრიო გონებადაკარგული, სანახევროდ დამხრჩვალი კაცი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და როცა პროფესორების „ეშელონი“ დღესავით განათებულ მთავარ გემბანზე, როგორც იქნა, აიტანეს შაგგვრეტმანი, მრგვალსახიანი ინდუსის თითქმის უსიცოცხლო სხეული, მის საამქველყნად მობრუნების საქმე ბოცმანმა არავის დანება, მიუხედავად იმისა, რომ დაღლილობისაგან ძლივს იდგა ფეხზე. გემის ექიმი ამაოდ ცდილობდა მიახლოებოდა ინდუსს, მაგრამ საიდანაც კი დაადარა მიდგომა, ყველგან ბოცმანის ბრგე სხეული აეფარა. ან რა ექიმი უნდოდა, რომელი ექიმი უშველიდა ახლა ამ უბედურს ბოცმანზე უკეთ, რომელიც სანამ მეზღვაური გახდებოდა, მაშველად მუშაობდა ბათუმის პლაჟზე და წყალწაღებულთა გადარჩენისათვის ორი მედალიც ჰქონდა მიღებული. ეს „პროფესორა“ კი ყველგან ცხვირსა ჰყოფს, აქაოდა, ექიმი ვარო. წავიდეს, დაიკარგოს აქედან, ბოცმანმა უმისოდაც დაზუთხულივით იცის ყველაფერი.

დაშავებულს პირაღმა იწვენ მუხლზე და ხელისგულებით აწვევი ბეჭებშეა, ამ დროს მას თავი დაბლა უნდა ჰქონდეს. როცა წყალს ამოუღებ, დააწვენ ზურგზე, თავქვეშ ტანსაცმლის გორგალს ამოუდებ მუთაქასავით, ისე რომ თავი უკან ჰქონდეს გადაგდებული. პირზე ცხვირსახოცს დაიფარებ და ბაკშვობაში კამერაში რომ ჩაგიბერავს, ისე ჩაპბერავ ჰაერს, მერე გადაბრუნებ და გულზე მასაჟის კეთებას დაუწყებ მანამდე, სანამ დაშავებული სუნთქვას დაიწყებდეს.

ამჯერად საქმე აქამდე არ მისულა, ექიმმა როგორღაც მაინც მოახერხა პულსის გასინჯვა და როცა დარწმუნდა, რომ ინდუსი სუნთქავდა, ნიდაფურინანი ბამბა მიუტანა ცხვირთან...

ინდუსი შეიშმუშნა, რამდენჯერმე სწრაფად დაახამხამა წამწამები და მერე წვრილი, შიშჩამდგარი თვალებით მის თავთან ჩაჩოქილ ბოცმანს მიაშტერდა. ერთხანს ასე თვალმოუშორებლად უყურა, მერე ნელ-ნელა წამოჯდა და რაღაც დაიწრიპინა. დარწმუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, ვერავინ ვერაფერს მიმიხვდაო და ახლა დამტვრეული ინგლისურით იკითხა, ვის გემზე ვარო. „გიჟია ოხერი, — გაიფიქრა ბოცმანმა. — რაში ეკითხება ვისი გემია“, და ეტყობა, ამის ხმამაღლა თქმას აპირებდა, რომ უფროსმა თანაშემწემ დაასწრო და თითქოს ინდუსს აჯავრებსო, ასევე დამტვრეული ინგლისურით განუმარტა, შიში ნუ გექნებაო, საბჭოთა გემზე ხარო.

მერე ყველაფერი ელვის უსწრაფესად მოხდა. ბოცმანი პირაღმა ეგდო, ქარიგით წამოფრენილი ინდუსი კი ციბრუტივით ტრიალებდა და სწრაფი ილეთებით იკაფავდა გზას გემის ქიმისაკენ. ვინც მიეკარა, ტომარასავით დაადგა ძირს, მიაღწია ქიმამდე, აიწია და ის იყო, ზღვაში უნდა გადაშვებულიყო, რომ ექიმმა ავაზასავით ისკუპა, მისწვდა შენს ინდუსს და ერთი მოქნევით დააფერთხა გემბანზე.

გონს მოსულმა ინდუსმა კვლავ დაპირა რაღაც მაიმუნობა, მაგრამ ექიმი სტუდენტობის დროს პრიზიორი იყო ძიუდოში და ისე ჰყავდა გაძაგრული, რომ ხელიც ვერ გაატოკა.

ბოცმანმა ძლიერი დარტყმა იგემა და კარგა ხანს ეგდო გემბაზზე გულაღმა გაშოლტილი, მაგრამ გონს მოსულმა ისე გაიწია ინდუსზე, რომ ახლა კინაღამ მისი დასაბმელი თოკი შეიქნა საჭირო.

ინდუსი იზოლატორის საწოლზე დაბეს, რადგანაც გამუდმებით ზღვისაკენ ეპირა თვალი და ერთთავად გემიდან გადახტომას ლამობდა. საწოლზე დაბმულიც დიდხანს გველივით იკლაკნებოდა და ახალშებყრობილი ნადირივით ლამობდა ღვედებისაგან თავის დახსნას.

მისი მოქმედება ვის გააკვირვებდა ან რომელმა მეზღვაურმა არ იცის, რომ ნერვული სისტემის დიდმა გადატვირთვამ შეიძლება გაგიჟოს კიდევაც ადამიანი და აზროვნებაც დააკარგვინოს, მაგრამ ყველანი იმან გააოცა, რომ ინდუსი სწორედ საბჭოთა გემზე მოხვედრამ დააფრთხო...

კაპიტანმა სასწრაფოდ დაიბარა ყველი თანაშემწე, ექიმი და საგემო საბჭოს თავმჯდომარე. ითათბირეს და გადაწყვიტეს: ინდუსისათვის ვახტი მიეჩინათ და სანამ ნაპირს არ მიადგებოდნენ, გამუდმებით ეყარაულათ. ასეც მოიქცნენ. შემდეგ, როცა ინდუსი შესამჩნევად დაშოშმინდა და უკვე აღარ ლამობდა ღვედების გაწყვეტას და ღიარც გიჟივით აბრიალებდა თვალებს, პირველმა თანაშემწემ გადაწყვიტა გასაუბრებოდა მას.

ინდონეზიელი ვარ, ლიბერიის გემის მატროსი, ტალღამ გადამაგდო გემბანიდანო.

— ეგ ზღაპრები ბებიიმისს მოუყვეს, — ჩაიბუზღუნა ბოცმანმა.

კი მაგრამ, როცა შეიტყვე, რომ საბჭოთა გემზე მოხვდი, რატომ შეშინდი ასეო, — შეეკითხა პირველი თანაშემწე. რა ვიცი, ჩვენ ისეთ რამეებს გვეუბნებოდნენ, და ისე გვფრთხობენ რუსებით, რომ მოდი და, ნუ შეგეშინდებაო. მერე, როცა პირველი თანაშემწე არ მოეშვა და რაღაც-რაღაც უზუსტობებში გამოიჭირა, მაშინ ინდონეზიელმა თქვა: კაპიტანი აბუჩად მიგდებდა და ცეცმეო. აშკარა იყო, რაღაცას მალავდა.

მეორე დღეს, ნასადილევს, რადისტებმა რადიოგრამა მიიღეს: ლიბერიის ერთ-ერთ გემზე ვიღაც მეზღვაურს სასიკვდილოდ დაეკრა გემის კაპიტანი, თვითონ კი ზღვაში გადამხტარიყო. უკლებლივ ყველა გემის კაპიტანს ეკალებოდა, ნებისმიერი ცნობა დამნაშავის შესახებ დაუყოვნებლივ გადაეცა საერთაშორისო პოლიციის სამმართველოსათვის ლონდონში.

კაპიტანმა მაშინვე აფრინა რადიოგრამა მითითებისამებრ და მიიღო განკარგულება — შედით უახლოეს პორტში და დამნაშავე ადგილობრივ ხელისუფალთ გადაეცითო.

უახლოესი ნაგსადგური ესპანეთის ქალაქი ლა-კორუნია იყო.

ლა-კორუნიის კომისარმა კაპიტანს უთხრა, გემზე ინგლისელ კაპიტანს ცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მით შემოკვდომია ამ ინდონეზიელის ძმა და ამასაც მოკლულის სისხლი აუღიაო.

— შველაც ამას ჰქვია, — აიკლო ბოცმანის ბუზღუნმა მთელი გემი, მას უკვე დავიწყნოდა ძოლგატეხილი ღამეც, ბისკაის ცივი აბაზანებიცა და ინდონეზიელის მზაკვრული დარტყმის სიმწარეც.

როცა პოლიციელთა ბადრაგს ინდონეზიელი კატარღაზე გადაჰყავდა, ამ უკანასკნელმა კიდევ ერთხელ გაიბრძოლა ზღვაში გადასახტომად, მაშინ ერთ-ერთმა პოლიციელმა ისეთი გამეტებით ჩასცხო ხელკეტი თავში, რომ გარეთ გამოფენილ ეკიპაჟის წევრებს სიმწრის კვნესა აღმოხდათ...

და მერე, როცა ლა-კორუნიას რეიდზე მოდრეიფე გემს ნელ-ნელა შორდებოდა პოლიციელთა კატარღა, რომლის კიჩოზე უმწეოდ მოკუნტული, ხელბორკილდადებული ინდონეზიელი ეგდო, მთავარი გემბანის ხარიხებზე, ერთმანეთის გვერდიგვერდ გადაყრდნობილი ბოცმანი და ექიმი სევდიანი თვალებით მიაცილებდნენ მას, რომელიც თანდათან პატარავდებოდა და ვინ იცის, რაზე ფიქრობდნენ...

იქნებ მათ ძარღვებში მომხვდურის ძალადობით წინაპართა ნაგვემი და მაინც მოუთოკავი ქართული სისხლი აკვნესდა და აწრიალდა. ვინ იცის...

აკვნესდა და, მართლაც, ვინ იცის რაზე...

შორს კი, დედამიწის ზურგზე ყველაზე უძველესი ლა-კორუნიას შუქურა მოჩანდა, და მასავით ძველი სადარდებელით გულშეწუხებულ ადამიანებს, რაღაც გაუგებარ ნიშნებს აძლევდა თვალის ხამხამით...

თენგიზ პატარაია

მისი სახელი და გვარი ახლა. საბჭოთაროდ, შავ ჩარჩოში ჩასმული უნდა წეროთოთოს მკითხველმა. ალბად, ეს თარგმანები თენგიზის სიცოცხლეშივე შეიძლებოდა დაბეჭდილიყო. არ დაიბეჭდა ერთი უბრალო მიზეზის გამო — იგი ჩვენი რედაქციისათვის ძალზე მახლობელი კაცი იყო და, როგორც შინაურს, ცოტა გადაუვლიდნ...

სულითა-ხორცამდე ინტელიგენტი, დიდ ევროპულ კულტურას ნაზიარები, დახვეწილი გემოვნების პატრონი — ყოველთვის ისეთ ავტორებს თარგმნიდა, ისეთ ლიტერატურულ ძეგლებს არჩევდა, აუცილებლად რომ სპირიდებოდა ქართულ კულტურას. მის მიერ გადმოკაზთულებული რობერტ მუზილისა და ჰაინრიხ ბიოლის ნაწარმოებები ნიმუშია მხატვრული ნაწარმოების არსში ნუდომისა. ეს თარგმანები ენობრივი ესოვილის უფაკაზესი ნიუანსების გადმოცემის უზადო ოსტატობითა და ქართული ენის შეგრძნების ღვთით მომადლებული ნიჭითაა გამორჩეული. ამ თარგმანთა ბოლოს, აწ უკვე ხამარადისად — ირეკლება მათი ავტორის ტკივილებით დასერილი გული და ნაოელი, მრავალსიმეტყველი, ოდნავ ირონიული ღიმილი...

გულდასაწყვეტია ასე ნაადრევად დასრულებული ცხოვრება შემოქმედისა. ალბათ ინის სიცოცხლე თუ მხოლოდ წლებით აზომება, მაშინ ცხადია, თენგიზ პატარაიამ ნაადრევად დასტოვა წუთისოფელი, მაგრამ თუ სიცოცხლის ხაზომად სულიერი ცხოვრების ინტენსივობასა და ბედისწერის პირველულობას ავიღებთ, მაშინ მისი ნაადრევი სიკვდილი შეიძლება ლოგიკურიც იყოს...

თენგიზ პატარაიას პატარა სამშობლო ოთახის კედელზე, მისი მაგიდის პირდაპირ, გაკრული დარჩა 1918 წლის საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციის დიდი პლაკატი... როგორ ელოდა ამ დღის განმეორებას! ამისთვის იტანჯა, ამისთვის იცხოვრა და სამარეში ჩაიყოლა იმედი იმისა, რომ რასაც თვითონ ვერ მოესწრო, მისი შვილები, მისი მომავალი საქართველო მოესწრებან!

საკონცენტრაციო ბანაკებგადავლილი რუსი პოეტის ამ თარგმანებშიც კიდევ ერთხელ ვხედავთ თენგიზ პატარაიას სულიერი ცხოვრების ინტერესებსა და მიმართულებას...

თეიდო ბეჟიშვილი

ანატოლი ჟიგულინი

●

მე სამარხები მინახავს ბევრი,
მაგრამ არ ვიცი ასეთი ზღვარი:
ფირფიცრისაა ვარსკვლავთა ტევრი,
და არსად, არსად არ მოჩანს ჯვარი.

ცაში კი ყველა ვარსკვლავი ჩაქრა
მოქუფრულია ბორცვი სიშავით.
აქ საფლავს მხოლოდ ნომერი
ახლავს,
ან ადევს ქვები მოუნიშნავი.

გაახსენდება კაცს უთენია
ის შორეული ნიშნები მრუმე,
რომ იმის გარდა, რაც უთმენია,
სხვა დამცირებაც ყოფილა თურმე.

გულს ვუფატრავდით გაყინულ
მიწებს.
უკუნში შვებას ვიგრძნობდით
ათმაგს.
გვიან ღამით კი ისევ და ისევ
ბარაკისაკენ მივყავდით ბადრაგს.

ღამე კი — როგორც სიზმარში
ხილვა —
თოვლიან ბორცვზე წვებოდა
ზანტად,
და თან ვარსკვლავებს ანთებდა
ფრთხილად
— იქ,
სადაც შავი
ნომრები ჩანდა...

1961-1963.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტა

დიდი ხანია ხაოვნაში ჩაქრა
ციმბირის ტყე და ქარი აშარი,
ის კოცონებიც ჩანავლდა, მაგრამ
ჯერ კიდევ ღვივის თბილი ნაცარი.

წამოუბერავს, სივრცეებს შეჰყეფს
მომწარო ქარი გადამწვარ ველის, —
აჭრიალდება ტოტები ხმელი
და მიაწყდება ჩრდილები ხეებს.

დაფეთებული უცებ ირემი
შელეწავს ჯაგნარს, ტყიან სანახებს.
და ჰაერს კვლავაც დედის გინების
ცამდე ასული ბუღი აამღვრევს.

მოდგება ცხენი, ბექთან მოზიდავს
დაღრეკილ ზეხმელს წვალებ-
წვალებით.
ვინმე შესძახებს:
— აგე, ქალები!
ქალები ნახე, ჩვენი ზონიდან!

დამამახსოვრდა სამარადჟამოდ...
თითქოს მოცურდა დამზრალ
მიწაზე,
თან მოიტანა ასე საამო,
დიდი თვალების ნორჩი სინაზე.

ეძებდა ქალი თავისიანებს,
უხმობდა ყველას, ეძებდა დიდხანს.
მე ის ძახილი,
ის „ლაბას რიტას“,[1]
სულს დღესაც ისევ მისევდიანებს.

მერე კი იქვე კოცონს მიუჯდა,
ცეცხლთან ითბობდა პატარა ხელებს,
და მიყურებდა ისე ჯიუტად,
თითქოს ელოდა მხსნელსა და
მშველელს.

წვებოდა ნისლად მდინარის თავზე
ზეცა, რომელიც ნაცრისფერს
ცრიდა...

— პური თუ გინდა? — ქალს
ვკითხე ასე, —
და გავიგონე პასუხი:
— მინდა.

და მეც მივეცი, თუკი რამ მქონდა.
სადღაც კიოდა ბუ, და გამლხვალი
ბალახის პირზე თითქოსდა კრთოდა
ჩაყვითლებული მიწამაყვალი.

რა უცნაური მეჩვენა მაშინ,
რომ ერთი გვქონდა
ორივეს სევდა,
რომ შეგვახვედრა სუსხსა და ქარში
ჩვენ — უბედობამ,
და არა ბედმა.

1965.

ირინას

სადღაც ცურავენ ნისლში ვერხვები,
თან თითქოს ბორცვიც გამოკრთა
თვალწინ.
უშფოთველია, და მე ვერ ვხვდები,
სული თუ მართლა ითრთოლებს
აწიც.

ასე მოვკვდები ალბათ და იმ წამს
მზერა ჩაიწნავს სიცოცხლის ნახევს:
ყინვისგან მიმზრალ აყალო მიწას
და ვილაცისგან აჩეხილ ბაღებს.

შორიდან მოვა, სადაც ეული
სხივი ციალებს, როგორც ზმანება,
მოვა და სახე დამწუხრებული
სახეზე სევდად ამეფარება.

მე აღარა ვარ, სული კარს აღებს...
ტკივილის მიღმა და უკვე მკვდარი,
ვიცი, ვიხილავ სანატრელ სახეს,
რომლის მოხილვა ვერ მოვასწარი.

1967.

●

გავედრებს სული ჩემი მარტვილი:
მოეც ირინას, დღენი, უფალო.
ვარ უიმისოდ ნაძვი წაჭრილი,
ვარ ეკლესია, — უჯვრო, უსანთლო.

---

[1] „ლაბას რიტას“ — დილა მშვიდობისა (ლიტ.)

ლეონიძეების ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲘᲐᲚᲢᲐ

თავს იგრილებდნენ კიპარისები,
შორ ქედს ეფინა ყვითელი ფთილა,
და თან ფიჭვები,
მელის ღირსებით,
ფუმფულა კუდებს არხევდნენ
ფრთხილად.

სველი ფოთოლი თავისი თლილი
მძივებით რთავდა ბალახს განაბულს,
და უსწრაფესი მთით მოძახილი
იმეორებდა ნაზად:
„ააუ-ს“.

გამჭირვალეა დღეს უფრო მეტად
შხეფები, ტანზე რომ აზის კბოდეს.
მზიანი ნისლი გარდასულ დღეთა
ზედ ეხეთქება ქვებსა და ლოდებს.

გადამავიწყდა თავნება ბედი —
ახლა ტალღების წკრიალსღა ვისმენ.
თვალებიც —
თბილი, ზღვის ორი წვეთი —
შემომცქერიან ნისლიდან ისევ.

ცისარტყელაა ზღვის თავზე,
ზღვა კი —
ტანზე იხურავს ტყვიისფერ ნაბადს.
ანყდება ფანჯრებს ქარები შმაგი,
და ნეკერჩხალსაც ადნება კაბა.

სუსხმა პლაჟები გალოკა ენით,
დაადგა ხეებს ყინვის ულელი.
გახედავ, ბედის გზებია ჩვენი,
ჯერაც ბოლომდე გამოუვლელი.

კარს კვლავ მოადგა ბედნიერება,
კვლავაც ტრიალებს ცოდო და
ბრალი.
ხან ზღვა ბორგავს თან თავს ვერ
ერევა,
ხან მზეს ირეკლავს ლივლივა წყალი.

და ის მშფოთვარე ჩურჩული,
სუნთქვა,
და იმ ფოთლების ოქროა ციმციმი —
დაუვიწყებელ სიყვარულს თუ ჰგავს,
რაც კი ოდესმე თქმულა ფიცივით.

1965.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული თვალსაზრისი

●

როგორც მკითხველს ახსოვს, გასული წლის მეცხრე ნომრიდან „ცისკარმა“ დაიწყო პუბლიცისტური წერილების გამოქვეყნება რუბრიკით „ეროვნული თვალსაზრისი“. ჟურნალის რედაქციამ რამდენიმე საორიენტაციო კითხვა შესთავაზა ქართული მწერლობის, მეცნიერების, ეროვნული მოძრაობის მოღვაწეებს.

აღნიშნული რუბრიკით გამოქვეყნებულ წერილებში ერთგვარად გამოიკვეთა პოზიციები და შეხედულებები, გარკვეული შეფასება მიეცა საქართველოში მიმდინარე სოციალ-პოლიტიკურ და ეროვნულ მოძრაობას, საერთოდ, საზოგადოებრივ პროცესებს. ამ წერილებში ერთხმად არის აღიარებული საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის აუცილებლობა. უნდა ითქვას, რომ ეს ჩვენი საზოგადოებრივი აზრის დიდი მიღწევაა, რადგან სულ რაღაც ორიოდე წლის წინათ ამ აზრს საზოგადოების მეტად მცირე ნაწილი იზიარებდა. როგორც მკითხველთა გამოხმაურება მოწმობს, განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა რევაზ ჯაფარიძის, ნოდარ წულეისკირის, ჯანსუღ ღვინჯილიას, მამუკა წიკლაურის, ჯარჯი ფხოველის, კახა ლორიას და სხვა ავტორთა წერილებმა, საუბრებმა ზვიად გამსახურდიასა და გიორგი ჭანტურიასთან.

ამ მასალებში კიდევ ერთხელ გამოიკვეთა ის საგანგაშო ვითარება, რომელშიც იმპერიული ძალების მეცადინეობით და დიქტატორულ-ტოტალიტარული რეჟიმის წყალობით აღმოჩნდა საქართველო, რომ დღეს ქართველ ხალხს არა აქვს სხვა ალტერნატივა საკუთარი სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლის გარდა.

დამოუკიდებლობის აღდგენის პერსპექტივა კი გვკარანხობს თავისუფალი საქართველოს მშენებლობისა და მისი შენარჩუნებისათვის მზადყოფნის აუცილებლობას, რასაც ესაჭიროება წინასწარ მეცნიერულად გააზრებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მოწყობის მოდელი, ანუ ის საფუძველი, რაზეც უნდა აღმოცენდეს საერთო ეროვნული განვითარების კონცეფცია.

ვაგრძელებთ რა რუბრიკას „ეროვნული თვალსაზრისი“, ვთხოვთ ეკონომიკის, სამართლის პოლიტოლოგიის სფეროს სპეციალისტებს, ლიტერატურული ჟურნალის სპეციფიკის გათვალისწინებით, გამოთქვან თავისი აზრი იმ საკითხებზე, რაც ხვალ, უთუოდ, მთელი სიმწვავით დადგება ჩვენი ერის წინაშე.

გთავაზობთ საორიენტაციო კითხვებს:

1.

— როგორ გესახებათ დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური სტრუქტურა, საბაზრო-სასაქონლო, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები, წარსულის მაგალითების გათვალისწინებით რა პოტენციურ შესაძლებლობებს ხედავთ საქართველოს სწრაფი ეკონომიკური აღმავლობისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებს შორის ადგილის დამკვიდრებისათვის.

— თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის თანაფარდობა, რომელი დარგის უპირატეს განვითარებას მიიჩნევთ საჭიროდ, როგორ გესახებათ მეურნეობის ტრადიციული დარგების განვითარება ახალ პირობებში.

— როგორ უნდა მოხდეს წიაღისეული სიმდიდრით, ბუნებრივი და შრომითი რესურსებით სამრეწველო და სამეურნეო დარგების უზრუნველყოფა, ექსპორტისა და იმპორტის თანაფარდობა, რა უნდა გავიტანოთ და რა უნდა შემოვიტანოთ, საკუთრების რა ფორმების დამკვიდრებას თვლით საჭიროდ.

2.

— როგორ წარმოგიდგენიათ დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკურ-სამართლებრივი მოწყობა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, პოლიტიკური ძალები, საარჩევნო და მმართველობის სისტემა.

— როგორ უნდა მივაღწიოთ, რომ საქართველო გახდეს რეალური სამართლიანობისა და ჰუმანიზმის პრინციპებით მოწყობილი ქვეყანა, დაცული იქნეს ადამიანთა კონსტიტუციური და დემოკრატიული უფლებები, აღიკვეთოს დიქტატორული და ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრების საშიშროება.

—როგორ გესახებათ საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობები, სამხედრო-თავდაცვითი და შინაგანი წესრიგის სისტემა, ეროვნებათაშორისი ურთიერთობები, დამოკიდებულება მეზობელ ქვეყნებთან და დანარჩენ მსოფლიოსთან პოლიტიკურ და სამხედრო ბლოკებთან, საზოგადოებრივ მოძრაობასთან, საერთაშორისო ორგანიზაციასთან.

3.

— როგორ წარმოგიდგენიათ კლასობრივი და სოციალური ურთიერთობანი, ზრუნვა პიროვნების თავისუფლებისა და ყოველმხრივი განვითარებისათვის, სოციალური უზრუნველყოფის სისტემა, რელიგიისადმი დამოკიდებულება, საზოგადოების იდეოლოგიური საფუძვლები და პოლიტიკური ორიენტაცია.

ჟურნალის ამ ნომერში გთავაზობთ საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატის პროფესორ ვალერიან ადვაძის წერილს, რომელსაც საფუძვლად დაედო მიმდინარე წლის აპრილში პროგრესულ-დემოკრატიული პარტიის ინიციატივით მოწვეულ სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენება. აქვე გაეცნობით ზურაბ ვახანიას და ილამაზ მიწიშვილის წერილებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალერიან ადვაძე

საქართველოს ეკონომიკა: გზა საბაზრო მეურნეობისაკენ

შექმნილ ისტორიულ ვითარებაში საქართველოს მეცნიერ-ეკონომისტების და არა მხოლოდ მათ წინაშე ამოცანად დგას, ღრმად გაანალიზირო რესპუბლიკის ეკონომიკის დღევანდელი მდგომარეობა, დაანახოთ მისი მომავლის სურათი და მისკენ მიმავალი გზები. იგულისხმება პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა და მათზე გარდამავალი პერიოდი.

ერთი მხრივ ეკონომიკაში შექმნილმა უმძიმესმა მდგომარეობამ, ხოლო მეორე მხრივ დიდმა იმედებმა, რომ საქართველო მალე დამოუკიდებელი იქნება და სწორედ ეკონომიკის აღორძინება გახდება გადამწყვეტი მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობის განმტკიცებაში, გამოიწვია ჩვენთან როგორც მეცნიერ-ეკონომისტთან, საქართველოს ეკონომისტთა ხაზოგადოების გამგეობის თავმჯდომარესთან და სხვა კავშირის ხასლში დისუტატთან ხელ სხვადასხვა დარგის მეცნიერებისა და საქმიანი წრეების, პრაქტიკოსების უწყვეტ ნაკადად დენა წინადადებებით, აზრებით და თხოვნით დაეგზავნა მათ განსხოვრიელებაში.

მათმა ასეთმა მოძრაობამ კვლავ გამახსენა დიდი ხნის წინანდელი, დაეწყებული გამოთქმა: „ქართველები ხალხის ხამეურნეო თოსნობა" — ეს ბრწყინვალე გამოთქმა, ისტორია და პრაქტიკა, რამაც შესაძლებელი გახადა ქართველი ერის როგორც ეთნოსის კვლევა-წარმოება და, აბრიგად, მისი გადარჩენა. მე ამ თოსნობას ვუწოდებ ეკონომიკურ პატრიოტიზმს. ამ ადამიანებთან შეხვედრებში მე ვიგრძენი, რომ მიუხედავად თითქმის შვიდი ათეული წლის მანძილზე აღნიშნული თოსნობის ჩაკვლის ცდისა, იგი კვლავ ცოცხალია და დიდი როლი უნდა შეასრულოს საქართველოს სრული ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებისაში.

ამ ჟამეროვნად მიბიიმა ამელო მთავარი მომხსენებლის როლი საქართველოს პროგრესულ-დემოკრატიული პარტიის მიერ მოწოდებულ წლის 17-18 აპრილს მოწვეულ სამეცნიერო კონფერენციაზე, თუმცა თვით აღნიშნული პარტიის არსებობა კონფერენციამდე ოროობდე კვირით ადრე გახდა ჩემთვის ცნობილი. მივიჩნიე, რომ კონფერენციაზე მოწვეული ერის ინტელექტუალური ძალები, პოლიტიკური პარტიების, თავკრობის, მეცნიერებისა და საქმიანი წრეების წარმომადგენლები, პრაქტიკოსები შესაძლებდნენ გარკვეული ხაზოგადოებრივი აზრის შექმნას, ფასეული წინადადებების შემუშავებას, იმ უმოკლესი და რეალური გზების დასახვას, რომლებიც მიგვიყვანენ ეკონომიკის — ჩვენი სოციალური, სულიერი და კულტურული ცხოვრების საფუძველთა საფუძვლის — აყვავებასთან.

ჩემი მოხსენების მიზანი იყო წარმომედგინა მოლიანად ქვეყნის და საქართველოს ეკონომიკაში შექმნილი ვითარების ზოგადი სურათი ხაბარლამენტო ხაქმიანობის შუქზე და მიმეწვია კონფერენციის მონაწილეები ხადისკუსიოდ. ჩვენ ღრმად უნდა გავგებალინეზებინა და გაგვეზიარებინა დღევანდელი სიტუაცია მსოფლიოში, ხაბჭოთა კავშირში, საქართველოში და ასასები გაგვეცა პოლ გოგენისეულ კითხვებზე: „ხაიდან მოვედით? ვინ ვართ? ხაიი მივდივართ?"

ხაქართველოს ეკონომიკა ხაბჭოთა კავშირის ერთიანი ხახალხომეურნეობრივი კომპლექსის ორგანული შემადგენელი ნაწილია და მასზე ასახება ამ კომპლექსის ყველა უარყოფითი მხარე, მასში მიმდინარე კრიზისი: მეურნეობის ექსტენსიური განვითარება, წარმოების ხაშუალებებისა და ხამხედრო წარმოების მიეერთრიოფული ზრდა, მოხმარების საგნების გამოშვების ერთიან ნელი ტემპი. ყოველივე ამის შედეგი საყოველთაოდაა ცნობილი. უწარმაზარი რესურსების მქონე ქვეყანას არ შეუძლია საკუთარი მოსახლეობის გამოკვება.

ხაქართველოს ეკონომიკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ტექნოლოგია კიდევ უფრო მოძველებულია ვიდრე მოლიანად ქვეყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინა, ხოლო სხვ კავშირი, თვით მისი პრეზიდენტის ალიარებით, მთელი ტექნოლოგიური ეპოქით ჩამორჩება განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს. ჩვენს სახალხო მეურნეობაში პრაქტიკულად არ გამოიყენება სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები.

საშინლად დაბალია მოსახლეობის ცხოვრების დონე. ამ მხრივ საბჭოთა კავშირი ჩამორჩება არა მხოლოდ ყველა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას, არამედ განვითარებადი ქვეყნების მნიშვნელოვან ნაწილსაც. მოხმარების დონით იგი მსოფლიოში 77-ე ადგილზეა. შრომის ანაზღაურების დონით კი საკმაოდ საშუალო საკავშირო მაჩვენებლზე დაბლა დგას.

მეურნეობის საყოველთაო გასახალხმეურნეობრობამ ხელი შეუშალა ეფექტიანობული „ჩრდილოვანი ეკონომიკის" ფართოდ განვითარებას, რომელიც მძლავრად ურტყამს „სუფთა ხელფასებს" მობოდიშებებს, ეს იგი მოსახლეობის უფიქრებ უმრავლესობას. ოფიციალური მონაცემებითაც ოთხ ათეულ მილიონზე მეტი ადამიანი ქვეყანაში სიღატაკის ზღვარზე დაბლაა. პატიოსანი შრომის შედეგად მიღებული ხელფასით ცხოვრება სულ უფრო ძნელი ხდება, ხოლო პირველადი, სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქტებისა და საგნების ნაკლებობა ხელს უშლიმს სპეკულაციისა და დანაშაულის სხვა ფორმების ზრდას, არაუვს საზოგადოების ზნეობრივ საფუძვლებს. კატასტროფულია პენსიონერთა და დაბადებლებურებიანი კატეგორიის მუშაკთა მდგომარეობა.

ასეთია საზოგადოებაში, ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროში სახელმწიფოს, ერთი პარტიის მონოპოლიური მდგომარეობის, მართვის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის შედეგები.

ერთი პარტიის მონოპოლიურმა მდგომარეობამ ეკონომიკაში, იდეოლოგიაში, კულტურაში, საკასუხისმგებლო სახელმწიფოებრივ თანამდებობაზე ადამიანთა დანიშვნის ნომენკლატურულმა სისტემამ ყველგანაც დანერგა არაპროფესიონალიზმი, უპასუხისმგებლობა, მათი დაუსჯელობა ამ მატერიალური და მორალური ზიანისათვის, რასაც ისინი აყენებენ საზოგადოებას თავიანთი მოქმედებით თუ უმოქმედობით, მათი მნიშვნელოვანი ნაწილის გაბერვნა, კორუფციის აყვავება, მაფიის ჩამოყალიბება. ახე გამართლდა ლენინ აკრონის სიტყვები: „ძალაუფლება ხარნის, აბსოლუტური ძალაუფლება ხარნის აბსოლუტურად".

ნომენკლატურულ კლასს აქვს ძალაუფლება და თუ პერესტროიკის ბუნი წლის ბანძდნენ ლაპარაკის გარკვეული თავისუფლების გარდა რეალურად ვერაფერს მივაღწევთ, ხოლო ეკონომიკის განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის მიხედვით უკუსვლაც კი დაიხა, ეს მოლიანად ამ კლასის ბრალია, რომელსაც არ ხუთს რეალური გარდაქმნა და ამიტომ არ შეუძლია ქვეყნის გამოყვანა კრიზისიდან. ვლასპარკობთ, ვლასპარკობთ, ვლასპარკობთ, შეიცვლით ეი ბრაფის შეცვლა შეგვიძლია. მ. ზოშჩენკო ახეთ ლაპარაკს წყლის ნაყვის ინდუსტრიას უწოდებდა. ფრო კია გადავიდეთ საკმეზე.

ეკონომიკაში ნამდვილი გარდაქმნა, ჩვენი აზრით, დეიდეოლოგიზაციით უნდა დაიწყოს და ეს ყველაზე რთული ალმრნნდა, როგორ უცნაურადაც არ უნდა ეჩვენოს ეს ვინმეს. საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი ქვეყანაში და ჩვენთანაც კლასა ოცნებით ლრუნლებში ნავარდობს, არ ესმის და არც ხურს გაიგოს, რომ 70 წლიანი ეკსპერიმენტი სრული კრახით დამთავრდა. როგორი მტკიცეულეიც არ უნდა იყოს ეს ალიარებისათვის, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც გულწრფელად გვწამდა სოციალიზმისა და კომუნიზმის იდეა და კეთილინდისიერად და შეგნებულად ვმონაწილეობდით ამ ეკსპერიმენტში, ეს აბსოლუტია. ამ ეკსპერიმენტის წყალობით ჩვენ ნახმლოოდ ჩამოვრჩით ცივილიზებულ სამყაროს და განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებისათვის დაწვავენ ლაპარაკიც ზედმეტია.

ამფამად ლაპარაკობენ მუშაური, დემოკრატიული სოციალიზმის, ადამიანური იერის მქონე სოციალიზმის ალეგზე. მორიგი სიცრუეა. სხვ კაბრნის სახალხო დეპუტატნი ნიკოლაზ ტრავკინმა სწორად განაცხადა: თუ ვინმეს არ მეუოფნის გამბედაობა თქვას სიმართლე, მაშინ მინიშვნი ის მაინც უნდა გაკეთოს, რომ ადამიანები არ დაანშინის, არ დაანშინის კაპიტალისტური „ეკსპლოატაციისა" და ცხოვრების სხვა „საშინელებებით", რა დიდი მიზნებითაც არ უნდა ამართლებდეს ამასო.

ახეულობით მილიონმა ადამიანმა ნახა და საკუთარ თავზე გამოცადა სოციალიზმის „სიკეთე" და გვეიმეკვნა, რომ კიდევ ვინმეს სურდეს იყოს სიცდელი კურდღლის როლში ბანუდის ზარიციელებელი იდეებით მანიკურნად გატაცებული ტირანების თუ უტვინო მმართველების ხელში.

ეკონომიკაში დეიდეოლოგიზაციის პირველი რიგის ამოცანაა საერთო სახალხო ანუ სახელმწიფო საკუთრებისათვის უცოდველობის ნიღბის ჩამოხსნა. ათეულობით წლების მანძილზე კაპიტალიზმის ლანძღვის გამო დღეს საზოგადოების ძალიან დიდ ნაწილში ეკრძო საკუთრება გაიგიგებულია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციისთან, სოციალურ უთანასწორობასთან.

ეკრძო საკუთრება? სად მიგვიყვანს იგი?! ვთქვიმ პარლამენტში და ვინც ამ კითხვას აყენებს, სრულიადაც არ უკვირდება იმას, უკვე ხად მიგვიყვანა ეფრეთწოდებულმა საყოველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თთო სახალხო, სახელმწიფო საკუთრებამ? — საყოველთაო შიშშლითან.

გასული წლის მარტში გამოქვეყნებულ მოკავშირე რუსეთლიკების ეგრეთწოდებული საშეურნეო ანგარიშის მასლიუოკისეულ „ზოგად პრინციპებში" წერია: „მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცების, მოკავშირე რესპუბლიკებისა და რეგიონების მოსახლეობის ეროვნული და სოციალური ჯგუფების ინტერესების მაქმანიზაციის საიმედო ეკონომიური საფუძველია სახელმწიფო საკუთრების, როგორც მთელი ხალხის საერთო კუთვნილების შემდგომი განმტკიცება და განვითარება". აშრის როგორი კონსერვატორშია! სსრ კავშირის 70 წლიანმა ისტორიამ დაამტკიცა, რომ საერთო სახალხო საკუთრებამ ვერ უზრუნველყო შემოდინებული ამოცანების შესრულება და ჭეყვანა ისეთ კრიზისთან მიიყვანა, საიდანაც გამოყვანის რეალური გზებიც კი ვერ დაგვისახავს!

საერთო სახალხო ანუ არავისმა საკუთრებამ გამოიწვია უშუალო მწარმოებლის გაუქმება ნარმოების საშუალებებისაგან და სხვა უარყოფითი შედეგები. ეს უნდა გაიგოს ყველამ, ვისაც კი ჯერ კიდევ გააჩნია ილუზიები საერთო სახალხო საკუთრების „სიკეთეზე".

კერძო საკუთრება მიგვიყვანს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლიატაციასთან! — გაიძახიან კონსერვატორები პარლამენტში და ნეომარქსისტები მატენგებზე. ამასთან, მათ არ ხედავთ დაინახონ, რომ ჩვენს ქვეყანაში ექსპლოატაციის ყველაზე მაღალი ნორმა და ექსპლოატატორია თვით სახელმწიფო.

კერძო საკუთრება წარმოშობს სოციალურ უთანასწორობას! გაიძახიან და არ უნდათ დაინახონ, რომ ჩვენში უკვე არსებობს ეს უთანასწორობა. იგი ყველანაა. სხვადასხვა რეგიონში მომარაგება სხვადასხვანაირია, ფასებიც განსხვავებულია და მაშასად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიზნესის პრაქტიკის შესახებ წველად. აშშ წარმომადგენლებიც ჩამოვიდნენ მოსკოვში თავიანთი გამოცდილების გასაზიარებლად.

როგორი სურათია ამ მხრივ ამერიკის შეერთებულ შტატებში? იქ არსებული 19 მილიონნაზე დამოუკიდებელი ფირმიდან მხოლოდ 2 პროცენტია გიგანტი. დანარჩენი მცირე ბიზნესია. იგი იძლევა ქვეყნის ეროვნული პროდუქტის მატების თითქმის ნახევარს და სამუშაო ადგილების მატების 2/3-ს. გადამამუშავებელი მრეწველობა, მოსახლეობის მოსახურება, შუამავლობა — აი, მცირე ბიზნესის საქმიანობის სფეროები. მცირე ბიზნესი იქმნება მეცნიერებატევად დარგებშიც და ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენთვის, საკმაოდ ლოსოთვის, რადგან, ჩვენი აზრით, მეცნიერებატევადმა დარგებმა დიდი როლი უნდა შეასრულონ დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში.

როგორია აშშ მთავრობის დამოკიდებულება მცირე ბიზნესის მიმართ? ყოველმხრივი მხარდაჭერა. ორი სამთავრობო კომიტეტია დასაბუთებული მცირე ბიზნესის საკითხებით. 4,5 ათასი კაცია იმ სახელმწიფო სტრუქტურებში, რომელთაც საქმე აქვთ მცირე ბიზნესთან. მათ სათავეში უდგას მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია 1100 თანამშრომლით. თითოეულ შტატში არის რეგიონალური განყოფილება 30-40 თანამშრომლით.

რას აკეთებენ ალნიშნული სტრუქტურები? არა მხრდაჭერილობა, არამედ მხარდაჭერა. ისინი ემსახურებიან მცირე ბიზნესს, ახორციელებენ მის თხოვნას, აწვდიან ინფორმაციას ბაზრის კონიუნქტურის შესახებ, აძლევენ საკუმაორტო დასკვნებს ყველა წინადადებაზე, ვინც კი განიზრახავს საქმის დაწყებას.

მცირე ბიზნესს ემსახურება 11 ათასი კომერციული ბანკი. მთავრობა მხარს უჭერს მცირე ბიზნესს კრედიტებით, წელიწადად 800 მლნ დოლარამდე. ცხადია, ეს არაა დიდი თანხა, მაგრამ იგი გათვალისწინებულია უმთავრესად ზარალის დასაფარავად, რისგანაც არაა დაზღვეული მცირე ბიზნესი. მთავრობა თავდებად უდგება მას კრედიტის მიღებისას, აძლევს საგადასახადო შეღავათებს, უფლიერებს გადასახადებს, თუ ფირმა ადიდებს დასაბეგრავ სოციალურ სფეროში ან წარმოების გაფართოებისათვის.

თუ მცირე ბიზნესს არ მოაკვს საკმაოდ შედეგი მოცემული სფეროში, შეუძლია ხელახლა დაიწყოს საქმე სხვა სფეროში.

წვრილი საწარმოებისადმი მთავრობის მხარდაჭერა გამოცხადდა ბუფალოში, უნგრეთში, ეკონომიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ჩვენთან კი ჯერ მხოლოდ აკრძალვებია. არა და თუ არ ვცნობთ, არ შეკვმნით და არ დაეხმარებით წვრილ მეურნეობას, კრიზისიდან ვერ გამოვალთ.

თითოეულ მოკალაქეს უნდა ჰქონდეს მეწარმეობის უფლება, ეს იგი, თავისუფლების გარანტია ადამიანის ყოველგვარი მითითებისგან კანონით დადგენილი წესით. არის უკვე დადგენილები პროექტი, რომლის ძალითაც მოკალაქეებს მიეცემათ უფლება ადგილობრივი სახელის ნებართვით შექმნას საწარმო პირადი საკუთრების საფუძველზე არა უმეტეს 10 დაქირავებული მუშაკთ. (როგორც ვხედავთ, შეზღუდვები ბევრია რჩება).

ესტონეთში უკვე მოქმედებს წესი, როცა ერთმა ან ხაკმეთი საწარმოო იქმნება და რეგისტრაციაში ტარდება 8 თვისა მანეთის კაპიტალის არსებობისას. ამრიგად, მოკავშირე რესპუბლიკის დონეზე ამ საკითხების გადაწყვეტა შეიძლება თავისუფლად.

მასების შეგნებაც იცვლება. სოციალისტიკურმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ გამოკითხულთა ნახევარზე მეტს მიაჩნია: არავითარი წინააღმდეგობა არ უნდა იყოს ერთმო მეწარმეობის განვითარებისათვის, ხოლო ხაკმაოდ დიდი ნაწილი ფიქრობს თვით დაიწყოს საქმე.

ბაზარი ვერ იქნება სრულფასოვანი საკეთო საზოგადოებების გარეშე. ამ უკანასკნელთა მუშაობა მაკანონმდებლობა უნდა იქნას წარმართული დამოუკიდებელი მეწარმეობის საფუძველზე. ისინი უნდა გამოვიდნენ ზემდგომი ორგანოების დაკვეთებიანებიდან, სხვანაირად ვერ განვითარდებიან.

1988 წლის ოქტომბერში საკავშირო მთავრობის დადგენილებით ნებადართულ იქნა აქციების გამოშვება საწარმოების მიერ. მაგრამ ამით საწარმოთა სტრუქტურა არ შეცვლილა, აქციების მფლობელებმა ვერც ხმა შეიძინეს და ვერც საწარმოს მართვის უფლება, შესაკუთრენი არ გამხდარან. დადგენილებას არც ჩქონია ახალი მიზანი. მიზანი იყო ხალხმეწიფო საკუთრების განმაკეცება. ამიტომ იგი არ აჩარებს ეკონომიკურ რეფორმას, პირიქით. ხალხმეწიფო საწარმოს გარდაქმნა საკეთოდ ხელს შეუწყობს იმ საბურნეო მეკანიზმის ჩამოყალიბებას, რომელიც ინერციტიურ რეგიონრებას მოახდენს ბაზრის მოთხოვნებზე, საბეკნიერო-ტექნიკურ პროგრესზე.

ანგარიშების პერიოდიდან გამოკვეულნა, ისევე როგორც აქციების კურსი დაამკვიდრებს ხაკრეობას საკეთო საზოგადოებათა ხაქმიანობაში. დაინტრეგა უწესებრივი ბირეფრები დაგვა შორის, შეიქმნება მრავალდარგოვანი გერნიანებები-კონცერნები, რომლებიც ამჟამად ეფექტიანად მოქმედებენ როგორც „ძველ“ ისე ახალ კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამიხათვის ხაკრონო აქციების გამოშვების ნებართვა მოელი ინ ქონების ღირებულების შესაბამისად, რომელიც საწარმოს გააჩნია და აქციონერები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საათის ხმის უფლების მიცემა მათ საკუთრებაში არსებული აქციების ჯამის მიხედვით. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს საკაცეო საზოგადოებების დამკვიდრებას.

1920-იანი წლების ბოლოდან საბჭოთა კავშირის ეკონომიკა ვითარდება არა ობიექტური, საბაზრო კანონების მიხედვით, არამედ კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური დოგმებისა და ჩინოვნიკური ამარების ინსტრუქციების შესაბამისად. საბჭოთა კავშირი იმ რამდენიმე ქვეყნის რიცხვია (ალბანეთი, კუბა, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა), სადაც მსოფლიოში ყველაზე ძლიერია „ანტისაბაზრო" განწყობილება.

საბოლოდაც ოთხ წლის მანძილზე გაძლიერებული ეროვნებათაშორისი საზოგადოებრივი აზრი ჩამოაყალიბებს ხოცილოსნურს, საზოგადოებრივი საკუთრების, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის არ არსებობის და სხვ. იდეით და დღესაც, როდესაც ნათელზე ნათელია საბოლოდ ეროვნული ექსპერიმენტის კრახი, მაინც მნიშვნელოვანია ეს აზრი არ ღებულობს საბაზრო ეკონომიკას, კომერციას, ბიზნესს და სხვ. არა და ყველაფერი ეს აქსიომაა ცივილიზებულ მსოფლიოში.

როგორ მოვიშორით ეს იდეოლოგიური დოგმები? როგორ შეეგუნენ ახალი ეკონომიკა, რომელიც აქვს ყველა ცივილიზებულ, ნორმალურ საზოგადოებას, საბუთნეფოს.

ეკონომიკას არ შეიძლება უბრძანო. იგი თავის კანონებს, ბაზარს უნდა ექვემდებარებოდეს და არა ინსტრუქციებს. მას საშუალება უნდა მიეცეს თვით განვარიცხოს ნორმალური ეკოლეცია. მები ნდობა თვითრეგულირებისადმი, ეკონომიკური სისტემის თვითმმართველობაში. ვინ ან რამ უნდა დაარეგულიროს ეკონომიკა? ბაზარმა უნდა დაარეგულიროს. უნდა შეიქმნას თვითრეგულირებადი სისტემა. რაც სიცოცხლისუნარიანია — უნდა მივუშვათ, განვითარდეს, რაც არასიცოცხლისუნარიანია — თვით მოკვდეს. ამიტომ გადაწყვეტილებები უნდა მივიღოთ ადგილ აზრის, ეკონომიკური ლოგიკის კანონების შესაბამისად და არა საზოგადოებრივი აზრის სახარგებლოდ და საამებლად. უმრავლესობის აზრი ყოველთვის არ არის სწორი და მართალი.

შეიძლება ბევრს გადაჭეტებულადაც კი ეჩვენოს, მაგრამ მაინც ვიტყვი: თავისუფლება სჭირდება ხალხს, ეს განვითარებისათვის. იგი, ეს თავისუფლება კიდევ უფრო მეტად სჭირდება ეკონომიკას. 1920-იანი წლების ბოლოდან ჩვენი ეკონომიკის შებოჭვას ინტერესი არა მარტო ჩამოაშორა იგი ცივილიზებული ქვეყნების ეკონომიკას, არამედ მახინჯი სახეც მისცა.

ამგვარად უზარმაზარი ქვეყნის ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვაც კრახის განიცდის. რის გაკეთება შეუძლია და რა აკეთებენ ან აკეთებს საბჭოთა მთავრობა?

ჯერ კიდევ გასული წლის ივლისში ბალტიის-პირეთის მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური დამოუკიდებლობის კანონის პროექტის განხილვისას სხვა კავშირის უზენაესი საბჭის პირველი სესიის ტრიბუნადან ჩვენ განვაცხადეთ, რომ მთავრობას არ შეუძლია ქვეყნის ეკონომიკის გამოკვანა კრიზისიდან. ეს შეუძლებელია. მან, როგორც გარდამავალი პერიოდის მთავრობამ, რომელიც ანნორციელებს რადიკალურ ეკონომიკურ რეფორმას, უნდა გაკეთოს ორი გადასვლა: პირველი, ეკონომიკის მართვის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდებიდან ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლა, რათა იგი, ეკონომიკა, რომელიც მრავალი ათეული წლის მანძილზე ხელოვნურ მდგომარეობაში იყო გადგაიდეს ბუნებრივ მდგომარეობაში. და მეორე, ცენტრალიზებიდან დეცენტრალიზაციაზე გადასვლა, მეორნეობის მართვის გადაცემა მოკავშირე რესპუბლიკებისადმი. ცხადია, ჩვენი საბჭოთა მაშინ ეუარად არ იღეს.

გასული წლის დეკემბერში სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობაზე მეც და ჩემგან სხვა დეპუტატებმაც, მაგალითად ნიკოლაზ ტრავკინმა, გენადი ფილშინმა და სხვ. მკაცრად გაკიკრიტიკეთ ეკონომიკის გაჯანსაღების მთავრობისეული პროგრამა, რადგან კრიზისის დაძლევისათვის კვლავ კურსი იყო ღებული ბმრძანებლურ-ადმინისტრაციულ სისტემაზე, ის სისტემაზე, რომელმაც ქვეყნის ეკონომიკა კრიზისთან მიიყვანა. ამეფეები ეკონომიკური კვლავ ძლიერ მთავრობაზე, ეკეთან მინისტრებზე, ეს იგი აპარატსა და ინსტრუქციებზე. კვლავ ეუარად არ იღეს ჩვენი შეგონება.

მომდინარე წლის აპრილში შეკამდა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პირველი კვარტლის შედეგები. რაზეა ეს ლაპარაკი? გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წარმოების ზრდის ტემპი დაეცა. გაზეთი „იზვესტია" მიმდინარე წლის 7 აპრილს წერდა: „როგორც ვხედავთ, ბაზრის სტაბილიზაციისა და ეკონომიკის გაჯანსაღების პროგრამის რეალიზაციის წლის პირველმა მეოთხედმა არ მოგვცა მოსალოდნელი შედეგები. დაკვეფაოოთ კვლავ ავრალებსა და ძალულ მეოთხეს" — არაკეთილკრიტიკია, რაც არ უნდა იყოს „ხაკანეგენი" დასახელი ზომები ძველი სამეფნიერო მექანიზმის ჩარჩოებში ისევ დარჩენილ ზიზველ დეცენტრალიზაციებად, რასაც ადასტურებს 1990 წლის იანვარ-მარტის შედეგები".

ამრიგად, კიდევ ხაში ოვე ვახდა ხაკირო, რათა დარწმუნებულიყო მთავრობა, რომ ეკონომიკის გაჯანსაღების მის მიერ დასახული ზომები შედეგებს არ იძლევა. მხოლოდ ამის შემდეგ მიიღო მან დადგენილება „ხაკეგმო-ხა-

ბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის განხორციელების აუცილებელი მასალების მომზადების შესახებ". როგორც ვხედავთ, მთავრობა „ხაგეგბის" მაინც ვერ ელეს. შემდეგ იგი შეიცავალა „ხაბაზრო-რეგულირებულით", თითქოს თვით ბაზარი არ იყოს რეგულატორი, რომელზე უკეთესია კაცობრიობას ჯერ არაფერი გამოუგონია.

რეალობა, ცხოვრება, ობიექტური აუცილებლობა აიძულებს მთავრობას, როცა სხვა ალტერნატივა რჩება, მოგვიანებით მაინც წავიდეს გარდაქმნაზე. მაგრამ ამას აკეთებს უხალისოდ, მორცხვად, ნახევარი ზომებით.

ზოგი იმედებს ამყარებდა საპრეზიდენტო პელისიფულების დაწესებაზე. სულ უფრო ცხადი ხდება, რომ პრეზიდენტობაში არაა საკმე. თუ უწესებენ ხაბეჭის პრეზიდიუმის, უმაღლესი ხაბეჭის, სხვა კავშირის ხახალნი დეპუტატთა ერთობლების დადგენილებები და მიღებული კანონები საჭმეს ვერ ველის, მით უფრო საკმეს ვერ უშველის ერთი პიროვნების, პრეზიდენტის დეკრეტები, თუნდაც მას საპრეზიდენტო ხაბეჭოი ჰყავდეს ეგ. რასსატინი და ბ. იარინი.

მთავრობა იძულებული გახდა, მოემზადებინა კანონპროექტები: „ხალეფრნი საკმიანობის თავისუფლებისა და მეწარმეობის განვითარების შესახებ", „სხვა კავშირში უცხოური ინვესტიციების შესახებ", „სოფლის მეურნეობაში ნატურალური გადასახადის შესახებ", სხვა კავშირში ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის საფუძვლების შესახებ" და სხვ. მაგრამ ყოველი დაგვიანებისას კიდევ უფრო ძნიშ ოკნება დასაწყისი, კიდევ უფრო გრძელი ოკნება გზა და უფრო მეტი დრო დასჭირდება იმ ცვლილებებეკენ დერეფნის გაკვლას, რომელსაც გარდამავალი პერიოდი ჰქვია და რომელმაც უნდა მიგვიყვანოს ნორმალურ, ბუნებრივ ეკონომიკამდე.

აკეკ უნდა ითქვას, რომ მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემა ჯერ სრულიადაც არაა გატეხილი. ნოსტალგია წარსულზე ძალიან დიდია. ხან აქ, ხან ეგ ბოსმის მოწოდება 1985 წელამდე არსებული პოზიციებისადმი დაბრუნების შესახებ. დიახ, არის ასეთი ელლური აზრიც. ეს აღნიშნა ხაკეგბრნი მთავრობის ხახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ბ. ორლოვმა (იხ. „იზვესტია", 8 აპრილი, 1990 წ.), ხოლო ვინც მიმდინარე წლის 14 აპრილს პროგრამა „ვრემიას" უუურებდა, ნახავდა, რომ მოსკოვის ახლის ქ. ბიკოვოში ნეობოლშევიკთა კონფერენციის მონაწილეები ბამთქვამენ ხურეფის ხელახლა სცადონ სოციალიზმის „დაწესება" თავიდან.

ერთი სიმართლეც უნდა ითქვას. ეკონომიკური რეფორმაც არარადიკალური და არც რადიკალური — პრაქტიკულად ჯერ კიდევ არ დაწყებულა, თუმცა უკვე 5 წელიწადია ამაზე ვლაპარაკობთ. ჯერ კიდევ არ არსებობს ეკონომიკური თავისუფლება. ჩვენი რესპუბლიკა არაა ჩართული საკავშირო ბაზარში ან უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ არ არსებობს. რესპუბლიკა მიმგიბეგულია საკავშირო განაწილებაზე, რომელიც მოქმედებს არა ეკონომიკური კანონების შესაბამისად, არამედ ადმინისტრაციული კანონებით. ამიტომ შეიძლება თქვან, ბევრს ვერაფერს გაკეთებ ასეთ სიტუაციაში. ეს არ არის სწორი.

მე მიმაჩნია და ეს ადრეც მითქვამს და დამიწერია, რომ 1985 წლის შემდეგ შეიქმნა ქვეკანაში ისეთი ხელსაყრელი ვითარება ეროვნულ საკითხებზე ზრუნვისა, როგორც არ ყოფილა მთელი 1921-1985 წწ. მანძილზე. რაგარ ვიუკნებთ მას? ძალიან ცუდად! ამას არ ხეპრდება სპეციალური მტკიცება. შეეგებოდთ ბალტიისპირეთის მოკავშირე რესპუბლიკებს. ისინი ნამდვილი, რეალური საკმეკნის კეთებაზე არიან გადასული. შექმნეს კანონების მთელი სისტემა და მიიღეს კიდევ უზენაესი ხაბეჭოების სესიებზე. ლიტვამ კავშირიდან გამოსვლა, უფრო ზუსტად, ხახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენაც კი გამოაცხადა.

ჩვენთან მიღებული ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი, როგორიცაა ეროვნული წლის ნოემბერში და მიმდინარე წლის მარტ-აპრილში კონსტიტუციური შესწორებები და დადგენილებები, ხამეწყობილ, პარლამენტზე მხოლოდ გარედან მიტანეგური დაწოდნილ და დიდი დაგვიანებით მოხდა და არა ხელისუფალთა და პარლამენტების შინაგანი მოთხოვნილებით. მე შემეძლო ეს არ მეოქვა, მაგრამ ეუმეტესობთ პროსტემენი არ გადაიკეთა, მით უფრო არ გაკრეა, ხოლო ნორაკეფიანი ქვეშეში თავის დამალვა საკმეს ვერ უშველის. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა დადგეს ხალხი და ოფიციოზი ერთად!

ჩემი ნაწყენი ტონი იმითაცაა გამოწვეული, რომ პარლამენტშიც და პრესაშიც („პრავდა") ჩემს წინააღმდეგ ანარქიის მიერ განხორციელებულ შემოტევას აქვს გარკვეული საფუძველი. ხაკმე ობაშია, რომ ხესიაზე ჩემს თითქმის ყველა გამოსვლაში მოგითხოვ: შეეგეკითხთ რესპუბლიკებს, მათგან მიეიღოთ მათი უზენაესი ხაბეჭოების მიერ დამტკიცებული კანონები და არა ჩვენ მოგახვიოთ თავზე ეგ ცენტრში მოწონებული კანონები. ჩვენთან უკვე მომზადებულია ორ ათეულამდე სხვადასხვა კანონი, მაგრამ საკმე ადგილდან არ იძვრის, უზენაესი ხაბეჭოს სესიიდან არ მიდის. იქ კი მეუბნებიან, ბევრს რომ ხმაურობ, ხად არის თქვენი მიღებული კანონები. ეი ეხაა საწყენი.

რა შეუძლიათ დღეს ხელისუფალთ, მთავრობას, რომ გააკეთოს და არ აკეთებს? ბევრი რამე. კვლავ მივუთითებთ ბალტიისპირეთზე. რო-

გორი უნდა იყოს მთავრობა საერთოდ? საუკეთესო მთავრობა იყოფ მთავრობა. მიმდინარე წლის 12 აპრილს სხვ კავშირის უზენაესი საბჭოს ეროზიდიუმის სხდომაზე, სიტყვაშ მოიტანა ფა, ჩემს ბეგრქილი მჯდომ ერთ-ერთი სპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს ჩაკუოლპარაკე: ჩვენს ქვეკანას ბუაეს მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი, ყველაზე ძვირი და ყველაზე არაეფექტიანი მთავრობა-მეთქი. და ყველაზე არაკომპეტენტურიც, დაუმატა მან.

გავაუქმოთ ბევრი სამინისტრო და უწყება და ნათელი გახდება, რომ არაფერი საშინელება არ მოხდება. საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1932 წლამდე, მანამ, სანამ არ იყო სამინისტროები, წარმოებას, დარგებს მართავდა დემოკრატიულ საფუძვლებზე შემნილი სინდიკატები, საწარმოთა ნებაყოფლობითი გაერთიანებები, ეკონომიკის რეალურ ზრდასთან გაკუნსა საქმე.

ბოლო წლებში ქვეყნის მართვის აპარატი მართალია შემცირდა 600 ათასი კაცით, მაგრამ ეს „ზეშთა" მოხდა. სამაგიეროდ 700 ათასი კაცით გაიზარდა მართვის აპარატი საწარმოებში, ბოლო სამინისტროებს მმართველურ-ადმინისტრაციული ფუნქციები შეუნარჩუნდა.

ახალ ვითარებაში, სამაზრო ეკონომიკის პირობებში სამინისტროებს არ შეიძლება ჰქონდეს მმართველობითი როლი. დღეს მათი მუშაობა უნდა შეფასდეს არა იმის მიხედვით რამდენი პროდუქცია გამოუშვა მათ დაქვემდებარებაში მყოფმა საწარმოებმა, არამედ იმის მიხედვით, რამდენი მთავანი იქნა გადაყვანილი სრულ სამეურნეო ანგარიშზე, რენტაბელურ მუშაობაზე. სამინისტროებმა სამაზრო ეკონომიკის პირობებში თავიანთი საქმიანობა უნდა წარმართონ სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის შემუშავებაზე, დარგის განვითარების პერსპექტივის განსაზღვრაზე, ორგანიზაციულ-მეთოდიურ საკითხებზე.

ამ მხრივაც არ ჩქარობს მთავრობა გარდაქმნას. ჯერ კიდევ გასული წლის ივლისში პირად საუბარში აკადემიკოსმა ლ. ი. აბალკინმა მითხრა, რომ მზად აქვს დებულება სამინისტროების შესახებ და მინისტრებს ძალიან აინტერესებთ ის რალს ვუტოვებ მათო. დღემდე აღნაშნული დებულება არ ჩანს. მაგ რჩებათ მმართველობითი-ადმინისტრაციული ფუნქციები. მთავარი მაინც ისაა, რომ ბევრი სამინისტრო და კომიტეტი კავშირშიც და რესპუბლიკაშიც გასაუქმებელია. ეს კი არ კეთდება.

სამაზრო მეურნეობაზე გადასვლა ნიშნავს საგებმო მეურეობასთან შედარებით უფრო მეცარი ეკონომიკური სისტემის დაკვეიდრებას. სამაზრო პრინციპები და მოთხოვნები ეკონომიკურად უფრო „უმოწყალოა" და მოითხოვს სამეურნეო ხელმძღვანელებისაგან ინიციატივას, სარისკო მიდგომასაც კი საწარმოს ფუნქციონირების საკითხებისაგან საბოლოო მაღალი სამეურნეო შედეგების ხელმიღწევად. დღესდღეობით კი წარმოების ხელმძღვანელებმა ზედმეწევნით იციან როგორ დამალონ რეზერვები, დაიცვან შემცირებული გეგმები, რომელთა შესრულებისთვისაც მოითხოვენ 1,5-2-ჯერ მეტ რესურსებს.

და აი, კვლავ მივადექით ერთ-ერთ ურთუოლეს იდეოლოგიურებულ საკითხს. ჩვენ დასაწყისში ვთქვით ქართველი კაცის სამეურნეო თოსსობაზე. ჩვენ ხომ უნდა ვიფიქროთ და ვემსჯელთო კიდეც როგორ ავსხნათ ხუნდები ქართველი კაცის, საქართველოს ყველა მოქალაქის სამეურნეო თოსსობას, ინიციატივას, შემოქმედებითობას და წარეგმართოთ იგი რესუსულიას ეკონომიკის და კულტურის აყვავებისათვის. აქ მართლაც დაგვჭირდება, როგორ უცნაურადაც და სასაცილოდაც არ უნდა ეფლერდეს, დიდი იდეოლოგიური მუშაობა, რადგან თეფული ნეფის მანანდაზე კაპიტალიზმის ლანძღვის გამო დღეს საზოგადოების უდიდეს ნაწილში სიტყვები კომერსანტი, ბიზნესმენი — ხალანძღავ და საგანგებელ ტერმინებადაა მიღებული. აქ დეიდეოლოგიზაცია არ ქმარა, საჭიროა ახალი იდეოლოგიის დამკვიდრება.

საქმიანმა ხალხმა, ბიზნესმენებმა აქციის გაჭვითარებული კაპიტალიზმი ქვეუნების ეკონომიკა იმად, რადგან ისინი არის ამისამად. მათმა ინიციატივამ აღადგინა ომისგან დანგრეული ევროპისა და იაპონის ეკონომიკა.

დღეს საქართველოს სჭირდება ინიციატივანი, საქმიანი, სამეურნეო თოსსობის მქონე ადამიანები, ერის, რესპუბლიკის პატრიოტები. ესაა ბლები ფერმერი, არენდატორი, მუშა შემოქმედებითად მოიფშვავე და მუშა გამომგონებელი, წარმოების ინიციატივიანი ხელმძღვანელი, ინჟინერი-რაციონალიზატორი და ა. შ. წარმოების ხელმძღვანელის მუშაობა უნდა შეფასდეს ერთი ნაშნით — მოგებით.

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ არ შეიძლება „საქმიანობა" გავაიგოთ „საქმიანობასთან", მაფიოზურ გამოულინებებთან, რაც ყველა ცივილიზებულ ქვეუანაში დაგმობილია, ებრძვიან მას. მხოლოდ ჩვენთან არ ებრძვიან მაფიას. და ამის მიზეზიც ცნობილია. ერთი სიტყვით საჭიროა ახალი ტიპის ხელმძღვანელი.

დღეს უკვე აღარ შეიძლება ადამიანებს მოვუწოდოთ მეტად და უკეთესად იმუშაონ და არც უნდა გავაკეთოთ ეს, რადგან ამას აზრი არ აქვს, რაც დასტურდება, 70 წლიანი ისტორიით, ის შედეგებით, უფრო ზუსტად, უშედეგობით, რაც ჩვენ გვაქვს. უნდა შევაქმნათ ისეთი პირობები, რომ ადამიანებმა მოწონდეს გარეშე იმუშაონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცენებით ღრუბლებში ნავარდი არც ერთ სფეროში არ მოგვეცმს ხელს, მით უფრო ეკონომიკაში. თუ უშუალო მწარმოებელი არაა მეხაკეთორე, არ აქვს დაინტერესება, შედეგი არ გვექნება. სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ქვეყნის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა მხოლოდ 1/3 თუ მუშაობს მთელი ძალით.

საჭიროა ადამიანთა მოტივაციის შეცვლა, მისი გადატანა განაწილების სფეროდან წარმოების სფეროში, პირსპექტივის რწმენა, მათ უურადღებას მიაქცევს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე, გაანაწილებს თავისი შრომის პროდუქტს დაგროვებასა და მოხმარებაზე, ამოქმედდება ინტერესები, სტიმულები, მოთხოვნა.

ლაპარაკია ადამიანთა ინიციატივიანი და ნოვატორული შესაძლებლობების გამოვლენაზე. რეციდივები. წარსულისა, როცა ახალი ტიპის ინიციატივიანი, საქმიანი კაცი საბაბამოში ამოალპეს და ხალიჩაშიც კი გაიხტუშრეს (გაეხსენოთ ხუდენკოს და სხვათა ტრაგიკული ისტორია) კვლავ გვხვდება. ახლაც ზნორია შემთხვევები, როცა საქმიანი მუშაკი იძულებულია „ჩადაუზახაᲗ „ჩრდილოვან ეკონომიკაში", რომელსაც ადმინისტრაციული ზომებით ვერ მოვსპობთ. ყველაფერი უნდა ეთოდებოდეს კანონების, სამეურნეო კანონმდებლობის საფუძველზე.

ჩვენი მოსახლეობა ხედავს რა ვნებათა ღელვას ქვეყნის პარლამენტში და მის გარეთ ბელ საწარმოებს, კოოპერატივებს, დაკარგავენ გამიჩინაგებელი გადასახადებით დამოუკიდებელ საწარმოებს; კოოპერატივებს, დაკარგავენ მათგან შემოსავალსაც და მათაც, კვლავ დაგრჩებით მეგროვებად. არა და არსებობს მსოფლიო პრაქტიკა გადასახადების რა განაკვეთისას რა სტიმული ეძლევა საქმიანობის გაფართოებას და როგორი განაკვეთი ალკვს ინიციტივას.

